საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული
ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის,
არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და
პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი

ნათელა (ნათია) მირიანაშვილი

საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918-1938 წწ.

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

UDC(უაკ) 94(479.22)
მ-324

ნაშრომში ახალი საარქივო მასალებსა და მდიდარ ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით შესწავლილია ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან, კერძოდ სომხეთთან და აზერბაიჯანთან საქართველოს ტერიტორიული ცვლილებები 1918-1938 წლებში.

ავტორს 2001 წლის 6 ოქტომბერს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ისტორით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

*წიგნის გამოცემაში გაწეული მატერიალური დახმარებისათვის ულრმეს მადლობას ვუხდით პროფ. **რეზო კორინთელს.***

რედაქტორი: აკად. **დავით მუსხელიშვილი**

რეცენზენტები: პროფ. **ოთარ ჯანელიძე**
პროფ. **ალექსანდრე დაუშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ანა რუაძე**
მარიამ ბუტიკაშვილი

ჟურნალი გამოსაცემად მომზადდა ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის საგამომცემლო ჯგუფში „მემატიანე“.

© ნ. მირიანაშვილი, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-762-0

ნ. მირიანაშვილის წინამდებარე მონოგრაფია დისერტაციაა, რომელიც მან წარადგინა და წარმატებით დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

პრობლემა, რომელიც შესწავლილია ავტორის მიერ ფრიად მნიშვნელოვანია, თუმცა კომუნისტური რეჟიმის არსებობის პირობებში იგი, ფაქტობრივად, ტაბუდადებული იყო „ხალხთა მეგობრობის“ ყბადაღებული დოქტრინის ბატონობის გამო. სინამდვილეში მაშინაც მიმდინარეობდა ფარული, საკმაოდ მძაფრი ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკათა შორის რეალური საზღვრების დადგენისათვის.

ამჟამად ეს ტაბუირება თითქოს მოხსნილია და ნ. მირიანაშვილის ნაშრომიდან კარგად ჩანს სახელმწიფოსათვის ამ ფუნდამენტური პრობლემისადმი უნიათო და მცდარი მიდგომა, როგორც საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატ მესვეურთაგან, როდესაც მის გადაჭრას არა ეროვნული, არამედ პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობდნენ, ასევე საბჭოთა რესპუბლიკის კომუნისტური მმართველებისგან, რომლებიც კონფლიქტს „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ მოხმობით წყვეტდნენ. ორივე შემთხვევაში უხეშად ირღვეოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უფლებები.

ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1918 წელს წერდა: „ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლა ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს“.

სამწუხაროდ დიდი ისტორიკოსის ამ შეგონებას შედეგი არ მოჰყოლია, ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორია თანდათან იკვეცებოდა და ეს სასიცოცხლო პრობლემა დღესაც ფრიად აქტუალურია.

ნ. მირიანაშვილის მონოგრაფია, დამყარებული სპეციალურ ლიტერატურაზე და მდიდარ საარქივო დოკუმენტურ მასალაზე, რომელიც ფაქტობრივად, პირველად ქვეყნდება, უეჭველია, სასარგებლო სამსახურს გაუწევს ამ დიდი პრობლემით დაინტერესებულ საზოგადოებას.

აკად. დ. მუსხელიშვილი

შესავალი

სუვერენული სახელმწიფოს უმთავრესი სამართლებრივი საფუძველია ტერიტორია, საზღვრები, ალამი, გერბი, ჰიმნი და კონსტიტუცია. ამ უმთავრესი მახასიათებლებიდან უმნიშვნელოვანესი ადგილი საზღვრებს უჭირავს. საქართველოს პოლიტიკური საზღვრები ყოველთვის ერთნაირი არ იყო; საუკუნეების მანძილზე ხშირად იცვლებოდა და ძლიერების ხანაში, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს, თითქმის მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა.

საქართველოს საზღვრები ისტორიული, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა. „ეროვნული სახელმწიფო ტერიტორია ეს არ არის ნებისმიერი, ასე ვთქვათ ღვთისაგან მონიჭებული მადლი. ეროვნული სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბება შედეგია უაღრესად რთული და ფრიად ხანგრძლივი პროცესისა, რომელშიც მონაწილეობას იღებს მრავალი სხვადასხვა მონათესავე თუ არამონათესავე ტომი თუ ხალხი, შედეგია ამ უკანასკნელთა მრავალმხრივი (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული) ურთიერთქმედებისა... საბოლოო ჯამში ყალიბდება ერთიანი კულტურის მქონე საზოგადოება, განსახლებული ერთიან ტერიტორიაზე, რომელიც ჰეგემონი ტომისა თუ ხალხის სახელს იძენს და რომელიც, როგორც კულტურულ-პოლიტიკურად და საბოლოო ჯამში, ეთნიკურად, ასევე სოციალურ-ეკონომიკურად და ფიზიკურ-გეოგრაფიულადაც მყარ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს. ასე ყალიბდება თანდათან ეროვნულ სახელმწიფოებად ერთიანი ტერიტორიები, რომლებიც გასაოცარ მდგრადობას ინარჩუნებენ საუკუნეთა განმავლობაში“[1].

საქართველოს ისტორიამ ამოგვიხაზა ჩვენი სამკვიდრო ქვეყანა. მისი ისტორიული საზღვრები ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებს გასდევდა: „საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყია: ჩრდილო-

ეთით მას აკრავს კავკასიონის ქედი, სამხრეთით თოელიანი მთების ერთი მთლიანი სისტემა, სამხრეთ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი (მტკვრისა და ჭოროხის აუზების სამხრეთ მიჯნაზე შემორტყმული) დასავლეთით არტყია შავი ზღვა და მხოლოდ ერთი ვიწრო პირით აღმოსავლეთის მხრიდან, ეკერის საქართველო აზერბაიჯანის ბარსა, მაგრამ აქედანაც მას მდინარეების ერთი ხაზი გაჰყოფს: კავკასიის მთავარი მდინარე მტკვარი, თავისი შემდინარეებით: ძეგამით და ალაზან-ქურმუხით. ამ ტოპოგრაფიულ ზღუდეებში მოქცეული მხარე-კუნძული არის ერთი ქვეყანა, საქართველო — ასე კლასიკურად დამთავრებული თავის ზღუდეებში — თვითონ ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებზე, ჩამოქნილი ერთ ორგანულ სხეულად — როგორც ბუნებრივი სამეურნეო-ეკონომიკური მთლიანობით, ისე მრავალსაუკუნოებრივი სახელმწიფოებრივი და ისტორიულ-კულტურული პირობებით"[2].

ამ პირობების წყალობით შეძლო ქართველმა ერმა, თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ისტორიულად, საქართველოს უმთავრესი მტერი სამხრეთიდან ჰყავდა, ამიტომ ცვალებადობას უმთავრესად სამხრეთის საზღვრები განიცდიდნენ. უნდა ითქვას, რომ ღრმა ცვლილებანი მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებში მოხდა. ადრე კი, მართალია საქართველოს ხშირად განუცდია დაპყრობა, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა თავისი ტერიტორია ბუნებრივ საზღვრებში შეენახა: „ეროვნული ტერიტორია, ფაქტობრივად ერთი ხალხის შემოქმედებაა და ამიტომ ისეთივე ხელშეუხებელი და წმინდათაწმინდაა, როგორც ეროვნული ენა, ეროვნული კულტურის ყოველი გამოვლინება"[3].

საქართველოს საზღვრებმა თანამედროვე სახით ჩამოყალიბება დაიწყო 1918 წლიდან, როცა დამოუკიდებლობა გამოცხადდა. 1919 წელს პარიზის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე საზღვრების შესახებ ქართულმა დელეგაციამ შემდეგი დოკუმენტი წარადგინა „საქართველოს სახმელეთო საზღვარი იწყება შავი ზღვის აღმოსავ-

ლეთ სანაპიროზე, პატარა მდინარე მაკოპსეს შესართავთან, რომელიც მდებარეობს ქალაქ ტუაფსეს სამხრეთ აღმოსავლეთიდან 14 კილომეტრის დაშორებით. მიყვება რა მდინარე მაკოპსეს ზემო დინებას, საზღვარი გადის პსეუშკოს მთაზე, რომლიდანაც ეს მდინარე ჩამოედინება და იქიდან გრძელდება ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მთის თხემის გასწვრივ, რომელიც ცილდება დიდი კავკასიონის მთავარ ქედს და ქმნის წყალგასაყარს შავ ზღვაში ჩამავალ მდინარეების ტუაფსესა და აშეს აუზებს შორის.

ჩრდილოეთ საქართველოს საზღვარი კავკასიონის ქედის გასწვრივ გადის, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით თითქმის ადაიკოხის მასივამდე არ წყდება.

ადაი-კოხის საზღვარი კვეთს მდინარე არდონს კასარის ხეობასთან (ტაზანტის სახელით ცნობილ წყაროსთან ახლოს) და გრძელდება აღმოსავლეთით (არხონის მასივი) და ყაზბეგის მთების მწვერვალებზე.

ამ სიმაღლეზე საზღვარი მიემართება ჩრდილოეთით, გადის ჩასკოხისა და კაიდჯანის მთებზე და კვეთს მდინარე თერგს სადგურ ლარსიდან ჩრდილოეთით 5 კილომეტრში, პატარა სოფელ ოზმის გასწვრივ, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე საზღვარი გადის მდინარე არკმეხის – თერგის პატარა შენაკადის გასწვრივ. სოფელ ლიადჟამდე. აქ საზღვარი მიდის სამხრეთით, გაივლის მდინარე არხმის (არკმეხის შენაკადი) მარჯვე ნაპირის მაღლობს მალჩოჩე კორტის მთამდე.

აქედან საზღვარი გრძელდება აღმოსავლეთისაკენ დიდი კავკასიონის ქედზე კარა-კაიას მთამდე, გადის ერთი მხრივ, უძველეს საზღვარზე თბილისის რაიონში, მეორე მხრივ, თერგისა და დაღესტნის ტერიტორიებზე.

შემდგომ, საქართველოს საზღვარი მიემართება ზაქათალის ოლქსა და ქალაქ ნუხის რაიონის უძველეს საზღვრებზე, უხვევს სამხრეთით და მიჰყვება მდინარე კაჩაჩაის დინებას მდინარე ალაზანთან შეერთებამდე.

შემდგომ, საქართველოს საზღვარი მიემართება სამხრეთით მდინარე ალაზანზე მდინარე მტკვრამდე, საიდანაც ის ისევ მაღლდება და იღებს მიმართულებას ჩრდილო

დასავლეთისაკენ მდინარე ხრამთან შეერთებამდე. შემდეგ საქართველოს საზღვარი გადის ბორჩალოს (თბილისის გუბერნია) და ყაზახის (ელიზავეტპოლის გუბერნია) რაიონების ძველი საზღვრების გასწვრივ. გადის მოწინავე კავკასიონის მთების ჯაჭვზე, რომელიც წარმოადგენს წყალგამყოფ ხაზს მდინარეების დებედა-ჩაისა და აქსტაფას (ზაქათალის მთა, ჩატინდაგის მთა, სოუკ-ბულაგის მთა) აუზებს შორის და შემდეგ უფრო შორს ჩრდილო-სამხრეთის შეშკეჩამას მთამდე.

აქედან საზღვარი გადის თბილისისა და ერევნის გუბერნიების ძველი საზღვრების გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთით და გადაკვეთს მდინარე ბამბაკს ჩაგალსა და ყარაყალის სადგურებს შორის; შემდეგ გრძელდება ბესობდალის ქედზე კარგაჩისა და დეგლიდაგის მთებზე ჩრდილო-დასავლეთით სველი მთების თხემამდე.

დეგლიდაგიდან საზღვარი მიემართება დასავლეთისაკენ მადატაპანის მთებზე, მადატაპანის ტბიდან დასავლეთით, შემდეგ გრძელდება უჩ-ტარაპანამდე, საიდანაც უხვევს სამხრეთით ჩალდილის ტბის შემოვლით, გადის აჩკბაბისა და კისირდაგის მწვერვალებზე და შემდეგ არდაგანისა და ყარსის ტერიტორიების საზღვრებს შორის.

კისირ-დაგადან საქართველოს საზღვარი მიემართება სამხრეთ დასავლეთისაკენ მდინარეების მტკვრისა (საქართველოს ტერიტორია) და არაქსის (სომხეთის ტერიტორია) აუზების წყალგამყოფ ხაზზე. იგი გადის ბუგატაპას, კაბახტაპას და კოპის მთებზე, შემდეგ გაივლის რა სოღანლუღის ქედს, რომელიც ყოფს მდინარეების ჭოროხისა და არაქსის აუზებს, გადის ძველ რუსულ-თურქეთის საზღვარზე.

თურქეთის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვარი გადის სამხრეთ-დასავლეთით, გაივლის ჩახირ-ბაბას ქედს, რომელიც წყალგამყოფია მდინარეების არაქსისა და ოლთი-ჩაის (მდ. ჭოროხის შენაკადი) ზემო წელის აუზებს შორის.

ოსკანის მთიდან საზღვარი მიემართება დასავლეთით, დუმლუდაგის, კაზანბაჩის და კორტიკდაგის ქედებზე, შემოუვლის ჩრდილოეთიდან ჭოროხის ზემო წელს რომელიც მის საზღვრებს გარეთ რჩება, მაღლა აუყვება ისპირს, კილისაკალუს მონასტრის ცოტა დასავლეთით სოფელ მადნამდე.

ჭოროხის მარცხენა ნაპირზე საზღვარი კელავე მიდის ჩრდილოეთით, მთების თხემებზე, რომლებიც ლაზისტანის პონტის ქედის განშტოებას (კეშიშკაის მთა) წარმოადგენენ. იგი გადის პონტის ქედთან. რამდენიმე ხანს მიიწევს დასავლეთისაკენ, კირკლიარის მთების რაიონში და სანდჟან ლაზისტანის (თურქეთის ტერიტორია) საზღვრის ხაზით მიემართება ჩრდილოეთით მდინარე კალაპოტამოსის სათავისაკენ, რიზესა და ოფომს შორის შავ ზღვამდე, რომელიც გარს ერტყმის საქართველოს დასავლეთით მაკოპსეს სათავემდე“[4].

ამ დოკუმენტში მოცემული საქართველოს სახელმწიფო საზღვრების მოხაზულობა რეალურ სურათს არ შეესაბამებოდა. სინამდვილეში, ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო, ზოგიერთ ოლქზე საქართველოს მთავრობის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა. თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა საზღვრების საკითხში, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა და გამიჯვნის პრინციპს საფუძვლად დაუდო ისტორიული, სტრატეგიულ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებანი.

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ მთავრობის დამოკიდებულება საზღვრების საკითხისადმი რადიკალურად შეიცვალა: „საბაჟო სადარაჯოები და სხვა ზღუდეები — ნაციონალისტურ მთავრობათა მემკვიდრეობა ახლა მოხსნილია... ნაციონალისტები გაჰყვირიან: დამოუკიდებლობა ეს ნიშნავს საკუთარ არმიას, საკუთარ საზღვრებს, საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას, ე. ი. საკუთარი სახელმწიფოს ყველა ატრიბუტს ... ჩვენ ვამბობთ დამოუკიდებლობა ეს არის ჩვენი ხალხების, ჩვენი მშრომელი მასების დამოუკიდებლობა უცხოეთის იმპერიალიზმისაგან, უცხოეთის კაპიტალისაგან, ეს არის საერთო საბჭოთა სამხედრო, საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც გაერთიანებულია მძლავრ საბჭოთა მუშტში“[5].

თუ რა განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ ამ საკითხთან მიმართებაში დემოკრატიული საქართველოს და ბოლშევიკური საქართველოს წარმომადგენლები მოგვყავს გრ. ლორთქიფანიძისა და მ. ორახელაშვილის 1921 წლის 17 მარტის მოლაპარაკების სტენოგრაფიული ჩანაწერები,

როცა გრ. ლორთქიფანიძემ პრინციპულად დააყენა საკითხი: „როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება მისი ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკა თუ საბჭოთა წყობილება, ჩვენი მოვალეობა არის, მოვალეობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული, რომ ბათუმის ოლქი ყოველ შემთხვევაში დარჩეს საქართველოს, ვიმეორებ, როგორიც არ უნდა იყოს ის, ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო გეზი... დღეს ყველაზე დიდი საშური და პირველ რიგში განსახილველი არის საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება“. ამ სამართლიან მოთხოვნას მ. ორახელაშვილი შემდეგნაირად პასუხობს: „ეს საკითხი მეორეხარისხოვანია, ჩვენი პირველი მოთხოვნილება არის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სცნოს საქართველოში მომხდარი გადატრიალება და აღიაროს საბჭოთა რესპუბლიკა და თუ ეს არ იქნება მიღებული, სხვა დეტალების მიღება შეუძლებელია“[6].

საბჭოთა ხელისუფლების დროს რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წაიშალა, რაც საბაჟოების, პიკეტებისა და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა. ბოლშევიკებს რესპუბლიკათაშორისი საზღვრები დროებით მოვლენად მიაჩნდათ: „მომავალში გვექნება ერთი კომუნისტური მსოფლიოს რესპუბლიკა, რომლის საზღვრები მხოლოდ მთელი დედამიწის ზურგი იქნება და რომელსაც სახელად სახელმწიფო აღარ ერქმევა“[7].

ერთ-ერთ კრებაზე ნარიმანოვმა განაცხადა „რომ კომუნიზმის წყალობით წაიშალა საზღვრები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორისო“. ამ ანტიეროვნულ მოძრაობას „საზღვრების წაშლის“ შესახებ დასაბუთებული პასუხი გასცა შ. ნუცუბიძემ: „რას ნიშნავს საზღვრების წაშლა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის? სად სწერია ან ვინ დაამტკიცა, რომ კომუნიზმი და სახელმწიფოების საზღვრების წაშლა ერთი და იგივეა. საქაროველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და როგორც ასეთს მას აქვს და მომავალშიც უნდა ჰქონდეს ყოველივე ნიშანი... დამოუკიდებელი სახელმწიფოსი: ენა, ტერიტორია, საზღვრები და სხვა... რას ნიშნავს სახელმწიფო, რომელსაც საზღვარი არა აქვს... რა კავშირშია კომუნიზმსა და საზღვრების

წაშლის შუა... სახელმწიფო ჰაერში გამოკიდებული ხომ არაა, ის გარკვეულ ტერიტორიაზე არსებობს და სხვაგვარად არც შეიძლება არსებობდეს“[8].

კომუნისტები მაინც თავის პოზიციაზე იდგნენ, მათი აზრით „საბჭოთა ძალაუფლების ნიადაგზე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ სად თავდება ესა თუ ის საზღვარი... როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ორ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა საზღვარზე, ერთი ცხადია, რომ მას ჩვენ ვერ დავუმორჩილებთ საკითხს სტრატეგიული მიზანშეუწონლობის ან ეგრეთწოდებული ბუნებრივი საზღვრების შესახებ... ჩვენ ვერ მივიღებთ ომის გამომწვევ ბუნებრივ საზღვრებს... კითხვა საზღვრების შესახებ სხვადასხვა დროს შეიძლება სხვადასხვანაირად გადაიჭრას, რეალური მოსახლეობის ან არსებულ ეკონომიური ხასიათის გარემოებათა მიხედვით“[9].

ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობას საქართველოში მიმდინარე მოვლენები სწორად ჰქონდა გააზრებული. მათს საფიქრალს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაბუთება წარმოადგენდა. თ. ღლონტი წერდა: „საქართველოს ტერიტორია, მისი საზღვრები არის სიმბოლო საქართველოს სუვერენობისა, ეს არის კვანძი, საიდანაც იშლება მთელი სახეობა რესპუბლიკის შემოქმედებისა და ის, ვინც ამ კარდინალურ საკითხში იჩენს ნებისყოფის სისუსტეს, უაზრო მორჩილებას გრძნობს, ის ვერასოდეს შეჰქმნის ვერც სახელმწიფოს, ვერც მოიმკის ქართველი ხალხის უანგარო სიყვარულს“[10]. მაგრამ ბოლშევიკები ერის სიყვარულის მომკობისათვის არ იღწვოდნენ, ისინი „მსოფლიო რევოლუციის“ ფსიქოზით იყვნენ შეპყრობილები და დაიპყრეს თუ არა საქართველო, მაშინვე შეუდგნენ მის განაწილებას „ის მხარე, რომელიც ბოლშევიკებმა ოსმალეთს გადასცეს შეიცავს:

ართვინის ოლქს:	— 3,339 კვ. კილ;	მოსახ. — 61, 000
ფოცხოვის თემს:	— 588 კვ. კილ;	მოსახ. — 15, 000
არტაანის ოლქს:	— 5,137 კვ. კილ;	მოსახ. — 56, 000
ოლთისის ოლქს:	— 3,051 კვ. კილ;	მოსახ. — 32, 000
სულ:	— 12,115 კვ. კილ;	— 164, 000

გარდა აღნიშნული მხარეებისა ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ აღმოსავლეთითაც, სახელდობრ ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3,812 კვ. კილომეტრი და ზაქათალის ოლქი 3,564 კვ. კილომეტრი.

ამრიგად ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19,491 კვ. კილომეტრის სივრცე"[11].

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეხება საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ ცვლილებებს ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918-1938 წლებში. 1938 წელი იმ მოსაზრებით არის აღებული, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ, 1938 წლის 5-7 მარტს, თბილისში შედგა საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ წარმომადგენელთა თათბირი, იმ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური საზღვრების დასადგენად, რა საზღვრებითაც ამიერკავკასიის რესპუბლიკები 1936 წლის სსრკ კონსტიტუციის მიხედვით დამოუკიდებლად შეიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამის შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული ცვლილებები ფაქტიურად არ მომხდარა.

საქართველოს რესპუბლიკის ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან ტერიტორიული ცვლილებების საკითხი (1918-1938 წწ.) სპეციალური გამოკვლევის საგანი ჯერ არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ საჟურნალო თუ საგაზეთო სტატიას. სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს არსებული ისტორიული წყაროების საფუძველზე გააშუქოს საქართველოს ტერიტორიული ცვლილებების პროცესი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან. მიგვაჩნია, რომ დღეს, როცა საქართველო კვლავ დამოუკიდებლობის გზას დაადგა, როცა დღის წესრიგში დგას საზღვრების დელიმიტაციის და დემარკაციის საკითხი, ამ ნაშრომს აქტუალური თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. წინამდებარე გამოკვლევა უეჭველია ახალ შტრიხს შესძენს ამ საკითხის შესწავლას.

პრაქტიკული მნიშვნელობა ამგვარი კვლევისა ის არის, რომ იგი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ამ პრობლემით დაინტერესებულ მომავალ მკვლევრებს, სასაზღვრო დეპარტამენტს და ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა სპეციალისტს. ეს ნაშრომი გამოადგებათ აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ ისტორიულ დისციპლინას.

ჩვენ კარგად გვესმის ის მაღალი პასუხისმგებლობა, რაც ამ პრობლემის შესწავლასთან არის დაკავშირებული, წინამდებარე გამოკვლეეაც არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი მაინც გაუწევს გარკვეულ სამსახურს ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს.

სადისერტაციო ნაშრომი ძირითადად აგებულია საქართველოს ცენტრალური საისტორიო, საქართველოს უახლესი ისტორიის და საქართველოს პრეზიდენტის არქივებში დაცული დოკუმენტების საფუძველზე, რომელთა უმრავლესობა პირველადაა გამოქვეყნებული.

შეძლებისდაგვარად გაშუქებულია საქართველოს საზღვრებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, რომელთაგან აღსანიშნავია, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა „საქართველოს საზღვრები“ (თბ., 1919 წ.). ამ ნაშრომში განხილულია თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა საქართველოს საზღვრებს წარსულში, რა ცვლილებები განიცადა და როგორი უნდა იყოს საქართველოს საზღვრები სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. სწორედ ივ. ჯავახიშვილმა შეადგინა პარიზის საერთაშორისო კონფერენციისათვის საქაროველოს ტერიტორიისა და საზღვრების რუკა და დელეგაციის წევრიც იყო.

არანაკლებ ყურადსაღებია პ. ინგოროყვას ნაშრომი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ (თბ., 1996 წ.). წიგნში მოცემულია საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ზოგად ისტორიულ-გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცნობები.

უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნდა ე. აბაშიშვილის ნაშრომი: „სამხრეთ საქართველოს საზღვრების საკითხი“ (თბ., 1998 წ.). ნაშრომში განხილულია საქართველოს ერთერთი ძირძველი კუთხის მესხეთის საზღვრების პრობლემე-

ბი 1878-1921 წლებში. გამოყენებულია აგრეთვე დ. ბერძენიშვილის მეტად საინტერესო გამოვლენა „ახალქალაქი ჯავახეთისაო“, გამოქვეყნდა ჟურნალ „არტანუჯის“ მე-7 ნომერში (თბ., 1998 წ.), რომელიც ღირსეულ პასუხს სცემს სომეხ ფალსიფიკატორებს და ავ. მენთეშაშვილის საყურადღებო პუბლიკაცია: „ბორჩალოს მაზრაში ავჯანყების წარმომშობი მდგომარეობისა და სომხეთის რესპუბლიკასთან ომის გამომწვეული მიზეზების შემსწავლელი განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისიის დასკვნა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „პოლიტიკის“ მე-4-6 ნომერში (თბ., 1998 წ.). მოხსენება აანალიზებს ომის გამომწვევ მიზეზებს და ეხება ჩვენთვის საინტერესო პრობლემასაც.

თემაზე მუშაობისას ვისარგებლე დ. მუსხელიშვილის, ე. ნოზაძის, მ. დუმბაძის, ლ. თოიძის, გ. ჩანგაშვილის, ზ. ედილის, ალ. ჩხენკელის, შ. თეთვაძის, ალ. მანველაშვილის, რ. ცუხაშვილის, დ. ურუშაძის, შ. ვადაჭკორიას, კ. შელიას, ალ. შახატუნიანის, ს. ხარმანდარიანის და სხვათა სამეცნიერო ნაშრომებით, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ საკვლევ თემას უკავშირდებოდა. ნაშრომში გამოვიყენე დ. მუსხელიშვილის, ბ. არველაძის, ს. კილაძის და სხვათა საგაზეთო სტატიები. ვისარგებლე აგრეთვე ადგილობრივი სხვადასხვა მიმართულების პერიოდული გამოცემებით, გ. კვინიტაძის, გრ. ლორთქიფანიძის, გ. მაზნიაშვილის, რ. გაბაშვილის, ნ. ჟორდანიას, გრ. ვეშაპელის, გრ. ურატაძეს, ალ. ავალიშვილის, რ. დიუგეს და სხვათა მემუარული ხასიათის ლიტერატურით, გამოქვეყნებული წყაროებით, სხვადასხვა მეცნიერული პუბლიკაციებით.

საბჭოთა პერიოდში საზღვრების საკითხი დახურულ თემად ითვლებოდა. დღეს როცა საქართველო დამოუკიდებლობის გზაზეა, საშუალება მოგვეცა შეგვესწავლა ყველა სახის დოკუმენტური მასალა, რომელთა უმრავლესობა პირველადაა შემოტანილი სამეცნიერო ბრუნვაში.

თავი I

საქართველო-სომხეთის სასაზღვრო ცვლილებები 1918-1921 წწ.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღადგინა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მთელი სიმწვავით დადგა საზღვრების გამიჯვნის საკითხი. საქართველო იმიჯნებოდა არა მარტო რუსეთისაგან, არამედ ოსმალეთისა და სომხეთ-აზერბაიჯანისაგანაც.

რა დებულებით უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას საზღვრების დადგენის დროს, რეალური მოსახლეობის პრინციპით, როგორც ამას მოითხოვდა სომხეთის მთავრობა თუ ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სტრატეგიული თავდაცვითი საკითხების გათვალისწინებით? საქართველოს მთავრობამ ეს მეორე პრინციპი აირჩია. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე 1918 წლის 11 ივნისს შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა განესაზღვრა საზღვარი სომხეთთან და აზერბაიჯანთან. დასახელებულ კომისიაში შედიოდნენ ირაკლი წერეთელი, დავით ონიაშვილი, პაველ ინგოროყვა და ნიკოლოზ ოდიშელიძე. კომისიის გადაწყვეტილებით საქართველოს საზღვრები შემდეგნაირად უნდა მოწყობილიყო: „საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი სამხრეთიდან გადის მცირე კავკასიის ქედზე, მიდის ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვართან, გადადის გოგჩის ტბის ჩრდილო ნაპირამდე, უხვევს ჩრდილოეთით მდინარე აღსტაფაზე, მიდის სადგურ ძეგამამდე, შეიცავს საინგილოსა და თავდება სილავათის მთით“[12]. ესე იგი, ყველა ის მხარენი, რომლებიც მეზობლებმა თავის საკუთრებად გამოაცხადეს, საქართველომ თავისად აღიარა.

კომისიის წარმომადგენლებმა აზრთა გაზიარების მიზნით მოიწვიეს სომხური ეროვნული საბჭოს წევრები გ. ხატისოვი, გენერალი ყორღანოვი და კარჩიკიანი[13]. როგორც მოსალოდნელი იყო ისინი არ დაეთანხმნენ საქართველოს წარმომადგენელთა მიერ წამოყენებულ საზღვრე-

ბის გამიჯვნის პრინციპს, მოითხოვეს იმ სასაზღვრო ხაზის დაცვა, რომელზედაც ადრე, 1917 წელს, პეტერბურგში შეთანხმდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან.

1917 წლის ივნისში, ამიერკავკასიის მენშევიკთა VI ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე, რომელშიც ნათქვამია: „ტერიტორიული თვითმმართველობის საზღვრები დგინდება ამა თუ იმ ეროვნების რეალური განსახლების პრინციპით; ამასთან მხედველობაში მიიღება სამეურნეო და ყოფითი პირობები. ეროვნული საზღვრის ცვლილების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი იმ ადგილებში, რომლებიც საზღვრის განსაზღვრის დროს ითვლება სადავოდ“[14].

აქედან გამომდინარე, საქართველოს სოციალ-დემოკრატები სომხებს დაპირდნენ იმ ოლქების გადაცემას, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა იყო სომეხი ე. ი. ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებს. სადავო ადგილების გამიჯვნის დროს არავითარი ისტორიული, სტრატეგიული, ეკონომიკური და სხვა მოსაზრებანი მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული. ეს იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების დიდი პოლიტიკური შეცდომა და როგორც გ. კვინიტაძე წერს, „ეს ალბათ იყო შედეგი ხალხთა თვითგამორკვევის ცუდად გაგებული და არასწორად გამოყენებული პრინციპისა“[15].

ქართველი სოციალ-დემოკრატები ამ ფაქტს ხსნიდნენ იმ გარემოებით, რომ მაშინ ლაპარაკი იყო ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ გამიჯვნაზე, იმ ხალხთა ურთიერთშორის შიდა გამიჯვნაზე, რომლებიც ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ, ამ ხალხის საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრების მოწყობაზე[16]. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში, როცა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა, საქმე ეხებოდა სახელმწიფო საზღვრებს, ამიტომ გამიჯვნის ეთნოგრაფიული პრინციპი მიუღებელი იყო.

ჯერ კიდევ ადრე, 1918 წლის 7 თებერვალს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე პაველ ინგოროყვამ წაიკითხა მოხსენება: „კავკა-

სიის ქვეყნის ტერიტორიული გამიჯვნის გამო“, სადაც იგი აღნიშნავდა: „რეალური მოსახლეობის პრინციპს თან უნდა ახლდეს ისტორიული კრიტერიუმი. წამოყენება რეალური მოსახლეობის პრინციპისა, სამართლიანი იქნება მხოლოდ იქ, სადაც ეს სამართლიანობა დარღვეული არ ყოფილა მოსახლეობის ეხლანდელი სახის შექმნის დროს, მაგრამ თუ დღევანდელი მოსახლეობის მიხედვით გადავწყვეტთ ისეთ მხარეთა ბედს, რომელიც კოლონიზაციის და ძალმომრეობის გზით არის გადარჯულებული, ეს ყველაზე ნაკლებ შეიძლება გამართლებული იქნეს სამართლიანობის სახელით. გაზომვა აქ „რეალური“ მოსახლეობის მეტრით ეს ბოლოს და ბოლოს უსამართლობა იქნება და ძალმომრეობის დაკანონება. რეალურ მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელობის დროს ჩვენ მხედველობაში უნდა გექონდეს არა მარტო დღევანდელი მოსახლეობა, არამედ მოსახლეობა მთელი ისტორიის მანძილზე. უნდა ვითვალისწინებდეთ არა მარტო დღეის დღეს, არამედ წარსულსა და მომაველის პერსპექტივას, ერის სამერმისო საჭიროებას და ჩამორთმევა ქართველი ერისათვის ძირეული ქართული ქვეყნებისა იმიტომ მხოლოდ, რომ აქ მისი პოლიტიკურად უფლებაახდილობის ხანაში გაძლიერდა უცხო ელემენტი – ჩამორთმევა ქვეყნისა, რომელიც მორწყულია მისი ოფლით და სისხლით, ეს იქნებოდა ყოველგვარი სამართლიანობის დათრგუნვა და ქართველი ერის უფლებათა აბუჩად აგდება“[17].

სწორედ ამ დროს, 1918 წელს სტამბოლში დაიბეჭდა, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „სომხეთის ვიოომც ისტორიული ფანტასტიკური რუკა, რომელიც შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე გადაჭიმულა და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით მდებარე შავ ზღვაზე ადგილთან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილთაგან, ქ. არდევილის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით, ამ სრულიად სომხეთის სამზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება. ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და თბილისიც ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვიწრო ზოლი-ღა აქვს მიკუთვნებული.

ამავე დროს, იმავე სტამბოლში ზემოხსენებული ფანტასტიკურ ისტორიული რუკისდა მიხედვით, ახალი სრულიად სომხეთის სახელმწიფოს რუკა იქნა გამოცემული, რომელშიაც სომხეთი უშეელებელ სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი და თითქმის იმავე საზღვრებითაა აღნიშნული. ოსმალეთის დიდი ნაწილი შიგ არის მოქცეული, ტრაპიზონი, ორდუ, კესარია, ადანა, ედესა, თვით სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილიც ქ. თავრიზითა და არდევილით, სომხეთის კუთვნილებად არის აღბეჭდილი. ფანტასტიკურ რუკასთან შედარებით, აქ საქართველოს ოდნავ დათმობილი აქვს. შავ ზღვაზე საზღვარი ბათუმის სამხრეთით იწყება მაკრიალის ჩრდილოეთით, იმერხევი სომხეთისად არის აღნიშნული, მაგრამ ახალციხე საქართველოშია მოქცეული, სამაგიეროდ ახალქალაქი სომხეთშია აღნიშნული და აქედგან მოსაზღვრე ხაზი ჩრდილოეთისაკენ იწევს და საქართველოს და სომხეთის სახელმწიფოს შორის ტფილისის ოდნავ სამხრეთით, ს. კოდასთან არის გატარებული, შემდეგ სომხეთის საზღვარი მტკვრის გასწვრივ მიემართება და ქ. განჯა სომხეთის კუთვნილებად არის აღნიშნული. ცხადია, რომ ახალი სომხეთის სახელმწიფოსათვის ასეთი საზღვარი არც ისტორიულ საფუძველზეა დამყარებული, არც ეთნოგრაფიული პრინციპის მიხედვით არ არის შემოფარგლული, რადგან არასდროს ასეთი სომხეთი, რომელიც მე-11 საუკუნიდან პოლიტიკურად აღარ არსებობდა, არ ყოფილა... შეიძლება ვთქვათ, რომ მის შემდგენელთ ოდნავ ლიტონი საღი გონიერებაც კი არ ატყვიათ“[18].

სომეხთა ეს ქმედება ახალი არ იყო. ისინი ივიწყებდნენ იმ სიკეთეს, რომ საქართველო მათთვის თავშესაფრის და ფიზიკური განადგურებისაგან ხსნის გარანტია იყო. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩვენს მიწებს უძველეს სომხურ ტერიტორიებად აცხადებდნენ, თავისას და სხვისას ვერ არჩევდნენ და „ბინას იკეთებდნენ იქ, სადაც არა ჰქონიათ“[19].

ი. ჭავჭავაძე ასეთი ვითარების გამო იძულებული იყო ეთქვა: „სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიგრისა და ევფრატის სათავეებამდე, თითქმის შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე, ეგ-

რეთწოდებული არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათა-დამ-ბაბადამ დღეანდლამდე, და თუ სადმე „ერაცები“ ყრილან – ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებით... გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას, და რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულ მატიანეებს, ისტორიულ ნაშთსა და სახსოვარსა... განა ჩვენთვის კი სანატრელია ესეთი დაქსაქსულობა სომხეთისა! ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდანაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან, ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენი სახელის გატეხით ნუ ცდილობენ თავიანთი სახელის კეთებას და შემკობას.

ჩვენ ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხსნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით“[20].

საქართველოში მცხოვრები სომხების მოქმედებამ აკაკიც აღაშფოთა. თბილისში გამომავალი სომხური გაზეთის „მშაკის“ რედაქტორის გრ. არწრუნისადმი მიმართულ წერილში აკაკი წერდა: „იგი აცხადებს თბილისის ქალაქი დღეს სომხებისააო! მართალია საქართველოშია, ძველი ქართველების სატახტო ყოფილა, მაგრამ ისტორიულ სიმართლეს რა ძალა აქვს, უარ-ეჰყოფ და თბილისი მაინც სომხების არისო... იმის თეორიით ახლა ვიცით, რომ მოსკოვი, სადაც სომხები ცხოვრობენ, სადაც ლაზარევის ინსტიტუტიცა აქვსთ და ერთ ქუჩასაც სომხის ქუჩა ჰქვიან, პირდაპირ სომხებისა ყოფილა! ამგვარათ ბევრი ქალაქები დარჩებათ მათ: ვენეტიკა, პარიჟი, კალკუტა და სხვანი და სხვანი... პატრიოტობა თუ გვინდა აბა ეს ერის, რამდენი სომხეთი გამოიჩინა!... სადაც კი სომეხს არშინი შეუტანია, ყველა „ჰაისტანი“ ჰგონია!“[21].

ზოგიერთი სომეხი „მეცნიერის“ ანტიქართული საქმიანობის შესახებ: წერს ი. გოგებაშვილიც თავის ნაშრომში „სიმართლე თბილისის შესახებ“ „საქმე იმაშია, რომ სომხები იცაცდნენ რა თავს მტრული შემოსევებისაგან და ნახეს რა ძმური თაყვანისცემა საქართველოს სამეფოს ფარგლებში, სისტემატურად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ევროპისათვის, ხოლო შემდეგ რუსეთისათვის რომ ისინი

აქ მოსულები, სტუმრები კი არ არიან, არამედ მასპინძლები, აბორიგენები, რომ საქართველო მათთვის უცხო ქვეყანა კი არაა, არამედ ნამდვილი მშობლიური ქვეყანაა, თვით ქართველები ასე ეთქვათ დამატებითი წინადადების როლში გამოდიოდნენ"[22].

სომეხთა პრეტენზიები ქართული მიწა-წყლის მისაკუთრებისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა დამოუკიდებელი საქართველოს დროს, როგორც აღვნიშნეთ სომხეთის დაშნაკური მთავრობა გამიჯვნის უსენაეს პრინციპად აღიარებდა რეალურ მოსახლეობას და მოითხოვდა სომხებით დასახლებული ტერიტორიის სომხებისათვის გადაცემას. ე. ი. საქმე შეეხებოდა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს. რევოლუციამდე შინაკავკასიური საზღვრების საკითხი არ არსებობდა. კავკასია დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ნაწილებად, გუბერნიებად და მაზრებად. 1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ ქვემო ქართლი ლორეს მაზრის სახელწოდებით, მის იურისდიქციაში გადავიდა. აღსანიშნავია, რომ ამ მაზრის სამხრეთი სასაზღვრო ხაზი, რომელიც მდ. მტკვრისა და მდ. არაქსის წყალგამყოფ ქედზე გადიოდა, ყოფილ დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ სასაზღვრო ხაზს წარმოადგენდა, რაც ბუნებრივი იყო. 1804 წელს ლორეს მაზრა თბილისის მაზრად გადაკეთდა. 1840 წელს ქვემო ქართლის ტერიტორიის ნაწილი ბამბაკი, ბორჩალო, შამშადილი, შულავერი ელიზავეტოპოლის მაზრაში შევიდა, მოგვიანებით შეიქმნა შულავერის ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც 1880 წელს ეწოდა ბორჩალოს მაზრა, ცენტრით შულავერში. ბორჩალოს მაზრა შედიოდა თბილისის გუბერნიაში.

თუ როგორ, როდის და ვისი ხელშეწყობით გაჩნდა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში სომეხთა კომპაქტური დასახლება, ყველასათვის ცნობილია, ეს იყო რუსეთის მთავრობის პოლიტიკური გეგმის წყალობით. მათი უცხოეთიდან ხელოვნური გადმოსახლების შედეგი. ცარიზმის პოლიტიკური მიზანი იყო საქართველოში ეთნიკური სიჭრელის შექმნა. ეს იყო ძალზედ შორს გამიზნული და კარგად მოფიქრებული ანტიქართული გეგმა. „რუსეთის

მთავრობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე, — წერდა ი. ჯავახიშვილი, 1925 წლის 2 ივლისს საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ მოხსენებაში — რუსთ სახელმწიფოს წარმომადგენელნი ერთი მხრით, სომეხ მოხელეთა დაწინაურებით, მეორე მხრით, რუს ნასალდათართა დასახლებით, ქართველთა მოსახლეობის ინტერესების შელახვისა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით, ქართველთა მოსალოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდნენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და ამასთანავე ერთგულად სთელიდნენ. უკვე 1828 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამა-პაპური სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს. გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს იქ ლიხთ-იმერეთითგან გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთითგან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველი მოსახლეობა 95%-ს აღემატებოდა, 1832 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით უმრავლესობა სომხები იქცნენ"[23].

ამავე პერიოდიდან ჩნდება სომეხთა კომპაქტური დასახლება ბორჩალოს მაზრაშიც, როდესაც ოსმალეთიდან 100000 სული მცხოვრები, ხოლო სპარსეთიდან 30000 სული შემოიხიზნა. მათი ნაწილი ბორჩალოს მაზრაში, ხოლო ნაწილი ერევნის გუბერნიაში დასახლდა. 1897 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად ბორჩალოს მაზრაში სულ 128587 მცხოვრები ითვლებოდა, მათ შორის სომხები 48609, თურქ-თათრები 37609, ბერძნები 21347 და ქართველები 6685.[24]

ამგვარად XIX ს. პირველ ნახევარში ბორჩალოს, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში მასობრივად სახლდებოდნენ სომხები, რამაც რადიკალურად შეცვალა ამ ადმინისტრაციულ ერთეულთა მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა. სომხების ხვედრითი წონა საქართველოს

მთელ მოსახლეობაში 1801 წლის 4,71 პროცენტიდან 1832 წელს 9, 88 პროცენტამდე გაორკეცდა[25].

ამ დროს ქართველი ხალხი არაეის ახსოვდა. თავის მამაპაპეულ მიწა-წყალზე დასახლება უპირველესად ხომ მისი უფლება იყო, ამის გაგება არც რუს მთავრობას და არც მის სომეხ მეზობელს არ სურდათ. ქართველთა სასიცოცხლო ინტერესები ფეხქვეშ ითელებოდა. მას გადასახლების გზა თავის სამშობლოში — საქართველოში, შეკრული ჰქონდა[26].

საქართველოში თურქეთიდან სომეხი მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის პროცესი მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდებოდა.

როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე დაიწყო ლაპარაკი, მაშინ უკვე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ სომეხ პოლიტიკოსებს საქართველოში სომხების გადმოსახლება, ოსმალეთიდან დაბეჩავებული თავიანთი თანამოძმეთა მარტო ფიზიკური გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ. ეს იყო გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმა, საახალშენო ადგილები ისე იყო შერჩეული, რომ გაბნეული სომხებისათვის ერთ მთლიან ტერიტორიას ქმნიდა[27].

სომხები ე. წ. „საერობო რეფორმის“ ნიღბით დაჟინებით მოითხოვდნენ საქართველოს ტერიტორიულ გადანაწილებას.

მათ ჯერ კიდევ 1913 წელს, როცა კავკასიის მეფისნაცვალი სომეხთა მწყალობელი ვორონცოვ-დაშკოვი იყო, მოითხოვეს ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრების თბილისის გუბერნიისაგან გამოყოფა და გუმბრთან მიერთება, რომ ამგვარი, სრულიად ხელოვნური საშუალებებით გუმბრის (ალექსანდროპოლის) გუბერნია შეექმნათ. ამ მიზნით, თბილისის გუბერნატორის ბრძანებით, შეიქმნა სპეციალური სამაზრო კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ბორჩალოს მაზრის გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების მიზანშეწონილობის საკითხი. კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც, მიუხედავად იმისა, რომ ერთი რუსი იყო, ექვსი სომეხი, ოთხი თათარი, ერთი გერმანელი და მხოლოდ ორი ქართველი, ერთხმად დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზ-

რის თბილისის გუბერნიისაგან გამოყოფა სასურველი არ იყო, ვინაიდან მაზრა აღმოსავლეთით და სამხრეთით მთებით იყო გარშემოწერილი და გუმბრისაკენ მიმართული ორი საურმე (ბეზობდალისა და გულისხულახის) გზატკეცილი ზამთრის ნამქერების გამო გაუვალი ხდებოდა, დანარჩენი გადასასვლელები კი ამ მთებზე ზამთარში სრულებით შეკრული იყო, რის გამოც ეკონომიურად მთელი ეს მხარე თბილისთან იყო დაკავშირებული.

1914 წლის 24 იანვარს კომისიის ეს დადგენილება მოიწონა თბილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომ, რომელშიც 11 რუსი მოხელე იღებდა მონაწილეობას გუბერნატორ ჩერნიავსკის ჩათვლით, 3 ქართველი და 2 სომეხი[28].

ასევე ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ახალქალაქის მაზრის გუმბრის მაზრასთან მიერთების მიზანშეწონილობის საკითხი. ამ კომისიაში სულ 14 კაცი იყო: 8 რუსი, 4 ქართველი და 2 სომეხი. კომისიამ ერთხმად უარყო ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან მიერთება, რის საბუთადაც უპირველეს ყოვლისა დაასახელა ჯავახეთის უმჭიდროესი ეკონომიკური კავშირი თბილისთან და სხვა ქართულ მხარეებთან.

ახალქალაქის სამაზრო კომისიის ზემოაღნიშნული დადგენილება დაადასტურა 1914 წლის 24 იანვრის თბილისის განსაკუთრებულმა საბჭომ იმავე შემადგენლობით[29].

როგორც ვხედავთ, იმდენად აბსურდული და არარეალური იყო სომეხთა ეს მოთხოვნა, რომ ორივე საბჭოს წევრებმა, რომელთაც, რა თქმა უნდა, კარგად უწყოდნენ მეფისნაცვლის სურვილი, ვერ მიიღეს გადაწყვეტილება, ჩამოეშორებინათ საქართველოსაგან ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები, თავი რომ დავანებოთ ისტორიას, თვით ამ მხარეების გეოგრაფიული მდებარეობა ეწინააღმდეგებოდა მათ შეერთებას გუმბრთან.

სომხები ამაზე არ შეჩერებულან, ისინი ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ დაყოფას არაბუნებრივად მიიჩნევდნენ და მოითხოვდნენ, რომ საერობო მმართველობა მოწყობილიყო ისე, რომ ერთგვარი ყოფილიყო ეკონომიურად, გეოგრაფიულ-კლიმატურად და ეთნოგრაფიულადაც. სომ-

ხები ამტკიცებდნენ, რომ სამაზრო ერობის ნაცვლად უნდა შეიქმნებულიყო ერობა ეროვნულ და სააგრონომო რაიონების მიხედვით. სომხების ამ ეროვნულ-აგრონომიული გეგმით თბილისის გუბერნიიდან გამოყოფილ ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრის გაერთიანებით იქმნებოდა განსაკუთრებული სტატუსის აგრარული რაიონი[30].

სომეხთა ამ „ახალი“ პროექტის დაცვასა და შემდგომ განვითარებას ისახავდა მიზნად 1918 წ. თბილისში რუსულ ენაზე გამოცემული ა. შახატუნიანის ნაშრომი „ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციული ხელახლა გადანაწილება“. იგი წერს, რომ „თუ გავეცნობით ამიერკავკასიის ეკონომიურ და ეროვნულ განსხვავებას, რომელიც მთლიანად ემთხვევა გეოგრაფიულ და კლიმატურ დაყოფას, ნათელი გახდება განსაკუთრებული თვითმმართველობითი ან ავტონომიური ერთეულების აღდგენის აუცილებლობა, რომლებიც სრულიად არ იქნებიან დამოკიდებული არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფაზე“[31]. ასეთ ერთეულებად იგი მიიჩნევს ახალქალაქის და ლორეს მაზრებს, რომელთა საქართველოსთან მიკუთვნებით მისი აზრით ირღვევა თბილისის გუბერნიის სახე: „თუ ჩვენ დაავარღვევთ საქართველოს კლიმატურ-ოროგრაფიულ საზღვრებს და შევხედავთ ისე, როგორც ნაციონალისტებს ჰგონიათ და საქართველოდ მივიჩნევთ თბილისის გუბერნიის სამხრეთ მაზრებს, მაშინ დავკარგავთ სრულ წარმოდგენას საქართველოზე, როგორც გარკვეულ გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ერთეულზე, ახალქალაქისა და ლორეს პლატოზე ჩვენ ვერ შევამჩნევთ ვერავითარ ქართულს არა მარტო კლიმატურ-სამეურნეო, არამედ ეროვნულ ნიშნითაც. მართალია, არის მონაცემები, რომ 1828 წელს, თურქეთში ემიგრირებული ახალქალაქის მაზრის მუსულმანური მოსახლეობა ქართული წარმოშობისა იყო. თუმცა ეს ერთადერთი გამონაკლისია. ქართველი ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს განსაზღვრულ კლიმატურ, ფლორისა და მეურნეობის ქვეყანაში. საერთოდ ამიერკავკასიის ეთნოგრაფიის შესასწავლად ჩვენ უარი უნდა ვთქვათ როგორც ისტორიულ, ისე პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ პირობებზე. ჩვენ დავრწმუნ-

დით, რომ ოროგრაფიასა და კლიმატოლოგიას ამ საკითხში უფრო დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ“[32].

ა. შახატუნიანი ისტორიას არად აგდებს, მისი მტკიცებით ახალი თვითმმართველობითი ერთეულების წარმოქმნის დროს ყურადღება უნდა გამახვილებულიყო მხოლოდ ეთნიკურ მომენტზე. სომხები მიისწრაფიან შექმნან რაიონები თავიანთი ეროვნული უმრავლესობით, სადაც მათი ინტერესები ისევე იქნებოდა დაცული, როგორც ქართველების და თათრების სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში: „ჩვენ მზად ვართ შევურიგდეთ უმცირესობის მდგომარეობას იქ, სადაც ნამდვილად შევადგენთ უმცირესობას და შერეულად ვცხოვრობთ ქართველებთან და თათრებთან ერთად, მაგრამ ჩვენ არასგზით არ შეგვიძლია შევურიგდეთ იმას, რომ მმართველ ხელისუფლებას სურს შეინარჩუნოს არსებული ადმინისტრაციული დაყოფა და სომხებს არ გვაძლევს შესაძლებლობას დავამტკიცოთ, რომ გვაქვს რიცხობრივი უმრავლესობის დიდი სომხური რაიონები, სადაც შეიძლება შეიქმნას მაზრები სომხური მოსახლეობის უმრავლესობით“[33]. როგორც ირკვევა ამ „ახალი“ ადმინისტრაციული დაყოფის შემდეგ, ჩვენ მადლობაც უნდა გადაგვეხადა ა. შახატუნიანისათვის, რადგანაც ამით საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა ეროვნული პროცენტი იზრდებოდა: „ჩვენ გვეჩვენება, რომ ადმინისტრაციული გამოყოფა სომხური რაიონებისა ხელსაყრელია ჩვენი მეზობლებისთვისაც. ამით ხომ მათი ეროვნული პროცენტულობა იზრდება თავიანთ ტერიტორიაზე. ასე ქართველები თბილისის გუბერნიის მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს შეადგენენ, ზოგიერთ მაზრაში ისინი უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ. ამიტომ სომხური რაიონების – ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრის ნაწილის – გამოყოფით გუბერნიაში ქართველთა პროცენტული შემადგენლობა მნიშვნელოვნად იზრდება“[34].

აღსანიშნავია, რომ ა. შახატუნიანი ახალქალაქის მაზრას და ბორჩალოს მაზრის ნაწილს ყოველთვის მოიხსენიებს როგორც სომხურ რაიონებს და დავიწყებული აქვს, რომ სომხები ამ ტერიტორიაზე მოვიდნენ ვითარცა ლტოლვილნი.

თავისი ნაშრომის ბოლოს იგი კატეგორიულად მოითხოვს ადმინისტრაციულ გადანაწილებას: „სომხურ საზოგადოებას ადმინისტრაციული გადანაწილება მიაჩნია მორიგ გადაუდებელ საკითხად და მოუთმენლად ელის მის გადაწყვეტას“[35].

სომხები აყენებდნენ „ალექსანდროპოლის გუბერნიის შექმნის ახალ პროექტს, რომლის მიხედვით გათვალისწინებული იყო: 1. ელისავეტაპოლის გუბერნიის ორ ნაწილად გაყოფა და ორი გუბერნიის: ელისავეტოპოლისა და განჯის გუბერნიების შექმნას; 2. განსაკუთრებული, ალექსანდროპოლის გუბერნიის შექმნა – ყარსის ოლქის ორი ოკრუგის (ყარსისა და ყაგიზმანის), თბილისის გუბერნიის ორი მაზრის (ახალქალაქის და ბორჩალოს), ერევნის გუბერნიის (ალექსანდროპოლის და ერევნის) მაზრების გაერთიანებით; 3. ერევნის გუბერნიის დატოვება არსებულ საზღვრებში (გარდა აღნიშნული ორი მაზრისა); 4. ბათუმის ოლქთან გაერთიანება ყარსის ოლქის ორი ოკრუგის, რომლებიც ალექსანდროპოლის გუბერნიაში არ შევიდნენ, ანდა გართულების შემთხვევაში მათი შეერთება ალექსანდროპოლის გუბერნიასთან.

ახლადწარმოქმნილ ალექსანლროპოლის გუბერნიაში შევიდოდა შემდეგი მაზრები: 1. ალექსანდროპოლის; 2. ახალქალაქის, რომელსაც უნდა შეერთებოდა ბორჩალოს მაზრის თრიალეთის უბნის უმთავრესად სომხებით დასახლებული სამი ნარდევანის, აშკალინისა და ავრანლოს სოფლები, აგრეთვე გორის მაზრის ბაკურიანის სასოფლო საზოგადოების ორი კიზილ-კილისა და მოლითის სოფლები ცხრა-წყაროს ქედის წყალგამყოფ ხაზამდე; 3. ლორეს მაზრა, რომელშიც უნდა შესულიყო ბორჩალოს მაზრის ლორეს უბანი, რომელშიც გაერთიანდებოდა ტერიტორიები: დასავლეთით ოფრეთსა და შულავერამდე: ჩრდილოეთით მდინარე ხრამამდე და აღმოსავლეთით რკინიგზის გასწვრივ შინიხის სასოფლო საზოგადოებამდე“[36].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საზღვრების საკითხი ჭირვეულ მოვლენად გადაიქცა.

საქართველოს და სომხეთს შორის დაიწყო დიპლომატიური დავა საზღვრების შესახებ. მაგრამ ეინაიდან პირვე-

ლი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთმა დაიკავა კავკასიის დიდი ნაწილი, თავისთავად საზღვრების საკითხის გამორკვევა იმხანად არც სასურველი და არც შესაძლებელი იყო. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში დაიდო ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და ოსმალეთის იმპერიას შორის. ამ ხელშეკრულებით ოსმალეთმა მიიღო მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ანუ სამუსლიმანო საქართველო, მთელი მესხეთი, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით[37].

ოსმალეთ-საქართველოს დამატებითი შეთანხმების საფუძველზე 1918 წლის ივნისშივე, ბორჩალოს მაზრის ერთი ნაწილი ოსმალეთს დაეთმო. მათ დაიკავეს ხაზი მდინარე კამენკას მარჯვენა ნაპირზე, სახელდობრ სოფლები: ნოვოპოკროვკა, ჯელალ-ოღლი, ნიკოლაევკა, გერგერი, ვართანლური, კურტანი, დარ-კენდი და შემდეგ კობერის ასაქცევისა და სადგურ კალაგარანის შუა მდებარე ხიდის ჩრდილოეთით არსებული რკინიგზის ხაზი (117 ვერსზე) (ოსმალეთის ეს მანევრი ნაკარნახევი იყო იმ მოსაზრებით, რომ ოსმალეთის ჯარი შეუფერხებლად გადაადგილებულიყო ყარაქილის-დილიჯანის ყაზახის გზაზე), ხოლო ამ ხაზის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია კერძოდ შემდეგი პუნქტები: ეორონცოვკა, ალექსანდროვკა, აიდერბექი, მღარტი, კობერის ასაქცევი, კორინჯი და წათერი დაიკავეს ქართული ჯარის ნაწილებმა[38].

ბათუმის საზავო ხელშეკრულება არავის დაუმტკიცებია, რადგან მიღებული იქნა ზომები საქართველოს მთავრობის მიერ ამ მძიმე საზავო პირობების შესაცვლელად. 1918 წლის 6 ივნისს ქართულმა მისიამ ბერლინში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბათუმის ზავი ხელმოწერილი იყო ოსმალური ხიშტების ძალდატანებით და მოითხოვეს ხელშეკრულების გადასინჯვა. გერმანიის მთავრობამ გაიზიარა ქართული მისიის წინადადება და აღუთქვა დახმარება კონფერენციის მოსაწვევად. ოსმალეთი დაეთანხმა გერმანიას კონფერენციის მოწვევაზე, მაშასადამე ხელშეკრულების გადასინჯვაზე. ამგვარად აღნიშნული ბათუმის ხელშეკრულება აღარ დამტკიცებულა და თვით კონფერენ-

ცია კი ვერ მოესწრო გერმანიის და მისი მოკავშირეების დამარცხების გამო[39].

1918 წლის 30 ოქტომბერს, ეგეოსის ზღვაში, ნავსადგურ მუდროსში, ინგლისის კრეისერ „აგამემნონზე“, ოსმალეთმა ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლებთან დადო დროებითი საზავო ხელშეკრულება. დროებითი ზავის პირობების თანახმად ოსმალეთის მიერ ომის განმავლობაში ოკუპირებული ტერიტორიები ანტანტის სახელმწიფოების ხელში გადადიოდა. დაზავებამდე ოსმალეთმა დაიწყო ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანა, ხოლო მუდროსის ზავის მე-11 მუხლის ძალით ოსმალეთს უნდა გაეყვანა თავისი ჯარები ამიერკავკასიის იმ ადგილებიდანაც, რომლებიც ოსმალების მიერ ჯერ კიდევ არ იყო გათავისუფლებული, თუ ამას ანტანტა მოითხოვდა. მას მუდროსის დაზავების შემდეგ უნდა დაეტოვებინა მთელი მესხეთი და ბორჩალოს მაზრა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯარების გაყვანა ოსმალეთმა ჯერ კიდევ მუდროსის ზავამდე დაიწყო. 18 ოქტომბერს მათ გაათავისუფლეს ბათუმის ზავით საქართველოსთვის დატოვებული აწყური და აბასთუმანი და დაიწყეს ჯარების გაყვანა ბორჩალოს მაზრიდან. ამ მომენტით ისარგებლეს სომხებმა და 18 ოქტომბერს დაიკავეს კობერი, კორინჯი და წათერი. სანაინის პოლკის მეთაური აღნიშნავდა, საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილ შეტყობინებაში, რომ „თურქეთის ჯარებმა გაათავისუფლეს ტერიტორია კობერიდან შაგალამდე და საქართველოს ტერიტორიიდან თურქეთის ჯარის გასელის კვალდაკვალ ეს ტერიტორია დაიკავეს სომხეთის ჯარებმა. გერმანიის წარმომადგენლებმა მოსთხოვეს სომხებს გაეთავისუფლებინათ საქართველოს ტერიტორია, მაგრამ მათ ეს მოთხოვნა არ შეასრულეს. გთხოვთ სასწრაფოდ გასცეთ განკარგულება ჯარის გამოგზავნის თაობაზე, რათა დაკავებული იქნეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი და გთხოვთ გააძლიეროთ მილიციის შტატი სადგურებზე ყარაქილისამდე“[40].

საქართველოს მთავრობამ მიმართა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას განსაკუთრებული ნოტით: „საქართველოს მთავრობას, რომელიც მუდამ მზად არის

მშვიდობიანად, ურთიერთშორის შეთანხმებით გადასჭრას საკითხი საზღვრების შესახებ მეგობრულ სომხეთის რესპუბლიკასთან, საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ ვიდრე არ არსებობს ასეთი შეთანხმება, სომხეთის ჯარების შემოსვლა თბილისის გუბერნიის საზღვრებში ჩაითვლება სომხეთის მიერ საქართველოს მიმართ გადადგმულ მტრულ ნაბიჯად“[41]. ამ დღეებში გაზეთებში გაჩნდა ცნობა, რომ სომხეთის ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა ლტოლვილი სომხები ახალციხის და ახალქალაქის პროვინციებში დაესახლებინა. „ეს უცნაური პრეტენზიები სომხის პოლიტიკური წრეების ერთხელ კიდევ გვიჩვენებდა, რომ ჩვენს მეზობლებს საბოლოოდ მიუჩნევიათ საქართველო სომეხთა სასტუმრო სახლად“[42].

1918 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის კაჩაზნუნის ნოტა: „დილიჟანის დივიზიის უფროსმა მაცნობა, რომ საქართველოს მეთაურებმა წაუყენეს ულტიმატუმი გაათავისუფლოს სადგური შაგალი. მიცემულია ბრძანება არ გააათავისუფლოს სადგური, ხოლო თუ ქართველები გადავლენ შეტევაზე, თავი დაიცვან. თავიდან რომ ავიცილოთ გართულება, რომელიც ახალ უბედურებას მოიტანს, გაწამებული ქართველი და სომეხი ჯარისკაცების, სამართლიანობის სახელით, გთხოვთ თავი შეიკავოთ აგრესიული მოქმედებისაგან, გააჩეროთ ქართული ჯარი იქ, სადაც დღეს დგას და საზღვრების საკითხი გადავწყვიტოთ მშვიდობიანი შეთანხმებით. გახსენებთ თქვენ საზეიმო განცხადებას ივნისში რამიშვილის, აგარონიანის და ხატისოვის თანდასწრებით, რომ საქართველო პრეტენზიას არ აცხადებს ლორეზე და იჭერს დროებით, მესამე ძალის მიერ მისი დაკავების თავიდან აცილების მიზნით“[43].

ამ ნოტაში საქართველოს მთავრობამ მხოლოდ მშვიდობისაკენ მოწოდება დაინახა. მაშინვე ჩაეჭიდა ამ ფაქტს, ყურადღება არ მიაქცია სომეხთა აგრესიულ ტონს და მოთხოვნას და ყველა ღონე იხმარა, რათა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა.

ასეთი დეპეშის საპასუხოდ, იმავე 1918 წლის 23 ოქტომბერს, სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ აცნობა სომხე-

თის მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მან უკვე უბრძანა სანაინის რაზმის უფროსს, რომ არ აწარმოოს საომარი მოქმედებები. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სომხეთის ჯარი შეეცდება წინ წაწევას, მიღებული იქნება შესაფერისი ზომები. იგი სომხეთის მთავრობას კვლავ სთავაზობს მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებას[44].

მაგრამ იმ დროს, როცა სომხეთის უმაღლესი ხელისუფალნი საქართველოს მთავრობას „გაწამებული და გატანჯული ქართველი და სომეხი ჯარისკაცების" სახელით მოუწოდებდნენ თავი შეეკავებინათ აგრესიული მოქმედებებისაგან და გაჩერებულიყვნენ ძველ პოზიციებზე, სომხეთის ჯარები საწინააღმდეგოთ მოქმედებდნენ და საკითხის გადაწყვეტას იარაღით ცდილობდნენ. საქართველოს მთავრობამ მიიღო მოულოდნელი ცნობა, რის თანახმადაც სომხეთის ჯარის ნაწილებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ დაცლა კორინჯი-წათერის ხაზისა, რომელიც მდებარეობდა უკვე იმ ტერიტორიაზე, რომელიც რამოდენიმე თვის განმავლობაში დაკავებული იყო საქართველოს ჯარების მიერ.

ამის საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ 23 ოქტომბერს გაუგზავნა ნოტა სომხეთის მთავრობას: „თქვენი მთავრობის თავმჯდომარის კაჩაზნუნის თხოვნის თანახმად, სამხედრო მინისტრმა უბრძანა საქართველოს ჯარებს გაჩერებულიყვნენ იმ ხაზზე, რომლებიც მათ ეკავათ ოსმალების სამხედრო ძალების ბორჩალოს მაზრიდან გასვლამდე, ე. ი. კორინჯი-წათერის და მდინარე კამენკის ხაზზე, რათა საზღვრების საკითხი მოეგვარებინათ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მშვიდობიანი გზით. საქართველოს მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ სომხეთის ნაწილებმა მოითხოვეს კორინჯის დაცლა და ამის შემდეგ აიძულეს იქ მყოფი გერმანელთა საგუშაგო, დაეცალათ ეს სადგური და დაიკავეს კორინჯი-წათერის ხაზი... ამიტომაც საქართველოს მთავრობამ განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა, გაცნობებთ, რომ თუ სომხეთის ჯარი დაუყოვნებლივ არ დაცლის კორინჯი-წათერის ხაზს, ანდა შემდეგში დაიკავებს თბილისის გუბერნიის რაიმე ტერიტორიას, საქართველოს მთავრობა ამას ჩათელის სამხედრო მოქმედების დასაწყისად სომხეთის რესპუბლიკის მხრივ და მთელი პა-

სუხისმგებლობა, ორივე რესპუბლიკის დამღუპველი შედეგებით, დაატყდება სომხეთის მთავრობას“[45].

საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 24 ოქტომბერს, ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, ბორჩალოს მაზრაში და საქართველოს რკინიგზის სამხრეთ ნაწილში, გამოაცხადა სამხედრო წესები და ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორად დანიშნა გენერალ-მაიორი წულუკიძე[46].

1918 წლის 26 ოქტომბერს მოწვეული იქნა პარლამენტის საგანგებო სხდომა, სადაც ითქვა „საქართველოს მთავრობას კეთილსინდისიერად სურდა და სურს ამ კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულება და სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა მიიღებს ყოველ საშუალებას, რათა თავიდან ააცდინოს საქართველოს და სომხეთის ერებს საშინელი ხიფათი, სისხლის ღვრისა. ამასთანავე საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ მომხრეა ყოველი სადაო საკითხის მშვიდობიანი საშუალებებით გადაწყვეტის, მაგრამ არავის ნებას არ მისცემს რესპუბლიკის საზღვრებში იარაღით შემოიჭრას და ჩვენს თავისუფლებას საფრთხე მოუმზადოს“[47].

1918 წლის 31 ოქტომბერს ჯამალიანი უგზავნის ნოტას ნ. რამიშვილს, სადაც აცხადებს: „სომხეთის მთავრობის შეხედულება ისეთია, რომ ბორჩალოს მაზრის სომხებით დასახლებული რაიონი მთლიანად უნდა ეკუთვნოდეს სომხეთს და არა საქართველოს. სომხეთის მთავრობა ვერ დაეთანხმება საქართველოს მთავრობის მოთხოვნას, რომ გაათავისუფლონ სომხეთის ჯარებმა ადრე თურქების მიერ დაკავებული ტერიტორია და დაიჭირონ მთელი ბორჩალოს მაზრა საქართველოს ჯარებმა“[48].

სომეხთა აშკარა მტრული მოქმედებების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა მაინც მშვიდობიანი გზით ცდილობს კონფლიქტის მოწესრიგებას და წამოაყენა სამშვიდობო კონფერენციის იდეა სომხეთის, აზერბაიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკის მონაწილეობით. ამ დროისათვის სასაზღვრო კონფლიქტი დროებით ჩაცხრა. სომხები დაბრუნდნენ ძველ პოზიციებზე, მაგრამ საკითხი ძირითადში კვლავ მოუგვარებელი რჩებოდა. ამ კონფლიქტის მოსაგვა-

რებლად დიპლომატიური მოლაპარაკება 9 დეკემბრამდე გაგრძელდა. 26 ნოემბერს აკაკი ჩხენკელის ნაცვლად, რომლის მოვალეობას ასრულებდა ნ. რამიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ე. გეგეჭკორი[49]. რომელიც დიდი სიმპატიებით სარგებლობდა სომხეთში, სომხეთში გაიგზავნა საქართველოს პარლამენტის წევრი ს. მდივანი, რომლის ამოცანას შეადგენდა სომხეთთან მეგობრული ურთიერთობის მოგვარება, სასაზღვრო საკითხთან დაკავშირებული ყველა სადავო მხარის განხილვა და ამიერკავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევისათვის ნიადაგის მომზადება[50].

1918 წლის 10 ნოემბერს საქართველოს მთავრობის მიერ მოწვეული იყო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ საქაროველოს მხრიდან ე. პ. გეგეჭკორი და ნ. გ. რამიშვილი, აზერბაიჯანის მხრიდან დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში მ. ი. ჯაფაროვი და დოქტორი ვექილოვი, მთიელთა რესპუბლიკის მხრიდან შინაგან საქმეთა მინისტრი პ. კოცევი. კონფერენციას არ ესწრებოდნენ სომხეთის წარმომადგენლები, რის გამოც კონფერენციამ მუშაობა შეწყვიტა და გადაიდო 20 ნოემბრისათვის[51].

14 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი ატყობინებს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს სომხეთში ს. მდივანს, კონფერენციის თარიღს და სთხოვს სომხეთის მთავრობას წარმოაგზავნოს თავისი წარმომადგენლები. ავალებს ს. მდივანს აგრძნობინოს სომხეთის მთავრობას, რომ თუ არ წარმოაგზავნიან წარმომადგენლებს კონფერენციას ჩაატარებენ მათ გარეშე[52]. კონფერენცია გადაიდო 20 ნოემბრისათვის, სომხები კვლავ არ გამოცხადდნენ. ისინი არც 30 ნოემბრისთვის გამოცხადდნენ. ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთში კი მოლაპარაკებას აწარმოებდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. ს. მდივანი 1918 წლის 29 ნოემბერს ტელეგრამას უგზავნის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, სადაც აღნიშნავს: „პირველი აზრთა გაცვლა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარესთან კაჩაზნუნთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ტიგრანიანთან და მის მოადგილესთან მელიქ კირაკოზიანთან გაიმართა 6

ნოემბერს. ამ დროს, გარკვეული მოთხოვნა საკითხის გარშემო არ იქნა წამოყენებული... 12 ნოემბერს შევხვდი ს. ტიგრანიანს და მინისტრთა საბჭოს კანცელარიის მმართველს გ. ხატისოვს. ამ შეხვედრის დროს სომხეთის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი მოთხოვნა, დაგვეთმო მათთვის მთელი ახალქალაქის მაზრა, გორის მაზრის ნაწილი... და ბორჩალოს მაზრის ნაწილი. გორის მაზრაში ხატისოვის და ტიგრანიანის აზრით საზღვარი უნდა გატარებულიყო ქედზე ცხრა-წყარომდე. ამ მოთხოვნის დასამტკიცებლად ხატისოვი ეყრდნობოდა იმ განცხადებას, რომელიც გაკეთებული იყო ჯერ კიდევ 1917 წელს, ჩვენი პარტიის პასუხისმგებელი პირების მიერ პეტერბურგში და თბილისში ზოგიერთ თათბირზე, როცა საუბარი იყო ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ დაყოფაზე... მე კატეგორიული პროტესტი გამოვთქვი ხატისოვის მიერ წამოყენებული თეზისების წინააღმდეგ და აღვნიშნე, რომ ის განცხადებები, რომლებიც გაკეთებულია 1917 წელს და 1918 წლის 26 მაისამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე... არ შეიძლება გახდეს ამოსავალი სასაზღვრო საკითხის გადასაწყვეტად... მაშინ საუბარი იყო ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში შემავალი ხალხთა შიდა გამიჯვნაზე... დღევანდელ პირობებში ლაპარაკია სახელმწიფო გამიჯვნაზე, რომელსაც საფუძვლად მარტო ეთნოგრაფიულ პრინციპს ვერ დავუდებთ... საფუძვლად უნდა დაედოს არა მარტო ეთნოგრაფიული, არამედ ისტორიული, გეოგრაფიული, სამეურნეო-ეკონომიკური ყოფითი პირობები. ეჭვი არ არის, რომ ზემოხსენებულ წარმომადგენლებს თავიანთი განცხადების დროს მხედველობაში არ ჰქონდათ სახელმწიფო საზღვრები, რადგან საერთოდ არ იყო დიდ სახელმწიფოსთან, რუსეთთან, ჩვენი მხარის მჭიდრო ორგანული კავშირის გამო... დემოკრატიული საქართველოს ყველა წარმომადგენელი, სოციალ-დემოკრატები, ასევე სოციალ-ფედერელისტები მაშინ ფიქრობდნენ, რომ რუსეთის რესპუბლიკის ხალხს ექნებოდათ ერთიანი მიწის ფონდი. მე ვამტკიცებდი, რომ მთელი თბილისის გუბერნია და ყველა მისი ცალკეული ნაწილი ისტორიულად და მოსახლეობის, განურჩევლად ეროვნებისა, დროთა განმავლობაში

ჩამოყალიბებული კულტურულ-ეკონომიკური ყოფა-ცხოვრების თავისებურებებით, დაკავშირებულია საქართველოსთან. ამასთან მთელი ამ გუბერნიის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიასთან მიკუთვნებაზე მიუთითებს ის მდგომარეობა, რომ თბილისის გუბერნია მეზობელი გუბერნიისაგან გამიჯნულია ბუნებრივი საზღვრებით, სახელდობრ წყალგამყოფით, ახალქალაქის მაზრაში და მთიანი ქედით, ბორჩალოს მაზრაში, სწორედ ასეთი საზღვრები უნდა იყოს მისაღები და სასურველი სახელმწიფოსათვის"[53].

სწორედ ეს იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების დიდი შეცდომა, რომ რუსეთის დროებითი მთავრობისა და მენშევიკური ცაკის დაშლამდე მთელი იმედები „დიდი რუსეთისაკენ" ჰქონდათ მიმართული და პარტიულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ეროვნულს: „ცალკე ადამიანის თუ საზოგადოების აზრისა და ლოღიკის გარდა არსებობს ლოღიკა საგნობრივი და ამის შეგნება ჰქონდათ დაკარგული ჩვენს „სოციალისტურ პარტიებს". რომელთა სიტყვიერ ლოზუნგებში თითქო კარგი რამეებიც მოიპოვებოდა, ამიტომ 1914-1918 წლების ომის წინ, საქართველოს უდიდესი ხიფათი მოელოდა, როგორც ზევიდან — რუსეთის მიერ სისტემატური რღვევით ჩვენი ტერიტორიისა, ისე შიგნიდან — ამ ტეინ დაკარგული სოციალისტებისაგან, გატაცებული რომ იყვნენ „მსოფლიო პროლეტარიატის" და „ქვეყნად სოციალიზაციის" დამყარების საკითხებით და ვერ ამჩნევდნენ თუ როგორ ეცლებოდა სწორედ საქართველოს, — საძირკველი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობისა — ტერიტორია"[54].

იმავე 1918 წლის 29 ნოემბერს საქართველოს წარმომადგენელმა სომხეთში, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა საქართველოს მთავრობის ნოტა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დავალებით, პატივი მაქვს მოგახსენოთ ბატონო მინისტრო, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის აზრით სასაზღვრო ხაზმა სომხეთსა და საქართველოს შორის უნდა გაიაროს თბილისის გუბერნიის ძველ საზღვარზე ე. ი. სამხრეთის მხრიდან ხაზზე, რომელიც ჰყოფს ახალქალაქისა და ბორჩა-

ლოს მაზრებს ყოფილი ალექსანდროპოლის მაზრისაგან, ყოფილი ერევნის გუბერნიისაგან, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან ხაზზე, რომელიც ბორჩალოს მაზრას ჰყოფს ყოფილი ყაზახის მაზრისაგან, ყოფილ ელიზავეტპოლის გუბერნიისაგან. გთხოვთ გვაცნობოთ, აქვს თუ არა რაიმე საწინააღმდეგო სომხეთის მთავრობას საზღვრის ასეთი მიმართულებისადმი“[55].

1918 წლის 1 დეკემბერს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიგრანიანმა საქართველოს მთავრობას გამოუგზავნა საპასუხო ნოტა: „სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით პატივი მაქვს მოგახსენოთ პასუხი თქვენი 1918 წლის 29 ნოემბრის №52 ნოტაზე. საზღვრის მიმართულების საკითხში სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის, სომხეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომელსაც ყოველთვის იზიარებდნენ სომხეთისა და საქართველოს დემოკრატები და არაერთხელ იყო სანქციირებული 1917 წლის განმავლობაში და მიმდინარე წელს... სომხეთის და საქართველოს წარმომადგენელთა ამ შეთანხმებებს სასაზღვრო ხაზზე საფუძვლად დაედო, როგორც ცნობილია ეთნოგრაფიული პრინციპი, რეალური ეროვნულ-ტერიტორიული განსახლებისა.... ამ სქემის მიხედვით ახალქალაქის მაზრა მთლიანად და ბორჩალოს მაზრის დიდი ნაწილი, სადაც სომხური მოსახლეობა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს, წარმოადგენენ სომხეთის განუყოფელ ნაწილს. ამასთან ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი და თბილისის მაზრის სამხრეთი ნაწილი თბილისამდე, მიუხედავად იმისა რომ ამ რაიონებში რაოდენობრივად ქართველ მოსახლეობას სჭარბობს სომხური მოსახლეობა, რჩება საქართველოს ფარგლებში, სომხების ეროვნულ-კულტურული თვითგამორკვევის გარანტიით. თქვენს მიერ წამოყენებული ახალი სასაზღვრო ხაზი არსებითად და მნიშვნელოვნად აყენებს ზიანს სომხეთის რესპუბლიკას... სომხეთის მთავრობას არ მიაჩნია მისაღებად თქვენს მიერ შემოთავაზებული საზღვრის ახალი მიმართულება“[56].

სომხეთის მთავრობის ნოტას, საქართველოს მთავრობა იმ დასკვნამდე უნდა მიეყვანა, რომ ტერიტორიის სა-

კითხს სომხეთის მთავრობა არამცდაარამც კონფერენციაზე არ გაიტანდა. აშკარა იყო, რომ სომხეთის მთავრობა ამ საკითხის გადასაჭრელად სხვა გზაზე იყო დამდგარი. მათ დრო ტყუილად არ დაკარგეს. სომეხთა ბანაკში ინტენსიური მუშაობა სწარმოებდა, ისინი საომრად ემზადებოდნენ. ამაზე მიუთითებს სოფელ ვორონცოვკიდან გენერალ ციციანოვის 1918 წლის 4 დეკემბერს სამხედრო მინისტრისადმი გამოგზავნილი ტელეგრამა: „ჯელალ-ოღლის ჩრდილოეთით, 4771 სიმაღლეზე – ჩვენ ტერიტორიაზე სომხები აშენებდნენ სანგრებს. სომხეთის დივიზიის მეთაურს შევთავაზე დაუყოვნებლივ დაენგრია, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ დავანგრევდი“[57]. ამ ფაქტის შემდგომ მომხდარმა მოვლენებმა მალე დაადასტურეს, რომ ეს არ იყო შემთხვევითი ეპიზოდი.

1918 წლის 3 დეკემბერს, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ტიგრანიანი უგზავნის ნოტას ჩვენს წარმომადგენელს სომხეთში, სადაც ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორის დანიშვნა, ახალქალაქის მაზრაში საქართველოს რესპუბლიკის ჯარების შეყვანა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა მიჩნეულია სომხეთის ტერიტორიული უფლებების დარღვევად“[58].

ამის პასუხად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი საქართველოს წარმომადგენელს სომხეთში ს. მდივანს უგზავნის სომხეთის მთავრობისადმი გადასაცემ შემდეგი შინაარსის დეპეშას: „ახალქალაქში ჩვენი ჯარები შევიდნენ 5 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ჩვენი მთავრობის ასეთი ნაბიჯი გამოწვეულია ადგილობრივი მოსახლეობის დაცვის მიზნით, რომლებიც დაუსრულებელ ძალადობას განიცდიან, როგორც მაზრაში ჯერ კიდევ დარჩენილი ოსმალთა ჯარის ნაწილებისაგან, ასევე უპასუხისმგებლო პირებისა და შეიარაღებული ბანდებისაგან. საქართველოს მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია ბოლო მოუღოს ასეთ აუტანელ მდგომარეობას, ამასთან სთვლის, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ახალქალაქის მაზრის დაკავება არც ისტორიულად, არც პოლიტიკურად, არც მორალურად არ წარმოადგენს სადა-

ვოს. საქართველოს მთავრობა იმედს იტოვებს, რომ ეს მდგომარეობა ხელს არ შეუშლის საზღვრების საკითხზე მშვიდობიან მოლაპარაკებას“[59].

ამასობაში სომხები ემზადებოდნენ ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრაში შესასვლელად. 1918 წლის 8 დეკემბერს სომხეთის ჯარები მთავრობის დადგენილებით იწყებენ მოქმედებას ლორისა და ბორჩალოს მაზრის დასაკავებლად. სომხურმა მმართველმა წრეებმა ომი გააჩაღეს მხოლოდ იმ იმედით, რომ კავკასიაში მომავალი ინგლისი მათ მხარს დაუჭერდა. საამისოდ ნიადაგის მომზადება მათ ჯერ კიდევ ადრე დაიწყეს, როგორც პოლკოვნიკი ჯ. ბ. სტოკი (იგი მსახურობდა ინგლისის არმიაში, მან განსაკუთრებული როლი შეასრულა ბათუმის ბედის გადაწყვეტაში, 1920 წლის ივლისში მან ანტანტის სახელმწიფოთა სახელით ბათუმი საქართველოს გადასცა) მოგვიანებით სწერდა: „ანტანტის სახელმწიფოები... იმ დროს უფრო მნიშვნელოვანი სუბიექტებით იყვნენ დაკავებულნი. ამას გარდა ეტყობა მცდარი შთაბეჭდილება ჰქონდათ; თვლიდნენ, რომ ამიერკავკასიის მხარეში ქრისტიანობის მონოპოლია მხოლოდ სომხეთს ეკუთვნოდა. სრულიად სამართლიანად ისინი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი ამ ქვეყნის მიმართ. განსაკუთრებით სომხებმა ყურადღება მას მერე მიიპყრეს, რაც ხოცვა-ულტა მოუწყვეს თურქებმა. დასავლეთში სულ ერთთავად გეგმებს აწყობდნენ, როგორ ეხსნათ სომხეთი უბედურებისაგან. საქართველოსადმი ანტანტის სახელმწიფოებს არავითარი სიმპათია არ ჰქონდათ“[60]. მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავრობას საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია მანამდე გერმანიისაკენ ჰქონდა აღებული.

სომხეთის დაშნაკური მთავრობის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წამოწყებული ომი გარკვეულწილად განაპირობა რუსეთმაც. თვითონ რუსეთი ამ დროს ორ ბანაკად იყო გაყოფილი ე. წ. თეთრ და წითელ რუსეთად, მაგრამ ორივე რუსეთს ერთი და იგივე იმპერიული ზრახვები აწუხებდათ საქართველოს მიმართ. სომხეთის სახით კი, ორივე რუსეთს საიმედო დასაყრდენი ჰყავდათ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. აი რას წერს გრიგოლ ლორ-

თქიფანიძე: „საქმე იმაშია, რომ ანტანტა და მათ შორის ინგლისის მთავრობა და სარდლობა მონდომებულნი იყვნენ, რომ რუსეთი აღედგინათ დენიკინის არმიის საშუალებით. ამრიგად დღის წესრიგში იდგა ამიერკავკასიის რუსეთზე მიკვრა, ხოლო ამისთვის პირველყოვლისა საჭირო იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. საუბედუროდ ამ რუსულ-ინგლისურ გეგმების ბადეში მოხვდა სომხეთი, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბებული. მის პოლიტიკაზე გადამჭრელი გავლენა ჰქონდა ანტანტას, ხოლო ანტანტის და პირველ ყოვლისა ინგლისის სარდლობის უმთავრესი მრჩეველი ამიერკავკასიის საკითხში იყო დენიკინის შტაბი“[61].

სომხეთის ჯარში ბევრი რუსი ოფიცერი მსახურობდა. ქართველმა ოფიცრობამ სომხეთის ჯარს „დენიკინის მე-7 კორპუსი შეარქვა“[62]. ამას ნათლად ადასტურებს ომის, რევოლუციისა და მშვიდობის გუვერის ინსტიტუტის არქივში დაცული დოკუმენტები, რომელიც დაიბეჭდა „Отечественные Архивы“-ის 1994 წლის პირველ ნომერში. საყურადღებოა სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის დენიკინის შტაბის სადაზვერვო-განყოფილების 1919 წლის იანვრით დათარიღებული ცნობა საქართველო-სომხეთის ომის შესახებ. ამ დოკუმენტში მეტად ტენდენციურად არის გაშუქებული საქართველო-სომხეთის ომის მოვლენები, გაყალბებულია ისტორიული სინამდვილე და აშკარად იგრძნობა დიდი სიმპათიები და მხარდაჭერა სომხეთისადმი. ომის გამომწვევ მიზეზად ქართული მხარეა მიჩნეული, მათი აზრით, „მთელი ის ტაქტიკა, რომელიც შემუშავებული ჰქონდა საქართველოს მთავრობას სომხეთის მიმართ, უკანასკნელს უქმნიდა არსებობის აუტანელ პირობებს ეკონომიკური თვალსაზრისით, რომ არაფერი ვთქვათ განუწყვეტელ თავმოყვარეობის შელახვაზე, რომელსაც აყენებდნენ სომხეთის მთელ მოსახლეობას, მინისტრით დაწყებული უკანასკნელი მოსახლით დამთავრებული. თბილისი, რომლის მეშვეობითაც უნდა დაემყარებინა სომხეთს კავშირი გარე სამყაროსთან, წარმოადგენდა თავისებურ დარდანელს... საქართველოს ხელი-

სუფლება განგებ აფერხებდა სარკინიგზო მოძრაობას. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის საერთო რუსეთის ქონებიდან სომხეთის წილად მოდიოდა მხოლოდ 50-60 ვაგონი და 2-4 ორთქლმავალი, თავად მატარებლების გამგზავრება ტფილისიდან ერევანში თავისებურ მოვლენას წარმოადგენდა... და ა. შ. მოკლეთ რომ ვთქვათ ერევანს გარე სამყაროსთან არავითარი შეხება არ ჰქონდა“[63].

საწყალი სომხები, თურმე როგორ „დაჩაგრულები“ და „შევიწროვებულები“ ყოფილან, რომ ახალქალაქის და სანაინის ამბავი, სადაც მოვლენების განვითარება საქართველოს მხარეს ბრალდება, „იყო ის წვეთი, რომელმაც აავსო ჭიქა და გამოიწვია გარდაუვალი შეიარაღებული კონფლიქტი“[64], ხოლო ამ ადგილებში სომხების გამოჩენა „იყო დემონსტრირება მხოლოდ იმ ფაქტისა, რომ ახალქალაქის რაიონი სომხებს ეკუთვნოდათ – მეტი არაფერი. ეს დემონსტრირება აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მომავალში დაეყენებინათ დღის წესრიგში ახალქალაქის საკითხი“[65].

აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ახალქალაქი საქართველოს კუთვნილება იყო და სომხების პრეტენზიებს არავითარი საფუძველი არ გააჩნდათ არც ახალქალაქში და არც ბორჩალოს მაზრაში და ომის დაწყების სულის ჩამდგმელი იყო სომხეთის დაშნაკური მთავრობა და არა საქართველო, რომელიც ომს სომხეთისაგან განსხვავებით მოუმზადებელი შეხვდა. ჩვენი მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ სომხები ომს ვერ გაბედავდნენ და თავის დასაცავად არავითარ ზომებს არ იღებდნენ. „დედაქალაქიდან 60-80 ვერსის დაშორებით 8 დეკემბრიდან იღვრებოდა ქართველთა სისხლი, მობილიზაცია კი მხოლოდ 18 დეკემბერს დაიწყო. მეტსაც გეტყვით, 12 დეკემბერს განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა სახალხო გვარდიის მიერ არსენალის აღების დღე, როგორც მოგვიანებით შეეიტყვე, ამ დღეს უფრო საზეიმო განწყობილების შესაქმნელად, ეკატერინეფელდიდან, სამხედრო მოქმედებათა თეატრიდან, თურმე ცხენოსანთა გვარდია იხმეს თბილისში“[66].

9 დეკემბერს სანაინის მიდამოებში გამოჩნდა მე-5 მსროლელი ლეგიონის ნაწილები ტერ-ნიკოღოსოვის მეთა-

ურობით, ხოლო ახალქალაქის მაზრაში სოფელ გორელოყის მიდამოებში გადმოვიდა სომხების კავალერია. სანაინთან სომხების ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა მცირერიცხოვან ჩვენ ჯარს, გენერალ წულუკიძის რაზმის სუსტმა ნაწილმა ვერ გაუძლო სომხების კარგად მომზადებულ ჯარების იერიშს და იძულებული გახდა უკან დაეხია“[67].

საქართველოს მთავრობამ ეს კონფლიქტი, დროებით, ლოკალურ მოვლენად მიიჩნია. მაშინაც კი, როცა ეჭვი აღარ არსებობდა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სომხეთის მთავრობა და რეგულარული ჯარი მოქმედებდა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა 13 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე განაცხადა: „ჩვენ ჯერ საბუთები არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთის მთავრობას კავშირი ჰქონდეს იმათთან, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას აწარმოებს.. მე მეტს ვიტყვი: ჩვენი მთავრობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ თავიდან ავიცდენთ ყოველივე უთანხმოებას.... მთავრობა დარწმუნებულია, რომ ბოლოს და ბოლოს ეს საკითხები მშვიდობიანად გადაიჭრება და მით განმტკიცდება როგორც ჩვენი, ისე სომხეთის დამოუკიდებლობა“[68].

1918 წლის 12 დეკემბერს სომხეთის თავმჯდომარე კაჩაზნუნი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას უგზავნის ნოტას: „საქართველოს მიერ ძალმომრეობით მიტაცებული ბორჩალოს მაზრის სომხურ ნაწილში, ქართველი ჯარების მოქმედებამ ამ რაიონში შექმნა აუტანელი მდგომარეობა. მხოლოდ ქართული ჯარების ამ რაიონიდან დაუყოვნებლივ გაყვანას შეუძლია შეაჩეროს შემდგომი სისხლისღერა და დაამყაროს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა საქართველოსა და სომხეთს შორის. აქედან გამომდინარე სომხეთის მთავრობას პატივი აქვს მოახსენოს საქართველოს მთავრობას: დაუყოვნებლივ გაიყვანოს ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილიდან საქართველოს ჯარი, უარის ან დაყოვნების შემთხვევაში, სომხეთის მთავრობა იძულებული იქნება გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები, რათა დაიცვას სომხური მოსახლეობა ქართული ჯარის ძალმომრეობისა და უპატიოსნებისაგან“[69].

ასეთი აგრესიული ნოტის შემდეგაც კი საქართველოს მთავრობა „მშვიდობიანი მოლაპარაკების ილუზიებით“ იკვებებოდა. ე. გეგეჭკორი 1918 წლის 15 დეკემბერს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს უგზავნის ნოტას და კიდევ ერთხელ მოუწოდებს სომხეთის მთავრობას შეწყვიტოს საომარი მოქმედება და დაიწყონ მოლაპარაკება, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა სომხეთს დაეკისრებოდა[70].

მობილიზაცია მხოლოდ 17 დეკემბერს გამოცხადდა, როცა სომხებმა სადახლო, აშაღასერალი და შულავერი დაიკავეს, ხოლო მათი მოწინავე რაზმი გამოჩნდა მდინარე ხრამზე[71].

17 დეკემბერს სომხეთის წინააღმდეგ მოქმედი ლაშქრის სარდლად დაინიშნა გიორგი მაზნიაშვილი. იმავე დღესვე მთავრობის დავალებით საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი თბილისში მყოფ უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს აცნობს სომხეთის ჯარების საქართველოზე თავდასხმის ფაქტს და მთავრობის პროტესტს ამის თაობაზე[72].

18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოისმინა მთავრობის მოხსენება საქართველოსა და სომხეთს შორის მომხდარი კონფლიქტისა და საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ და მიიღო რეზოლუცია: „პარლამენტი იწონებს მთავრობის ყველა მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს მტერთა ასალაგმაოდ, აღუთქვამს მთავრობას ყოველგვარ დახმარებას დასაცველად და აცხადებს, რომ რესპუბლიკის ძალები მიმართული არა სომეხი ხალხის წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ სომხეთის მთავრობისა და იმ წრეებისა, რომელთა პოლიტიკას მიზნად აქვს ხიდი ჩატეხოს საუკუნეებით მეგობრულ ერთა შორის და, როგორც ქართველ, ისე სომეხ ხალხს განადგურებას უქადის“[73].

საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური კავშირი სომხეთთან. დაიწყო მათ შორის საომარი მოქმედებები, რამდენიმე დღეში ქართველებმა ხელთ იგდეს უპირატესობა, მტერი უკან იხევდა, მაგრამ ამ დროს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ინიციატორებად გამოვიდ-

ნენ კავკასიაში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის მისიის წარმომადგენლები. მათთან მოლაპარაკების საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 21 დეკემბერს მიიღო შემდეგი დადგენილება: „1. საქართველოს მთავრობა დიდი კმაყოფილებით იღებს მოკავშირეთა ინიციატივას საქართველოსა და სომხეთს შორის ძმათა მკვლელი ომის დამთავრების შესახებ; 2. საქართველოს მთავრობა იღებს დეპეშის ტექსტს შემდეგი შენიშვნების გათვალისწინებით: ა) საქართველოს ჯარების მხრიდან საომარი მოქმედებების შეწყვეტის ბრძანება გაცემული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ; ბ) როგორც კი შეწყდება საომარი მოქმედებები ორივე მხრიდან, სომხეთის ჯარმა უნდა გაათავისუფლოს ბორჩალოს მაზრა და დაიკავონ ის პოზიციები, რომელიც მათ ეკავათ საომარი მოქმედებების დაწყებამდე. ამავე დროს, საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მთელი მოსახლეობის ძირითადი და ქონებრივი უსაფრთხოება. შერეულმა კომისიამ უნდა განსაზღვროს მხარეებიდან რომელი იყო თავდამსხმელი, რათა მან აუნაზღაუროს მეორე მხარეს მთელი დანაკარგი“[74].

23 დეკემბერს ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდნენ ინგლისის მისიის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი რეიკროფტი და საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი პოლკოვნიკი შარდინი, მათ თან ახლდა სომხეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი ჯამალიანი. 25 დეკემბერს თბილისში გაიმართა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ჯამალიანის პროტესტის მიუხედავად გენერალმა რეიკროფტმა, პოლკოვნიკმა შარდინმა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ მიიღეს შემდეგი დადგენილება:

შერეული კომისია, რომელშიც შეელენ ინგლისის, საფრანგეთის, საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლები, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს ფრონტზე, რათა თვალყური ადევნონ შეთანხმების პირობების შესრულებას. კომისიამ უნდა განსაზღვროს გარნიზონების რიცხვი, რომელიც უნდა დატოვონ ქართველებმა ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში და ახალქალაქში, ხოლო სომხებმა

ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში. გარნიზონები იქნება მცირერიცხოვანი.

საქართველოს ჯარები დარჩებიან იმ ხაზზე, რომლებიც ამჟამად უჭირავთ. სომხებმა უნდა დაიხიონ ოსმალური ხაზისაკენ. დისიხ-ჯელალ-ოღლიზე. ინგლისური პიკეტები ჩადგებიან რკინიგზაზე ქართველ და სომეხ ჯარებს შუა. ამ სადავო ნაწილში ადმინისტრაცია იქნება შერეული. ახალქალაქის მაზრაში ადმინისტრაცია იქნება ქართული, ხოლო მას მეთვალყურეობას გაუწევს მოკავშირეების კომისია, რომელშიც შეელენ ადგილობრივი სომეხი და მუსულმანური მოსახლეობის წარმომადგენლები.

საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლები უახლოეს მომავალში გაგზავნილი იქნებიან ევროპაში, სადაც საზღვრების საკითხი გადაწყვეტილი იქნება დიდი სახელმწიფოების მიერ“[75].

1918 წლის 30 დეკემბერს სომხეთის მთავრობამ მიიღო ეს დადგენილება და 31 დეკემბერს 24 საათზე საქართველო-სომხეთს შორის შეწყდა საომარი მოქმედებები. ამ პერიოდისათვის საქართველოს ჯარები იდგნენ შემდეგ ხაზზე: სოფელი ოფრეთი, ხოჟორნი, გიულ-ბაღი, სოფელი სადახლო, სადგური სადახლო, ქიმი სიმაღლის 1554 (სადგურ სადახლოს ჩრდილოეთით), სიმაღლე 2660 ჩრდილო-აღმოსავლეთით და შემდეგ წარწერა „წყარო“, რომელიც მდებარეობს კლდეების კაჩაკალას წარწერის ჩრდილოეთით“[76].

ამ საქმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობის უმრავლესობაში. ჩვენი ჯარების წარმატებითმა მოქმედებებმა იმედი ჩასახა, რომ საქართველოს ბოლოს და ბოლოს საბოლოოდ გადაწყვეტდა თავისი ისტორიული ტერიტორიების ბედს: „მაგრამ რას მივაღწიეთ ამ უეჭველად მოგებული ომით? წერილმანებზე თუ არ შევჩერდებით უნდა ვაღიაროთ, რომ დავთმეთ ის, რაც ჩვენს განუყოფელ ტერიტორიად მიგვაჩნია, სადაო გავხადეთ, როცა იარაღით ვაიძულეთ მოწინააღმდეგე უარი ეთქვა თავის მოთხოვნაზე. საკუთარი ტერიტორიის დათმობა ან სადავოდ ქცევა უომრად შეიძლებოდა; დიპლომატიური გზით. რისთვისღა ვიღებდით იარაღს, რისთვის ვღვრიდით სისხლს? თუკი იარაღს მოეკიდეთ ხელი, დაღვრილი სისხლი ღირსეულად

უნდა დავაფასოთ... გვეტყვიან ვერაფერი შეეძლით, ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ ისეთი ვითარება იყო, რომ ამ პირობებზე უნდა დავთანხმებულიყავითო. საქმეც ისაა, რომ ვერაფერი შეძლეს. მუდამ ასე იქნება, როცა დიპლომატიას საფუძვლად დაედება არა ხალხის ინტერესები, არა რეალური ძალა, არა ჯარი, მისი ძალა და წარმატება, არამედ რაღაც ბუნდოვანი, მყიფე მოსაზრებები, რომელიც ვითომ ცდა ინტერნაციონალისაკენ, ხალხის უფლებების, ადამიანის დაცვისაკენ, სოციალიზმისა და მარქსის პრინციპების დაცვისაკენ მოგვიწოდებს"[77].

1919 წლის 3 იანვარს საქართველოს მთავრობა პარლამენტის წინაშე წარსდგა მოხსენებით „ომისა და დროებითი ზავის შესახებ". მთავრობის სახელით ვრცელი მოხსენება გააკეთა ე. გეგეჭკორმა. ზავის პირობებმა ზოგიერთ პარტიულ ფრაქციაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ „მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ ფაქტით ვაძლიერებთ ჩვენ დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ წყობილებასო"[78].

არაჩვეულებრივი სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის სხდომაზე გრ. ვეშაპელმა: „სომხებთან ჩვენი ომის მიზანი იყო საქართველოს მიწა-წყლის გაწმენდა შემოსული მტრისაგან და საბოლოოდ ბუნებრივი საზღვრების დადება საქართველოსა და სომხეთს შორის... ომი მართლაც გათავდა, დიახ გათავდა და არა შეჩერდა, როგორც გვეუბნებიან ბატონი მინისტრები. მართალია მთავარი შტაბი ამას დროებით ზავს უწოდებს, მაგრამ ეს დროებითი კი არა, საბოლოო ზავია, რადგან შემდეგ ინსტანციად საერთაშორისო კონგრესი არის აღიარებული და ამით საქართველოს ხელიდან გამოცლილია ყოველივე სამხედრო ინიციატივა, მერე რა მოგვცა ამ ზავმა, მივაღწიეთ თუ არა ჩვენ ომის მიზნებს? არა, არ მიგვიღწევია!... სტრატეგიული პოზიციები: კარები ქართლისა და თბილისისა, ბამბაკისა და ბეზობდალის მთების გადმოსასვლელი გზები ისევ ისე სომხების ხელშია. ის ფრონტი, რომელზედაც უნდა გაჩერდეს ჩვენი ძლევამოსილი ჯარი, სრულებით არ არის ხელსაყრელი სტრატეგიულად, მოითხოვს მრავალრიცხოვან ჯარის ყოლას საზღვარზე და არ უზრუნველყოფს ქართლსა

და საქართველოს დედაქალაქს ახალი შემოტევისაგან. ის ტერიტორია, რომელიც საზავო პირობების მიხედვით „ნეიტრალურ ზონად“ ცხადდება (ალავერდითურთ) თუ შიგ „შერეული ქართულ-სომხური მმართველობა“ იქნება, ფაქტიურად ისევ სომხების ხელში დარჩება, იმიტომ რომ სომხეთის ჯარის უკან დახევა ძველი საზღვრებისაკენ ზღაპარია. მთავრობისა და სოციალ-დემოკრატების ბელადები გეუბნებიან, რომ თუ ასეთი ზავი ჩამოვაგდეთ, ეს იმის ბრალია, რომ ინგლისი ჩაერია საქმეშიო: ჩვენ ნაციონალისტებს არ გვჯერა, რომ უხეირო ზავი ინგლისის ბრალია... ეს ინგლისის ბრალი კი არა ჩვენი უხეირო სოციალ-დემოკრატიული დიპლომატიის ბრალია, რომელიც საქართველოს საკითხებს არკეევს არა ნაციონალური, არამედ კლასობრივი, პარტიული და პროლეტარული თვალსაზრისით. ეს რომ ასე არ იყოს განა იტყოდნენ აქ, რომ ზავის ჩამოგდებას დემოკრატიისა და ერთა სოლიდარობის საქმე მოითხოვსო! განა შეიძლება სოლიდარობით ასეთი ზავის გამართლება. მათ ეშინოდათ იმის თქმა, რომ სომხისა და ქართველ ერს შორის ბრძოლა არის, მათ რომ ჰკითხოთ, საქართველო სომხეთს კი არა, სომხეთის ერთ პარტიას, დაშნაკცუტუნს ებრძოდა, ისიც მთელს დაშნაკცუტუნს კი არა, მის ერთ ნაწილს, რომელსაც სახელად „მაუზერისტებს“, ავანტურისტებს არქმევენ.

ჩვენ ნაციონალისტები პირდაპირ ვამბობთ, რომ ეს ომი იყო და არის ომი ქართველი და სომეხი ერისა თბილისის კარებისათვის და სანამ საქართველო არ დაკეტავს კარებს ბეზობდალისა და ბამბაკის ქედთან, მანამ არ შეიძლება ზავი სომხის ერთან“[79].

ვინ მოიგო ომი? კითხულობს სპირიდონ კედია: „ცხადია რომ სომხობამ, სომხებმა მოიგეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ თანახმად დადებული პირობებისა, სომხეთის უდავო კუთვნილებად არის ნაგულისხმევი ბორჩალოს ის ნაწილი, რომელიც დისიხ-ჯელალ-ოღლის სამხრეთით ძევს და სომხეთის შეიარაღებულ ძალას უჭირავს. მერე იმიტომ, რომ ბორჩალოს ის ნაწილი, რომელიც ამ ხაზის ჩრდილოეთით არის ვიდრე ჩვენს ეხლანდელ ხაზამდე და ომამდე მხოლოდ ჩვენ გვეჭირა, დღეს სადავოდ არის გამოცხადებული

და სომხეთს თავისი წილი ადმინისტრაციაც შემოჰყავს. ამგვარად ცხადია, რომ ტერიტორიულად სომხეთია გამარჯვებული, რომ ადმინისტრაციულად და პოლიტიკურად გაუსინჯოდ წაგებაში სწორედ ჩვენ ვართ"[80].

პარლამენტმა ხმის უმრავლესობის მაინც მოიწონა ზავის პირობები.

1919 წლის 8 იანვარს საქართველოს პარლამენტში შეიქმნა განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა საქართველო-სომხეთის ომის გამომწვევი მიზეზები[81]. იმავე 1919 წელს გამოვიდა წიგნი „საქართველოს-სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1918 წელს", სადაც გამოქვეყნებული იყო ამ ომთან დაკავშირებული მასალა.

შეთანხმების მიუხედავად სომხები აყოვნებდნენ ჯარის გაყვანას. 1919 წლის 6 იანვარს გენერალმა მაზნიაშვილმა განაცხადა: „7 იანვარს 12 საათამდე სომხეთის ჯარები თუ არ დატოვებენ ნეიტრალურ ზონას, ის გადაეცა შეტევაზე და ძალით დაიკავებს ყველა სადგურს. თუ ინგლისელებს არ შეუძლიათ შეიყვანონ თავიანთი ჯარები ნეიტრალურ ზონაში, მაშინ შევთავაზოთ მათ ჩვენი ჯარები და არავითარ შემთხვევაში არ დაეუშვათ სომხეთის გარნიზონების აქ ყოფნა"[82].

7 იანვარს დაიწყო სომხეთის ჯარების გაყვანა. ამავე დროს თბილისში მუშაობა დაიწყო სამშვიდობო კონფერენციამ, რომელიც 17 იანვრამდე გაგრძელდა. ესწრებოდნენ: ინგლისის მისიის წარმომადგენლები პოლკოვნიკი სტიუარტი, პორუჩიკი ტვადი, საფრანგეთის მისიის წარმომადგენლები პოლკოვნიკი ნ. გასფელდი, კაპიტანი პუა დებარი, საფრანგეთის კონსული დე-რუა. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები: ე. პ. გეგეჭკორი, ნ. ვ. რამიშვილი, გ. დ. ურული, გენერალი გედევანიშვილი, კ.ბ. საბახტარიშვილი, კ. პ. კანდელაკი, ს. გ. მდივანი, პოლკოვნიკი ჯაფარიძე, სომხეთის მთავრობის წარმომადგენლები: გ. არუთინიანი, ს.ტ. მამიკონიანი, გენერალი ყორღანოვი, მ. ხაჩატურიანი, გრ. ტერ-ხაჩატურიანი, ხონთქარიანი.

დაადგინეს, რომ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ საზღვარი უნდა გადაეიდეს ხაზზე, რო-

მელიც აერთიანებს იმ პუნქტებს, რომლებიც საქართველოს ჯარის ნაწილებს ეჭირათ 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათისათვის, კერძოდ, ლეგლი-დაგის მთა, სწორი ხაზი სოფელ ირღანჩაის უღელტეხილზე, სწორი ხაზი სიმაღლეზე 798, შემდეგ სიმაღლე კულუტაშზე (855,5), სიმაღლე 676, სოფელი საათლო, სიმაღლე 910, სიმაღლე 739, სოფელი ჯანდარი, სიმაღლე 735, სიმაღლე 69,4 სოფელი ახკერპი, სწორი ხაზი სოფელ ოფრეთზე, სიმაღლე 492, დანგრეული ეკლესია სოფელ ხოჟორნისთან, სოფელი ბრძდაძორი, სოფელი სადახლო, სადგური სადახლო, ქიმი სიმაღლისა 1554, რომელიც მდებარეობს სადახლოს ჩრდილოეთით, შემდეგ სიმაღლემდე 2660 (მთა ტაპა-დაგა), შემდეგ წარწერასთან „წყარო“, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთით წარწერიდან კაჩაკალას კლდე და მთავრდება მთა პოლუტლიბაშთან. სოფელი ირგანჩაი, საათლო, ჯანდარი, ახკერპი, ოფრეთი, ხოჟორნი, ბრდაძორი, სადახლო დარჩა დაპროექტებული ხაზის ჩრდილოეთით.

ნეიტრალური ზონის სამხრეთ საზღვრად ბორჩალოს მაზრაში ითვლება ოსმალთა ყოფილი ხაზი დისიხ-ჯელალ-ოღლი, რომელიც განსაზღვრული იქნა 1918 წლის 25 დეკემბრის შეთანხმებით.

საქართველოს ჯარების რაოდენობა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრაში, ხოლო სომხების ჯარისა ბორჩალოს მაზრაში განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში იქნება საქართველოს ჯარები:

ა) სასაზღვრო ჯარის რაზმები საერთო რიცხვით არა უმეტეს 200 კაცისა ახალქალაქის მაზრის საზღვრიდან სოფელ ოფრეთამდე.

ბ) აშაღა-სერალის სადგურიდან სამი ასეულისაგან შემდგარი ბატალიონი, არა უმეტეს 360 კაცისა, მათ რიცხვში ჩაითვლება ჯარის მომსახურე პირები, ტყვიამფრქვეველთა ასეული 4 ტყვიამფრქვევით, არა უმეტეს 50 ჯარისკაცისა, 2 ზარბაზანი, საჭირო მომსახურე პერსონალით, ამ ბატალიონიდან შეიძლება დარაჯების დაყენება ოფრეთთან და სადახლოსთან, თითოეულ შემთხვევაში არა უმეტეს 60 ჯარისკაცისა.

გ) სასაზღვრო დარაჯების რაზმი, რომელთა საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 50 კაცს, იდგება სადარაჯოზე წყაროდან ვიდრე მდინარე ხრამი მტკვარს შეუერთდებოდეს.

რაც შეეხება სომეხთა ჯარებს ბორჩალოს მაზრაში:

ა) ერთი ასეული არა უმეტეს 125 კაცისაგან შემდგარი, მასში შედის მომსახურე პერსონალიც. ეს ასეული იდგება სოფელ კალაგერანში და სოფელ დიხისში.

ბ) ჯელალ-ოღლის რაიონში გერგერის ახლოს, გერგერში და ნიკოლაევკაში იდგება 3 ასეულისაგან შემდგარი ბატალიონი, საერთო რიცხვით არა უმეტეს 360 კაცისა, მათში ჩაითვლებიან ჯარის მსახურნიც, ტყვიამფრქვეველთა ასეული 4 ტყვიამფრქვევით, არა უმეტეს 50 ჯარისკაცისა, 2 ზარბაზანი შესაფერისი მომსახურე პერსონალით.

გ) ერთი ასეული არაუმეტეს 125 კაცისაგან შემდგარი, რომელთა რიცხვში ჩაითვლებიან მსახურნიც, იდგება საუფლისწულო მამულშიც (ბეროზოვაია ბალკა) სოფელ ნოვოპოკროვკაში.

დ) საქართველოს ჯარები ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთით წალკითურთ და სომხეთის ჯარები ამავე მაზრის სამხრეთ ნაწილში მთლიანად არ უნდა აღემატებოდეს 660 ჯარისკაცს, თითოეულ ნაწილში შესაფერისი საარტილერიო მსახურებითა და ზარბაზნებით.

ე) მხარეებს უფლება აქვთ ქვეითი ჯარები შესცვალონ ცხენოსნებით.

ვ) ორივე მხარე კისრულობს ა. ბ. გ. პუნქტებში მოყვანილი პირობების შესრულებას 14 იანვარს, 1919 წლის 24 საათამდე.

2. საქართველოს გარნიზონი ახალქალაქის მაზრაში არ უნდა აღემატებოდეს 225 ჯარისკაცს – ქვეითი ჯარის ორ ასეულს და ტყვიამფრქვევთა ერთ რაზმს ერთი ტყვიამფრქვევით.

მხარეები ვალდებულნი არიან შეუდგნენ დემობილიზაციას 15 იანვრიდან და დაამთაერონ ის 1919 წლის 21 იანვარს. ჯარი უნდა იყოლიონ იმდენი, რამდენიც იყო მშვიდობიან დროს.

რაც შეეხება ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის მართვას, მიიღო შემდეგი დადგენილებები:

1. ნეიტრალურ ზონას მართავს კომისია მოკავშირეთა ხელმძღვანელობით და კონტროლით.

2. უშუალო მართვა ეკუთვნის საკოლეგიო კომისარიატს, რომელიც შედგება საქართველოსა და სომხეთის თითო წარმომადგენლისაგან, მოკავშირეთა სარდლობის კონტროლქვეშ.

რაიმე საკითხის შესახებ ამ წარმომადგენელთა შორის ატეხილ დავას სწყვეტს მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელი;

3. მართვის შემდეგი დაბალი, სასოფლო ინსტანცია აირჩევა ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ.

4. სასამართლოსა და საფინანსო მოღვაწეობის ინსტანციები მუშაობდება კომისარიატის მიერ;

5. მართვის ხარჯებს თავისთავზე ღებულობს ბრიტანეთის მთავრობა იმ პირობით, რომ მომავალში ეს ხარჯი დაეკისროს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ეს სადაო ნაწილი მიეკუთვნება საბოლოოდ. რადგან ნეიტრალურ ზონაში რკინიგზის ხაზის შესახებ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხდა და სომხეთის მთავრობის წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას ისინი მოკავშირეთა სარდლობას ანდობენ, კონფერენციის თავმჯდომარემ მიღებული ინსტრუქციების მიხედვით დაადგინა, რომ რკინიგზის ხაზი ნეიტრალურ ზონაში, გადაეცეს საქართველოს რკინიგზათა სამმართველოს, მოკავშირეთა სარდლობის თვალყურის დევნებით.

რაც შეეხება ახალქალაქის მაზრის ქართულ ადმინისტრაციას, მის საქმიანობას თვალყურს ადევნებს მოკავშირეთა წარმომადგენელი, რომელთანაც იქნებიან ადგილობრივი სომეხთა და მუსულმანთა წარმომადგენლები[83].

ასეთია კონფერენციის ძირითადი დადგენილებები, სამშვიდობო კონფერენციით იურიდიულად გაფორმდა ომის დამთავრება: მოკავშირეთა სარდლობის ინიციატივით 1919 წლის 28 თებერვლიდან 3 მარტამდე მიმდინარეობდა მეორე კონფერენციის სხდომები, სადაც საქართველო-სომხეთის ურთიერთობის დანარჩენი საკითხებიც იქნა მოგვა-

რებული ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის დონეზე. თბილისში კვლავ გაიხსნა სომხეთის დიპლომატიური მისია ძველი უფლებებით[84]. მაგრამ წინააღმდეგობა ამით მაინც არ მოსპობილა. სომხები ვერ თმობდნენ თავიანთ უტოპიურ ინტერესებს საქართველოში. მათ უნდოდათ სომხეთისათვის შეერთებინათ არა მარტო ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრა, არამედ ერუშეთი, ფოცხოვის უბანი, არტაანი და შავშეთ-ქობულეთი-აჭარა. თავიანთ ამ სურვილს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომხები ასაბუთებდნენ იმით, რომ ამ მხარეებში ბევრი სომეხი ცხოვრობდა და მეორეც, მათ სჭირდებოდათ ზღვისაკენ გასასვლელი.

ეს მოთხოვნები წამოაყენეს მოგვიანებით პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზეც; სადაც მათ ყოველგვარ დახმარებას უწევდა ინგლისი. ამაზე უფრო მოგვიანებით, მანამდე კი 1919 წლის 14 აპრილს კავკასიაში ინგლისის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალ-მაიორი უ. ი. ტომსონი უგზავნის ტელეგრამას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და საქართველოში სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს, სადაც იგი მათ აცნობს თავის გადაწყვეტილებებს, რაც დროებით, მისი აზრით, პარიზის სამშვიდობო კონფერენციამდე მოაგვარებდა სადავო რაიონებში საზღვრების საკითხს. ეს გადაწყვეტილებებია:

„1. ახალქალაქის რაიონის განმგებელი უნდა ყოფილიყო საქართველო;

2. არტაანის რაიონის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ქალაქ არტაანის ჩათვლით, საგანმგებლოდ უნდა გადასცემოდა საქართველოს;

3. ბორჩალოს რაიონის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა წყალგამყოფის ჩრდილოეთით, სოფელ და სადგურ ალავერდის ჩათვლით, საგანმგებლოდ უნდა გადასცემოდა საქართველოს;

4. ბორჩალოს მაზრის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა წყალგამყოფის სამხრეთით, სადგურ სანაინის ჩათვლით, საგანმგებლოდ უნდა გადასცემოდა სომხეთს;

5. ყარსის რაიონი და ყაგიზმანი საგანმგებლოდ უნდა გადასცემოდა სომხეთს;

6. ნახჭევანის ოლქი, რომლის საზღვრები განისაზღვრება ჩრდილო და სამხრეთ წყალგამყოფით ჯულფის რკინიგზის სადგურამდე საგანმგებლოდ უნდა გადასცემოდა სომხეთს;

7. ოლთისის რაიონი და მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე არტაანის ნაწილი გამგებლობაში უნდა გადასცემოდა ბათუმში მყოფ ბრიტანეთის გუბერნატორს...;

8. ამ რაიონების ამა თუ იმ მხარის განმგებლობაში გადაცემა უნდა მომხდარიყო 1-ლი მაისიდან;

9. აუცილებელია გავიგოთ, რომ ყველა ეს გადაწყვეტილება დროებითია და ნაკარნახევია მხოლოდ კანონიერებისა და წესრიგის აღსადგენად... საქმე ეხება მხოლოდ სამოქალაქო მმართველობას და ლაპარაკიც კი ზედმეტია ამ რაიონების სამხედრო ოკუპაციაზე..."[85].

ეს პირობები არ მიიღო საქართველოს მთავრობამ, რის საპასუხოდ გენერალ-მაიორი ტომსონი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს კვლავ უგზავნის 15 აპრილს ტელეგრამას: „თქვენო უმაღლესობავ, თქვენს მიერ ჩემი გადაწყვეტილებების მიუღებლობის გამო, რომელიც ითვალისწინებდა ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის და ახალქალაქის მაზრის დროებით განაწილებას სომხეთსა და საქართველოს შორის და თქვენი გადაჭარბებული მოთხოვნის გამო, რომელიც შეეხებოდა ფოცხოვის ოლქის სამხრეთ საზღვარს, რომლის განმგებლობაში გადაცემა პარიზის საზავო კონფერენციამდე განსაზღვრული მქონდა საქართველოსთვის, გადავწყვიტე 1919 წლის იანვარში, თბილისში, ჩატარებული ადგილობრივი კონფერენციის გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ იქნეს აღდგენილი. ამიტომ თქვენს მიერ მკაცრად უნდა იყოს დაცული ინსტრუქციები ამ გადაწყვეტილებების გასატარებლად: 1. ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონა პარიზის სადავო კონფერენციამდე იქნება ბრიტანეთის ადმინისტრაციის მმართველობაში. არავითარი ჩარევა არც სომხეთის, არც საქართველოს მხრივ, არ დაიშვება.

2. ახალქალაქის მაზრაში ქართველთა გარნიზონი უნდა შემცირდეს საქართველოსა და სომხეთს შორის მშვიდობიანი შეთანხმების დროს დადგენილ რაოდენობამდე... ე. ი. 225 ქვეითი ჯარისკაცი და ტყვიამფრქვეველთა ერთი რაზმი, ორი ტყვიამფრქვევით.

3. არტაანის რაიონის ფოცხოვის ოლქი იქნება ბრიტანეთის მმართველობაში, ამიტომ ქართულმა ჯარმა უნდა დაიხიოს დაუყოვნებლივ საქართველოსკენ.

4. საქართველოს ჯარების გადაადგილება უნდა დამთავრდეს 1919 წლის 20 აპრილის 1 საათამდე"[86].

რა ინტერესები აქვს ინგლისს საქართველოში? რატომ ერევა იგი მის შინაურ საქმეებში? როდესაც 1918 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ინგლისელები თბილისში შემოვიდნენ, გენერალ-მაიორმა ტომოსნმა განაცხადა, რომ ინგლისის ჯარი მოდის წესრიგის დასამყარებლად კასპიისა და შავ ზღვას შორის მდებარე რუსეთის ტერიტორიაზეო[87]. ამ განცხადებამ საქართველოს მთავრობის უკმაყოფილება გამოიწვია და გენერალს მთავრობამ პროტესტით მიმართა. ამის შემდეგ მათ განაცხადეს, რომ ინგლისელები სიმპატიით უყურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას დამის შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან. მუდროსის დროებითი ზავის მიხედვით ანტანტის სახელმწიფოთა ჯარებს უნდა დაეკავებინათ ყველა ის მხარე, რომელიც ოკუპირებული ჰქონდათ ოსმალებს. 1918 წლის 22 დეკემბერს ინგლისელთა ჯარი შევიდა ბათუმში და დაიწყო მთელი ოლქის ოკუპაცია. ბათუმის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა კუკ-კოლისი[88].

როდესაც ოსმალეთი საბოლოოდ დამარცხდა, საქართველოს მთავრობა შეუთანხმდა ოსმალეთის მთავრობას, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები დაეცალა ერთი თვის განმავლობაში. 1918 წლის 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე. დაცლისთანავე იქ შევიდნენ საქართველოს ჯარები და ამ მაზრების გუბერნატორად დანიშნული იყო მაყაშვილი, მაგრამ როგორც კი ოსმალებმა გაათავისუფლეს ახალქალაქის მაზრა, მაშინვე დაარსდა იქ კომისარიატი და გამოცხადებული იყო ყარსში „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობა", რომელიც მიზნად ისახავდა აჭარა,

არტაანის მხარე, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრა გაერთიანებულიყო ყარსის ოლქთან და შექმნილიყო ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც გააერთიანებდა მაჰმადიანურ მოსახლეობას. ამ მოძრაობას სათავეში ედგა სერვერ-ათაბეგი ჯაყელი, ქობლიანელი პრინცი. ინგლისელები მას დახმარებას დაჰპირდნენ, მაგრამ როცა აღმოჩნდა რომ ეს „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობა“ უმწეო იყო, რომ სერვერბეგ ათაბაგი ოსმალურ პოლიტიკას აწარმოებდა, ინგლისელებმა მათ ზურგი შეაქციეს. თებერვალში ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გ. მაზნიაშვილი, ხოლო 15 თებერვალს გ. მაზნიაშვილის მაგივრად, გენერალ-გუბერნატორად და მაშასადამე ფრონტის სარდლადაც დაინიშნა გ. კვინიტაძე[89]. ქართულმა ჯარებმა დაიკავეს ახალციხე და ახალქალაქიც, ხოლო 20 აპრილს მათ დაიკავეს არტაანიც. არტაანის დაკავება ფორმალურად არღვევდა ინგლისური ოკუპაციის ხელისუფლებას, თუმცა იქ ჯერ ინგლისური ჯარი არ იდგა, ამიტომ გენერალ ტომსონის შემდეგ დანიშნულმა გენერალმა კორიმ კატეგორიულად მოითხოვა არტაანიდან ქართული ჯარის გაყვანა. მოლაპარაკებათა შემდეგ ქართული ჯარები გამოყვანილი იყვნენ და არტაანში დატოვებული იქნა 50 კაცისაგან შემდგარი მცირე ქართული რაზმი. 1919 წლის 15 მაისს გენერალ-მაიორი კორი წერილს უგზავნის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელშიც ჩამოთვლილია მათ შორის მიღწეული მოლაპარაკების პირობები:

„1. საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია და შეიძლება იყოლიოს ჯარი ფოცხოვის ხეობაში (წინა მოლაპარაკების მიხედვით საქართველოს ამის უფლება არ ჰქონდა. შენ. ნ. მირიანაშვილის).

2. საქართველოს ჯარები დაუყოვნებლივ უნდა გავიდნენ არტაანის ოლქის დანარჩენი ნაწილიდან, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც რჩება ქალაქ არტაანში.

3. ეს ნაწილი რჩება ქალაქ არტაანში შემდეგი პირობების დაცვით:

ა) არავითარი საჯარისო ნაწილები არ გამოელენ ქალაქ არტაანიდან;

ბ) თუ გენერალი კუკ-კოლისი არტაანში ყოფნის შემდეგ გადაწყვეტს, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაშინ მას უფლება აქვს უბრძანოს ამ ნაწილს, დატოვოს ქალაქი;

გ) თუ გენერალი კუკ-კოლისი უბრძანებს ამ ნაწილს არტაანიდან გასვლას, მან ეს ბრძანება უნდა შეასრულოს, ყოველგვარი განსჯის გარეშე"[90].

1919 წლის 31 მაისს კი გენერალმა კორიმ საქართველოს მთავრობას მოსთხოვა ეს მცირე ქართული ნაწილიც გაეყვანა არტაანიდან და ამისთვის მოიმიზეზა, რომ იქ ინგლისურ რაზმს გავგზავნითო და მისი მოსვლისთანავე ქართული არმიის ნაწილებმა უნდა დატოვოს ქალაქიო. ამასობაში არტაანში გამოჩნდა სომხური ჯარის ოფიცერი და აშკარა გახდა, რომ ინგლისელებს სურდათ არტაანის მხარე სომხებისათვის გადაეცათ; მაგრამ ქალაქ არტაანში საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი და ქართული მცირე რაზმი მაინც დატოვებული იქნა, ხოლო შემდეგში შემოყვანილი იქნა სომხური რაზმი და ინგლისური ჯარის ნაწილიც[91].

რა შედგი მოგვცა ახალციხის ლაშქრობამ, რომელიც 3-4 თვეს გრძელდებოდა და ძალზედ ძვირად დაგვიჯდა? არტაანის ოლქი მტკვრის სამხრეთით სომხებს გადასცეს, რომლებსაც არანაირი კავშირი არა ჰქონდათ ამ მხარესთან. გ. კვინიტაძე თავის მოგონებებში გულისტკივილით წერს: „ჩვენ ქართველებმა დავიპყარით ეს ადგილები, ჩვენი სისხლი დავღვარეთ და უცებ ეს მხარე იმათაც კი აღარ გადაეცით, ვისაც ვებრძოდით, არამედ მესამე პირს. ჩვენმა დიპლომატიამ კვლავ ვერ გამოიყენა ჩვენი წარმატება. იქნებ თქვან, რომ დიპლომატიამ ყველაფერი იღონა, მაგრამ იძულებული გახდა გამარჯვებული ინგლისელების სურვილს დამორჩილებოდა. მაგრამ დიპლომატიის სიმარჯვე სწორედ საკუთარი სურვილის მიღწევაში გამოიხატება, სწორედ ამით გამოვლინდა ჩვენი დიპლომატიის სისუსტე, სომხეთის დიპლომატიასთან შედარებით, რომელმაც თავისას მიაღწია, თუმცა ამისთვის არ გააჩნდათ არც იურიდიული, არც მორალური და არც ყველასაგან აღიარებული ძალისმიერი, ბრძოლით მოპოვებული უფლება, მაშინ რო-

დესაც ყველა ეს უფლება უდავოდ ჩვენ გვეკუთვნოდა"[92]. ამ დანაკლისის მიუხედავად ქართულმა ჯარმა დიდ წარმატებას მიაღწია, გაანადგურა ე. წ. „სამხრეთ-კავკასიის მთავრობა" და ღირსეულად დაიცვა თავისი მიწა-წყალი.

ახალი საფრთხე საქართველოს პარიზის კონფერენციაზე დაემუქრა კვლავ სომხეთის სახით. პარიზის სამშვიდობო კონფერენცია მიმდინარეობდა 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 21 იანვრამდე, შესვენებებით. საქართველომ კონფერენციაზე თავისი დელეგაცია გააგზავნა ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით. 1919 წლის ივლისში, დელეგაციამ რომლის შემადგენლობაში იყვნენ ი. წერეთელი, ი. ჯავახიშვილი, ზ. ავალიშვილი, გრ. რცხილაძე, ნ. ჯაყელი, ნ. ოდიშელიძე და სხვები, საზავო კონფერენციის სამდივნოს გადასცა მემორანდუმი, სადაც ჩამოყალიბებული იყო საქართველოს ტერიტორიული შემადგენლობა: „საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხს და რომელსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამავე დროს, სხვა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხება... საქართველოს დელეგაცია ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალის და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთისი და არტაანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპეზუნის ვილაიეთი"[93].

სომხები ამ კონფერენციაზე ზემოთ ხსენებული თავისი ფანტასტიკური რუკით წარდგნენ. „ასეთი ფანტასტიკური რუკის წინააღმდეგ ოსმალეთის დელეგაციას დიდი ბრძოლა არ დასჭირვებია. მან დაამტკიცა სტატისტიკური ცნობებით, რომ სომეხთა მოსახლეობის ომამდე არსებული რაოდენობის მიხედვითაც ამ უზარმაზარ სახელმწიფოში, ოთხკუთხა ვერსზე 2-3 სულზე მეტი სომეხი არც კი ეყოლებოდათ. თვით ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი წარმომადგენლების თვალში სომეხთა დელეგაციის ფანტასტიკურ გეგმებს ყოველგვარი ნდობა დაეკარგა... მთელი ეს უცნაური მითი, დაუჯერებელი სიბეცის მომასწავებელი,

უზარმაზარი სომხეთის გეგმა დაიმსხვრა და საპნის ბუშტივით გაქრა“[94].

მიუხედავად ამისა სომხებისადმი მხარდაჭერა ანტანტის სახელმწიფოთა მიერ აშკარა იყო. სომხეთის საკითხის გამოსარკვევად შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შედიოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის წარმომადგენლები. აღნიშნული კომისია თვლიდა, რომ სომხეთს გასასვლელი უნდა ჰქონოდა ზღვისაკენ. სომხეთის დელეგაციის აზრით, გასასვლელი გზა უნდა მისცემოდა სომხეთს ტრაპიზონის ვალაიეთში, თან სომხეთს უნდა მიმატებოდა მცირე აზიის სანაპიროები ტირებოლიდან (ტრაპიზონის დასავლეთით მდებარეობს) ხოფამდე. ამგვარად, მომავალ სომხეთში შევიდოდა თითქმის მთელი ლაზისტანის სანჯაყი, რომელზედაც თავისი უფლებები განაცხადა საქართველომ პარიზის კონფერენციაზე. საქართველოს დელეგაცია მოითხოვდა ლაზისტანს და შუა ჭოროხზე ისპირისაკენ საზღვრების გამოსწორებას საქართველოს სასარგებლოდ. მოითხოვდა აგრეთვე ყარსის დასავლეთ ნაწილეს ე. ი. არტაანისა და ოლთისის მხარეს[95].

ამ საკითხებზე დიდი დავა ატყდა პარიზში, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ამიტომ ეს საკითხი განსახილველად გადაეცა ლონდონის უმაღლეს საბჭოს. სამი რესპუბლიკის დელეგაცია ლონდონში გადავიდა. ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა შემდეგი გეგმა: ბათუმი თავისუფალ ქალაქად გამოეცხადებინათ და გარდა თვით ბათუმისა მისთვის გადაეცათ მიმდებარე ტერიტორიის მცირე ნაწილი. ბათუმის ოლქის დანარჩენი ნაწილი უნდა გაეყოთ საქართველოსა და სომხეთს შუა. სახელდობრ საქართველოს შეუერთდებოდა ჩრდილო და აღმოსავლეთი ნაწილი ოლქისა, სომხეთს კი მიეცემოდა სამხრეთში, ართვინის რაიონი. სომხეთ-საქართველოს დანარჩენი საზღვრების გამიჯვნა რჩებოდა ამ რესპუბლიკების საკუთარ საქმედ. ლაზისტანი ცხადდებოდა ავტონომიურ ერთეულად, სომხეთის სუვერენიტეტის ქვეშ. უნდა დაეწესებინათ თავისუფალი ტრანზიტი ამიერკავკასიაზე. ბათუმს

დაიჭერდნენ ინგლის-საფრანგეთ-იტალიის შერეული რაზმები[96].

ამაზე საქართველოს დელეგაციამ 1920 წლის 16 მარტს უმაღლეს საბჭოს მიმართა შემდეგი ნოტით: „1. ბათუმის ოლქი, ბათუმისა და ართვინის მაზრების შემადგენლობით, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველი მუსლიმანები არიან, უნდა შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიას. 2. ბათუმის ოლქის დაყოფა, და რომელიმე მისი ნაწილის სხვა და არა, საქართველოს შემადგენლობაში შეტანა, უსათუოდ გამოიწვევს უღრმეს უთანხმოებას და გაამწვავებს ურთიერთობას ამიერკავკასიის მეზობელ ხალხთა შორის. 3. თუ იქნება დამტკიცებული, რომ გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული თუ სხვა რაიმე პირობების გამო ზღვაზე გამოსავალმა სომხეთის გზამ უსათუოდ უნდა ჩაიყოლიოს იმ ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც ქართველი ხალხი თავის ეროვნულ კუთვნილებად სთვლის და რომლის მიღებას ამ საბუთით სცდილობს, — ქართველი ხალხის უფლებები უნდა იქნეს შეწყნარებული. ზღვისკენ ზემორეხსენებული გასავალი ე. ი. სომხეთის რკინიგზის მიბჯენა შავ ზღვაზე განზრახულ გასავალზე შესაძლებელია მოეწყოს სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე, და ვნება არ მიეცეს ამ ტერიტორიების მიმართ საქართველოს სუვერენობას. 4. ბათუმის ავტონომიური რესპუბლიკის დაარსება, რომელშიც შევა აგრეთვე ბათუმის ოლქის ნაწილი, აუცილებლად გამოიწვევს ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის ისედაც საკმაოდ რთული ურთიერთობის კიდევ მეტ გართულებას...

6. საქართველოს მთავრობა ადასტურებს თავის წინანდელ პრეტენზიებს... ყარსის ოლქის ორ ნაწილზე: არდაგანსა და ოლთისზე“[97].

შეთანხმება ლონდონშიც ვერ მოხერხდა. მათ შორის დავის გადაწყვეტა სან-რემოს კონფერენციას მიენდო, რომელიც მიმდინარეობდა 1920 წლის 20 აპრილს. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურად არც სომხები და არც აზერბაიჯანელები არ უარყოფდნენ საქართველოს უფლებას ბათუმზე, შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა. სომხეთი მოითხოვდა ყარსი-ბათუმის რკინიგზის ტერიტორიის მათ

ხელში გადაცემას, რაზედაც ქართულმა დელეგაციამ უარი განაცხადა.

„ამრიგად უნაყოფო გამოდგა ეს პირველი და არსებითად ერთადერთი ცდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა წესრიგში სერიოზულად დაესვათ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მომავლის კითხვა და გადაეწყვიტათ იგი მათი დამოუკიდებლობის საფუძველზე“[98].

1919 წლის აგვისტოს დამდეგს ინგლისელებმა დატოვეს მათ მიერ დაკავებული ზონა არტაანის მხარეში. მათი დადგენილების თანახმად ეს მხარე სომხეთს უნდა გადასცემოდა, მაგრამ ქართული რაზმის მეთაურმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გაატარა სათანადო ზომები და არტაანში სომხები არ შეუშვა. თანაც გამოაცხადა, რომ არტაანის ჩრდილოეთი, სადაც აქამდე ინგლისელები იდგენ საქართველოს უერთდებაო. ამ გზით არტაანის ჩრდილო ნაწილი ფაქტიურად საქართველოს მიემატა და 1920 წლის ნოემბერში, როდესაც ოსმალეთ-სომხეთის ომი მიმდინარეობდა, სომხები იძულებული გახდნენ ოსმალების მიერ ყარსის დაკავების გამო, გზის გადაჭრის შედეგად, არტაანის ოლქის სამხრეთი ნაწილი მიეტოვებინათ. ქართველებმა დაიკავეს სომხეთის მიერ მიტოვებული არტაანის სამხრეთი ნაწილი და ამგვარად მთელი არტაანის მხარე საქართველოს ხელში აღმოჩნდა[99].

1919 წლის აგვისტოდან დაიწყო ბორჩალოს მაზრიდან და მესხეთიდან ინგლისის ჯარების გასვლა. დარჩა ჯარი მხოლოდ ბათუმში. ინგლისელების წასვლა ამიერკავკასიიდან ნიშნავდა ამ ქვეყნის თავისებურ მიტოვებას, როდესაც მას უკვე უახლოვდებოდა ჩრდილოეთიდან რუსეთი და სამხრეთიდან კი ახალი ოსმალური ჯარები ირაზმებოდნენ. ჯერ განუმტკიცებელ საქართველოს რესპუბლიკას დამხმარე ხელი ესაჭიროებოდა. 1920 წლის ივლისში ინგლისმა ბათუმიც დატოვა. თბილისი შეშფოთებით შეხვდა ცნობას ბრიტანეთის ჯარების გაყვანის შესახებ. საქართველოს მთავრობის წევრები მიუთითებდნენ ინგლისის ჯარების მთავარსარდლობას ამიერკავკასიაში შექმნილ საერთო პირობებსა და საქართველოს საზღვრებზე არსებულ სახიფა-

თო მდგომარეობაზე. ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ, რუსეთის მხრიდან აგრესიის საშიშროებას, მას შემდეგ, რაც 1920 წლის 27 აპრილს რუსეთმა აზერბაიჯანი დაიკავა, ეს საშიშროება კიდევ უფრო იზრდებოდა, მაგრამ ბრიტანეთის ინტერესები მოითხოვდნენ რუსეთის წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში ჩარევისაგან უარის თქმას. ამასთან მენშევიკების მთავრობამ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, როცა საქართველო-რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში დათანხმდა მუხლს საქართველოს ტერიტორიებიდან უცხო ჯარების გაყვანის შესახებ. რუსეთი მოუთმენლად ელოდა ინგლისელების გამგზავრებას. საქართველოს უღელტეხლების ნეიტრალიტეტს ხელი უნდა შეეწყო მის მიერ გამიზნული აგრესიისათვის, რადგან ნეიტრალური ზონა ისე იყო გაანგარიშებული, რომ ქართველი მაშველი ჯარების მოსვლა და დამუქრებული წერტილების დაცვა შეუძლებელი იქნებოდა მოულოდნელი შეტევის შემთხვევაში[100]. საქართველო მარტოდმარტო დარჩა.

ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონიდან ინგლისის ჯარის ევაკუაციის შემდეგ, 29-30 აგვისტოს შედგა საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლების თათბირი ნეიტრალურ ზონაში მართვა-გამგეობის საკითხის მოსაგვარებლად. სხდომას დაესწრო მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელი გენერალი ბიჩი, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები გ. საბახტარაშვილი, ს. მდივანი და სარდალი გედევანიშვილი, სომხეთის მთავრობიდან მამიკონიანი, ხაჩატურიანი და სარდალი ქიშმიშევი, სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „1. ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის ადმინისტრაცია დარჩეს შერეული (ქართულ-სომხური) ბრიტანეთის ოფიცრის ხელმძღვანელობით და კონტროლის ქვეშ. 2. შერეული ადმინისტრაციის არბიტრად დანიშნულ ბრიტანეთის ოფიცერს საცხოვრებელ ადგილად შეუძლია აირჩიოს სურვილისამებრ ალავერდი ან თბილისი. 3. ნეიტრალური ზონის მართვა-გამგეობის ხარჯი განაწილებული იქნეს საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკათა შორის. 4. დარჩეს შეუცვლელი ის ხაზი,

სადაც დაბინავებულია ქართული და სომხური გარნიზონი და აგრეთვე რაოდენობა ამ გარნიზონისა“[101].

1919 წლის სექტემბერში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ჭიჭინაძემ საქართველოს მთავრობის წინაშე დასვა საკითხი ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში მილიციის გაძლიერების შესახებ. როგორც იგი აღნიშნავდა: „მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ნეიტრალური ზონის მომავალი ბედი, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ორგანიზაციის მილიცია იმოქმედებს და რომელი რესპუბლიკის, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ზონის ერთ-ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიწერის საკითხისათვის“[102].

დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი „საქართველოს და სომხეთს შორის ნეიტრალური ზონის მილიციის შტატის შემოღების“ შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1920 წლის 16 მარტს[103].

1920 წლის სექტემბერში დაიწყო ოსმალეთ-სომხეთის ომი, ოსმალებმა თანდათანობით დაიკავეს გუმბრი, ყარაქილისი, მიუახლოვდნენ ლორეს ნეიტრალურ ზონას. სომხებმა დასახმარებლად საქართველოს მიმართეს. 1920 წლის 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთს შორის დაიდო შეთანხმება ქართული ჯარების ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში დროებითი შეყვანის შესახებ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრმა გრ. ს. ლორთქიფანიძემ და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კ. ბ. საბახტარაშვილმა, სომხეთის მხრიდან დელეგაციის თავმჯდომარემ ს. გ. მამიკონიანმა, გ. ა. ბეკზადიანმა და ს. ა. ხაჩატურიანმა. შეთანხმება ითვალისწინებდა შემდეგ პირობებს;

„1. სომხეთის მთავრობა თანახმაა საქართველოს მთავრობის წინადადებაზე ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარების შეყვანის შესახებ.

2. ქართული ჯარების ყოფნა ნეიტრალურ ზონაში არ აძლევს მათ არავითარ ახალ უფლებას ამ ტერიტორიაზე.

3. ადმინისტრაცია რჩება ძველ საფუძვლებში.

4. ყველაფერი რაც საჭიროა ჯარისათვის, ყიდულობს თავისუფალ ფასებში, არ მიმართავს რეკვიზიციას.

5. აუცილებლობის შემთხვევაში ნეიტრალურ ზონაში შეუშვებენ ლტოლვილებს სომხეთიდან, დაახლოებით 10000 კაცს.

6. სომხეთის მთავრობის და მისი დაწესებულებების სახელმწიფო ქონება წინააღმდეგობების გარეშე უნდა გადარდეს ნეიტრალურ ზონაში, ამასთან ეს ქონება რჩება სომხეთის სრულ საკუთრებაში და მისი მოთხოვნისთანავე დაუბრუნდება მას.

7. მოცემული შეთანხმების ზუსტად შესრულებაზე თვალყურის სადევნებლად საქართველოს ხელმძღვანელობასთან ერთად ნეიტრალურ ზონაში იმყოფება სომხეთის მთავრობის განსაკუთრებული წარმომადგენელი.

8. ეს შეთანხმება იდება სამი თვის ვადით, სამი თვის შემდეგ შეიძლება მისი გაგრძელება მხოლოდ ორივე მხარის შეთანხმებით. თუ ახალი შეთანხმება არ დაიდება, ეს შეთანხმება კარგავს ძალას, ჯარი გადის და აღდგება ძველი ტერიტორია.

9. შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და დგება ორ ეგზემპლარად"[104].

1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მთელს კავკასიაში მარტო საქართველო დარჩა· დამოუკიდებელი. საქართველოს საფრთხე ყველა მხრიდან მოელოდა. ერთ-ერთ ასეთ სახიფათო ზონას ბორჩალოს მაზრის ე. წ. ნეიტრალური ზონა წარმოადგენდა. „დღეს ერევნის საბჭოთა რეჟიმის სამხედრო ძალთა გამგებელი გენერალი ჰდრო ბრძანდება, ის ჰდრო, რომელმაც 1918 წელს ბორჩალოს კამპანიას სული ჩაუდგა და რომელიც მაშინ თბილისისაკენ მოექანებოდა! აშკარაა გენერალი ჰდრო ისარგებლებს დღევანდელი მომენტით, რომ ეს თავის გულისწადილი აღსრულებაში მოიყვანოს. სადემაგოგიო მასალა კარგი იქნება: ქართველებმა დაიჭირეს ნეიტრალური ზონა, ეს ზონა უნდა დავიბრუნოთ! ამ ნეიტრალურ ზონაში სომხური ბოლშევიკური მუშაობა სწარმოებდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სომხეთს არც ქემალი მოელინებოდა და არც საბჭოთა რუსეთი. გარდა საერთო

სამხედრო სამზადისისა, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ ზონას კერძოთ და ხოლო საერთოდ ბორჩალოს მაზრას. აუცილებელია აქ დაუყოვნებლივ დამყარდეს საგანგებო წესები, გამკაცრდეს ხელისუფლება და ყოველი ცდა სამოქალაქო მშვიდობიანობის დარღვევისა და ანარქიის გამოწვევისა, უსასტიკესი სასჯელით იქნას ჩაქრობილი“[105].

საბჭოთა სომხეთის საგარეო საქმეთა კომისარმა ბეკზადიანმა 1920 წლის 28 დეკემბერს ნოტა გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, სადაც იგი აღნიშნავს, რომ არ სცნობს დაშნაკთა მთავრობის და საქართველოს შეთანხმებას, რომლის ძალითაც დაჭერილია ნეიტრალური ზონა საქართველოს ჯარების მიერ და მოითხოვს რომ საქართველომ დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები ნეიტრალური ზონიდან[106].

საქართველოს მთავრობამ სომხეთის საბჭოთა მთავრობას შესთავაზა საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა, რაზედაც საბჭოთა სომხეთის მთავრობა დათანხმდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვილი 1921 წლის 5 იანვარს უგზავნის ნოტას სომხეთის საგარეო საქმეთა კომისარს ბეკზადიანს: „ჩვენს წინადადებაზე, სადაო კითხვათა მშვიდობიანობის გზით გადასაწყვეტად მოლაპარაკების გამართვის შესახებ, თქვენს მიერ თანხმობის აღიარების გამო, ჩემის მთავრობის დავალებით გთხოვთ, წარმოაგზავნოთ თბილისს თქვენი რწმუნებული, ამ რწმუნებულთა მოლაპარაკების საგანს შეადგენს ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილის საკითხი და მასთან დაკავშირებული თქვენს მიერ აღძრული კითხვები. ამ მოლაპარაკებაში რ.ს.ფ.ს.რ. წარმომადგენლის მონაწილეობას პრინციპულად არ უარყოფს ჩემი მთავრობა, მაგრამ ჰფიქრობს რომ მისი მონაწილეობის ფორმის შესახებ კითხვა უნდა იყოს განხილული სომხეთისა და საქართველოს რწმუნებულების მიერ საერთოდ, რაც შეეხება იმ ფაქტიურ მდგომარეობას, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკის ჯარის მიერ დაკავებული იქნა ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილის თქვენს მიერ აღნიშნული ადგილები, მე თანახმად სარწმუნოდ შემოწმებულ ცნობათა ვაცხა-

დებ, რომ ამ ადგილთა დაკავება მოხდა სრულიად უმტკივნეულოდ და არავითარ ექსცესებს ადგილი არ ჰქონდათ. პირიქით ადგილობრივნი მცხოვრებნი კმაყოფილნი იყვნენ იმ გარემოებით, , ვინაიდან ქართველ ჯარის ნაწილთა გადმოსვლამ შეაჩერა ლტოლვილთა ტალღა და დაცარიელებულ სოფლებს კვლავ უბრუნდებიან მცხოვრებნი"[107].

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1921 წლის 21 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ნეიტრალური ზონის მცხოვრებთა დეპეშა, რომელიც მათ გაუგზავნეს საქართველოს დამფუძნებელ კრებას: „ჩვენ სოფელ გერგერის მცხოვრებლებმა რუსებმა და სომხებმა და სოფელ გულაკარაკისა და აპარაცის მცხოვრებლებმა მოვისმინეთ რა დამფუძნებელი კრების წევრების კოვალოვის და ჩხეიძის მოხსენებანი, დავადგინეთ მივესალმოთ დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და ვთხოვოთ მათ მფარველობა.

სოფელ კარაკალას, კარაისარისა და სუხბულახის წარმომადგენლების საერთო ყრილობამ დაადგინა: მიესალმონ დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და განაცხადოს, რომ ნეიტრალური ზონის საქართველოსთან შეერთება შეადგენს აღნიშნულ სოფლებში მცხოვრებ მუსულმანების დიდი ხნის ოცნებას.

სოფელ ნოეო-ალექსანდროვკას, ჯალალ-ოღლისა და მათ შორის ნიკოლაევსკისა, ურუტისა, ჰაიდერბეკისა, ნოეოია პოკროვსკისა, არმანისა, ვარტოპლასა და კურატანისა რუს და სომეხ მცხოვრებთა საერთო ყრილობამ დაადგინა მიესალმოს დამფუძნებელ კრებას და გამოსთქვას იმედი, რომ მთავრობა მიიღებს ზომებს და გაამაგრებს რესპუბლიკის საზღვრებს.

სოფელ აკარკასა, ლეჯამისა და ლორის საზოგადოებათა საერთო ყრილობამ დაადგინა მიესალმოს დამფუძნებელ კრებას და ხალხის ნებით აღჭურვილს მთავრობას, ყრილობა იმედოვნებს რომ მთავრობა მიიღებს ზომებს ხალხის კეთილდღეობის დასაცავად.

სოფელ ვორონცოვკას მოლოკანთა საერთო კრებამ საპატიო მოხუცთა თანდასწრებით დაადგინა: სთხოვოს კრებაზე მყოფ დამფუძნებელი კრების წევრებს მიესალმონ მათ მაგიერად დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და

უსურვონ საქართველოს რესპუბლიკას აყვავება. თავის მხრივ მცხოვრებლები აღუთქვამენ მათ სრულ დახმარების აღმოჩენას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში"[108].

საბჭოთა სომხეთის მთავრობა არ ცნობდა 13 ნოემბრის შეთანხმებას — იგი მათი აზრით იძულებით დაიდო. და დაშნაკების შეთანხმება სომხეთის საბჭოთა მთავრობისათვის არ იყო სავალდებულო. საერთაშორისო თვალსაზრისით სახელმწიფოს ყველა ვალდებულება სხვა სახელმწიფოს წინაშე ძალაში რჩება, მიუხედავად იმისა გამოიცვლება იქ მთავრობა თუ წეს-წყობილება.

საქართველოს მხარე აცხადებდა, რომ „ნეიტრალური ზონის" ხელშეკრულება იყო დროებითი, რომელიც ამიერკავკასიის სახელმწიფოებს თავს მოახვია ანტანტამ, ამიტომ ეს ტერიტორია კარგავდა ნეიტრალობას და უბრუნდებოდა საქართველოს, გარდა ამისა, 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა სცნო თბილისის გუბერნია საქართველოს შემადგენელ ნაწილად, ხოლო ლორეს მხარე თბილისის გუბერნიაში შედიოდა. ვითარება თანდათან იძაბებოდა საქართველოს მთავრობა მოახლოებულ საფრთხეზე ზუსტ ინფორმაციას იღებდა. უმცირესი ეჭვიც კი აღარ არსებობდა. ნათელი იყო რა განზრახვა ჰქონდა მტერს. საქართველოს წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ, რომ საბჭოთა სომხეთის უკან საბჭოთა რუსეთი იდგა და სწორედ მათი კარნახით მოქმედებდნენ საქართველოს წინააღმდეგ.

სომხეთ-საქართველოს 1920 წლის 13 ნოემბრის შეთანხმებით საქართველოს ჯარს ლორე უნდა დაეტოვებინა 3 თვის შემდეგ ე. ი. 1921 წლის 13 თებერვალს. სწორედ იმავე ხანებში საქართველოს მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება გასაბჭოებულ სომხეთის მთავრობასთან და მიაღწია იმას, რომ 1921 წლის 15 თებერვალს უნდა მომხდარიყო სომხეთისა და საქართველოს დელეგაციათა შეხვედრა, ყველა სადავო საკითხის გადასაწყვეტად. მაგრამ მას ეს არ დასცალდა. საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა ჯარებმა სომხეთის მხრიდან დაიწყეს საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები. მათ სწორედ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში მოაწყეს „მშრომელი ხალხის" აჯანყების ინ-

სპირირება. ეს ნათლად ჩანს ს. ორჯონიკიძის სიტყვებიდან: „ლორეს გლეხები აჯანყდნენ მენშევიკური საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ... სამი-ოთხი დღის განმავლობაში არა მარტო ნეიტრალური ზონა, არამედ თითქმის მთელი ბორჩალოს მაზრა გათავისუფლებული იქნა მენშევიკური ჯარებისაგან. ნოე ჟორდანიას მთავრობამ მიუხედავად ამხ. ჩიჩერინის წინადადებისა, რომ სასაზღვრო დავა სომხეთთან ნეიტრალური ზონის შესახებ გადაეწყვიტა საბჭოთა რუსეთის შუამავლობის გზით, გადაწყვიტა ცეცხლითა და მახვილით მოეღო ბოლო აჯანყებისათვის. ცხადია, რა თქმა უნდა, რომ გვერდით მდგარ წითელ არმიას არ შეეძლო გულგრილად ეცქირნა, თუ როგორ დახვრეტდნენ მენშევიკები საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად აჯანყებულ გლეხებს. ცეცხლში გახვეული სოფლები ვორონცოვკა და პრიოლნოე ის სიგნალი იყო, რომელიც წითელ არმიას აჯანყებულ გლეხთა დასახმარებლად მოუხმობდა“[109].

ასე ტრაგიკულად დაასრულა დამოუკიდებელმა საქართველომ თავისი არსებობა. ამ მცირე მანძილზე საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო საქართველო-სომხეთის სასაზღვრო საკითხების გადაწყვეტა, საზღვრების საკითხი კვლავ ღიად რჩებოდა. ამ გარემოებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა არა თანმიმდევრულმა პოლიტიკამ. მათ კარგად არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობის საძირკველს ტერიტორია წარმოადგენდა და ხშირად პარტიულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ ვიდრე ეროვნულს. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა კომპრომისული იყო ეროვნულ საკითხში და ხშირად საკითხებს „დემოკრატიისა და ერთა სოლიდარობის“ ლოზუნგით სწყვეტდნენ. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველო-სომხეთის ომის შედეგები, როცა სადაოდ გავხადეთ, ის, რაც უდავოდ ჩვენ გვეკუთვნოდა.

თავი II

საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ცვლილებები 1918-1921 წწ.

საქართველოს საზღვრის ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი სექტორი მოიცავს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს. 1918-21 წლებში დავას იწვევდა ამ სექტორში მდებარე ზაქათალის ოლქი, იგივე საინგილო.

საინგილო უძველეს დროში წარმოადგენდა ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომით ჰერებით. ძველთაგანვე ჰერებისა და ქართველების საერთო სამეურნეო და კულტურულმა საქმიანობამ და მჭიდრო მეზობლობამ, აგრეთვე ქართველების მიგრაციამ ჰერეთისაკენ განაპირობა მათი გაქართველება და ქართველებთან კულტურულ-ეთნიკური შერწყმა. IV-V სს. ჰერეთი საქართველოს პოლიტიკურად ერწყმის და საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში მის ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენს[110].

XI-XII საუკუნეებში ჰერეთი ეწოდებოდა ალაზნის გაღმა მხარის აღმოსავლეთ ნაწილს საინგილოთურთ და დაღესტნის მიმდგომ თიანეთს. XII საუკუნის ბოლოს ჰერეთის ერისთავები, გიშელები ხელში იგდებენ საარიშიანოს (შაქს), ამის გამო XIII საუკუნეში ჰერეთს უკვე სხვა მნიშვნელობა ეძლევა. იგი ეწოდება ტერიტორიას, რომელიც მოიცავს ჰერეთის ძველ საერისთავოს შაქიანად[111].

XV საუკუნიდან სახელწოდება „ჰერეთი“ ქრება პოლიტიკური ნომენკლატურიდან და კახეთ-ჰერეთის მთელ ტერიტორიას მდინარე არაგვიდან მოყოლებული მდინარე გიშისწყალამდე კახეთი ეწოდება. XVIII ს. მოხდა ამ მხარის საქართველოდან ჩამოშორება და იქ ლეკების გაბატონება. ლეკებმა ირანის და თურქეთის დახმარებით ამ მხარის ადგილობრივი მცხოვრებნი, ქართველთა დიდი ნაწილი გაამაჰმადიანეს. გამაჰმადიანებულ გლეხებს შემდეგში ეძახდნენ „ინგილოებს“.

ტერმინი „საინგილო“ და „ინგილო“ მე-19 საუკუნეში შექმნილი ტერმინებია. „ინგილო“ ეწოდა მე-19 საუკუნეში საინგილოში მცხოვრებ უძველეს მკვიდრ ქართულ მოსახლეობას, უკეთ ამ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. სიტყვა „ინგილოს“ სხვადასხვანაირად ხსნიან. ზოგის აზრით, იგი სოციალური ტერმინია, ზოგი ფიქრობს, რომ ეს სიტყვა ახლად მოქცეულს, მორჯულებულს ნიშნავს. „ენგილა“ სპარსულად ამოძირკვულის, ამოგდებულის შესატყვისია. თვითონ ინგილოები ამ სიტყვის შემოღებას უკავშირებენ შაჰ-აბასის შემოსევას, რომლის დროსაც ქართველები გადარჯულდნენ, სპარსელების აზრით მორჯულდნენ ე. ი. გამაჰმადიანდნენ, ყოველივე ამაში ერთი უდავო ჭეშმარიტება ის არის, რომ სიტყვა ინგილო ეთნიკური ტერმინი არ არის და მისი შემოღება მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებს მიეწერება[112]. რუსები საინგილოს ჭარ-ბელაქანს (ელისუს სასულტანოს ჩათვლით) უწოდებდნენ.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, 1803 წელს რუსთა რაზმი ჭარ-ბელაქანში შეიჭრა და ბელაქანი დაარბია. ჭარ-ბელაქანი დროებით შემოერთებულ იქნა. რუსთა რაზმებთან ერთად ჭარ-ბელაქანის შემოერთებისათვის ლაშქრობაში 4500 ქართველი მონაწილეობდა, ქართველები თაეგამოდებით იბრძოდნენ დაკარგული ისტორიული ტერიტორიებისათვის. 1830 წელს რუსთა ჯარებმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ჭარ-ბელაქანი საბოლოოდ დაიპყრეს და იქ რუსული მმართველობა შემოიღეს. ამიერიდან საინგილო რუსული მმართველობის ერთიან სისტემაში მოექცა. მეფის რუსეთის დროს, ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფით, ჭარ-ბელაქანი 1803-1830 წწ. „საქართველოს მოხარკე ქვეყანა“ იყო. 1832-1845 წლებში საქართველოს უშუალო ნაწილი, 1844-1860 წლებში ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი, ხოლო 1860 წლიდან ვიდრე 1917 წლამდე ზაქათალის ოლქი იყო[113].

XIX ს. ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ჭარ-ბელაქანი, ელისუს სასულთნოს ჩათვლით, მდებარეობდა მდ. ყანი-ყობსა (აღმოსავლეთით) და გაეაზის წყალს (დასავლეთით) შორის. სამხრეთ-დასავლეთით მას ჩაუდიოდა მდინარე ალაზანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. აგრი-ჩაი

(ალაზნის შენაკადი),ხოლო ჩრდილოეთით საზღვარი გადადიოდა კავკასიონის გადაღმა და ებჯინებოდა ხორავის მთაგრეხილს, რომელიც მდინარე სამურის ჩრდილო შენაკადის – ყარა-სამურის სამხრეთით მდებარეობს. სამურის ზემო წელში მდებარე 6 სოფელი (დღევანდელი დაღესტნის რუთულის რაიონის ერთი ნაწილი), რომელიც ე. წ. წახურის მაჰალს შეადგენდა, ელისუს სასულტნოში შედიოდა. შემდეგში 1860 წელს რუსეთის მმართველობამ ჭარბელაქნის სამხედრო ოლქს „წახურის მაჰალი“ ჩამოაცილა, რითაც ამიერიდან რუსულ ლიტერატურაში უკვე ზაქათალის ოლქის სახელით ცნობილ ადმინისტრაციული ერთეულის ჩრდილო საზღვარმა კავკასიონის ქედზე გადმოინაცვლა[114].

„საინგილო დღევანდელი კახეთის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. აღმოსავლეთით მისი ჩრდილო საზღვარი კახეთის კავკასიონის (აღმოსავლეთი ნაწილის) წყალგამყოფ ხაზს ემთხვევა. დასავლეთით გაუყევება მდინარე მაწიმს (მაზიმ-ჩაის), რომელიც სათაესე კავკასიონის თხემთან (მთა ტინოეროსისთან) იღებს. გაივლის ლაგოდეხ-ბელაქანს შორის და მდინარე ალაზანს უერთდება. სამხრეთით საზღვარი მდინარე ალაზანს ემთხვევა და მდინარეების იორ-ალაზნის შესაყართან მთავრდება. აღმოსავლეთით საზღვარი გასდევს მდინარე გიშის წყალს, რომელიც ქ. ნუხსა და სოფელ გიშს შორის მიედინება და მდინარე აგრიჩაის უერთდება (აგრი-ჩაი ქართულად ნიშნავს „მრუდე წყალს“), აქედან საზღვარი ამ უკანასკნელ მდინარეს გადაკვეთს და კვლავ სამხრეთით მიემართება, გადაივლის უსახელო გორაზე (483 მ.), სოფელ ქვისწყაროს (ლაშბულაყ), აღმოსავლეთიდან ჩაუვლის აჯინოურის ველს და აჯინოურის ტბას გადაჰკვეთს, გადაივლის მთა კოჯაშენზე (451 მ.) და მდინარე იორ-ალაზნის შესართავამდე აღწევს, დღევანდელი კახის რაიონის აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე ყანი-ყობს (სისხლიანი ღელე) ემთხვევა“[115].

ზაქათალის ოლქი საინგილო- ძველი პერეთი, ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული ინგილო – ქართველებით და მდიდარი სწავლა-განათლებით, ერთგვარი ხიდი იყო საქართველოს დასაპყრობად მომავალი მტრებისათვის.

„მათ კარგად იცოდნენ, რომ ჯერ ეს გზა-ხიდი უნდა მოესპოთ და შემდეგ გამაგრებულიყვნენ საქართველოში. ეს ის პლაცდარმი იყო, რომლის დამპყრობელსაც შეეძლო მუდამ შიშსა და მორჩილებაში ჰყოლოდა მთელი კახეთი და აღმოსავლეთი საქართველო“[116].

გეოგრაფიულად ზაქათალის ოლქი შემოჭრილია ერთი წვერით სიღნაღის მაზრაში, თიოქმის 80 ვერსის მანძილზე, რაც უფრო აახლოვებს მას როგორც კახეთთან, ისე თბილისთან. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ოლქს სამხედრო თვალსაზრისით.

ოლქი ადმინისტრაციულად თბილისის გუბერნიაში შედიოდა. 1917 წლის თებერვლიდან რუსეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ზაქათალის ოლქის მანამდე შედარებით მშვიდი ცხოვრებაც გაართულა. რევოლუციით გამოწვეულ არეულობაში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული და მაშასადამე არც საქართველოს მთავრობა არსებობდა, ოლქს დაეპატრონა აზერბაიჯანი.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. დღის წესრიგში მაშინვე დადგა საზღვრების გამიჯვნის საკითხი. აზერბაიჯანელები საზღვრების საკითხის გადაწყვეტას მოითხოვდნენ რელიგიურ საფუძველზე, ამ პრინციპით აზერბაიჯანის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო საინგილო, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა და ბათუმის ოლქი. გამიჯვნის ეს პრინციპი საქართველოს მთავრობისთვის მიუღებელი იყო. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა საზღვრების საკითხში ეხელმძღვანელა ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიური, სტრატეგიული საკითხების გათვალისწინებით. 1918 წლის 11 ივნისს, როგორც აღვნიშნეთ შეიქმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ ი. წერეთელი, დავით ონიაშვილი, პაველ ინგოროყვა და ნიკოლოზ ოდიშელიძე. კომისიის გადაწყვეტილებით საქართველოს საზღვრები შემდეგნაირად უნდა მოწყობილიყო: „საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთიდან გადის მცირე კავკასიონის ქედზე, მიდის ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვართან, გადადის გოგჩის ტბის ჩრდილოეთ ნაპირამდე. უხვევს მდინარე აქსტაფაზე, მიდის სად-

გურ ძეგამამდე, შეიცავს საინგილოს და თავდება სილავათის მთით“[117]. ესე იგი, ყველა ის მხარე, რომელნიც მეზობლებმა თავის საკუთრებად გამოაცხადეს, საქართველომ თავისად აღიარა.

არსებული საზღვრების დასაცავად 1918წლის 5 ივნისს საქართველოს სამხედრო მინისტრს გ. გიორგაძეს დაევალა ბორჩალოს, სიღნაღის და თბილისის მაზრების საზღვრებზე განელაგებინა შეიარაღებული ძალები[118].

საზღვრებზე ჯარების განლაგებამ აზერბაიჯანის მთავრობის პროტესტი გამოიწვია. 1918 წლის 14 ივნისს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. გაჯინსკიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ნ. რამიშვილს გაუგზავნა მიმართვა: „ჩემი მთავრობის სახელით პატივი მაქვს მოგახსენოთ: როგორც ჩანს, დღეს გამოქვეყნებული სამთავრობო შეტყობინებიდან, რომელსაც ადასტურებს ჩვენს მიერ მოპოვებული კერძო ცნობები, საქართველოს მთავრობამ, თვლის რა ბორჩალოს მაზრას თავის ტერიტორიად, გაგზავნა იქ თავისი ჯარები, გერმანულ რაზმთან ერთად. ბორჩალოს მაზრიდან მოსული მოსახლეობის წარმომადგენლები გვატყობინებენ, რომ ამ რაზმებსა და მშვიდობიან მუსულმან მოსახლეობას შორის მოხდა შეტაკება.

შემდეგ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ გასცა განკარგულება ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის დაკავების შესახებ, თითქმის სადგურ ფოილამდე. ვინაიდან ბორჩალოს, თბილისის და სიღნაღის მაზრების ერთთავად მუსულმანებით დასახლებულ ნაწილებს, თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, არაერთხელ გამოუთქვამთ სურვილი შესულიყვნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში, ჩემი მთავრობა კატეგორიულ პროტესტს გამოთქვამს საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნულ განკარგულებებზე და დაჟინებით გთხოვთ, ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებისათვის მიიღოთ ღონისძიებები ბორჩალოს მაზრიდან ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანის და აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილის დაკავების განკარგულების შეცვლის თაობაზე“[119].

როგორც ჩანს, მარტო საქართველოს უნდა ეფიქრა „კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებაზე“, მათ კი „ჩვენს მეზობლებს“, თავიანთი ტერიტორიები უნდა გაეზარდათ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ხარჯზე.

ამ წერილის საპასუხოდ 1918 წლის 17 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა გაუგზავნა მიმართვა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს მ. გაჯინსკის: „თქვენი 1918 წლის 14 ივნისის მიმართვის პასუხად გაცნობებთ, რომ გამოვხატავ ღრმა მწუხარებას, რომ ჩემი მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების დასაცავად, რომელიც აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის შიდა წესრიგის შესანარჩუნებლად, გახდა გაუგებრობის საგანი. ამასთან გაცნობებთ, რომ ბორჩალოს მაზრა ყოველთვის შედიოდა საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაში და არ ყოფილა დავისა და ეჭვის საგანი, მითუმეტეს, რომ ეს მაზრა არც ადრე იყო ერთგვაროვანი ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით. გაცნობებთ რა ამას, ჩემი მთავრობის სახელით, გამოვხატავ ღრმა რწმენას, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა ამიერიდან არ დაუშვებს საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას, რათა შევინარჩუნოთ ჩვენს შორის ძველი დროიდან არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობა, რაც საქართველოს მთავრობას გულწრფელად სურს“[120].

საქართველო-აზერბაიჯანს შორის საზღვრების გამიჯვნის საკითხი, მიუხედავად დაფიქსირებული სადავო ტერიტორიული პრობლემებისა, დინამიურად ვითარდებოდა. თუმცა საინგილოში დროებით აზერბაიჯანის მთავრობის იურისდიქცია ვრცელდებოდა და იქ მათი სამხედრო ნაწილები იდგნენ, საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ საკითხს მშვიდობიანი პოლიტიკური გზით მოაგვარებდა.

ზაქათალის ოლქის წარმომადგენელი ეროვნულ საბჭოში, ცნობილი საზოგადო მოღვაწე რაფიელ იეანიცკი (ინგილო) უკმაყოფილო იყო საქართველოს მთავრობის ამ პოლიტიკით: „უხსოვარი დროის საქართველოს პროვინციის მნიშვნელობის საჭიროება ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის, ქართველი

საზოგადოებისათვის სავსებით გამორკვეულია. აღმოსავლეთ საქართველოში გამაგრება და დამკვიდრება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ხელთ გვიპყრია ისეთი პუნქტები, როგორიც არის სამხრეთით ბამბაკ-ლორეს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ზაქათალის ოლქი, ნუხის მაზრის ადმინისტრაციულ მიჯნამდე. უცნაურად გადაწყდა საინგილოს ბედი: ამიერკავკასიის რესპუბლიკის დანაწილების შემდგომ ეს კუთხე დარჩა, რომის უფლების ტერმინი რომ ვიხმაროთ Heraditas jaccns-ად. იმ დროს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ისეთი მიმართულება ჰქონდა, რომ ზაქათალის ოლქის შემოერთებას ბევრი ქართველიც იმპერიალისტურ აქტად ჩასთვლიდა. მაშინ საქართველოში სახელმწიფო საკითხები და განსაკუთრებით ტერიტორიული შემოფარგვლა პრინციპულად წყდებოდა ხოლმე სამერმისოდ. ამიტომაც მოხდა, რომ უფრო რეალური პოლიტიკის მიმდევარმა აზერბაიჯანმა მიიკუთვნა საქართველოსაგან მიტოვებული ოლქი და ჩვენი უმოქმედობით წაქეზებულმა ბოლოს ალაზნის გამოღმა ნაწილზედაც შეგვედავა"[121]. უმოქმედობაში სდებს ბრალს რ. ინგილო საქართველოს მთავრობას, ამავე მოსაზრებას იზიარებს მ. ჯანაშვილიც: „საინგილოს ბოლოს რომ ალაზანი ჩაბრუნდება მტკვარში ჩასაქანებლად, მისკენ რკალივით მიიწევს დიდი კავკასიონი და იმდენად უახლოვდება ალაზანსა და მის აქეთ სიღნაღის მთებს, რომ შუაში რჩება 15-ოდე ვერსის მანძილი, აი ეს 15 ვერსიანი მანძილი არის საქართველოს აღმოსავლეთის მხარის მიჯნა... საჭირო იყო თავიდანვე ამ 15 ვერსიან მიჯნაზე დაგვეყენებინა 40-ოდე გერმანელი და ხუთიოდე ქართველი, რომ საინგილო დღეს ჩვენი ყოფილიყო... დაგვეკარგა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი დარაჯები დროით ვერ ჩავაყენეთ საინგილოს მიჯნაზე"[122].

ამ დროისათვის საქართველო რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო. ტერიტორიის ნაწილი დაკავებული ჰქონდათ თურქებს, სომხებთან საზღვრის გამიჯვნის საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო, უნდა ვიევარაუდოთ, რომ საქართველოს მთავრობას ზაქათალის ოლქში ჯარების შეყვანით არ სურდა კიდევ ერთი დაძაბულობის კერა შეექმნა. ამიტომ ცდილობდა მშვიდობიანი გზით მოეგვარები-

ნა ზაქათალის ოლქის საკითხი, რომელსაც თეორიულად ყოველთვის თავისად აღიარებდა.

1918 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ სომხეთში, აზერბაიჯანში და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირთან არსებულ თავიანთ წარმომადგენლობას გაუგზავნა ნოტა კონფერენციის მოწვევის შესახებ, სადაც აღნიშნულია: „მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდება და ეჭვი არაა, უახლოეს მომავალში დადგება დრო, როცა მსოფლიო კონგრესზე გადაწყდება საერთოდ ხალხთა და კერძოდ ყოფილი რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ ერთა ბედი. კონგრესის წინაშე ამიერკავკასიის და კავკასიის ხალხი უნდა წარსდგნენ მეგობრულად და სოლიდარულად. ამ მიზნით აუცილებელია რომ კავკასიის და ამიერკავკასიის ხალხმა მოილაპარაკონ, როგორც სოლიდარული გამოსვლის პირობებზე, ასევე ურთიერთშორის კეთილგანწყობილი, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაზე. ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა წინადადებას აძლევს სომხეთის, აზერბაიჯანის რესპუბლიკებს, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირის მთავრობას შეიკრიბონ თბილისში კონფერენციაზე 3 ნოემბერს, დღის 12 საათზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში... საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა დააყენოს კონფერენციაზე შემდეგი საკითხები:

1. დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ ურთიერთ ცნობის შესახებ;

2. ყველა სადაო საკითხის, მათ შორის საზღვრების საკითხის გადაწყვეტა დაინტერესებული სახელმწიფოების თანხმობით, თუ არ იქნება ასეთი თანხმობა — არბიტრაჟის დახმარებით“[123].

კონფერენციის მუშაობა ჩაიშალა სომხეთის გამოუცხადებლობის გამო.

ამავე დროს საქართველოს მთავრობამ საკითხი გადაიტანა საერთაშორისო ასპარეზზე. მან თავისი დელეგაცია გაგზავნა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 21 ინავრამდე. დელეგაციის თავმჯდომარე იყო ნ. ჩხეიძე.

საქართველოს დელეგაციამ კონფერენციას გადასცა მემორანდუმი, სადაც მოთხრობილია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორია და აღნიშნულია საქართველოს სახელმწიფოებრივი შემადგენლობა შემდეგი სახით: „საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალის და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთისი და არტაანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპეზუნის ვილაიეთი... ამ ტერიტორიაზე, რომელიც მხოლოდ ქართულ მიწებს მოიცავს, მოსახლეობის დაახლოებით 75%-ს ქართველები წარმოადგენენ. ეთნიკური და ისტორიული თვალსაზრისით, აგრეთვე ეკონომიურადაც არის მთლიანი, გამორჩეული მაღალი ერთგვაროვნებითა და შეურევლობით ყველა აღმოსავლეთ ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის. მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური წყობის გათვალისწინებით, საქართველოს დამოუკიდებლობა, ბუნებრივი საზღვრით კავკასიის მთავარი ქედით დაცული და შესაბამისი საერთაშორისო აქტით განმტკიცებული იქნება, არა მარტო გარანტია საქართველოს ბუნებრივი უფლებებისა და სამართლიანობისა, არამედ სხვადასხვა პოლიტიკურ სფეროებს შორისაც, რომლებიც მუდმივად მზად არიან კონფლიქტებისათვის აღმოსავლეთში“[124].

აზერბაიჯანმა კი საერთაშორისო კონფერენციისათვის მოამზადა მოთხოვნები, რომელთა მიხედვით აზერბაიჯანის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო ზაქათალა, ბორჩალოს მაზრა, ბათუმის ოლქი. როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს მოთხოვნები ემყარებოდა რელიგიურ პრინციპს, ვინაიდან არც ერთ მხარეს არც ისტორიულად და არც ეთნოგრაფიულად არავითარი საერთო არ ჰქონდა აზერბაიჯანის მოდგმასთან.

ამასობაში სანამ პარიზის სამშვიდობო კონფერენცია მიმდინარეობდა, საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ქ. თბილისში 1919 წლის 16 ივნისს ხელი მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას: საქართველოს მხრიდან ხელს აწერდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, სამხედრო და შინაგან საქმეთა

მინისტრი ნ. რამიშვილი, სამხედრო მინისტრის მოადგილე, გენერალი გედევანიშვილი, სამხედრო საბჭოს წევრი ნ. ოდიშელიძე, აზერბაიჯანის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ჯაფაროვი, სამხედრო მინისტრი მესმანდიროვი და გენერალური შტაბის უფროსი გენერალი სულკევიჩი.

ხელშეკრულებიდან მოვიყვანთ ჩვენთვის საინტერესო მუხლებს: „იმ სერიოზული საფრთხის გამო, რომელიც მოელის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას, დასდეს შეთანხმება ესე შემდეგ საფუძველზე:

1. ამ შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებულნი არიან ერთად გამოვიდნენ ყველა თავისი შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებებით ყოველგვარი თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება შეთანხმების მონაწილე ერთს ან ორსავე რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ ხელშეუხებლობას.

შენიშვნა: პარაგრაფი ესე არ ვრცელდება კონფლიქტებზე, რომელიც შესაძლებელია ატყდეს საზღვრების გამო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი გადამიჯვნის ნიადაგზე.

2. უკეთუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო უკვე დაწყებულ პირველ პარაგრაფში ნაგულისხმევ სამხედრო მოქმედების დროს თავს დაესხმის ერთს ან ორივე მოკავშირეს საზღვრის გამო დავის იარაღის ძალით გადაჭრის მიზნით, ასეთი სახელმწიფო მეომარ მხარედ ჩაითვლება.

3. ამ შეთანხმებას აქვს მარტოოდენ თავდაცვის ხასიათი და უკეთუ ერთი მხარეთაგანი თავისი ინიციატივით წინასწარ შეუთანხმებლად ომს გამოუცხადებს ან სამხედრო მოქმედებას დაიწყებს, ამ შეთანხმების დამდები მეორე მხარე ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს ამ სამხედრო მოქმედებაში.

4. შეთანხმების დამდები მხარეები ვალდებულნი არიან ყოველივე უთანხმოება, რომელიც შესაძლოა ჩამოვარდეს მათ შორის საზღვრების გამო, შეთანხმებით არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვიტონ და ეს გადაწყვეტილება უნდა მიჩნეულ იქნეს საბოლოოდ და სავალდებულოდ ორივე მხარისათვის.

5. შეთანხმება ეს დადებულია სამი წლის ვადით, ერთი წლის წინ ამ ვადის გასვლამდე თითოეული შეთანხმების დამდებ მხარეს უფლება ენიჭება განაცხადოს თავისი სურვილი განგრძობისა ახალი ვადით ან შეთანხმებაზე უარის თქმისა... უკანასკნელ შემთხვევაში შეთანხმება ჰკარგავს ძალას მხოლოდ დადებული ვადის გასვლისას....

6. უკეთუ მეხუთე პარაგრაფში აღნიშნული ვადის გასვლამდე დაარსდა ხალხთა ლიგა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მის მონაწილე სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და საზღვრების ხელშეუხებლობას, იმ მომენტიდან, როდესაც ამ შეთანხმების დამდები რესპუბლიკები შევდენ ხალხთა ლიგაში, ეს შეთანხმება ჰკარგავს ძალას"[125].

ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომაზე 1919 წლის 22 ივნისს.

როგორც ვხედავთ, ამ ხელშეკრულებას უფრო თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა და არ ეხებოდა საზღვრების გამიჯვნის საკითხს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციებმა პარიზის კონფერენციას აცნობა ზევით გადმოცემული ხელშეკრულების ტექსტი. მან გამოსთქვა იმედი, რომ „ეს კონვენცია, რომელსაც დასახული აქვს წმინდა თავდაცვითი მიზნები, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ომში შეერთებულ მოქმედებას, არავის დასჭირდება, და რომ ამიერკავკასია გარეშეთა ყოველივე თავდასხმისაგან უზრუნველი იქნება, გენერალ დენიკინის ოპერაციებზე მოკავშირეთა სახელმწიფოების კონტროლის წყალობით"[126].

იმედი, რომ პარიზის კონფერენცია ყველაფერს გაარჩევს და ყველაფერს გადაწყვეტს, და სხვათა შორის, თავს შეიწუხებს ამიერკავკასიის სახელმწიფოების საზღვრების დადგენისათვის, ასუსტებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სტიმულს საკუთარი საშუალებებით გადაეწყვიტათ საზღვრების საკითხი, თუმცა გარკვეულ ცდებს მაინც ჰქონდა ადგილი. ამ მიზნით 1919 წლის მარტში და 1920 წლის აპრილში ჩატარდა საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის წარმომადგენელთა კონფერენციები. დაისახა პრობლემის გადაჭრის გზები, განსაკუთრებით უკანასკნელ შეხ-

ვედრაზე, მაგრამ სანამ თბილისში დელეგაციები საზღვრების საკითხს იხილავდნენ, აზერბაიჯანში 1920 წლის 27 აპრილს მე-11 წითელი არმია შეიჭრა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

ამ დროს ქართული საზოგადოებრივი აზრი მტკიცე რადიკალურ პოზიციაზე იდგა. 1920 წლის 28 აპრილს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ მოახსენა კრებას ბაქოში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების შესახებ და ამასთან აღნიშნა, შესაძლებლობა იმ საფრთხისა, საქართველოს რესპუბლიკისათვის, რომელიც, ადვილად საფიქრებელია უნდა მოჰყოლოდა აზერბაიჯანში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. ამ მიზნით მთავრობამ გაატარა საჭირო ღონისძიებები:

1. დაარსდა თავდაცვის საბჭო, მთავრობის თავმჯდომარის მეთაურობით.

2. მთავარსარდლად დანიშნულ იქნა გენერალი კვინიტაძე.

3. საბჭოს დადგენილებით გამოცხადდა სამხედრო წესები აღმოსავლეთ საქართველოში.

4. გამოცხადდა საერთო მობილიზაცია.

5. გამოთხოვილია სამხედრო საჭიროებისათვის 300000000 მან.[127].

1920 წლის 30 აპრილის დამფუძნებელი კრების რეზოლუციაში ჩაწერილია: „დამფუძნებელი კრება ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთელი საქართველოს ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა და ქართველი ერი, საქართველოს დემოკრატია, მისი სახელოვანი, ბრძოლაში გამობრძმედილი შეიარაღებული ძალა – ჯარი და სახალხო გვარდია და მთელი შეიარაღებული ხალხი შეურყეველად დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

დამფუძნებელი კრება მიმართავს ევროპის დემოკრატიას, რომ იმანაც აღიმაღლოს ხმა უზენაესი სამართლიანობის დასაცავად და ღრმად სწამს, რომ გასაჭირის დროს ევროპის დემოკრატია არ დატოვებს საქართველოს დემოკრატიას მარტოდ ბრძოლის გზაზე... დამფუძნებელი კრება

მთელი თავისი არსებით მხარს დაუჭერს მთავრობას ერის წმინდათაწმინდა, მისი დუმოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვის საქმეში“[128].

1920 წლის 29 აპრილს გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა წერილი „საიდან მოგველის საფრთხე?“. მასში ნათქვამი იყო: „აზერბაიჯანის მხრიდან მტრის მთავარ ბაზად აუცილებლად შეიქმნება ის მხარე ჩვენი სამშობლოსი, რომელიც დღესაც აზერბაიჯანის გამგებლობაშია. საქართველო სამხედრო ბედს ზაქათალის ოლქში გადაწყვეტს. ეს კუთხე ჩვენმა ჯარებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიჭირონ... ზაქათალის ოლქში გამაგრებული მტერი საგონებელში ჩააგდებს არა მარტო ქიზიყ-კახეთს, არამედ თვით ტფილისის კარიც ღია იქნება მათთვის... საინგილოში მტერი სულ ადვილად შემოვა ნუხის მხრიდანაც. ახლა დადგა ჟამი, რომ ვიზრუნოთ ჩვენს თავზედაც“[129]. იგივე გაზეთი მომდევნო ნომერში წერდა „რომ ზაქათალა აზერბაიჯანს დროებით ეჭირა და მისი საკითხი არბიტრაჟით უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ... ახლა არავითარ არბიტრაჟზე ლაპარაკი აღარ შეიძლება, ჩვენი ტერიტორია უნდა დავამრგვალოთ“[130].

მე-11 არმიის ნაწილები სწრაფი ტემპით მოიწევდნენ საქართველოს საზღვრებისაკენ. გამოცხადდა მობილიზაცია. შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო საბჭო.

აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვრებს საბჭოთა რუსეთის წითელი არმია უტევდა. როგორც ნოე ჟორდანია წერს: „პირველი შეტაკება მოხდა წითელ ხიდზე. მტერი დაამარცხა გვარდიამ – მხოლოდ გაკვირვებით ამბობდნენ – თათრები ყველა გაიქცნენ და მათ შორის არეულმა რუსებმა თავი შეგვაკლესო; მოკლულები აღმოჩნდნენ ყველა რუსი, არც ერთი აზერბაიჯანელი! ეს გარემოება ძალიან აფიქრებდა ბევრს, – ვინ გვებრძვის მართლა რუსი თუ თათარიო“[131].

რუსების მონაწილეობა ბრძოლაში აშკარა იყო, ამ დროს მოსკოვში მოლაპარაკება მიმდინარეობდა მშვიდობიან ხელშეკრულებაზე. ჩვენი მთავრობის შეკითხვაზე რა ხდება აზერბაიჯანში? იქიდან პასუხობდნენ „აღგილობრივი ინციდენტი“ არისო, ხოლო როცა ჩვენი ჯარები შეტევა-

ზე გადავიდნენ და წინ წაიწიეს, საბჭოთა რუსეთიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის კარახანის გამაფრთხილებელი დეპეშა მოვიდა, 1920 წლის 16 მაისს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის სახელზე. დეპეშაში ვკითხულობთ: „12 მაისს ელიზავეტპოლის და თბილისის გუბერნიის საზღვარზე საქართველოს ჯარებმა გადალახეს აზერბაიჯანის საზღვარი და თავს დაესხნენ სადარაჯო სადგომებზე განლაგებულ დივიზიას. ამის გარდა დაიკავეს შიხლის რაიონი და დიდი დანაკლისით აიძულეს დაეხიათ ნაიმახნის რაიონში. საბჭოთა მთავრობა გადაჭრით მოითხოვს შეწყვიტოთ საომარი მოქმედებები რუსეთის მოკავშირე აზერბაიჯანის წინააღმდეგ“[132]. რუსები „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო“ – პრინციპით მოქმედებდნენ, ხოლო ჩვენი მთავრობა, მოსკოვთან ურთიერთობაში მიამიტი იმედებით იკვებებოდა.

ამ დეპეშის საპასუხოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი უგზავნის საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კარახანს დეპეშას, სადაც ვკითხულობთ: „თქვენს მიერ გამოგზავნილ დეპეშაში აღნიშნულია, რომ საქართველომ პირველმა დაიწყო საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ამასობაში ფაქტები, რომლებიც წინ უსწრებდნენ 12 მაისის მოვლენებს საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ. 30 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბაქოში რევოლუციურ კომიტეტს გაუგზავნა რადიო-ტელეგრამა, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, დაიწყოს მშვიდობიანი მოლაპარაკება, რათა თავიდან იყოს აცილებული სასაზღვრო გაუგებრობები. ამის პასუხად 2 მაისს აზერბაიჯანის ჯარი დაესხა საქართველოს სასაზღვრო ჯარს წითელ ხიდთან, მდინარე ხრამზე, თბილისის და ელიზავეტპოლის გუბერნიების ზღურბლზე და დაიკავა რა ხიდი 5 ვერსით წაიწია წინ, საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში. მიუხედავად ამისა, 3 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა კვლავ შესთავაზა ბაქოს რევკომს აღმოეფხვრათ ინციდენტი მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. ამის შემდეგ 5 მაისს, დილით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაჯავშნული მატარებელი მოადგა ფოილის ხიდს

მდინარე მტკვარზე, საქართველოს საზღვარზე და საქართველოს საგუშაგოებს ცეცხლი გაუხსნეს. ამასთან ერთად აზერბაიჯანის ბატალიონმა დაიკავა თბილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრაში სოფელი მუღანლო და განაგითარა შეტევა ჩვენ სასაზღვრო ჯარებზე, რის შესახებაც ეცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს ჩიჩერინს (5 მაისი №3695). საქართველოს ორგზის მოწოდებას, სასაზღვრო კონფლიქტი გადაეწყვიტათ მშვიდობიანი გზით ...აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი გამოეხმაურა მხოლოდ 8 მაისს. საქართველოს წარმომადგენლებს შესთავაზა გაეგზავნათ თავის წარმომადგენელი ქ. ბაქოში, რადგან ამ დროისათვის აზერბაიჯანის ჯარის ნაწილები კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე იდგნენ, საქართველოს მთავრობას ბაქოს რევკომის წინადადება შეიძლება მიეღო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაათავისუფლებდნენ საქართველოს დაკავებულ ტერიტორიებს; რაც ეცნობა აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰუსეინოვს, ასლი საგარეო მინისტრს ჩიჩერინს და საქართველოს წარმომადგენელს გრ. ურატაძეს (10 მაისი №3796). ჩვენი პირობები არ მიიღეს და 9 მაისს აზერბაიჯანელები შეიჭრნენ ზაქათალის მხრიდან სიღნაღის მაზრაში... მიადგნენ ქალაქ ლაგოდეხს. 10 მაისს აზერბაიჯანის ჯარმა წითელ ხიდთან ცეცხლი გაუხსნა ჩვენს ჯარს, რომელიც განლაგებული იყო ტერიტორიის სიღრმეში საზღვრიდან 7 ვერსზე და დაიწყეს შეტევა. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობას არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ გაეცა ბრძანება გაეთავისუფლებინათ საქართველოს ტერიტორია მტრისგან, რაც იქნა კიდეც შესრულებული... ამ შეტევის დროს აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანის ჯარის შემადგენლობაში, რომლებიც შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე იყვნენ 287-ე და 288-ე საბჭოთა პოლკები, რაც გეცნობათ კიდეც თქვენ 13 მაისს №3920. გათავისუფლდა რა საქართველოს ტერიტორია, საქართველოს მთავრობამ 12 მაისს კვლავ მოუწოდა მშვიდობიანი მოლაპარაკებისაკენ. ამაზე ჰუსეინოვმა თანხმობა მხოლოდ 15 მაისს განაცხადა. იმავე დღეს საქართველოს მთავრობამ ბრძანება გასცა საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, 16 მაისს 6 საათზე, დი-

ლით და აცნობა ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰუსეინოვს და საგარეო საქმეთა მინისტრს ჩიჩერინს 15 მაისს (№3951), მაგრამ 15 მაისს აზერბაიჯანის ჯარი რუსეთის საბჭოთა ჯართან ერთად... გადავიდა შეტევაზე... მიუხედავად ამისა, 16 მაისს, 3 საათზე და 40 წუთზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ კვლავ დაუდასტურა ბრძანება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს: დაუკავშირდეს აზერბაიჯანის ჯარების მეთაურებს შეთანხმების დასადებად. ვფიქრობ ჩემ მიერ მოყვანილი ობიექტური ფაქტები აშკარად აჩვენებს რამდენად მშვიდობიანი განწყობილება ჰქონდა საქართველოს მთავრობას. გამოვთქვამთ იმედს, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა უბრძანებს აზერბაიჯანის ჯართან ერთად მოქმედ თავის პოლკებს, შეწყვიტოს საომარი მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ“[133].

ეს დოკუმენტი იმიტომ მოვიყვანეთ მთლიანად, რომ ნათლად გადმოსცემს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მიმდინარე მოვლენებს. როგორც ვხედავთ, საქართველოს მთავრობა ყველანაირად ცდილობდა საქმე მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა. მთავარსარდალი გ. კვინიტაძე წინააღმდეგი იყო. იგი ამტკიცებდა, რომ ბოლშევიკების თავდასხმა საქართველოს დაპყრობის აშკარა დადასტურება იყო და არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა, მაშინ, როცა მტერი უკვე ჩვენს ტერიტორიაზე იყო და იერიშს აგრძელებდა. ნ. ჟორდანია ორჭოფობდა. გ. კვინიტაძემ მოსკოვის მოლაპარაკების შესახებ არაფერი იცოდა. საფიქრებელია, რომ ეს იყო ნ. ჟორდანიას ორჭოფობის მიზეზი. ბოლოს ნ. ჟორდანიამ თანხმობა განაცხადა „საკმაო რაოდენობის ჯარი გვყავს, ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა უტყუარი წარმატების საწინდარიაო“[134]. ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და წარმატებებს მიაღწიეს. მათ ბრძოლა მტრის ტერიტორიაზე გადაიტანეს, ყველას გამარჯვების იმედი ჰქონდა... 19 მაისს ჯარი გადამწყვეტ შეტევაზე უნდა გადასულიყო. 18 მაისს გ. კვინიტაძე სადახლოში იყო. ამ დღეს მთავრობის თავმჯდომარისაგან მოკლე დეპეშა მიიღო. უბრძანებდა საომა-

რი მოქმედებების შეწყვეტას და მოწინააღმდეგესთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყებას[135].

საომარი მოქმედებების შეწყვეტა დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. კვლავ გამარჯვებულებმა დაუთმეს დამარცხებულებს. „ისტორიაში შეიძლება პირველად მოხდა ასეთი რამ, კარგად მომზადებული, ენერგიით სავსე ძლიერი არმია უარს ამბობს ლამაზი გამარჯვების ნაყოფი გამოიყენოს. მას ხომ არაფერი უშლიდა ხელს საბოლოო გამარჯვებაში! ისტორიაში ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა გამარჯვებული არმია უკან იხევს. მტერი დამარცხდა, გაიქცა, თავად კი უკან დაიხია... ამ უცნაურმა და უგუნურმა ბრძანებამ საქართველოს სასიკეთილო განაჩენი გამოუტანა“[136].

საქართველოს მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მოსკოვის ძალდატანებით მიიღო. მოსკოვში მყოფი გრ. ურატაძე დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდა და საქართველოს მთავრობას მოსკოვის სურვილს ატყობინებდა, თან დათანხმებისაკენ მოუწოდებდა. აი, ერთ-ერთი მათგანი: „ვიყავი ჩიჩერინთან, რომელიც გთხოვთ არ აწარმოოთ საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის წინააღმდეგ ზაქათალის მხარეში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოლქში მათი ჯარი შევა. ის პირობას იძლევა, რომ საბოთა ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს, რათა გადაწყვიტოს ეს საკითხი საქართველოს სასარგებლოდ, შეთანხმების თანახმად. ის გთხოვთ კავკასიაში მშვიდობის დამყარების მიზნით გააგზავნოთ აზერბაიჯანში შემდეგი შინაარსის ნოტა: საქართველოს გამოყავს თავისი ჯარი ზაქათალის ოლქიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას დაიჭერს აზერბაიჯანის ჯარი“[137].

გრ. ურატაძე დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვი ზაქათალის ოლქის საკითხს საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტდა, ამიტომ საქართველოს მთავრობას სთხოვს მიიღოს ჩიჩერინის წინადადება. დამარცხებულები გეკარნახობდნენ პირობებს. ასეთი დეპეშები არაერთი იყო, სწორედ ამან განაპირობა ნ. ჟორდანიას გადაწყვეტილება. იგი იმედოვნებდა, რომ რაკი მან უარი თქვა ესარგებლა გამარჯვების შედეგით, ამით მოსკოვის ხელისუფლების გულს მოიგებდა და ხანგრძლივ მშვიდობას დაამყარებდა. თავის მოგონებებში ნ. ჟორდანია წერს: „ჩემთვის მოსავარი იყო

ჩვენი იურიდიული ცნობა რუსეთისაგან, რასაც შემდეგ სხვა სახელმწიფოებიც მიმართავდნენ"[138]. ამავე მოსაზრებით დათანხმდა ნ. ჟორდანია ხელშეკრულება'ში ერთი მუხლის შეტანაზე, „რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ იდგეს სამტრო უცხო ჯარიო"[139], რუსებს „ეშინოდათ", რომ ჩვენი ტერიტორია გადაიქცეოდა მათ წინააღმდეგ შეტევის უცხო ქვეყანათა ბაზად. ნ. ჟორდანიამაც დაიჯერა რუსეთის მიერ შემოგდებული ეს „საკენკი" და ამით საქართველოს დამოუკიდებლობას ძირი შეურყია, რადგან რუსეთი სწორედ ამას ელოდა, რომ ინგლისის ჯარს დაეტოვებინა საქართველო, მაშინ ხელ-ფეხი გაეხსნებოდა, საქართველოს უღელტეხილების ნეიტრალიტეტიც მის სასარგებლოდ მოქმედებდა და თავისი მიზნების განხორციელებამდე სულ მცირეღა რჩებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ საომარი მოქმედებების დროს, 1920 წლის 7 მაისს, საიდუმლო პირობებში, დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ საქართველოს მხრიდან გრ. ურატაძე და საბჭოთა რუსეთის მხრიდან ლევ კარახანი.

ქვემოთ მოგვყავს ამ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი: „გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას და თავისუფლებას და თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ...

§ 3

1. სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე პსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე, გადადის ხსენებულ ასახჩის და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისისა და ტფი-

ლისის გუბერნიების ჩრდილოეთის სასაზღვრო ხაზით ზაქათალის ოლქამდე და ხსენებული ოლქის აღმოსავლეთი საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრებამდე.

2. ყველა უღელტეხილი, მდებარე აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე 1922 წლის პირველ იანვრამდე ნეიტრალურად არის აღიარებული. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება დაიკავოს ეს უღელტეხილები თავისი ჯარებით, ანდა გაამაგროს ისინი...

§ 4

რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებული ხელშეკრულების პირველი და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები, რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები; თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქები.

შემდგომში, ურთიერთობის თანდათანობით გამორკვევის მიხედვით, საქართველოს და რუსეთს გარდა სხვა სახელმწიფო ერთეულებს შორის, რომელნიც არსებობენ, ან შესაძლებელია შეიქნან საქართველოს სხვა საზღვრებთან, გარდა იმისა, რომელნიც აღწერილია ხსენებული ხელშეკრულების მესამე მუხლში, რუსეთი მზად იქნება იცნოს საქართველოს შემადგენელ ნაწილებად ყოფილ კავკასიის სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც გადავა მის ხელში ამ სახელმწიფო ერთეულებთან დადებული ხელშეკრულების ძალით...

§ 6

ხსენებული ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით ხელისმოწერის მომენტიდან და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია, რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავის ბეჭდები დაასვეს"[140].

7 მაისს ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, საბჭოთა რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ფარგლებში შემავალ ტერიტორიად აღიარა, მაგრამ საბჭოთა

აზერბაიჯანის მესვეურებმა გაიგეს რა ეს ფაქტი, იმ დღესვე სასწრაფო დეპეშები აფრინეს მოსკოვში. ისინი უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო, რა თქმა უნდა, მოსკოველმა ბოლშევიკებმა არ აწყენინეს ბაქოელ კოლეგებს. ამის შედეგი ის იყო, რომ 12 მაისს საქართველო-რუსეთის დამატებითი შეთანხმების ძალით, ზაქათალის ოლქის მიკუთვნების საკითხი უნდა გადაეჭრა შერეულ კომისიას, თანაბარი რაოდენობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარე კი რუსეთიდან იქნებოდა. არც საქართველოს და არც აზერბაიჯანს კომისიის გადაწყვეტილებამდე უფლება არ ჰქონდათ შეეყვანათ ჯარები ახალი კონტინგენტი, ე. ი. იმაზე მეტი რაც 12 მაისს იქ იმყოფებოდა.

დამატებითი შეთანხმების წამგებიანობა საქართველოსთვის აშკარა იყო, რადგანაც ზაქათალაში მხოლოდ მე-11 არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ, 12 მაისის მდგომარეობით და ჩვენ აღარ შეგვეძლო ქართული სამხედრო ძალების შეყვანა. როგორც ზემოთ მოყვანილ დეპეშიდან დავინახეთ, რუსებმა „კავკასიაში მშვიდობის“ დამყარების საბაბით თვითონ მოგვთხოვეს ჯარების გაყვანა ზაქათალის ოლქიდან. ყველაფერი წინასწარ გათვლილი იყო. თუ კომისია საკითხს განიხილავდა და კენჭისყრამდე მიეიდოდა საქმე, რუსეთის წარმომადგენლის პოზიცია გადამწყვეტი იქნებოდა, იგი რა თქმა უნდა ბოლშევიკებს დაუჭერდა მხარს და ამით პრობლემა საქართველოს საზიანოდ გადაწყდებოდა.

რატომ დათანხმდა გრ. ურატაძე ასეთი ხელშეკრულების ხელმოწერაზე? უნდა ვივარაუდოთ, რომ მისთვის უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს იურიდიულად აღიარების ფაქტს. რაც შეეხება ტერიტორიულ პრობლემებს, იგი თვლიდა, რომ მათი გადაწყვეტა შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით, ყოველ შემთხვევაში ამის თეორიული შანსი არსებობდა.

აი, რას წერს ამის შესახებ თვითონ გრ. ურატაძე: „არც „გადამიცია“ ოლქი და არც „მოუგლეჯია“ ის ვინმეს საქართველოსთვის. ოლქი აღნიშნულია ხელშეკრულებაში

და დარჩა ისე, როგორც იყო შედგენილი და შეტანილი. 12 მაისის ხელშეკრულება მოითხოვს მხოლოდ საზღვარზე თუ ოლქში, რომელიმე ნაწილის (თუ იქნებოდა ასეთი ნაწილი) დავის გადაწყვეტას თვით დაინტერესებულ სახელმწიფოთა მიერ პირდაპირი მოლაპარაკებით, თუ არადა – არბიტრაჟით. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არის არა ხელშეკრულება, არამედ შეთანხმება ჩემსა და კარახანს შორის და ასეთი სათაურიც არის დაბეჭდილი ცალკე ფურცელზე. ამ დროს აზერბაიჯანის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობის გამო – ეს იყო საუკეთესო გამოსავალი. ოლქი უდავოდ საქართველოს საზღვრებში დარჩა, სადავო ადგილების საკითხი კი უნდა მოგვარებულიყო მოლაპარაკებით და არა იარაღით.

ახალ სახელმწიფოთა შორის ყველგან და ყოველთვის ყოფილა და იქნება დავა საზღვრებზე თუ რომელიმე ნაწილზე. მაგრამ მისი მოწესრიგება უნდა მოხდეს დაინტერესებული მხარეების მიერ. ამას ვიცავდი მე და კიდევაც მივაღებინე. ასეთი შეთანხმება იმ მომენტში სამხედრო მხრითაც დიდი მიღწევა იყო, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აზერბაიჯანი უკვე გასაბჭოებული იყო და იქ მრავალრიცხოვანი წითელი ჯარი იდგა, ჰეკერისა და ორჯონიკიძის მეთაურობით, რომლებიც ყოველგვარ საბაბს იყენებდნენ, რომ ჩვენს სახლვრებში შემოჭრილიყვნენ. ხოლო თუ როგორი იყო იმ დროს ჩვენი სამხედრო მდგომარეობა – ეს ყველასათვის ცნობილია“.

ამრიგად, ზაქათალის ოლქი, 7 მაისის ხელშეკრულებით იქნა აღიარებული საქართველოს უდავო ნაწილად. ამან დიდი როლი ითამაშა იმ მხრივაც, რომ ამ ხელშეკრულების შემდეგ მთელი ოლქის მინდობილობით თბილისში ჩამოვიდა საგანგებო დელეგაცია, რომელშიც შედიოდა ა. კარდაშევი, პ. აბაკაროვი, ისმაილ მამედოვი და ალიბალა ახმედოვი, რომელთაც მიმართეს ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას წერილობითი თხოვნით, სადაც წერდნენ: „7 მაისის ხელშეკრულებით მთელი ზაქათალის ოლქი აღიარებულია საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ამით აღდგენილია უდიდესი ისტორიული მომენტი – შეერთება ჩვენი საერთო სამშობლოსი – საქართველოს-

თან, ხელოვნურად მოგლეჯილი მისი ნაწილი ზაქათალის ოლქს. მოგმართავთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარეე, დააჩქაროთ ქართული ჯარების შემოყვანა ოლქში მოძმე ხალხის უფლებების დასაცავად და სხვა“[14].

1920 წლის 12 ივნისს სასაზღვრო ქალაქ აქსტაფაში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძემ, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ სიმონ გურგენის ძე მდივანმა და ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილმა. საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მირზა დაუთ ჰუსეინოვმა. აქვე მოგვყავს ჩვენთვის საინტერესო მუხლები:

§ 1

„აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ისპობა ყოველგვარი საომარი მოქმედება და ორივე მხარენი იწყებენ მტკიცე სამშვიდობო და სამეგობრო ურთიერთობას. ომის დროს ტყვედ წაყვანილებს ორნივე ერთმანეთს დაუყოვნებლივ უბრუნებენ.

§ 2

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საზღვრად დაიდო: ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის გავლებული საადმინისტრაციო ხაზი, რომელიც იწყება სომხეთის ზონიდან, გადადის პოვერჩაშის მთაზე, შემდეგ გადაივლის ვარტიშის მთას საადმინისტრაციო საზღვრის ხაზით ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართულ წყაროებამდე. ეს წყაროები ორი ვერსის მანძილზეა ყაზილჩაის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, იქიდან საზღვარი მიდის პირობით ნაგულისხმევი ხაზით ტარსისა და ბაბა-კიარის მთების ქედს გადაღმა, მის აღმოსავლეთ ფერდობებზე, წითელ ხიდს შუა გაივლის, მერმე გაჰყვება ძველს საზღვარს, რომელიც ხრამსა და მტკვარს მისდევს. შემდეგ ფოილის ხიდს გაუვლის შუაზედ, იქიდან წავა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ძველ საადმინისტრაციო

საზღვრით იალაღჯიხის ქედამდე, მერმე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაუხვევს ძველი საადმინისტრაციო საზღვრით პალანტუკანის მთის სამხრეთ კალთის ბოლომდეთ, მერმე გაემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ საადმინისტრაციო ხაზით და ასე მიდის ზაქათალის ოლქის მიჯნამდე (რუკა დიუმ 5 ვერსიანი).

§ 3

წითელი ხიდისა და ფოილის ხიდის წინა მდებარე ზონები, აგრეთვე მტკვრის მარჯვენა ნაპირი აზერბაიჯანის მიწა-წყალზე ნეიტრალ ადგილებად ცნობილი იქმნა ერთი წლის განმავლობაში. დღიდან ამ ხელშეკრულების დადებისა, შემდეგ საზღვართა შორის 1) ყაზახის მაზრაში ის მიწა-წყალი, რომელიც შემოზღუდულია ინჯა-სუს მდინარითა და ბორჩალოს და ტფილისის მაზრის საადმინისტრაციო სამზღვრითა. 2. ყაზახის მაზრაში რაიონი რომელსაც ჰსაზღვრავს ხაზი სოფ. ყიზილჰაჯალისა, ფეიქანლისა, ხალფალისა, სად. შაქარლი და მტკვრის მისახვევი იმ ჭალებთანა, რომელიც ჰასან-სუს შესართავის დასავლეთით არის, იქიდან პირდაპირი ხაზი წავა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩობან-დაღის ქედის დასაელეთ კიდურისაკენ სიღნაღის მაზრის საადმინისტრაციო საზღვრამდის. ყველა ჩამოთვლილი სანაპირო, დასახელებული ადგილი გამოკლებულია.

§ 4

მე-3 პუნქტში აღნიშნული ნეიტრალური ზონების ტერიტორიაზე არ შეიძლება არავითარი სიმაგრის აგება და არც ჯარის შეყვანა. ადმინისტრაცია და მმართველობა კი აზერბაიჯანისა უნდა დარჩეს.

შენიშვნა: ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისათვის თვალყურის სადევნებლად არსდება განსაკუთრებული შერეული კომისია, რომელშიც ოთხი კაცი უნდა იყოს, ორორი თითო მხრიდან

§ 5

წითელ ხიდს საქართველოს მხრით იცავს ქართველთა სადარაჯო, ხოლო აზერბაიჯანის მხრით – აზერბაიჯანის სადარაჯო. ხოლო საქართველოს უფლება აქვს ხიდით

თავისუფლად ისარგებლონ ტარსისა და ბაბა-ჯაიარის მთაში მიმოსვლისათვის.

§ 6

საკითხი ზაქათალის ოლქისა უნდა გადაეცეს გადასაჭრელად საარბიტრაჟო კომისიას. ეს კომისია გათვალისწინებულია დამატებითი შეთანხმებით, რომელიც დაიდო რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის მაისის 12 თარიღით. ვიდრე საქმე გადაწყდებოდეს, საარბიტრაჟო კომისიაში, არც ერთს მორიგებაში მონაწილე მხარეს ნება არა აქვს ახალი ჯარი შეიყვანოს ზაქათალის ოლქში, თანახმად მოსკოვის დამატებითი შეთანხმების მეორე პუნქტის 1920 წლის მაისის 12 თარიღით.

შენიშვნა: ეს მუხლი ჩართული იქნა ამ ხელშეკრულებაში იმიტომ, რომ ზაქათალის საქმის გამო სხვადასხვა აზრს დაადგნენ დელეგაციები. აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, როცა შეუდგნენ მოსკოვის 1920 წლის მაისის 7 ხელშეკრულების მეათე მუხლისა და მის დამატება 1920 წლის მაისის 12 თარიღით შეკრული შეთანხმების პირველი პუნქტის განმარტებას, აგრეთვე იმ მიზეზითაც, რომ არსებითად სადაო საგნის გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა.

შენიშვნა 2: ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისათვის თვალყურის სადევნებლად, რომ ოლქში ახალი ჯარი შეყვანილი არ იქნეს, არსდება განსაკუთრებული საკონტროლო კომისია, კომისიაში ოთხი კაცი უნდა იყოს, ორ-ორი თითო მხრიდან...

§ 16

ვიდრე განსაკუთრებულ შეთანხმებაზედ დამყარებული დებულება შემუშავებული იქნება აზერბაიჯანის ელთათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნებას აძლევს ამ ელთ თავისუფლად და დაუბრკოლებლივ სარგებლობდნენ იალაღ-საძოვრებით იმავე პირობებით, რაც არსებობს საქართველოს ქვეშევრდომ მომთაბარეთათვის...

§ 17

ხელშეკრულება ესე ძალაში შედის ხელის მოწერის დროიდან და რატიფიკაცია უნდა ექნეს, რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს ტფილისში ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერისა“[142].

ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე 1920 წლის 25 ივნისს[143].

ხელშეკრულების განხილვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა აკაკი ჩხენკელი. მან აღნიშნა, რომ „ომი ჩვენსა და აზერბაიჯანს შორის დაიწყო ჩვენს ტერიტორიაზე; რაც ამტკიცებს იმას, რომ ომი დაიწყო ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ომი გათავდა ჩვენი გამარჯვებით და მეზობლის დამარცხებით. ამ ომმა უეჭველად გაფანტა ის ილუზიები, რომელიც ჰქონდათ ჩვენს მტრებს — თითქოს საქართველოს რესპუბლიკა, მისი დემოკრატია, ხალხი და მისი სამხედრო ძალები ნაკლები ხალისითა და ენერგიით დაიცავდნენ თავის თავს წინააღმდეგ ბოლშეევიკების თავდასხმისა...

ჩვენმა ხალხმა იცის რას იცავს. ის იცავს არსებობას, თავის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, სამართლიან საქმეს და ამიტომ მისთვის სულ ერთი არის ვინც უნდა გაილაშქროს ამ ღირებულებათა წინააღმდეგ, მეზობელი იქნება ის თუ არა, არის ამ პოლიტიკური მიმართულების თუ იმ პოლიტიკური მიმართულების, ის მთელის არსებით შეუტევს მას.

მე გადავდივარ პირდაპირ ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულება ნაწილდება სამ კატეგორიად. აქ არის ნაწილი ტერიტორიული, საზღვრების საკითხი, არის ნაწილი პოლიტიკური და ეკონომიური. რაც შეეხება ტერიტორიულ საკითხს, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ საზღვრები გადის ჩვენ და ადერბაიჯანს შორის ძველი საადმინისტრაციო ხაზით, ან უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იმ ხაზით, რა ხაზითაც გადიოდა საზღვრები თბილისსა და განჯის გუბერნიას შუა. აქ არის ერთი მნიშვნელოვანი და საგულისხმო შესწორება ჩვენდა სასარგებლოთ. წითელი

ხიდის გაღმა ორი ცნობილი მთა ტარსი და ბაბაქიარი, რომელიც გაბატონებულია წითელ ხიდზე, შემოვიდა ჩვენს ტერიტორიაზე.

გარდა ამისა არის ე. წ. ნეიტრალური ზონები. მაგრამ ეს ზონები არის მარტო ადერბაიჯანის ტერიტორიაზე და აქვს მხოლოდ დროებითი ხასიათი ერთი წლის ვადით. ადერბაიჯანს არ აქვს უფლება იყოლიოს ჯარი წითელი ხიდის და ფოილოს ხიდის ირგვლივ მდინარე მტკვრის გაღმა. აღნიშნული არის მთელი რიგი პუნქტებისა, სადაც უნდა გაიაროს ნეიტრალურმა ზონამ და რომელსაც არ უნდა გამოსცილდეს ადერბაიჯანის ჯარები. აქ მხოლოდ შეიძლება იყოს ადერბაიჯანის სამოქალაქო ადმინისტრაცია. ამას გარდა, ყარაიაზის ველი, რომლის შესახებ უსაფუძვლოდ გვედავებოდა ჩვენი მეზობელი ან კიდევ მისი მოქალაქენი, ფაქტიურად ისაკუთრებდნენ მას და აგრეთვე სიღნაღის მაზრაში ელდარის ველი, რომელსაც ფაქტიურად ჩვენი მოპირდაპირე ფლობდა. ხელშეკრულების ძალით ორივე ჩვენი ტერიტორიის უდავო ნაწილად რჩება. სიტყვის გაგრძელება საჭირო არ იქნება იმისათვის, რომ დაუმატო, რომ ამიერიდან მაინც უნდა მოისპოს ის ლოიალური დავა, რომელიც წამოყოფდა თავს დროგამოშვებით ადერბაიჯანის მთავრობის მხრივ. დავა ყოფილი თბილისის გუბერნიის ამა თუ იმ კუთხის შესახებ, რასაკვირველია, ამას ერთხელ და სამუდამოდ ეღება ბოლო...

პოლიტიკური მხარე ამ ხელშეკრულებისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვცნობთ ურთიერთდამოუკიდებლობას, სუვერენობას, რასაც ჩვენთვის აქვს უეჭველად მნიშვნელობა.

რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელშეკრულება მთლად დამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით იმით, რომ ზაქათალის ოლქის შესახებ მოგახსენებთ, რომლის საზღვრების საკითხი მთლიანად ღიად რჩება, მაგრამ ნუ ვიეიწყებთ, რომ ჩვენ, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, ვერიდებით სისხლის დაქცევას იქ, სადაც ცოტაოდენი იმედი მაინც არის, რომ უსისხლოდ მოგვარდება საქმე და ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ უსისხლოდ მოგვარდება სწორედ ზაქათალის საკითხი ჩვენდა სასარ-

გებლოდ. ამისთვის საჭიროა მთავრობის ეროვნული ნაბიჯები... იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ნაბიჯს, მოქმედებას ჩვენი მეზობელი დააფასებს, დააფასებს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბოლომდე არ ვისარგებლეთ ამ ომის შედეგებით. არ ვისარგებლეთ მეზობლის, შეიძლება ითქვას, კრიტიკული მდგომარეობით. ჩვენ გავიხსენეთ ხვალინდელი დღეც, ის, რომ ჩვენ მეზობლები ვართ და გვინდა არ გვინდა ერთიმეორის გვერდით უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აღერბაიჯანის ხალხი ადრე თუ გვიან ამაღლდება ჩვენი ხალხის შეგნების დონემდე“[144].

აკაკი ჩხენკელის ოპტიმიზმს არ იზიარებდა სოციალ-ფედერალისტი სიმონ ფირცხალავა: „12 ივნისის ხელშეკრულებით დასრულდა ომი, რომელიც აზერბაიჯანმა თავს მოახვია საქართველოს, მთელი ხალხი ფეხზე დადგა, რადგან ამ ომს დიდი არსებითი მიზანი ჰქონდა ჩვენი ერისათვის.

ვინ ლაპარაკობს აზერბაიჯანის სახელით, აზერბაიჯანის ხალხი თუ რუსეთის რწმუნებული? საერთოდ, როგორც მოსკოვის ხელშეკრულებას, ისე აქსტაფის ხელშეკრულებას, რუსეთის ორიენტაციისაკენ მივყავართ, რუსეთის გავლენის ფარგლებში გვამწყვდევს, რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკურ დაახლოებას უწყობს ხელს. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთ სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენა არაა ჩვენი ეროვნებისათვის, ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის ისე სახიფათო და დამღუპველი, როგორც რუსეთის გავლენა. თუ ეს გავლენა გაძლიერდა, ცარიელი სიტყვები დარჩება ჩვენი თავისუფლება, უნაყოფო იქნება ჩვენი სუვერენობა. დასასრულ, უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი დიდი ნაკლი წარმოდგენილი ხელშეკრულებისა. აქსტაფის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი ემყარება მოსკოვის ხელშეკრულებას, რომელიც ჯერ არ განუხილავს, არ დაუდასტურებია ქართველი ხალხის უზენაეს დაწესებულებას, დამფუძნებელ კრებას... ვითვალისწინებთ ჩვენს საერთო მდგომარეობას და ხელშეკრულებას ვადასტურებთ“[145].

საბოლოოდ, ხმების უმრავლესობით ხელშეკრულება მაინც იქნა რატიფიცირებული, ხოლო როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, ასრულდა სამსონ ფირცხალავას წი-

ნასწარმეტყველება საბჭოთა აზერბაიჯანისა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ. ე. გეგეჭკორმა აცნობა საქართველოს წარმომადგენელს ბაქოში 1920 წლის 19 ივნისით დათარიღებულ ტელეგრამაში: „ივნისის 12 ჩვენმა დელეგაციამ ხელი მოაწერა აზერბაიჯანთან საზავო ხელშეკრულებას. პირობები ჩვენთვის საკმაოდ ხელსაყრელია. ტერიტორიის საკითხში აზერბაიჯანმა ხელი აიღო ბორჩალოს მაზრაში და ყარაიაზში თავის წინანდელ პრეტენზიებზე და თბილისის გუბერნიის ადმინისტრაციული საზღვარი გახდა ჩვენსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვრად. ჩვენ გვიჭირავს ამჟამად წითელ ხიდსა და ფოილოს ხიდთა გარშემო სტრატეგიული სიმაღლეები. ამას გარდა ნეიტრალური ზონა ერთი წლის ვადით ხელშეკრულების ძალით ვრცელდება მხოლოდ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყაზახის მაზრაში. რაც შეეხება ზაქათალის ოლქს, ნაწილი ამ ოლქის ჩვენ გვიჭირავს, დანარჩენ ნაწილის ნეიტრალიზაცია მოხდა დროებით, ვიდრე ოლქის საბოლოო ბედი არბიტრაჟის წესით არ გადაწყდება. როგორც წინედ ვწერდით, ოლქში ხალხი აუჯანყდა ბაქოს საბჭოთა მთავრობას. დააპატიმრა კომისრები და საქართველოს მთავრობას სთხოვა ჯარის შეყვანა. ჩვენ მოვერიდეთ ამ საკითხის იარაღის ძალით გადაჭრას, ვინაიდან მოსკოვის მთავრობასთან გვაქვს ამის შესახებ შეთანხმება, რომლის ძალითაც ჩვენ მოვალენი ვართ დავემორჩილოთ არბიტრაჟს. ხალხი ჩვენსკენ არის... ბოლო დროს აზერბაიჯანში, ჩვენი ფრონტის მიმართულებით ისეთი პირობები შეიქმნა, რომ ჩვენ შეგვეძლო მიგვეღწია დიდ სამხედრო გამარჯვებამდის, მაგრამ რადგანაც ეს გამოიწვევდა რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას, ჩვენ მოვერიდეთ ამ შესაძლებლობას“[146].

ამ ტელეგრამაში ლაპარაკია 9 ივნისს საინგილოში დაწყებული აღგილობრივ მცხოვრებთა აჯანყების შესახებ. აჯანყებულებმა დაიკავეს საოლქო ცენტრი, ჩამოაყალიბეს მთავრობა და მიმართეს საქართველოს, რათა ოლქი შეერთებინა. მე-11 არმიის სარდალმა ლევანდოვსკიმ, აჯანყების ჩასაქრობად სასწრაფო ღონისძიებები განახორციელა. საინგილოში გაგზავნა დამატებითი სამხედრო ძალები, რეპ-

რესიები განსაკუთრებით თავს დაატეხეს ქართულ მოსახლეობას. სიღნაღის მაზრა უამრავი ლტოლვილით – ლეკით, ქართველით თუ აზერბაიჯანელით გაივსო. 18 ივნისისათვის აჯანყება საბოლოოდ ჩაახშვეს. დაწესდა მკაცრი კონტროლი სიღნაღ-კავახრელისა და ბელაქან-ლაგოდეხისაკენ მიმავალ გზებზე"[147].

საქართველოს მთავრობამ ოლქში დამატებითი ჯარების შეყვანის გამო საპროტესტო ნოტა გაუგზავნა აზერბაიჯანის სსრ ხელმძღვანელობას, მაგრამ აზერბაიჯანელები უარყოფდნენ ზაქათალის ოლქში ჯარების შეყვანის ფაქტს.

1920 წლის 25 ივნისს საქართველოს მთავრობამ, ტელეგრამა გაუგზავნა საქართველოს წარმომადგენელს ბაქოში, სადაც ეკითხულობთ: „აზერბაიჯანთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით, ზაქათალის ოლქში უნდა დაცულიყო ის მდგომარეობა, რომელიც გათვალისწინებული იყო მოსკოვის საზავო შეთანხმებით, ე. ი. ოლქში ახალი ჯარი არ უნდა შესულიყო არც ერთი მხრით. აქსტაფის ზავის შეკერის მომენტში, ზაქათალის ოლქში არ იყო აზერბაიჯანის ჯარი, მხოლოდ ოლქის ერთი ნაწილი დაკავებული ჰქონდა ჩვენს ჯარს. აქსტაფის ზავმა ასეთი მდგომარეობა დააკანონა, მაგრამ მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანმა დაარღვია ხელშეკრულება და ოლქში ჯარი შეიყვანა, ჩვენ გექონდა მიღებული ცნობები, რომ ოლქში მომხდარი გადატრიალების შემდეგ, აზერბაიჯანის მთავრობა აპირებდა ჯარის შეყვანას და გავაფრთხილეთ ამის გამო ბაქოს მთავრობა. ჰუსეინოვმა გვითხრა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის აგენტებმა ბეგებთან და ხანებთან შეთანხმებით მოაწყვეს ოლქში გადატრიალება და მისი აზრით საჭირო იყო ბაქოს მთავრობას ჯარი შეეყვანა ოლქში კონტრრევოლუციის დასასჯელად, მიუხედავად ამისა, იგი ცდილობს დაიცვას აქსტაფის საზავო შეთანხმების პირობები და ოლქში ჯარს არ შეიყვანს. მაგრამ ეს დაპირება არ იქნა შესრულებული და ივნისის 18-ს, როცა „ბაირამი"-ს დღესასწაულის გამო ზაქათალის აჯანყებულ მცხოვრებთა რაზმები მოიხსნა, ბაქოს მთავრობამ ისარგებლა ამ მომენტით და ოლქი დაიჭი-

რა, ამჟამად ბაქოს საბჭოთა მთავრობის ჯარი დგას ჩვენი ჯარის პირისპირ! ჩვენ ამის გამო პროტესტი განვაცხადეთ. თუ ზაქათალის ოლქში შეტაკება მოგვიხდა ბოლშევიკების ჯართან, ამას შეუძლია გამოიწვიოს შეტაკება სხვა ფრონტებზეც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზაქათალის ოლქის დაჭერას მიზნად აქვს ჩვენი ომში ჩათრევა. მითუმეტეს, რომ ჩვენი ცნობებით, განჯის რაიონში თავმოყრილია 20 ათასამდის ჯარი, რომლის დანიშნულება ჯერჯერობით გამოკვლეული არ არის. შესაძლოა, რომ ეს ჯარი ჩვენს წინააღმდეგ სამოქმედოდ გამოიყენონ"[148].

მხოლოდ საქართველო ასრულებდა მოსკოვისა და აქსტაფის ხელშეკრულებებს, მას არ შეჰყავდა ჯარი ზაქათალის ოლქში, თუმცა ამის მოსურნე თითქმის მთელი ოლქი იყო. იგი გულმოდგინედ ელოდა როდის ინებებდნენ რუსეთისა და აზერბაიჯანის მესვეურები საარბიტრაჟო კომისიის შექმნას. მათ არ უნდოდათ იმის დაჯერება, რომ არც მოსკოვი და მით უფრო არც ბაქო არ იჩქარებდნენ ამისათვის, მითუმეტეს რომ ამ დროს საქართველოს ბედი მოსკოვში უკვე გადაწყვეტილი იყო. რ. ინგილო კვლავ ბრალს სდებს საქართველოს მთავრობას უმოქმედობაში: „დღეს მთელი ზაქათალის ოლქი მოცქერალია საქართველოსთან შეერთებისა, მცხოვრებლები განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მოითხოვენ საქართველოს ხელმწიფების დამკვიდრებას ოლქში, მისთვის ავტონომიის მინიჭებით. ასეთი სურვილი ოფიციალურად გამოცხადებულია და დამაგრებულია უეჭვო საბუთებით. მე მინდა უკანასკნელად დაესვა საკითხი, ეხლა უკვე საჯაროდ, რას ჰფიქრობს ქართული საზოგადოება ზაქათალის ოლქის შესახებ? ნუთუ სამხრეთით მომდგარი რეალური საფრთხე მაინც არ უნდა აფიქრებდეს მას და არ ააჩქაროს ამ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც სულერთია, მაინც არ ასცდება საქართველოს, თუ მას განზრახვა აქვს იარსებოს ვითარცა სუვერენული პოლიტიკური ერთეული... საქართველო ალბათ მოკლე ხანში იქნება ცნობილი ევროპის მიერ იურიდიულად. მე ვშიშობ, რომ იქვე გადაწყდება, რესპუბლიკის ტერიტორიის საკითხი და მას მოუჭრიან იმდენ მიწას, რამდენის დაპატრონება და მოვლა მან შესძლო... შემდგომ

წუწუნს საქართველოს ისტორიულ წარსულისა და ტერიტორიულ უფლებებზე ყურადღებას აღარავინ მიაქცევს... მაშასადამე მთელი წყება ფაქტები და კარზე აღმართული საფრთხეც ეხლავე ჩაგვჩიჩინებენ, რომ საჭიროა ეხლავე, დაუყოვნებლივ კატეგორიული გადაჭრა ზაქათალის საკითხისა საქართველოს სასარგებლოდ“[149].

მართლაც დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. საქართველოს გარშემო რკალი იკვრებოდა. აზერბაიჯანის სსრ და საბჭოთა რუსეთის მხრიდან ყოველდღიურად ირღვეოდა შეთანხმების პირობები, ეს ჩანს დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის ანგარიშიდან: „ჩვენ კომისიის თავმჯდომარე ა. ჩხენკელი და წევრი კომისიისა ე. კალაძე, სანაპიროების რაზმის უფროსთან გენერალ ახმეტელაშვილთან ერთად გავემგზავრეთ ხრამის ხიდთან ჩვენი საზღვრების დასათვალიერებლად...

ჩვენ დავათვალიერეთ ხრამის ხიდი — შუა ხიდზე იდგნენ ჩვენი დარაჯები. გაღმა ნაპირზე ხიდზე იდგნენ ბოლშევიკების დარაჯნი უიარაღოთ. ოფიცერმა კვანტრიძემ გადმოგვცა, რომ ბოლშევიკებისა ჯარისკაცები ხშირად მოდიან ჩვენს დარაჯებთან და საუბარში იყოლიებენ მათ, ამის გამო ჩვენ ავუკრძალეთ ჩვენს ჯარისკაცებს მათთან საუბარი...

ამის შემდეგ ჩვენ წავედით მეორე რაზმის დასათვალიერებლად, რომელიც მოთავსებულია სოფელ მუღანლოში. აქ მოსვლისათვის უნდა გავიაროთ ხრამის ხიდი, ჩვენ იგი გავიარეთ, შევხვდით ბოლშევიკების სადარაჯო სადგომებს... როგორც გამოირკვა, საზავო პირობები ჯერ არ არის შესრულებული: ბოლშევიკებს უნდა გაეყვანათ ნეიტრალური ზონიდან თავისი ჯარი, მაგრამ ეს არ შეუსრულებიათ. მათი ჯარი რიცხვით 80 კაცი სოფელ შიხლიში ხრამის ხიდთან ახლოს იმყოფება, ეს საზავო პირობების დარღვევის ნიშანია“[150].

1921 წლის 4 იანვარს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ჰუსეინოვი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კ. საბახტარიშვილის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში უარყოფს საბჭოთა ჯარის შეყვანის ფაქტს ზაქათალის მაზრაში და იქით სდებს ბრალს

საქართველოს მთავრობას ხელშეკრულების პირობების დარღვევაში: „რაც შეეხება იმ მზრუნველობას, რომელსაც თქვენი მთავრობა იჩენს ზაქათალის ოლქისადმი, სადაც თითქოს ჩვენ მიერ წარდგენილი იყოს ისეთი მოთხოვნილებანი, რომელიც მათ კეთილდღეობას არღვევედეს, ამას ჩემი მთავრობა სთელის ყოვლად დაუშვებელ ჩარევად ადერბაიჯანის შინაურ საქმეებში. ადერბაიჯანის მუშები და გლეხები, რომელთა ხელშიაც არის სრული ძალაუფლება მთელის რესპუბლიკის საზღვრებში, არ საჭიროებენ უცხოელ დამცველთ“[151]. საბჭოთა აზერბაიჯანის მესვეურები აგრესიას აშკარად აღარ მალავენ, მათ ზაქათალის ოლქი უკვე თავისად მიაჩნიათ და საქართველოს მზრუნველობის გამოჩენას ზაქათალის ოლქისადმი, თავიანთ შინაურ საქმეებში ჩარევად სთვლიან. მათ საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიურ სანქციებსაც მიმართეს. შეუწყვიტეს ნავთობ-პროდუქტების მიწოდება, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დააკავეს სამარშუტო მატარებლები, ორთქლმავლები და ბრიგადები. ამის სანაცვლოდ საქართველოს მთავრობამ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სფსრ და აზერბაიჯანის სსრ არსებული ქონება აღწერა და შეკრა იმ დრომდე, ვიდრე საქართველოს სამარშუტო მატარებლები, ორთქლმავლები და ბრიგადები არ იქნებოდა დაბრუნებული[152]. საქართველოს მთავრობას კარგად ესმოდა, რომ აზერბაიჯანის ხელით საქმეს საბჭოთა რუსეთი აკეთებდა: „ესენი მოძრაობენ ჩვენს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა კარნახით. ფაქტიურად დღეს ჩვენი გაწითლებული მეზობლების მთავრობა იგივე რუსეთის ნარკომია; მათი ხაზი და პოლიტიკა ჩვენს წინააღმდეგ ერთია“[153]. მოვლენებმაც აღარ დააყოვნეს. 1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დასაწყისში ზაქათალის ოლქში დამატებით განლაგდა რუსეთის მე-11 არმიის მე-16 ცხენოსანი დივიზია პეტრე კურიშკოს მეთაურობით, აგრეთვე 58-ე და მე-20 მსროლელი დივიზიის ნაწილები[154].

1921 წლის 15 თებერვალს მე-11 არმიამ საბრძოლო მოქმედება დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ აქსტაფაფოილის მხრიდან, ხოლო 17-18 თებერვალს მათ გადმოლახეს მდინარე მაზიმ-ჩაი და შემოიჭრნენ ლაგოდეხში და სა-

ერთოდ სიღნაღის მაზრაში. საქართველო ყველა მხრიდან ალყაში იყო მოქცეული...

1921 წლის 25 თებერვალს საქართველო გაასაბჭოეს. გასაბჭოების შემდეგ საქართველომ საბოლოოდ დაკარგა თავისი ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი.

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ვერ მოაგვარა საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო სასაზღვრო საკითხები. 1920 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ აშკარად მოგებული პოზიციები დასთმო და ვერ გამოიყენა თავის სასარგებლოდ. საქართველო თეორიულად ზაქათალას ყოველთვის თავის შემადგენელ ნაწილად თვლიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის 107-ე მუხლით გამოცხადდა აფხაზეთის, სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოლქის) და ზაქათალის ოლქის ავტონომია, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილისა[155]. მაგრამ ეს მხოლოდ სურვილი იყო, რეალურად საქართველოს ძალაუფლება ზაქათალის ოლქზე აღარ ვრცელდებოდა.

თავი III

საქართველო-სომხეთის ტერიტორიული ცვლილებები 1921-1938 წწ.

1921 წლის 25 თებერვალს მოხდა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება. ბოლშევიკების დროს საზღვრებისადმი დამოკიდებულების საკითხი რადიკალურად შეიცვალა. საბჭოთა ხელისუფლების დროს რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წაიშალა, რაც საბაუოების, პიკეტებისა და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა: „მენშევიკური მთავრობის დამხობა, საქართველოს ბევრმა ჭია-ღუამ გაიგო, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს აღსასრული, ბევრს ისიც ეგონა, რომ მოკვდა საქართველო, როგორც იურიდიული პიროვნება, წაიშალნენ საქართველოს ისტორიული საზღვრები, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები და დასახეს საქართველო დიდი რუსეთის პატარა პროვინციად, რომლის ტერიტორიის გლეჯა, ქართველი ხალხის ტერიტორიულ სხეულზე ქირურგიული ექსპერიმენტები თითქოს საჯაროდ იყო ნებადართული. ვაკხანალია ბორჩალოში, ავანტიურა მესხეთის დედაქალაქში, დამკვიდრება არტაანში, შემდეგ ბათუმის სამარცხვინო ეპოპეა – საბუთები გახლამთ საქართველოს ცოცხალი სხეულის დაგლეჯის, საქართველოს დასახვა როგორც უპატრონო ქვეყნისა, საქართველოს ვაებისა და უბედურებისა“[156].

სწორედ „საქართველოს ვაებისა და უბედურების“ პერიოდი დაიწყო. ბოლშევიკების დროს, ლაპარაკი აღარ იყო სახელმწიფოებრივ საზღვრებზე. „ჩვენ ვერ მივიღებთ ომის გამომწვევ ბუნებრივ საზღვრებსო“ – აცხადებდნენ ისინი და საზღვრების საკითხს ცუდად გაგებული „ინტერნაციონალური“ ლოზუნგებით სწყვეტდნენ. ცხადი იყო, რომ „რევკომისთვის სამშობლოს სიყვარული ყელს ზევით გამოთქმული დეკლარაცია იყო“[157]. საქართველოს კომუნისტებმა საზღვრების საკითხი პროლეტარული ინტერნა-

ციონალიზმის თვალსაზრისით გადაწყვიტეს. მათ საქართველოს ისტორიული მიწები დაუთმეს „მოძმე ხალხს“.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველა კომუნისტი ერთ პლატფორმაზე არ იდგა. პირველად ნაციონალიზმისაკენ გადახრის ფაქტმა თავი იჩინა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანს შორის საზღვრების დაწესების, საბაჟო და საკონტროლო პუნქტების გაუქმების დროს. საზღვრების საკითხმა ფრიად მწვავე ხასიათი მიიღო. ბ. მდივანი ბრალს სდებდა ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას, რომ ისინი რესპუბლიკებს შორის საზღვრებს სპობდნენ და ტერიტორიის აღრეცას ახდენდნენ. გ. ორჯონიკიძე ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობაზე კატეგორიულად აცხადებდა, რომ საზღვრებს არავინ სპობდა, მაგრამ საზღვრების საკითხის გადაჭრის დროს უნდა ვემყარებოდეთ მშრომელი მასების ინტერესებსო[158].

მოგვიანებით 1922 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ოკუჯავას თავმჯდომარეობით, განიხილა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო დაცვის რაზმების მოხსნის შესახებ და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინადადება მისცა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მოხსნას სასაზღვრო დამცველი რაზმები და ყოველგვარი სახის საკონტროლო პუნქტები და სთხოვა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს სანქცია ზემოაღნიშნული დადგენილების განხორციელებისათვის[159].

მალე წამოაყენეს მოსაზრება, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს იზოლირებული არსებობა არ შეუძლიათ და აუცილებელია მათი გაერთიანება ფედერაციულ კავშირში. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციულ გაერთიანებას წინ აღუდგა „ნაციონალურ-უკლონისტური“ მიმდინარეობა, მაგრამ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ 1921 წლის 2 იელისს გაკიცხა „ნაციონალისტური გადახრა“ საქართველოს კომუნისტურ პარტიაში“[160].

1922 წლის 12 მარტს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საბჭოების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციამ დაამტკიცა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება.

1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში შედგა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა, რომელმაც დაადასტურა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემდგომი სახელმწიფოებრივი დაახლოვების იდეა და შექმნა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფო — ფედერაციული კავშირი გარდაიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად[161].

ამის შემდეგ ლაპარაკიც აღარ არის სახელმწიფო საზღვრებზე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სადავო სასაზღვრო საკითხების განსახილველად იქმნება არა სახელმწიფოებს შორის, არამედ მაზრებს შორის საზღვრების გამმიჯნავი კომისიები, რომელთა ოქმებში ყველგან საუბარია ფაქტიური მფლობელობის, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ან უკეთეს შემთხვევაში ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ საზღვრებზე.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია, ს. კიროვის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა წარმოედგინა თავისი შეხედულებები და წინადადებები ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრების შესახებ. კომისიის სხდომები იმავე წლის 25-27 ივნისს შედგა ქ. თბილისში.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: კიროვი (თავმჯდომარე), საქართველოს მხრიდან სვანიძე, თოდრია, სომხეთის მხრიდან ბეკზადიანი, აზერბაიჯანის მხრიდან ომარ ფაიკი, ჰუსეინოვი, გაჯინსკი, რასულ ზადე. ამ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სომხეთის წარმომადგენელი ბეკზადიანი, რომელმაც აღნიშნა: „მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იგულისხმება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის მარტში დადებული ხელშეკრულება) სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტე-

რიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიკურ რესურსებიანად. უმდიდრესი ქვანახშირის და მარილის მაღაროები და ყარსის, სარიყამიშის, ოლთისის და კაგიზმანის ტყიან-საძოვრებიანი რაიონები... გარდა ამისა, ამ ბოლო ომის წყალობით ლტოლვილთა რაოდენობა 410 ათასამდე ავიდა. მათ ადგილი უნდა მიეუჩინოთ... ახლა სომხეთს არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყისა და სხვა ფონდები – სახელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო, ამიტომ იგი როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ვერ შეძლებს არსებობას. ამ გარემოებათა გამო ამხ. ბეკზადიანს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხანაგმა მიასნიკოვმა და ბეკზადიანმა ამხ. სტალინი ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი საესებით გაიზიარა.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე, სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხანაგ ქართველებსა და თათრებს, გაითვალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისათვის, ერთხელ და სამუდამოდ გულწრფელი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარების გულისათვის, დაგვთანხმდნენ გარკვეული ტერიტორიების დათმობას, ამასთან კომპაქტური სომხური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში“[162].

სომხეთის პრეტენზია საქართველოს მიმართ ასეთი იყო: ახალქალაქის მაზრა სომხეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო, ამასთან ამ მაზრაში უნდა ჩაეროთოთ ორი სომხური სოფელი: მოლითი და ყიზილ-კილისა, რომლებიც მდებარეობდნენ ტაბაწყურის ტბის ჩრდილოეთით არჯევანის ქედამდე. ამასთან აღნიშნულ რაიონს უნდა გამოკლებოდა ხიზაბავრის ქართულ მოსახლეობიანი უბანი[163].

აშკარაა, სომხეთის დელეგაცია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქვეყნისთვის ზრუნავდა და ანგარიშს არ უწევდა საქართველოს მდგომარეობას.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა საქართველოს იმდროინდელმა მესვეურებმაც მიუღებლად მიიჩნიეს ტერიტორიის ჩამოჭრა. ოქმში ჩაწერილია: „გამიჯვნის შემოთავაზებული

ვარიანტი ამხანაგი ქართველი დელეგატებისათვის მიუღებელია და ისინი პოლიტიკური მოსაზრებით აყენებენ იმ საკითხს, რომ არ დაიშვას რაიმე ტერიტორიების ჩამოჭრა“[164].

25 ივნისის სხდომაზე გადაწყდა, რომ პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ჯერჯერობით ლაპარაკი არ უნდა ყოფილიყო ამ ტერიტორიების ჩამოჭრაზე.

25 ივნისის კომისიის სხდომაზე საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ წარმომადგენლებს მსჯელობა ჰქონდათ ლორეს ნეიტრალურ ზონაზეც. სომხეთის წარმომადგენელი მოითხოვდა ამ ზონის მთლიანად სომხეთისათვის გადაცემას. ქართველები უარყოფდნენ ჩამოჭრის პრინციპს და სადავო ნეიტრალურ ზონას ყოფდნენ ორ სექტორად. აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორად. „ნეიტრალურ ზონაში მოეწყოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფა და ხაზით მთა პალუტლიბაში, მთა ვარტიკეხი, მთა შახალამი, შემდეგ მდინარე დებედა-ჩაის გაყოლებით აკორის სოფლებამდე, მთა გუგან-კარი, მთა ლეჯანი, ადგილი დაიბატლი, მთა აიდერბეკი, მთა აპაკლუ, სოფ. ალექსანდროვკა, სოფ. კამენკა, სოფ. გერგერი (რუსული სოფლები) ბეზობდალის მთამდე (მწვერვალამდე 2 კილომეტრით აქეთ) გაიყოს ორ სექტორად – აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად... ნებაყოფლობით უარს ამბობდნენ სომხეთის სასარგებლოდ მის აღმოსავლეთ სექტორზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სომხურია, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვდნენ მეორე საქტორს“[165].

25 ივნისს შეთანხმება არ იქნა მიღწეული. მეორე სხდომა 26 ივნისს გაიმართა. სხდომას კომისიის წევრების გარდა ესწრებოდნენ გ. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი და შ. ელიავა. ამ სხდომაზე ბეკზადიანი აყენებს კონკრეტულ წინადადებას: კომისიამ მუშაობა შეწყვიტოს და საზღვრების ყველა საკითხი გადატანილი იყოს ამიერკავკასიის კონფერენციაზე. წინადადება არ მიიღეს. ქართველებმა ახალი წინადადება წამოაყენეს. აღმოსავლეთ სექტორი სომხეთს დარჩეს, დასავლეთ სექტორში კი მოეწყოს რეფერენდუმი. სომხეთის დელეგაცია დაეთანხმა ამ წინადადებას[166].

თუმცა საბოლოოდ შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა და 27 ივნისს სხდომა შეწყდა. ივნისის ბოლოს ი. ბ. სტა-

ლინი, რომელიც დასასვენებლად იმყოფებოდა ნალჩიკში, ჩამოვიდა თბილისში, რათა მონაწილეობა მიეღო კავბიუროს პლენუმის მუშაობაში, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა 1921 წლის 2-7 ივლისს[167].

1921 წლის 7 ივლისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ ი. ბ. სტალინის მონაწილეობით განიხილა საქართველოს და სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი. კავბიუროს სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს და სომხეთის საგარეო საქმეთა კომისრები ა. სვანიძე და ა. მრავიანი. კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეუერთდეს სომხეთის სსრ რესპუბლიკას. რაც შეეხება ახალქალაქისა და ხრამის რაიონების სომხეთისათვის გადაცემის საკითხს, იგი განსახილველად გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის დასკვნა შემდეგ კვლავ კავბიუროს პლენუმს უნდა განეხილა[168].

ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად შექმნილმა პოლიტბიურომ 1921 წლის 16 ივლისს. სხდომამ დაადასტურა კავბიუროს დადგენილება ლორეს ნეიტრალური ზონის სომხეთისათვის გადაცემის შესახებ. თუმცა ბუდუ მდივანმა განაცხადა, ეს საკითხი რომ წინასწარ არ ყოფილიყო გადაწყვეტილი კავბიუროს დადგენილებით, იგი მიზანშეწონილად ჩათვლიდა მოსახლეობის გამოკითხვას (პლებისციტს). ამავე სხდომაზე განიხილეს ახალქალაქისა და ხრამის რაიონების საკითხიც, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებებისა და იმის საფუძველზე, რომ ახალქალაქის რაიონი ეკონომიკურად თბილისთან იყო დაკავშირებული სომხეთის წინადადება მიუღებლად ჩაითვალა[169].

იგივე საკითხები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტმა 1921 წლის 3 აგვისტოს გამართულ პლენუმზე. დაადასტურა საქართველოს პოლიტბიუროს დადგენილება ნეიტრალური ზონის შესახებ, იმის გამო, რომ ნეიტრალური ზონის საკითხის განხილვის დროს კავბიუროში არ ჰქონდათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრი, ეთხოვოს კავბიუროს ხელახლა განიხილოს ეს საკითხი, თავის მხრივ ცენტრა-

ლურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია რეფერენდუმის მოწყობა აღნიშნულ ზონაში. სომხებს კვლავ უარი ეთქვათ ახალქალაქისა და ხრამის რაიონების დათმობის წინადადებაზე[170].

1921 წლის 15 აგვისტოს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ მოისმინა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების მოწყობის შესახებ. პლენუმმა წინადადება მისცა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოებს და რევკომის თავმჯდომარეებს ხელი მოეწერათ რესპუბლიკათა შორის საზღვრების განმსაზღვრელი შეთანხმებისათვის[171].

1921 წლის 6 ნოემბერს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ბუდუ მდივანი და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე მიასნიკოვის მიერ ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვით დადგინდა საქართველოს სს და სომხეთის სს რესპუბლიკებს შორის საზღვარი. სომხეთს გადაეცა ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა. სოფლები ირგანჩაი, საათლო, ჯანდარი, ახკერპი, ოფრეთი, ხოჟორნი, ბრდაძორი, სადახლო დარჩა საქართველოს ფარგლებში[172].

აქეე მთლიანად მოგვყავს ამ შეთანხმების მიხედვით დადგენილი საქართველო სომხეთის საზღვარი: „საზღვარი იწყება უჩ-ტაპალარის მთიდან. კლაკნილი ხაზით, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიემართება 8456 ფუტის სიმაღლიდან, აღწევს ორთელდაბის უღელტეხილამდე (8030) და ოკიუს-დაგის მთებიდან ხაზი უხვევს ჩრდილო აღმოსავლეთით, შემდეგ აღმოსავლეთით, ჩამოიტოვებს ჩრდილოეთით მადატაფის ტბას და სოფელ ტროიცკის, ხოლო სამხრეთით სოფელ ტატოი-ხარაბას, კირმირ-ხარაბას და დარაკეის და აღწევს ლეილა-დაგის მთამდე, აქედან მიდის სწორი ხაზი ქედზე სოფელ ირგინჩაისთან, შემდეგ სწორი ხაზი სიმაღლეზე 798, შემდეგ კულუტაშის სიმაღლეზე (885,5), გაივლის 676 საჟენ სიმაღლის მთაზე, სოფელ საათლოზე, სიმაღლე 910-ს, სიმაღლე 739-ის გავლით და სოფელ ჭონდარამდე აღწევს, შემდგომ მიემართება 735,695 საჟენის მქონე სიმაღლეებზე და უხვევს სოფელ ახკერპისკენ, აქედან სწორი ხაზი ადის სოფელ ოფრეთისაკენ, სიმაღლე 492, შემდეგ გადის სოფელ ხოჟორნისთან არსე-

ბულ ეკლესიის ნანგრევებზე, სოფელ ბრდაძორზე, გაიე-
ლის სოფელ სადახლოს, სადგურ სადახლოს, ჩრდილოე-
თით მდებარე 1554 ფუტის მქონე სიმაღლეზე, რომელიც
მდებარეობს სადახლოს ჩრდილოეთით, შემდეგ აღწევს
2660 სიმაღლემდე (ტაპა-დაგის მთა), შემდეგ ხაზი მიდის
წარწერა „წყარო“-მდე, მდებარეობს „კაჩაკალას“ კლდის
წარწერიდან ჩრდილოეთით და მთავრდება მთა პალუტლი-
ბაშთან.

შენიშვნა: სოფლები ირგინჩაი, საათლო, ჯანდარი, ახ-
კერპი, ოფრეთი, ხოჟორნი, ბრდაძორი, სადახლო რჩება ნაჩ-
ვენები ხაზის ჩრდილოეთით საქართველოს ფარგლებში[173].

ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე, 1922 წლის 1
სექტემბერს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კო-
მისარიატმა ახტალის სატყეოს გადასცა ლოქ-ლალვარის
ქედის ჩრდილოეთით მდებარე ტყე, სულ 15-18 ათასი დესჯ-
ტინა[174].

1922 წლის 12 ოქტომბერს სოფელ ხოჟორნიში ერთმა-
ნეთს შეხვდნენ საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ
წარმომადგენლები. საქართველოს მხრიდან შულავერის
ტყის მეურნეობის მეტყევის თანაშემწე ჯაფარიძე, ხოლო
სომხეთის მხრიდან ახტალის მეტყევე ტატევოსიანი. ჯაფა-
რიძემ ყოფილი ნეიტრალური ზონის ტყე, მდებარე ლოქ-
ლალვარის ქედსა და სახელმწიფო საზღვარს შორის
(დადგენილი 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებით) ჩა-
აბარა ტატევოსიანს[175].

ამ ხელშეკრულებებმა თავიდანვე გამოიწვია იმ ქარ-
თული სოფლების უკმაყოფილება, რომლებიც სომხეთს გა-
დაეცა. ვორონცოვის რაიონის რევოლუციური კომიტეტის
თავმჯდომარე გიორგი სობორნოვი ბორჩალოს მაზრის რე-
ვოლუციური კომიტეტისადმი 1921 წლის 15 ნოემბრით და-
თარიღებულ მოხსენებით ბარათში აღნიშნავს, რომ „ვო-
რონცოვის (ვორონცოვ-ლორეს რაიონი — ბორჩალოს მაზ-
რის სამხრეთი ნაწილი 2367, 44 კილომეტრი ფართი) რაი-
რევკომი და მცხოვრებნი დაბნეულნი არიან — ერთი ცნო-
ბით ვორონცოვის რაიონი უკვე მიეკუთვნა სომხეთს, ხო-
ლო მეორეთი დარჩა საქართველოს ფარგლებში, რაიონის
მცხოვრებლებმა უკვე არაერთხელ განაცხადეს თავიანთი

სურვილი, დარჩნენ საქართველოს სსრ ფარგლებში, რადგან თბილისის ოლქთან განუყოფლად არიან დაკავშირებულნი კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობით. ლორეს რაიონი სომხეთისაგან თვითონ ბუნებამ გამოაცალკევა „ბამბაკისა“ და „კარახაჩის“ მთებით, რომელთა გადალახვა ზამთარში შეუძლებელია. ვორონცოვის რაიონრევკომმა 11 ნოემბერს მიიღო ლორეს მაზრის რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოგზავნილი 6 ნოემბრის ხელშეკრულების ოქმის ასლი. ამ ოქმიდან ჩანს, რომ ვორონცოვის რაიონი გადაეცა სომხეთს. ეთხოვ ბორჩალოს მაზრის რევკომს საბოლოოდ გამოარკვიოს როგორ მოიქცეს რაიონრევკომი და რა ვუყოთ მცხოვრებლებს, რომლებმაც არაერთხელ გამოხატეს თავიანთი სურვილი“[176].

სულ მალე ნათელი გახდა, რომ 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულება იყო უვარგისი. საზღვარი გაველებული იყო სოფლიდან სოფლამდე რუკაზე ხაზისებურად. აღმოჩნდა რომ სოფელ სადახლოს, ბრდაძორის, გიულ-ბაღის, ხოჟორნის, ოფრეთის, დმელახის, ჩანახჩისა და ახკერპის სანადელო მიწები იყო გაჭრილი, გაკვეთილი, ზოგიერთ შემთხვევაში თვით სოფლებიც კი ნაწილებად იყო გაყოფილი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მთლიანად დარღვეული იყო ამ რაიონის ცხოვრებისეული ეკონომიკური და სამეურნეო ინტერესები. სამართლიანად აღნიშნავს ჯ. კეკელია: „ისეთი დოკუმენტის შედგენა, რომელიც ვერ იქნებოდა იურიდიული საფუძველი რუკაზე საზღვრის მოსანიშნად, ყოვლად მიუღებლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან როგორც დოკუმენტი საზღვრის ლეგიტიმურობის გარანტიას ვერ იძლევა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მთიანი და დანაწევრებული რელიეფის პირობებში, იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტში აღნიშნება-მითითება საზღვრის ხაზის იმ წერტილებისა, რომელთა შორის 5, 10, 15 კმ-ზე მეტი მანძილია, საზღვრის ხაზი ასეთ პუნქტებს შორის ჰაერში გამოკიდებულივითაა და არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ იგი გავატაროთ პატარა, დიდ ან მცირე თხემებზე, უღელტეხილზე ან კიდევ მდინარეებზე“[177].

მოგვიანებით, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის თავმჯდომარე ს. თოდრია ამიერკავ-

კასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ: „საქართველოს და სომხეთს შორის 1921 წლის 6 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება არანორმალურია, რადგანაც ესაა საზღვარი ყოფილი ნეიტრალური ზონისა საქართველოს მხრიდან, რომელიც დადგენილი იყო არანორმალურ პირობებში, სომხეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს. ეს სასაზღვრო ხაზი დაადგინა ინგლისის ხელისუფლებამ დროებითი ზავის დადების დროს და სასაზღვრო ხაზი გადიოდა იმ პუნქტებზე, სადაც საქართველოს ჯარებს მოუსწრო დროებითმა ზავმა. აქედან გამომდინარე, სრულებითაც არ იყო გათვალისწინებული, ამ რესპუბლიკების არც გეოგრაფიული, არც ეთნოგრაფიული მხარე, არამედ უბრალოდ იყო დადგენილი დროებითი სადემარკაციო ხაზი, სახელმწიფო საზღვრის საბოლოო დადგენამდე. შემდეგ ეს საკითხი გადაწყდა. ნეიტრალური ზონა გაიყო ორ რესპუბლიკას შორის. ამასთან საქართველოს საზღვარმა გადაიწია ლოქ-ლალვარის ქედის იქით...“[178].

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მოითხოვდა 1921 წლის 6 ნოემბერს ხელშეკრულების გადასინჯვას, რასაც ასაბუთებდა შემდეგი მოსაზრებით:

„1. 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულება არის საჰაერო, არ ითვალისწინებს არც გეოგრაფიულ, არც ეკონომიურ და არც ეთნოგრაფიულ მხარეს და წინადადებას იძლეოდა ლოქ-ლალვარის ქედი ჩაეთვალათ ბუნებრივ საზღვრად;

2. ამ ხელშეკრულებით სომხეთს გადაეცა ტყე, რომელსაც წყალდამცავი მნიშვნელობა ჰქონდა ბორჩალოს მაზრის მდინარეებისათვის;

3. ჩათახის ქარხნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იყო ტყის მასალით უზრუნველყოფა“[179].

ეს საკითხი განიხილეს 1923 წლის 30 აპრილს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული საზღვრების გამმიჯნავი კომისიის სხდომაზე. სხდომას ესწრებოდნენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

ამბარცუმიანი, პრეზიდიუმის წევრები ტალიბლი, გეგეჭკორი, სომხეთის მხრიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის მოადგილე კოსტანიანი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ათაბეკიანი, სათიბი განყოფილების გამგე აკონჯანიანი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის იურისკონსული ესაიანი და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ტოპოგრაფი ლჯანულდიანი. საქართველოს მხრიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის მოადგილე ტალახაძე, მიწათმოქმედების განყოფილების გამგე ჟვანია, საიბი განყოფილების გამგე რომანიშვილი და ტოპოგრაფი ბარამიძე.

ამ კომისიის დადგენილებით შეიცვალა ადმინისტრაციული საზღვარი საქართველოსა და სომხეთს შორის და დადგინდა ლოქ-ლალვარის ქედზე. სოფლები ირგანჩაი, საათლო, სადახლო დარჩა დადგენილი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით საქართველოს ფარგლებში თავისი სანადელო მიწებით. ახლად დადგენილი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით და 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებით დადგენილ სასაზღვრო ხაზს შორის მდებარე ტყე დარჩა ერთობლივ მფლობელობაში[180].

აქვე მოლიანად გთავაზობთ კომისიის მიერ დადგენილ საზღვარს: „საზღვარი იწყება უჩ-ტაპალარის მთიდან კლაკნილი ხაზით, დასავლეთ-აღმოსავლეთით 8456 სიმაღლემდე, აღწევს ორთელდაბის გადასასვლელამდე. ოკიუზდაგის მთებიდან ხაზი უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემდეგ აღმოსავლეთით ჩამოიტოვებს ჩრდილოეთით მადატაფის ტბას და სოფელ ტროიცკის, ხოლო სამხრეთით სოფელ ტატოი-ხარაბას, კირმირ-ხარაბას და დარაკეის. შემდეგ მიდის სწორი ხაზი სოფელ ირგინჩაიზე, პირდაპირ სიმაღლეზე 798, შემდეგ სიმაღლე კულუტაშზე 885, გაივლის სიმაღლე 676-ს, სოფელ საათლოს, სიმაღლე 910, შემდეგ საზღვარი მიყვება წყალგამყოფზე ლოქის უღელტეხილის გავლით. გაივლის სიმაღლე 857-ს, შემდეგ 899-ს, ლოქის სიმაღლეს 1005, 57-ს, შემდეგ ოსინოვას მთას, უღელტეხილ მგლის ჭიშკარს 855, ლალვარის მთას სიმაღლე 1198, სიმაღლე 1052-ს, სიმაღლე 144-ს, ბუჩაკარის მთას 697, კოჩელკონდას მთას 695, სიმაღლე 56-ს. შემდეგ საზღვარი

უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით და 386 სიმაღლის გავლით გამოდის სადგურ სადახლოსთან. აქედან აღწევს ქიმს სიმაღლისა 1554, რომელიც მდებარეობს სადახლოს ჩრდილოეთით, შემდეგ გაიელის სიმაღლე 2660 ტაპადაგის მთას, შემდეგ წარწერა „წყაროს“, რომელიც მდებარეობს წარწერა კახა-კალის კლდის, პოლუტლიბაშის მთის ჩრდილოეთით.

შენიშვნა: სოფელი ირგანჩაი, საათლო, სადახლო რჩება ნაჩვენები ხაზის ჩრდილოეთით საქართველოს ფარგლებში სანადელო მიწებთან ერთად“[181].

ამ დადგენილებას არ დაეთანხმა სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის თავმჯდომარე ათაბეკიანი. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამბარცუმიანმა სხდომის ოქმში შეიტანა შემდეგი სახის შესწორება: „ვინაიდან არსებობს საქართველოს რევკომისა და სომხეთის სახკომსაბჭოს შორის დადებული 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულება, რომელიც დაედო საფუძვლად საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლებს შორის 1922 წლის 1 სექტემბერს დადებულ დროებით შეთანხმებას, ლორისა და ბორჩალოს მაზრებს შორის საზღვრების საკითხზე, ა. ს. ამბარცუმიანი რჩება განსაკუთრებულ მოსაზრებაზე“[182].

ათაბეკიანმა 1923 წლის 7 მაისს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში წარადგინა მოხსენება, რომელშიც აღნიშნავდა: „კომისიამ 30 აპრილის დადგენილებით შეცვალა საქართველოს და სომხეთს შორის 1921 წლის 6 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო საქართველოს რევოლუციურ კომიტეტსა და სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სრული თანხმობით. ახტალის სატყეოს მიმდებარე ტყე საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისართა საბჭომ გადასცა სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისართა საბჭოს.

მხედველობაში რომ მივიღოთ 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულება და ის ფაქტი, რომ ტყე აუცილებელია სომხეთის რესპუბლიკისათვის... მე არ ვეთანხმები 1923 წლის

30 აპრილის კომისიის დადგენილებას და მოვითხოვ ძალაში დარჩეს 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულება“[183].

როგორც ვხედავთ, სომხეთის მხარე, ფორმალური მოსაზრებებით ცდილობდა თავისი ტერიტორიის გაფართოვებას. სრულიად უარყოფდა ამ კუთხის ისტორიულ, ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ინტერესებს. ერთადერთი ბუნებრივი საზღვარი იყო ლოქ-ლალვარის ქედი, რომელიც სრულიად პასუხობდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.

საქართველოს წარმომადგენლების თვალსაზრისით, 1923 წლის 30 აპრილის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მაზრების საზღვრების გამმიჯნავი კომისიის სხდომის მიერ დადგენილი საზღვარი იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, უფრო ცხოვრებისეული.

მაგრამ ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დაამტკიცა ეს დადგენილება.

ეს ოქმი განიხილა ამიერკავკასიის ცაკთან არსებულმა მიწის კომისიამ 1923 წლის 18 სექტემბერს და გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„1. საკითხის სწორად გადასაჭრელად საჭიროა ადგილზე შემოწმდეს ის ვითარება, რომელიც საფუძვლად უდევს სომხეთის მიერ წარმოდგენილ განსაკუთრებულ შეხედულებას;

2. აუცილებელია ადგილზე შემოწმდეს ლორესა და ბორჩალოს მაზრებს შორის არსებული სასაზღვრო ტყის რაიონი და გამოვიკვლიოთ ამ რაიონების ეკონომიკური მნიშვნელობა მომიჯნავე მოსაზღვრე მაზრების და რესპუბლიკებისათვის“[184].

სასაზღვრო დავა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. 1924 წლის 20 სექტემბერს შაუმიანში შედგა ლორე-ბამბაკისა და ბორჩალოს მაზრების წარმომადგენელთა შერეული კომისიის სხდომა. ლორე-ბამბაკის მაზრის მხრიდან ესწრებოდნენ მიწის განყოფილების გამგე მხიტარიანცი, მაზრის მიწისმზომელი სომხიევი და მეტყევე სურპუნოვი. ბორჩალოს მაზრის მხრიდან მიწის განყოფილების

გამგე გაჯიბეკოვი, მეტყევის თანაშემწე ფ. კოლოსოვსკი, რეკომის მდივნის თანაშემწე ა. ავაქოვი.

ლორე-ბამბაკის მაზრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამიერკავკასიის ცაკთან არსებული მაზრების ადმინისტრაციული საზღვრების დამდგენი კომისიის 1923 წლის 30 აპრილის სხდომის გადაწყვეტილებით დადგენილი საზღვარი არ დაამტკიცა ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა და ამიტომ არსებობს 1921 წლის 6 ნოემბერს დადგენილი ერთადერთი დამტკიცებული საზღვარი. დადგენილ საზღვარში არსებობს ერთგვარი უხერხულობა, რომელიც უნდა გასწორდეს. საზღვარი არის საჰაერო, რაც ტექნიკურად დაუშვებელია, რაც შეეხება სოფლებს, რომლებიც მდებარეობენ ბორჩალოს მაზრაში, ხოლო მათი მიწები ეკუთვნის ლორე-ბამბაკის მაზრას, მათი ბედი კომისიამ უნდა გადაწყვიტოს ადგილზე. ან სოფლები უნდა გადაეცეს ლორე-ბამბაკის მაზრას, ან მიწები ბორჩალოს მაზრას. ლორე-ბამბაკის მაზრის წარმომადგენლები 1921 წლის საზღვრის დაცვის აუცილებლობას ასაბუთებდნენ ძირითადად ეკონომიკური მოსაზრებებით, სომხეთის ტყის სიმცირითა და ლორეს სოფლების სიახლოვით სადავო ტყესთან.

რაც შეეხება ბორჩალოს მაზრის წარმომადგენლებს, მათ კელაე მოითხოვეს 1923 წლის 30 აპრილის დადგენილების დამტკიცება. სხდომამ ორივე მხარის აზრთა სხვადასხვაობის გამო გადაწყვეტილება ვერ მიიღო და უშედეგოდ დამთავრდა[185].

1925 წლის 3 დეკემბერს ამიერკავკასიის ცაკთან არსებულმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხის გადასაწყვეტად კომისიის შექმნის შესახებ. 1926 წლის 9 მარტს შეიქმნა კომისია კოჩეტკოვის თავმჯდომარეობით, რომელშიც შედიოდნენ ორივე რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრები[186].

1926 წლის 24 და 25 აპრილს კომისიამ საგულდაგულოდ დაათვალიერა სადავო ადგილები. 26 აპრილს კომისია გავიდა იმ საზღვრების დასათვალიერებლად, რომელსაც მოითხოვდა სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, მაგრამ თავიდანვე ცხადი გახდა, მათი უვარგი-

სობა. ამაში თვით სომხებიც დარწმუნდნენ და უკან წაიღეს თავისი წინადადებები. 27 აპრილს კომისია კვლავ შეიკრიბა სადგურ სადახლოში. თათბირს ესწრებოდნენ გადამწყვეტი ხმით კოჩეტკოვი (თავმჯდომარე) და შლეიკო (მდივანი), საქართველოს წარმომადგენლები ბაქრაძე — ტყის განყოფილების გამგე, ერისტოვი — რევიზორ-ინსტრუქტორი და ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე რასულ-ზადე. სომხეთის წარმომადგენლები: ტყის სამმართველოს უფროსი ავდალბეკიანი, ლორე-ბამბაკის მაზრის წარმომადგენელი მხითარიანი. სათათბიროს უფლებით ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ვოშჩინსკი, ბორჩალოს მაზრის მეტყევე ლინეესკი, ალავერდის ქარხნის წარმომადგენლები სარქისიანი და ხარიტოვი, ახტალის მეტყევე გასპაროვი.

კოჩეტკოვმა წინადადება შეიტანა საფუძვლად მიეღოთ 1921 წლის 6 ნოემბრის აქტით დამტკიცებული საზღვარი. კომისიამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. სომხეთის წარმომადგენლებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი კოჩეტკოვს და თავის მხრივ შესთავაზეს შემოეხაზათ ახალი საზღვრები, რომელიც გაიელიდა ცოცხალ მიჯნებს ე.ი. ქედებს, მდინარეებს და ა. შ. საქართველოს წარმომადგენლები იმ თვალსაზრისზე იდგნენ, რომ 1923 წლის 30 აპრილის აქტით დადგენილი საზღვარი იყო 1921 წლის საზღვრის ცხოვრებისეული ვარიანტი[187].

გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ ორივე მხარის მოსაზრების გათვალისწინებით, ამიტომ ამ ეტაპზე კომისიამ ვერ მიიღო რაიმე გადაწყვეტილება. სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლებმა საკითხის მოგვარება მიანდეს ამიერკავკასიის ცაკთან არსებულ მიწის კომისიას.

საქართველოს სსრ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარი გეგეჭკორი ამიერკავკასიის ცაკისადმი 1926 წლის 5 ივნისს გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა: „საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ შორის 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვარი არის არაცხოვრებისეული, რის გამოც ამ საზღვრების საკითხი არაერთხელ გამხდარა გადასინჯვის საგანი, სომხეთის

წარმომადგენლები ამ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით ცდილობენ თავიანთი ტერიტორიის გაფართოებას და არ ითვალისწინებენ ამ მხარის ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ინტერესებს... რომ გავითვალისწინოთ ბუნებრივ-გეოგრაფიული, სამეურნეო-ეკონომიკური ინტერესები, რეალურ სახღვრად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ლოქ-ლალვარის ქედი"[188], ამის დასადასტურებლად გეგეჭკორს მოჰყავს გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიკური მოსაზრებები:

„1. ყველა ის მდინარე და ნაკადული (კარა-სუ, მაშაევერა, ლოქ-ჩაი, გულმამედ-ჩაი, ახკერპი-ჩაი, პერპინჯან-ჩაი და ბანუში), რომელთაც აქვთ ცხოვრებისეული მნიშვნელობა ამ რაიონისათვის და რომელიც მდებარეობენ ბორჩალოს მაზრის ტერიტორიაზე, სათავეს ღებულობენ მთავარ წყალგამყოფ ლოქ-ლალვარის ქედზე. ამით აიხსნება ამ რაიონში მდებარე ტყის უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა;

2. სადავო ზოლის საერთო ფართი მოიცავს 21000 დესეტინას. აქედან 1500 დესეტინა არის საზაფხულო საძოვრები, რომლითაც უძველესი დროიდან სარგებლობენ ბორჩალოს მაზრის სოფლები: დიდი კაპანახჩი, სადახლო, ბოლნის-ხიჩინი, დამია, ხოჟორნი. ყველა ამ სოფელს აქვს განსაზღვრული ნაკვეთი ამ საძოვრებზე, რადგანაც ეს საძოვრები ამ სოფლებისათვის საკმარისი არ არის, ისინი სარგებლობენ მთელი სადავო ტერიტორიის საძოვრებით. ამ სოფლების მოსახლეობა განუყოფლად არის დაკავშირებული ამ საძოვრებთან და ამ სოფლების არსებობა მათ გარეშე შეუძლებელია;

3. სადავო ტერიტორიის სანადელო მიწებით სარგებლობს ბორჩალოს მაზრის ხუთი სოფელი: ოფრეთი, ახკერპი, ჩანახჩი, ჯილიზა და ბრდაძორი, საერთო ფართია 2000 დესეტინა.

4. სადაო ტყის ფართია 17500 დესეტინა. ამ ტყით სარგებლობს 17 სოფელი: სადახლო, დამია, ბრდაძორი, ხოჟორნი, გიულბაღი, ჩანახჩი, წერაქვი, ახკერპი, ხოხმელი, ოფრეთი, დიდი კაპანახჩი, დიდი-ხაჩინი, კოშკატალა, ჯარაფი, ლოქ-დასანდარი, მუღანლო, საათლო.

5. 1922 წელს აღსდგა ჩათახის სპილენძის სადნობი ქარხანა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო რესპუბლიკისა და ამიერკავკასიისათვის, არამედ მთელი კავშირისათვის. ამ ქარხნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხე-ტყის მასალას. აქედან გამომდინარე, გასაგებია სადავო ტერიტორიის მნიშვნელობა საქართველოსათვის. ზემოთ მოყვანილი მოსაზრების გათვალისწინებით საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს აუცილებლად მიაჩნია აღნიშნოს, რომ 1922 წლის 1 სექტემბრის შეთანხმების საფუძველზე ტყის დაცვა და ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილება ტყის მასალით დაევალა ახტალის მეტყეებს, რომელმაც დაუშვა მთელი რიგი დარღვევები, რაც ხელს უწყობს ხე-ტყის მასივის განადგურებას, ამას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ბორჩალოს მაზრის მოსახლეობას და ჩათახის ქარხანას, თუ არ იქნება მიღებული აუცილებელი ზომები".

თავისი მოხსენების დასასრულს გეგეჭკორი აღნიშნავს, რომ „ლოქ-ლალვარის ქედზე საქართველო-სომხეთის საზღვრის დადგენის შემთხვევაში სომხეთი მაინც ღებულობს უდიდეს ტყის მასივს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ეკუთვნოდა საქართველოს და შედიოდა ბორჩალოს მაზრის ფარგლებში, როგორიცაა მაგალითად: გერჩერის აგარაკი — 25112 დესეტინა, აძორის აგარაკი — 3901 დესეტინა, ხაჩიგეტის აგარაკი — 6317 დესეტინა, ჩაჩალინის აგარაკი — 1073 დესეტინა, შინიხის აგარაკი — 1317 დესეტინა და ალავერდის აგარაკი 9279 დესეტინა, სულ 61320 დესეტინა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მოითხოვს საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრად ჩაითვალოს ლოქ-ლალვარის ქედი"[189].

არ შეიძლება განცვიფრების და აღშფოთების გარეშე წავიკითხოთ საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრების მომწესრიგებელი ერთ-ერთი, ეროვნებით არაქართველი ექსპერტის დასკვნა, რომელიც მან გაუგზავნა ამიერკავკასიის ცაკს 1926 წლის 8 ივნისს: „მისი დადგენის დროს (იგულისხმება 1921 წლის 6 ნოემბრის შეთანხმება) მიასნიკოვი და ბუდუ მდივანი შესანიშნავად ორიენტირებ-

დნენ რუკაზე, მათ მიერ არ იყო გაუთვალისწინებელი არც ერთი სიმაღლე... მით უფრო უნდა დაენახათ თოვლიანი ლოქ-ლალვარის ქედი; ცხადია, რომ ისინი ამყარებდნენ ეკონომიურ, ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარს მაზრებს შორის და ამიტომ 1923 წლის 30 აპრილის საზღვარი არ არის 1921 წლის 6 ნოემბრის საზღვრის „ცხოვრებისეული ვარიანტი", არამედ ეს არის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემოთავაზებული სრულიად დამოუკიდებელი საზღვარი. თუმცა სახელმწიფოებს რომ დაედგინათ სტრატეგიული საზღვარი, რომელიც გამიჯნავდა სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს, უკეთ დაიცავდა საზღვარს ომის შემთხვევაში, უკეთეს საზღვარს ვერც მოძებნიდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა თუ საზღვრად ჩაითვლებოდა არა ლოქ-ლალვარის ქედი, არამედ ქედი, რომელზედაც გადის საზღვარი თურქეთისა და სსრკ შორის და მისი დასასრული არ შეიძლება იყოს სადგურ სადახლოზე, არამედ უნდა გაგრძელებულიყო აირუმზე, ყარაქილისზე და ა. შ. სანამ ქედი არ დამთავრდებოდა. მიასნიკოვი და მდივანი ძალიან კარგად ერკვეოდნენ ეკონომიკურ საკითხებში, როცა ამყარებდნენ მოცემულ საზღვარს. ის მხოლოდ ტექნიკურად უნდა გასწორებულიყო და უსარგებლო დავა დიდი ხანია შეწყდებოდა...

მთიანი ლორეს გლეხებს არასოდეს არ ჰქონიათ ტყე, ტყე მათთვის არის აუცილებელი სასიცოცხლო პირობა"[190].

ამაზე უფრო ცინიკურ განცხადებას ვერ წაიკითხავ, ამ ექსპერტის ერთადერთი არგუმენტია, რომ „მთიანი ლორეს გლეხებს არასოდეს არ ჰქონიათ" ტყე.

ამ არგუმენტსავე ეყრდნობა სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის შადუმეცის განცხადება, რომ „როგორც ცნობილია, სომხეთი ღარიბია ტყით და მისი მასივი არ აღემატება 5-6%-ს, მაშინ, როცა საქართველოს ტყის მასივი აღწევს 27%-ს"[191].

ყოველივე ეს მათ უფლებას აძლევთ უარყონ საქართველოს წარსული, სასიცოცხლო ინტერესები და მიიტაცონ მისი ისტორიული მიწები.

1927 წლის 1 იანვარს კელაე შეიკრიბა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო დავის მომწესრიგებელი კომისია. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე ს. კასიანე, კომისიის წევრები: კოჩეტკოვი, სტურუა და ხომერიკი, კონსულტანტი სკიბეცკი, სპეციალისტ-მიწათმომწყობი ჩხენკელი, სომხეთის წარმომადგენლები: ერზიკიანი, ავდალბეკიანი, ტატევოსიანი და სორელი, საქართველოს წარმომადგენლები: ძამანა'შვილი, ბაქრაძე, ერისტოვი და რასულ-ზადე. განიხილეს ბორჩალოსა და ლორე-ბამბაკის მაზრებს შორის არსებული სადავო საკითხები და მიიღეს დადგენილება, რომ როგორც საქართველოს, ისე სომხეთის წარმომადგენელთა მიერ შემოთავაზებული საზღვარი ჩაეთვალათ მიუღებლად. დასახელებული მაზრების ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრის საფუძვლად მიიღეს 1921 წლის 6 ნოემბრის აქტით დადგენილი საზღვარი. საზღვარი უნდა გავლებულიყო ისე, რომ არ შელახულიყო ჩათახისა და ალავერდის თუჯისა და სპილენძის სადნობი ქარხნის ინტერესები. აღნიშნული საზღვრის ცხოვრებაში გასატარებლად შეიქმნა კომისია სტურუას თავმჯდომარეობით. 1927 წლის 19 სექტემბერს სტურუა შეცვალეს ბაგიროვით[192].

1927 წლის 5 იანვარს ქ. თბილისში, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, ერთმანეთს შეხვდნენ სომხეთისა და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრები ა. ერზინკიანი და ა. გეგეჭკორი. განიხილეს ლორე-ბამბაკისა და ბორჩალოს მაზრებს შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრის გავლების საკითხი ლოქ-ლალვარის რაიონში (სადახლოს ტყის აგარაკი). აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყვიტეს საზღვრების გავლება შემდეგი სახით: „მდ. დებედა-ჩაის ნაპირთან იმ ადგილზე, სადაც ამ მდინარეს ეკვრის სოფ. სადახლოს სანადელო მიწების სამხრეთი საზღვარი, გავატაროთ საზღვარი დასავლეთის მიმართულებით სანადელო მიწების აღნიშნულ საზღვარზე 324 სიმაღლემდე, შემდეგ ქედზე დასავლეთით „კარმირკარი"-ს სიმაღლემდე, სიმაღლე 460. ამ უკანასკნელი სიმაღლიდან — ქედზე, შემოსაზღვრავს რა ხოჟორნის და გიულ-ბაღის მიწებს, თავდაპირველად სამ-

ხრეთ-დასავლეთით, შემდეგ უხვევს ჩრდილო-დასავლეთით, ჩამოდის ქედზე და მდ. ბანუშზე, აქედან მკვეთრად უხვევს დასავლეთით, ადის სიმაღლეზე და შემდეგ ჩამოდის ქედზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მდ. შულავერ-ჩაიზე... ამ ადგილიდან უნდა გატარებულიყო საზღვარი ზემოაღნიშნული მდინარის დინებით, ოფრეთისა და ჩანახჩის სანადელო მიწების საზღვრის დასაწყისამდე. დანგრეული მონასტრის ახლოს და აქედან ნაჩვენები სოფლების სანადელო მიწების სადავო საზღვარზე მდინარე ახკერპი-ჩაიმდე. ამ ადგილიდან ქვემოთ აღნიშნული მდინარის დინების მიმართულებით 431 სიმაღლის შემოვლით ხრამამდე, აღნიშნული მდინარის მარცხენა ნაპირზე, რომელიც ადის ზემოთ 708 სიმაღლემდე. აქედან ხრამზე აღნიშნულ 708 სიმაღლემდე და შემდეგ ჩამოდის დაბლა ქედზე დასავლეთის მიმართულებით მდინარე გიულმამედ-ჩაიმდე კლდეების საწინააღმდეგოდ. ამ ადგილიდან ზემოთ ამ უკანასკნელი მდინარის დინების მიმართულებით, უკანასკნელ განშტოებამდე იმ ადგილებზე, სადაც ლოქის ქედიდან ჩამოდის ორი გზა და აქედან ზემოთ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ქედზე „ლოქ“-ის სიმაღლემდე, სიმაღლე 1005,57 და აქედან ლოქის ქედამდე 899 და 858 სიმაღლეების გავლით ლოქის უღელტეხილამდე და შემდეგ გადის უდავო საზღვარზე. აღწერილი საზღვრის გატარების შემთხვევაში სოფლები ბრდაძორი, ჩანახჩი და ახკერპი გადადის ლორე-ბამბაკის მაზრაში, ხოლო სოფლები ოფრეთი, ხოჟორნი, გიულბაღი და სადახლო რჩება საქართველოს ფარგლებში“[193].

1928 წლის 16 მაისს ამიერკავკასიის მცირე პრეზიდიუმის სხდომაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების მაზრების გამმიჯნავი კომისიის თავმჯდომარედ მ. ბაგიროვის ნაცვლად დაინიშნა იაკუბოვი[194].

1928 წლის 10 აგვისტოს ქალაქ თბილისში ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის 16 ივლისის დადგენილებით შეიკრიბა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების მაზრების გამმიჯნავი კომისია იაკუბოვის ხელმძღვანელობით. სხდომას ესწრებოდნენ

საქართველოს და სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისრები ს. ჯუღელი და ა. ერზინკიანი.

სხდომამ განიხილა ლორე-ბამბაკისა და ბორჩალოს მაზრებს შორის არსებული სადავო საკითხები. აზრთა გაცვლის შემდეგ კომისიამ აუცილებლად ჩათვალა გადაეწყვიტა დაეა შემდეგი მთავარი საფუძვლების გათვალისწინებით:

„1. ყველა სოფელი, რომელიც ესაზღვრება სადავო ზოლს (ხაზი დადგენილი 1921 წლის 6 ნოემბრის აქტით) თავისი მიმდებარე მიწებით უნდა გადაეცეს ერთ ან მეორე მხარეს სანადელო მიწებთან ერთად;

2. ყველა ის სოფელი, რომელიც გადავა ამა თუ იმ მხარეს, აგრეთვე ისინი რომლებიც მდებარეობენ ორივე მხარის უდავო ტერიტორიაზე უფლებამოსილია ისარგებლოს ორივე მხარის ტყით, დადგენილი წესის მიხედვით;

3. ბორჩალოს მაზრის მესაქონლეებმა უნდა ისარგებლონ იმ საძოვრებით, რომლებიც მდებარეობენ ლოქლალეარის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე და რომლითაც ამჟამადაც სარგებლობენ;

4. ჩათახის თუჯის სადნობი ქარხნის საჭიროებისათვის უნდა განმტკიცდეს ტყის აგარაკი, რომელიც მას გამოუყო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 1923 წლის 20 მაისს, აგრეთვე საქართველოს გამოეყოფა სომხეთის მფლობელობაში მყოფი სადავო ტყის ტერიტორიიდან 4 ათასი დესეტინა ტყის ფართი.

5. რაც შეეხება ტყის მასივს, რომელიც გადაეცემა ამა თუ იმ რესპუბლიკას მფლობელობაში, რჩება ორივე მხარის სარგებლობაში, შესაბამისი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესის მიხედვით“[195].

ამის შემდეგ კომისიამ მოხაზა ბორჩალოსა და ლორე-ბამბაკის მაზრებს შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარი, რომელიც ოდნავ განსხვავდება 1927 წლის 5 იანვარს დადგენილი აქტისაგან: „მდინარე დებედაჩაის ნაპირიდან იმ ადგილზე, სადაც ამ მდინარეს ეკვრის სოფელ სადახლოს სანადელო მიწების სამხრეთი საზღვარი, გაეტაროთ საზღვარი დასავლეთის მიმართულებით სანადელო მიწების აღნიშნულ საზღვარზე 324 სიმაღლემდე, შემდეგ

ქედზე დასავლეთის „კარმირკარის“ სიმაღლემდე, სიმაღლე 460. ამ უკანასკნელი სიმაღლიდან ქედზე შემოსაზღვრეს რა ხოჟორნის და გიულ-ბაღის მიწებს, თავდაპირველად სამხრეთ-დასავლეთით, შემდეგ უხვევს ჩრდილო-დასავლეთით ჩამოდის ქედ'ზე მდინარე ბანუშზე. აქედან მკვეთრად უხვევს დასავლეთით, ადის სიმაღლეზე და შემდეგ ჩამოდის ქედზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მდინარე შულავერ-ჩაიზე. ამ ადგილიდან უნდა გატარებულიყო საზღვარი ზემოთ აღნიშნულ მდინარის დინებით ოფრეთის და ჩანახჩის სანადელო მიწის საზღვრის დასაწყისამდე დანგრეული მონასტრის ახლოს და აქედან ნაჩვენები სოფლების სანადელო მიწების უდავო საზღვარზე მდინარე ახკერპი-ჩაიმდე. ამ ადგილიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ქედზე მთელი რიგი სიმაღლეების გავლით და 719 სიმაღლიდან 855 სიმაღლემდე „მგლის ჭიშკრის“ უღელტეხილთან და აქედან ჩრდილო- დასავლეთის მიმართულებით ლოქის ქედზე ოსინოვას მთის სიმაღლის, სიმაღლე 885, ლოქის მთის სიმაღლე 1005, 57, სიმაღლე 899 და ლოქის უღელტეხილის სიმაღლე 857 გაელით...

ზემოთ აღწერილის საფუძველზე სოფლები სადახლო, გიულბაღი, ხოჟორნი, ხოხმელი, ოფრეთი და ჯანდარი თავისი სანადელო მიწებით რჩება ბორჩალოს მაზრის ფარგლებში, ხოლო სოფლები ბრდაძორი, ჩანახჩი და ახკერპი თავისი მიწებით გადაეცა ლორე-ბამბაკის მაზრას.

გადაწყდა სოფელ ოფრეთისა და ჯილიზას შორის არსებული სადავო მიწის საკითხი მდინარე შულავერ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე გადაწყდეს სოფელ ოფრეთისათვის სოფელ ჩანახჩის მიწებიდან ტოლი მიწის გამოყოფით ან სხვა საშუალებით, რომელიც ადგილზე გამოკვლევის შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილი იქნება.

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალა ადგილობრივ კომისიას ორივე მხარის წარმომადგენლებთან ერთად“...[196]

ამ გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილება გამოთქვა ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელიც არ ესწრებოდა სხდომას. იგი აღნიშნავდა, რომ „ამ აქტზე ხელმოწერა, რომლის ცხოვრება-

ში გატარება ფაქტიურად შეუძლებელია, იყო არასწორი. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ბორჩალოს და ლორე-ბამბაკის მაზრებს შორის საზღვრის გავლების შესახებ არის საზღვარი ლოქ-ლალვარის წყალგამყოფ ქედზე. ყოველგვარი გადახვევა ამ ხაზიდან რომელიმე მხარეს საბოლოო შედეგად ყოველთვის მიგვიყვანს საკითხის ხელახლა გადასინჯვამდე... სოფლების: ჩანახჩის, ჯილიზას და ბრდაძორის მიწერა ლორე-ბამბაკის მაზრაზე იმდენად არაცხოვრებისეულია, რომ მაქსიმუმ 2-3 თვეში დადგენილების განხორციელების შემდეგ ჩვენ კვლავ დავდგებით საკითხის გადასინჯვის აუცილებლობის და მათი ბორჩალოს მაზრაზე მიწერის წინაშე. ამ სოფლების ეკონომიკურ-კულტურული კავშირი სოფელ სადახლოსთან, შაუმიანთან და ოფრეთთან არ შეიძლება განადგურდეს ხელოვნურად შექმნილი საჰაერო საზღვრებით... სადავო ტერიტორიის ნაწილის ლორე-ბამბაკის მაზრისათვის გადაცემა შეუძლებელია. ლოქ-ლალვარის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით მდებარე მთელი ტერიტორია უნდა გადაეცეს ბორჩალოს მაზრას... სადავო საკითხის სხვანაირად გადაწყვეტას აუცილებლად მოყვება ბორჩალოს მაზრის ქვემო ნაწილის მოსახლეობის უკმაყოფილება, რაზედაც პასუხისმგებლობის აღება ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს არ შეუძლია"[197].

მართალი აღმოჩნდა ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1928 წლის 16 აგვისტოს აქტმა მაინც ვერ გადაჭრა ბორჩალოსა და ლორე-ბამბაკის მაზრებს შორის არსებული წინააღმდეგობა. ამ დავის გადასაწყვეტად 1929 წლის 29 იანვარს კვლავ შეიქმნა კომისია ფ. მახარაძის, ტერ-გაბრიელიანის და მუსაბეკოვის შემადგენლობით[198].

1929 წლის 29 იანვარს შედგა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელიც იხილავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებულ მიწის, ტყის და სათიბის სადავო საკითხებს.

ლორე-ბამბაკის და ბორჩალოს მაზრებს შორის არსებული დავის საკითხს შეეხო მიწათმომწყობი ჩხენკელი. მან მოკლედ გადმოსცა ამ ორ მაზრას შორის არსებული

დავის მოკლე ისტორია. შემდეგ გამოვიდა სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ერზინკიანი. მან წამოაყენა წინადადება, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტა მიენდოთ მისთვის და ძამანაშვილისათვის (საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე). სხდომამ მიიღე ეს გადაწყვეტილება[199].

1929 წლის 2 თებერვალს შედგა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო საკითხების მომწესრიგებელი კომისიის სხდომა. ესწრებოდნენ საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მუსაბეკოვი, სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ტერ-გაბრიელიანი, ამიერკავკასიის ცაკის მდივანი ა. შავერდოვი და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი.

განიხილეს საკითხი ლორე-ბამბაკისა და ბორჩალოს მაზრებს შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრების გავლების შესახებ და დაადგინეს:

1. დამტკიცდეს 1928 წლის 10 აგვისტოს შეთანხმება ტყის იმ ნაწილზე, რომელიც რჩება სომხეთის ფარგლებში და აქვს წყალდამცავი მნიშვნელობა. დაწესდეს განსაკუთრებული კონტროლი;

2. დაევალოს ერზინკიანს და ჯუღელს 1928 წლის 10 აგვისტოს შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტოს ყველა სადავო საკითხი და დეტალურად აღწერონ დასახელებულ მაზრებს შორის არსებული მთელი საზღვარი და დასამტკიცებლად წარუდგინონ კომისიას;

განიხილეს აგრეთვე ახალქალაქისა და ლენინაკანის მაზრებს შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრების გავლების საკითხი და დაადგინეს:

ა) უარი ეთქვას სოფელ დარაკეის 80 დესეტინა მიწის ჩამოჭრის შესახებ;

ბ) დამტკიცდეს 1927 წლის 13 აგვისტოს აქტი ამ მაზრებს შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრების გავლების შესახებ[200].

აქ ცოტა უკან დავიხიოთ და უფრო დეტალურად განვიხილოთ ახალქალაქისა და ლენინაკანის მაზრებს შორის

არსებული სადავო საკითხები. დავა არსებობდა სოფელ ტროიცკოესა (ახალქალაქის მაზრა) და სოფელ ბავრას (ლენინაკანის მაზრა) შორის. სადავო მიწები ფართით 258 დესეტინა 1923 წლამდე მდებარეობდა სოფელ ტროიცკოეს ფარგლებში. 1923 წელს ახალქალაქის მაზრის სოფლების მოწყობის დროს ეს ნაკვეთი, მიმდებარე მიწებთან ერთად ჩამოეჭრა სოფელ ტროიცკოეს და როგორც ზედმეტი, გადაეცა საქართველოს სახელმწიფო ფონდს. 1923 წლის ივლისში სოფელ ბავრასა და სოფელ ტროიცკოეს შორის არსებული დავის გადასაწყვეტად მიელინებული იყო მიწათმზომელი ლევიცკი. 19 ივლისის აქტით ახალქალაქის სახელმწიფო ფონდიდან სოფელ ბავრას მიეზომა 140,0 დესეტინა[201].

როგორც ახალქალაქის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიწის განყოფილების გამგე და მიწათმომწყობი მირაკოვი აღნიშნავენ: სოფელ ბავრას მიწათმოწყობა დამთავრდა 1924 წელს. სოფელ ბავრას მიწის საერთო ფართი იყო 986 დესეტინა, 1960 კვ. საუნი სადავო ტერიტორიის გარეშე. აქედან ვარგისიანი მიწა იყო 946 დესეტინა (474 სულზე). მიწის ეს ფართი, სომხეთის მიწის კოდექსის მიხედვით 2 დესეტინა სულზე, სრულიად საკმარისი იყო სოფელ ბავრის მცხოვრებთა მიწით დასაკმაყოფილებლად. მაგრამ მათ მაინც მიიტაცეს ახალქალაქის მაზრის კუთვნილი მიწები. სადავო ტერიტორია იყო აგბაბინის რაიონის №19 ნაკვეთის ნაწილი. №19 ნაკვეთის საერთო ფართი 1780 დესეტინა. აქედან ვარგისია 1700. ეს ნაკვეთი საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოუყო სოფელ ეშტიადან გადმოსახლებულებს (ახალქალაქის მაზრა, 146 კომლი) საქართველოს მიწის კოდექსის მიხედვით მათ დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო 2400 დესეტინა. ასე, რომ სოფელი ახალი ეშტიის მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო კიდევ 700 დესეტინა. თავისუფალი ფონდი, რომლითაც შეიძლებოდა შეესებულიყო ეს დანაკლისი, არ არსებობდა. ამიტომ ვასკანიანი მოითხოვდა, რომ მთელი სადავო ტერიტორია დარჩენილიყო სოფელ ახალი ეშტიის მფლობელობაში[202].

ადგილი ჰქონდა აგრეთვე დავას სოფელ ტროიცკოესა და სოფელ დარაკეის (ლენინაკანის მაზრა) შორის სათიბი ადგილისათვის ტატოი-ხარაბა (კირმირ-ხარაბა) ფართი 400 დესეტინა. ეს დავა გადაწყდა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის მაზრების გამმიჯნავი კომისიის 1923 წლის მარტის სხდომაზე. მთელი ტერიტორია გადაეცა სოფელ დარაკეის[203].

1927 წლის 13 აგვისტოს სოფელ ტროიცკოეში შეიკრიბა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული კომისია. სხდომას ესწრებოდნენ მიწის კომისიის რევიზორი ვ. ჩხენკელი და მიწისმზომელი ლევიცკი.

სოფელ ტროიცკოეში გამოცხადდნენ ლენინაკანის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლები მიწის განყოფილების გამგე გალოიანი და უფროსი მიწის მზომელი გრიგორიანი. ახალქალაქის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი ცენტრალური პრეზიდიუმის წევრი, მიწის განყოფილების გამგე ვოსკანიანი და მიწის მზომელი პარემუზოვი და ახალქალაქის და ლენინაკანის მაზრებს შორის მოხაზეს ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარი: ლეგლიდაგის ტრიგონომეტრიული პუნქტიდან $\frac{61^0 36' 42'' 0}{41^0 10' 13'' 5}$ სიმაღლე 1481, 85-ის ჩრდილო აღმოსავლეთით ქედზე $\frac{61^0 36' 52'' 0}{41^0 10' 33'' 0}$ ნიშნამდე, მთის მწვერვალზე სიმაღლე 1460,0 საჟენი, აქედან სწორი ხაზით შემდეგი ნიშნების გავლით $\frac{36' 15'' 0}{10' 40'' 0}$ $\frac{35' 35'' 0}{10' 46'' 5}$ $\frac{35' 7'' 0}{10' 37'' 0}$ $\frac{34' 46'' 0}{10' 30'' 0}$ $\frac{34' 25'' 5}{10' 23'' 0}$ $\frac{33' 34'' 0}{10' 8'' 5}$ $\frac{32' 48'' 0}{10' 05'' 0}$ $\frac{31' 15'' 0}{9' 56'' 0}$ ქვის ბორცვზე $\frac{28' 40'' 2}{9' 4'' 0}$ $\frac{28' 20'' 0}{8' 54'' 0}$ $\frac{27' 59'' 4}{8' 43'' 5}$ $\frac{27' 50'' 2}{8' 38'' 6}$ $\frac{27' 33'' 5}{8' 29'' 5}$ ლენინაკანიდან ახალქალაქში გამავალი გზატკეცილის ნიშნამდე $\frac{27' 26'' 7}{8' 25'' 9}$ აქედან გზატ-

კვეცილზე ნიშნამდე $\frac{27'16''8}{8'35''9}$ იგივე გზატკეცილზე და ამ ადგილიდან სწორი ხაზით შემდეგი ნიშნების გავლით $\frac{27'0''4}{8'25''4}$ $\frac{26'50''0}{8'18''8}$ $\frac{26'36''0}{8'10''0}$ $\frac{26'22''5}{8'1''6}$ $\frac{26'8''0}{7'52''5}$ $\frac{25'52''8}{7'43''6}$ $\frac{25'40''9}{7'35''4}$ მთის მწვერვალზე სიმაღლე 1050, $\frac{25'37''5}{7'20''0}$ უჩ-ტაპალარის მთის მწვერვალზე და ოკიუზ-დაგის ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე $\frac{61^0 24'51''8}{41^0 6'40''87}$ სიმაღლე 1145,5, ამ ადგილიდან მიდის სწორი ხაზი შემდეგი ნიშნების გავლით $\frac{23'1''6}{7'23''3}$ $\frac{21'34''8}{7'48''9}$ $\frac{21'14''8}{7'54''7}$ ორთელდაბის ტრიგონომეტრიულ პუნქტთან $\frac{61^0 20'52''99}{41^0 8'9''18}$ სიმაღლე 1148,5, ნიშანი $\frac{20'5''4}{8'13''6}$, $\frac{18'45''6}{8'4''4}$ მწვერვალზე სიმაღლე 1112,0, $\frac{17'47''25}{7'53''0}$, $\frac{16'49''5}{7'56''0}$, $\frac{15'58''5}{7'52''0}$ მწვერვალზე $\frac{15'25''5}{8'25''25}$ მწვერვალზე, $\frac{13'54''5}{8'50''0}$ მწვერვალზე, $\frac{12'7''0}{8'24''5}$ მწვერვალზე და შემდეგ ქედზე შემდეგი ნიშნის გავლით $\frac{11'23''5}{2'1''15}$ სიმაღლეზე $\frac{10'20''75}{8'11''25}$, სიმაღლეზე $\frac{9'9''5}{7'40''75}$, ნიშნულზე $\frac{8'15''5}{7'30''15}$ და უჩ-ტაპალარის ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე $\frac{61 \quad 17'}{41}$ სიმაღლე 1411,3 სადაც მთავრდება ახალქალაქისა და ლენინაკანის მაზრებს შორის საზღვარი და იწყება თურქეთის საზღვარი. სოფელ დარკეის წარმომადგენლებმა ითხოვეს საზღვრის

$\frac{61^0 31'15''6}{41^0 9'56''0}$ და $\frac{61'33'34''0}{41^0 10'8''5}$ გადაწევა ჩრდილოეთით და ამ სახით კურანჩაის რაიონის საძოერის მე-17 და მე-18 მონაკვეთზე მათთვის 80,0 დესეტინა მიწის მოჭრა.

ლენინაკანის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ნამდვილი საზღვარი ახლოს გადის სოფელ დარაკეისთან და როგორც ტროიცკოეს მცხოვრებლებმაც დაადასტურეს მათ ეს ნაკვეთი ფაქტიურად მიტაცებული აქვთ და ამიტომ მათ შესაძლებლად მიაჩნიათ დაკმაყოფილდეს სოფელ დარაკეის მცხოვრებთა ინტერესები.

რა თქმა უნდა ლენინაკანის მაზრის წარმომადგენელთა ნათქვამი არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. მათგან განსხვავებით საპირისპირო აზრი გამოთქვეს ახალქალაქის მაზრის წარმომადგენლებმა. მათ განაცხადეს, რომ სოფელი დარაკეი საკმაოდ არის დაშორებული საზღვრიდან (225 საჟენი) და ამიტომ მათ არ მიაჩნდათ შესაძლებლად ამ თხოვნის დაკმაყოფილება, თუ ისინი (იგულისხმება სოფელი დარაკეი) სარგებლობენ ამ ნაკვეთით, მხოლოდ იმიტომ რომ მიტაცებული აქვთ[204]. ამით სხდომამ მუშაობა დაამთავრა. ფაქტიურად ეს საკითხი ღიად დარჩა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1929 წლის 2 თებერვალს ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო საკითხების მომწესრიგებელი კომისიის სხდომაზე უარი ეთქვა სოფელ დარაკეის 80 დესეტინა მიწის გამოყოფის შესახებ.

1929 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის ცაკის სხდომაზე კვლავ განიხილეს ბორჩალოსა და ლორე-ბამბაკის მაზრებს, ახალქალაქის და ლენინაკანის მაზრებს შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრების გავლების საკითხი. ამ სხდომამ ფაქტიურად გაიმეორა 1929 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება და დაამტკიცა ახალქალაქისა და ლენინაკანის მაზრებს შორის 1927 წლის 13 აგვისტოს დადგენილი ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრები შემდეგი სახით: „ლეგლი-დაგის ტრიგონომეტრიული პუნ-

ქტიდან $\frac{61^0 36'42''0}{41^0 10'13''5}$ სიმაღლე 1481,85 საჟენის ჩრდილო-აღ-მოსავლეთით ქედზე სამიჯნე ნიშნამდე $\frac{61^0 36'52''0}{41^0 10'33''0}$ სიმაღლე 1460,0 საჟენი, აქედან სწორი ხა'ხით შემდეგი ნიშნების გავლით: $\frac{61^0 36'15''0}{41^0 10'40''0}$, $\frac{61^0 35'35''0}{41^0 10'46''5}$, $\frac{61^0 35'7''0}{41^0 10'37''0}$, $\frac{61^0 34'46''0}{41^0 10'30''0}$, $\frac{61^0 34'25''5}{41^0 10'23''0}$, $\frac{61^0 33'53''0}{41^0 10'9''0}$, $\frac{61^0 33'34''0}{41^0 10'8''5}$, $\frac{61^0 32'48''0}{41^0 10'05''0}$, $\frac{61^0 31'15''0}{41^0 9'56''0}$, $\frac{61^0 30'2''5}{41^0 9'33''0}$, $\frac{61^0 28'40''2}{41^0 9'4''0}$, $\frac{61^0 28'20''0}{41^0 8'54''0}$, $\frac{61^0 27'59''4}{41^0 8'43''5}$, $\frac{61^0 27'50''2}{41^0 8'38''6}$, $\frac{61^0 27'33''5}{41^0 8'29''5}$ და შემდეგ ნიშნულამდე $\frac{61^0 27'26''7}{41^0 8'25''9}$, რომელიც დგას ლენინაკანიდან ახალქალაქში მიმავალი გზატკეცილის განაპირას, შემდეგ ამ გზის ბოლოს ნიშნულამდე $\frac{61^0 27'15''35}{41^0 8'36''40}$, აქედან სწორი ხაზით შემდეგი ნიშნულების გავლით $\frac{61^0 27'5''50}{41^0 8'30''40}$, $\frac{61^0 26'58''70}{41^0 8'10''50}$, $\frac{61^0 26'21''25}{41^0 8'2''0}$, $\frac{61^0 26'7''10}{41^0 7'52''80}$, $\frac{61^0 25'58''0}{41^0 7'47''20}$, $\frac{61^0 25'39''65}{41^0 7'35''45}$, (მთების მწვერვალზე სიმაღლე 1050 საჟენი) $\frac{61^0 25'37''55}{41^0 7'20''20}$, (მთები ჟან-ტაპალარის ფერდობ-ზე) და ოკიუზდაგის ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე: $\frac{61^0 24'51''8}{41^0 6'40''87}$ სიმაღლე 1145,5 საჟენი, შემდეგ საზღვარი გა-დის სწორი ხაზით სამიჯნო ნიშნულების გავლით: $\frac{61^0 23'34''0}{41^0 7'10''0}$, $\frac{61^0 23'1''6}{41^0 7'23''3}$, $\frac{61^0 22'47''2}{41^0 7'27''6}$, $\frac{61^0 22'30''0}{41^0 7'36''4}$, $\frac{61^0 22'3''6}{41^0 7'40''0}$,

$\frac{61^0 21'34''8}{41^0 7'48''4}$, $\frac{61^0 21'14''8}{41^0 7'54''7}$, $\frac{61^0 20'52''99}{41^0 8'9''18}$ ტრიგონომეტრიული პუნქტი ორთელდაბი $\frac{61^0 20'32''2}{41^0 8'11''4}$, $\frac{61^0 20'5''4}{41^0 8'13''6}$, $\frac{61^0 19'41''8}{41^0 8'11''0}$, $\frac{61^0 19'10''0}{41^0 8'7''4}$, $\frac{61^0 18'45''6}{41^0 8'4''4}$, $\frac{61^0 18'17''4}{41^0 7'58''8}$, $\frac{61^0 17'47''25}{41^0 7'53''0}$, $\frac{61^0 17'27''5}{41^0 7'53''5}$, $\frac{61^0 16'49''5}{41^0 7'56''5}$, $\frac{61^0 16'20''0}{41^0 7'53''0}$, $\frac{61^0 15'58''5}{41^0 7'52''0}$, $\frac{61^0 15'44''5}{41^0 8'7''5}$, $\frac{61^0 15'25''5}{41^0 8'25''25}$, $\frac{61^0 14'34''0}{41^0 8'39''0}$, $\frac{61^0 13'54''5}{41^0 8'50''0}$, $\frac{61^0 12'7''0}{41^0 8'24''5}$, $\frac{61^0 11'23''5}{41^0 8'1''75}$, $\frac{61^0 10'20''75}{41^0 8'11''25}$, $\frac{61^0 9'9''5}{41^0 7'40''75}$ უჩ-ტაპალარის ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე $\frac{61^0 8'15''5}{41^0 7'30''75}$ სადაც მთავრდება ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარი ახალქალაქის და ლენინაკანის მაზრებს შორის და იწყება თურქეთის საზღვარი“[205].

ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1929 წლის 18 თებერვალს მიღებული დადგენილება საზღვრების შესახებ არის საბოლოო. ადგილზე ამ გადაწყვეტილებების გატარება დაევალა ამიერკავკასიის კომისიას, რომელსაც მუშაობა უნდა დაემთავრებინა არა უგვიანეს 1929 წლის შემოდგომისათვის[206].

1929 წლის 11 მარტს თბილისში კვლავ შეიკრიბა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული სადავო მიწის და ტყის კომისია. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ტ. ეგანოვი. ბორჩალოს მაზრის წარმომადგენლები, აღმასკომის თავმჯდომარე გოპალოვი, მეტყევე კ. თვარაძე, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ტყის სამმართველოს უფროსი ბაქრაძე, იგივე სამმართველოს ტყის ინსპექტორი ქარსელაშვილი, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ვოშჩინსკი. ლორე-ბამბაკის მაზრის წარ-

მომადგენლები: აღმასკომის თავმჯდომარე ზარიგინი, ყოფილი მიწის განყოფილების გამგე მხიტარიანი და ახტალის მეტყევე ლეჟიცკი. მოისმინეს ორივე მხარის წარმომადგენელთა მოხსენებები, ქვეკომისიამ, მიიღო რა საფუძვლად ამიერკავკასიის ცაკის მიერ 1929 წლის 18 თებერვალს დამტკიცებული 1928 წლის 10 აგვისტოს შეთანხმების აქტი, მიზანშეწონილად ჩათვალა გადაეწყვიტა ქვემოთ სადავო საკითხი შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით:

1. ტყეს, რომელიც მდებარეობს ლოქ-ლალვარის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე და რჩება სომხეთის სსრ მფლობელობაში, აქვს ცხოვრებისეული მნიშვნელობა ქვემო ბორჩალოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ამიტომ აუცილებელია უახლოეს პერიოდში სწორი სატყეო მეურნეობის შემოღება;

2. ტყის დაცვის მიზნით კომისიას აუცილებლად მიაჩნია სოფელ ჯილიზას მიერთება სოფელ ჩანახჩისთან;

3. სოფელ ოფრეთს მიეცეს უფლება არენდით ისარგებლოს მდინარე შულავერჩაის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მიწებით;

4. იმასთან დაკავშირებით, რომ ნაკვეთი გილიკ №1 ფართით 158,4 დესეტინა გამოიყენება ბორჩალოს მაზრის სახალხო მეურნეობის მიერ, დარჩეს საქართველოს ფარგლებში;

5. ნაკვეთი №2 ფართით 580,80 დესეტინა, რომელზეც პრეტენზია ჰქონდა სოფელ შაჰნაზარს, დარჩეს საქართველოს ფარგლებში;

6. ნაკვეთი №3 ფართით 63,84 დესეტინა სადავო სოფელ სარიარსა და სოფელ საათლოს შორის დარჩეს სომხეთის ფარგლებში;

7. ნაკვეთი №№4,5,6, ფართით 33,60; 102, 72 და 3,6 დესეტინა სადავო სოფელ ოფრეთსა და ჩანახჩის შორის დარჩეს საქართველოს ფარგლებში;

8. ნაკვეთი №7 ფართით 6,48 დესეტინა სადავო სოფელ ბრდაძორსა და სადახლოს შორის დარჩეს სომხეთის ფარგლებში;

9. სოფელ სადახლოს სანადელო მიწებსა და სომხეთის მფლობელობაში დარჩენილ ტყეს შორის გატარდეს

საზღვარი შემოთავაზებული პროექტით ლეგლიდაგის მთ-
ბიდან $\frac{61^0 36'42''0}{41^0 10'13''5}$ აღმოსავლეთის მიმართულებით პირვე-
ლად სწორი ხაზით ნიშნულამდე $\frac{61^0 37'32''5}{41^0 10'2''25}$ მდებარე ნა-
კადულ კარანლიდარის სათავესთან, შემდეგ ამ ნაკადუ-
ლის გავლით ნიშნულამდე $\frac{61^0 45'10''3}{41^0 12'15''4}$ მდებარე ამ ნაკადუ-
ლის მარჯვენა ნაპირზე, შემდეგ სამხრეთის მიმართულე-
ბით პირდაპირი ხაზის გავლით შემდეგი ნიშნულის გავ-
ლით $\frac{61^0 45'4''2}{41^0 12'5''0}$, $\frac{61^0 45'6''9}{41^0 11'34''9}$, ნიშნულამდე $\frac{61^0 45'8''6}{41^0 11'30''0}$ აქე-
დან აღმოსავლეთის მიმართულებით ორი პირდაპირი ხა-
ზით $\frac{61^0 45'56''9}{41^0 11'29''5}$ ნიშნულის გავლით ნიშნულამდე
$\frac{61^0 46'30''6}{41^0 11'35''2}$, შემდეგ სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულე-
ბით $\frac{61^0 46'47''8}{41^0 11'30''2}$, $\frac{61^0 47'8''2}{41^0 11'24''0}$ ნიშნულების გავლით ნიშნუ-
ლამდე $\frac{61^0 47'26''6}{41^0 11'18''3}$ რომელიც მდებარეობს ნაკადულ კარა-
ნიშის ნაპირზე, შემდეგ ამ ნაკადულზე $\frac{61^0 47'48''3}{41^0 11'20''7}$,
$\frac{61^0 48'4''8}{41^0 11'24''0}$ ნიშნულების გავლით ნიშნულამდე $\frac{61^0 49'36''2}{41^0 11'27''7}$,
აქედან ჩრდილოეთის მიმართულების ნიშნულების გავ-
ლით: $\frac{61^0 49'42''3}{41^0 11'39''0}$, $\frac{61^0 49'50''8}{41^0 11'54''0}$, $\frac{61^0 49'57''2}{41^0 12'5''4}$, $\frac{61^0 50'6''6}{41^0 12'17''7}$,
$\frac{61^0 50'13''6}{41^0 12'34''6}$, $\frac{61^0 50'19''6}{41^0 12'45''4}$, (ეჩ-ტაპა) $\frac{61^0 50'50''4}{41^0 14'10''4}$, $\frac{61^0 50'40''6}{41^0 14'28''2}$

ნიშნულამდე $\frac{61^0 50'30''6}{41^0 14'46''8}$ შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით ნიშნულების გაყოლით $\frac{61^0 50'45''7}{41^0 14'49''9}$, $\frac{61^0 51'14''7}{41^0 14'36''7}$, $\frac{61^0 51'49''1}{41^0 14'18''6}$, $\frac{61^0 52'20''0}{41^0 14'12''3}$, $\frac{61^0 52'48''3}{41^0 14'5''9}$, $\frac{61^0 53'43''4}{41^0 14'17''4}$ ნიშნულამდე $\frac{61^0 54'2''5}{41^0 14'27''8}$ კულიტაშით წოდებული უკანასკნელი ნიშნულიდან სამხრეთ აღმოსავლეთით თავდაპირველად დაკლაკნილი ხაზით ფლატეზე $\frac{61^0 54'29''6}{41^0 14'19''4}$ ნიშნულის გავლით, ნიშნულამდე $\frac{61^0 54'58''8}{41^0 13'59''8}$ შემდეგ პირდაპირი ხაზით ნიშნულების გაყოლით: $\frac{61^0 55'17''0}{41^0 13'53''1}$, $\frac{61^0 55'53''8}{41^0 13'58''9}$, $\frac{61^0 56'5''3}{41^0 13'29''2}$, $\frac{61^0 56'37''2}{41^0 13'15''4}$, $\frac{61^0 57'8''0}{41^0 12'48''6}$, $\frac{61^0 57'6''7}{41^0 12'53''0}$, $\frac{61^0 57'26''7}{41^0 12'58''3}$, $\frac{61^0 57'49''4}{41^0 12'46''8}$, $\frac{61^0 58'1''7}{41^0 13'0''4}$, $\frac{61^0 58'16''3}{41^0 12'58''8}$, $\frac{61^0 58'20''0}{41^0 12'56''2}$ ნიშნულამდე $\frac{61^0 58'30''7}{41^0 13'0''0}$ მდებარე გზის განაპირას, აქედან ნახსენები გზით ნიშნულამდე $\frac{61^0 58'47''3}{41^0 12'45''5}$ შემდეგ სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით პირდაპირი ხაზით ნიშნულამდე $\frac{61^0 53'6''6}{41^0 12'38''0}$ მდებარე მდინარე ხრამის მარცხენა ნაპირზე, შემდეგ სამხრეთის მიმართულებით აღნიშნულ მდინარეზე ნიშნულამდე $\frac{61^0 59'6''0}{41^0 12'34''7}$ მარჯვენა ნაპირზე, აქედან აღმოსავლეთის მიმართულებით პატარა ნაკადულზე ნიშნულამდე $\frac{62^0 00'00''}{41^0 12'22''1}$

შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გზაზე $\frac{62^0 0'9''7}{41^0 12'14''3}$ ნიშნულის გავლით $\frac{62^0 0'18''9}{41^0 12'7''3}$ ნიშნულამდე, ამ გზის მეორე გზასთან (სოფელ სარიართან მიმავალი) შეერთების ადგილას, შემდეგ ამ უკანასკნელი გზით ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ნიშნულამდე $\frac{62^0 00'38''8}{41^0 12'24''7}$, აქედან ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით $\frac{62^0 0'33''6}{41^0 12'33''3}$ ნიშნულის გავლით $\frac{62^0 00'28''4}{41^0 12'42''1}$ ნიშნულამდე, მდებარე ორი ნაკადულის შეერთების ადგილზე, შემდეგ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით თავდაპირველად ნაკადულზე ნიშნულამდე $\frac{62^0 0'30''5}{41^0 13'18''8}$ შემდეგ პირდაპირი ხაზით ნიშნულამდე $\frac{62^0 0'20''5}{41^0 13'23''4}$ და აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით პირდაპირი ხაზით ნიშნულამდე $\frac{62^0 0'30''2}{41^0 13'39''3}$ მდებარე სარი-იარის ქედზე. შემდეგ ზემო ნახსენებ ქედზე აღმოსავლეთის მიმართულებით შემდეგი ნიშნულების გავლით $\frac{62^0 0'46''0}{41^0 13'46''7}$, $\frac{62^0 0'58''7}{41^0 13'51''4}$, $\frac{62^0 1'9''0}{41^0 14'0''8}$, $\frac{62^0 1'25''4}{41^0 13'55''2}$, $\frac{62^0 1'28''8}{41^0 13'51''0}$, $\frac{62^0 1^0 39'1}{41^0 13'40''7}$, $\frac{62^0 2'42''0}{41^0 13'24''4}$, $\frac{62^0 3'4''7}{41^0 13'23''2}$, $\frac{62^0 3'20''5}{41^0 13'8''1}$, ნიშნულამდე $\frac{62^0 3'56''4}{42^0 12'46''6}$ მდებარე ლოქის გორაზე, აქედან ისევ აღმოსავლეთის მიმართულებით ლოქის ქედზე ნიშნულების გავლით: $\frac{62^0 4'25''0}{41^0 12'25''4}$, $\frac{62^0 4'36''5}{41^0 12'9''8}$, $\frac{62^0 5'32''6}{41^0 11'56''2}$, $\frac{62^0 7'0''6}{41^0 11'36''9}$, $\frac{62^0 7'21''4}{41^0 11^0 23''8}$, $\frac{62^0 7'44''8}{41^0 10'57''0}$ ნიშნულამ-

დე $\frac{62^0 8'58''2}{41^0 11'20''8}$, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართუ-

ლებით ქედზე ნიშნულების გავლით: $\frac{62^0 9'18''8}{41^0 11'23''7}$,

$\frac{62^0 9'37''6}{41^0 11'32''0}$ ნიშნულამდე $\frac{62^0 10'7''4}{41^0 11'44''7}$ მდებარე სოფელ პრი-

ეოლნოედან სოფელ ახკერპში მიმავალი გზის განაპირას, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით აღნიშ-

ნულ გზაზე ნიშნულების გავლით $\frac{62^0 11'1''6}{41^0 12'49''2}$ ნიშნულამდე

$\frac{62^0 11'35''8}{41^0 13'32''4}$ აქედან იმავე მიმართულებით ქედზე ნიშნულე-

ბის გავლით $\frac{62^0 13'16''0}{41^0 14'7''0}$, $\frac{62^0 13'59''2}{41^0 14'11''6}$ ნიშნულამდე

$\frac{62^0 14'27''0}{41^0 14'26''2}$ მდებარე ნაკადულზე, შემდეგ ზემოთ ამ ნაკა-

დულზე ნიშნულამდე $\frac{62^0 14'24''14}{41^0 14'28''4}$ შემდეგ იგივე ჩრდილო-

აღმოსავლეთის მიმართულებით ნიშნულების გავლით

$\frac{62^0 14'32''4}{41^0 14'34''2}$ ნიშნულამდე $\frac{62^0 14'7''4}{41^0 14'41''4}$ შემდეგ ჩრდილო-და-

სავლეთის მიმართულებით ნიშნულამდე $\frac{62^0 14'59''2}{41^0 14'54''8}$ აქედან

სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით პირდაპირი ხა-

ზით ნიშნულების გავლით $\frac{62^0 15'26''5}{41^0 14'57''7}$, $\frac{62^0 15'38''2}{41^0 15'2''4}$,

$\frac{62^0 15'56''0}{41^0 15'3''0}$, $\frac{62^0 16'6''2}{41^0 15'4''9}$, $\frac{62^0 16'34''3}{41^0 14'52''6}$ ნიშნულამდე $\frac{62^0 16'41''0}{41^0 14'39''0}$

მდებარე შულავერ-ჩაის მარცხენა ნაპირზე, შემდეგ აღმო-

სავლეთის მიმართულებით მდინარე შულავერ-ჩაიზე, ნიშ-

ნულამდე $\frac{62^0 19'36''0}{41^0 14'23''4}$ შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ქედზე ნიშნულამდე $\frac{62^0 20'11''6}{41^0 13'35''6}$ აქედან სამხრეთის მიმართულებით კლაკნილი ხაზით ქედზე ნიშნულების გავლით $\frac{62^0 20'17''2}{41^0 13'4''0}$ ნიშნულამდე $\frac{62^0 20'20''0}{41^0 12'54''1}$, მდებარე ნაკადულთან, შემდეგ აღმოსავლეთით ამ ნაკადულზე ნიშნულამდე $\frac{62^0 21'3''0}{41^0 13'57''8}$, სადაც ეს ნაკადული ჩაედინება მდინარე ბანიოშ-ჩაიში, შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით კლაკნილი ხაზით ქედზე ნიშნულების გავლით $\frac{62^0 21'43''4}{41^0 12'33''0}$, $\frac{62^0 21'57''6}{41^0 12'39''6}$, $\frac{62^0 22'13''2}{41^0 12'45''7}$, $\frac{62^0 22'13''6}{41^0 12'47''7}$, $\frac{62^0 22'38''8}{41^0 12'44''9}$, $\frac{62^0 22'44''4}{41^0 12'49''7}$, $\frac{62^0 22'47''0}{41^0 12'55''9}$, $\frac{62^0 23'1''9}{41^0 13'16''5}$ (კარმირ-კარის მთაზე) $\frac{62^0 23'17''6}{41^0 13'20''8}$, $\frac{62^0 23'36''2}{41^0 13'17''1}$, $\frac{62^0 23'46''8}{41^0 13'24''0}$, $\frac{62^0 23'56''9}{41^0 13'27''5}$, $\frac{62^0 24'3''8}{41^0 13'32''7}$, $\frac{62^0 24'7''1}{41^0 13'36''0}$, $\frac{62^0 24'22''8}{41^0 13'33''6}$, $\frac{62^0 24'32''0}{41^0 13'32''9}$, $\frac{62^0 24'42''2}{41^0 13'29''6}$, $\frac{62^0 24'59''5}{41^0 13'34''1}$ ნიშნულამდე $\frac{62^0 25'0''8}{41^0 13'27''5}$ მდებარე მდ. კაზანის მარცხენა ნაპირზე. შემდეგ ამ მდინარის შუა წელზე ნიშნულამდე $\frac{62^0 25'42''4}{41^0 13'26''3}$, აქედან საერთოდ აღმოსავლეთის მიმართულებით შემდეგი ნიშნულების გაელით $\frac{62^0 25'58''0}{41^0 13'11''6}$, $\frac{62^0 26'1''2}{41^0 13'11''2}$, $\frac{62^0 26'13''7}{41^0 13'27''0}$, $\frac{62^0 26'32''4}{41^0 13'14''4}$, $\frac{62^0 27'2''8}{41^0 13'40''2}$, $\frac{62^0 27'37''0}{41^0 13'46''0}$, $\frac{62^0 28'13''6}{41^0 13'25''2}$,

$\frac{62^0 28'29''0}{41^0 13'8''2}$, $\frac{62^0 29'7''3}{41^0 13'13''8}$, $\frac{62^0 29'14''6}{41^0 12'47''6}$, $\frac{62^0 29'54''0}{41^0 12'46''8}$, $\frac{62^0 29'44''8}{41^0 13'9''2}$, $\frac{62^0 30'38''6}{41^0 13'18''5}$, $\frac{62^0 31'22''0}{41^0 12'46''6}$, $\frac{62^0 31'51''8}{41^0 13'2''4}$, $\frac{62^0 32'12''2}{41^0 13'6''2}$, ნიშნულამდე $\frac{62^0 32'15''6}{41^0 13'12''0}$ მდინარე დებედა-ჩაის მარცხენა ნაპირზე. შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებით მდინარე დებედა-ჩაის შუა წელზე ნიშნულამდე $\frac{62^0 28'20''45}{41^0 17'14''0}$ ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე, აქედან გამომდინარე ხან-არხის სარწყავის შესასვლელთან არხთან, შემდეგ ხან-არხზე ნიშნულამდე $\frac{62^0 28'34''0}{41^0 17'47''1}$ ამ არხიდან გამომდინარე კოტაჩკარ-არხის სარწყავი არხის შესასვლელთან, შემდეგ ამ მეორე არხზე $\frac{62^0 28'52''7}{41^0 18'8''9}$, $\frac{62^0 28'55''4}{41^0 18'11''9}$ ნიშნულამდე $\frac{62^0 29'21''1}{41^0 18'19''5}$ შემდეგ სამხრეთის მიმართულებით პირველად პირდაპირი ხაზით ნიშნულების გაყოლით $\frac{62^0 29'22''75}{41^0 18'5''55}$, $\frac{62^0 29'24''1}{41^0 18'5''9}$, $\frac{62^0 29'32''4}{41^0 18'0''1}$, $\frac{62^0 29'38''15}{41^0 18'2''4}$ ნიშნულამდე $\frac{62^0 29'44''1}{41^0 17'56''15}$ მდებარე გზის განაპირად ნიშნულამდე $\frac{62^0 29'45''0}{41^0 17'55''9}$ ამ გზის საპირისპირო მხარეს და შემდეგ ხრამზე ნიშნულამდე $\frac{62^0 30'24''6}{41^0 16'30''0}$ მდებარე დანა-დაგის ქედის მწვერვალზე და შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით ქედზე კლაკნილი ხაზით ნიშნულამდე: $\frac{62^0 31'31''4}{41^0 16'38''2}$, $\frac{62^0 31'43''6}{41^0 16'39''4}$, $\frac{62^0 32'58''0}{41^0 16'9''6}$,

$\frac{62^0 33'20''8}{41^0 16'29''6}$, $\frac{62^0 33'33''5}{41^0 16'32''0}$, $\frac{62^0 33'42''5}{41^0 16'36''4}$, $\frac{62^0 34'3''2}{41^0 16'8''7}$, $\frac{62^0 34'35''5}{41^0 15'38''9}$, $\frac{62^0 35'23''4}{41^0 15'43''6}$, $\frac{62^0 35'40''8}{41^0 15'38''2}$, $\frac{62^0 35'46''8}{41^0 15'40''6}$, $\frac{62^0 36'8''2}{41^0 15'27''2}$ (კუმურლიბაშის მწვერვალზე) $\frac{62^0 36'49''0}{41^0 15'33''8}$, $\frac{62^0 37'5''6}{41^0 15'37''1}$, და ნიშნულამდე $\frac{62^0 37'24''2}{41^0 15'29''7}$ პოლუტლი-ბაშის მთის მწვერვალზე ბაბაყარის ქედზე"[207].

იგივე საზღვრები დაამტკიცა 1929 წლის 2 სექტემბერს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ[208].

1929 წლის 14 მაისს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის სფსრ შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ზოგიერთ მაზრებს შორის მიწისა და ტყის გამო ატეხილი სადავო საკითხების თაობაზე 1929 წლის 18 თებერვალს გამოტანილი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების განხორციელების შესახებ: „1. დაევალოს ბორჩალოს, ახალქალაქის მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს აცნობონ ადგილობრივ მოსახლეობას: ა) რომ ა/კ სფსრ შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ზოგიერთი მომიჯნავე მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს შორის მიწის და ტყის გამო აღძრული ყველა დავა გადაწყვეტილია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1929 წლის 18 თებერვლის დადგენილებით; ბ) რომ ეს დადგენილება მიღებულია ყველა იმ გარემოების ადგილობრივ შესწავლის შედეგად, რაც საფუძვლად ედო ამა თუ იმ დავას და გამოტანილია დაინტერესებული რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილ პასუხისმგებელ წარმომადგენელთა ერთობლივი გადაწყვეტილების თანახმად; გ) რომ აღნიშნული დადგენილება საბოლოოა და არ გადაისინჯება და დ) ამ დადგენილების აღსრულება ადგილებზე

დავალებული აქვს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ მიწისა და ტყის გამო აღძრულ დავათა გადამწყვეტ კომისიას“[209] დაღგენილებას ხელს აწერს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

როგორც თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის ი. ბოლქვაძის საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ, ამ გადაწყვეტილებას სოფ. ახკერპისა და ჩანახჩის გლეხობის აღშფოთება გამოუწვევია. ისინი მოითხოვდნენ თბილისის ოლქში დარჩენას იმ მოსაზრებით, რომ სომხეთზე მიკუთვნებით შორდებოდნენ ადმინისტრაციულ ცენტრს, ზამთარში კი დიდი თოვლის გამო მთლიანად მოწყდებოდნენ სომხეთს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გეოგრაფიულად და ეკონომიურად დაკავშირებული იყვნენ ბორჩალოს მაზრასთან და თბილისთან და არა სომხეთთან. ყოველივე ამის გამო ითხოვდნენ შუამდგომლობის აღძერას ამიერკავკასიის ცაკის წინაშე, რათა ზემოხსენებული სოფლები დარჩენილიყო თბილისის ოლქის ფარგლებში[210].

1929 წლის 5 სექტემბერს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება აღეძრა შუამდგომლობა ამიერკავკასიის ცაკის წინაშე, რათა ბორჩალოს მაზრის ყოფილი სოფლები: ახკერპი, ჩანახჩი, ბრდაძორი არ იქნენ მიწერილი სომხეთის რესპუბლიკაზე და დატოვებულ იქნენ თბილისის ოლქის ფარგლებში[211].

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეს გადაწყვეტილება გაეგზავნა ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ულენტი 1929 წლის 12 სექტემბერს გაგზავნილ თავის წერილში აღნიშნავს სოფ. ჩანახჩის, ახკერპისა და ბრდაძორის სომხეთის რესპუბლიკაზე მიწერის არაცხოვრებისეულობას და ითხოვს ამ გადაწყვეტილების გადასინჯვას. ეს სოფლები თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ეკონომიურად და კულტურულად მჭიდროდ არის და-

კავშირებული ბორჩალოს მაზრასთან და თბილისის ოლქთან (სოფელი ბრდაძორი შედის ხოჟორნის სოფსაბჭოში). „აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარება, ძალიან რთულ სიტუაციაში აგდებს ამ სოფლებს, მათ სამხრეთით სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან მდებარეობს ლოქლალეარის ქედი. სიმაღლე 7000-დან 9000 ფუტამდე. ამის გამო მთელი ზამთრის პერიოდში ეს სოფლები რჩება სომხეთიდან მოწყვეტილი. ყოველივე ამის გამო დასახელებული სოფლის მცხოვრებნი კატეგორიულად ითხოვენ მათ მიწერას საქართველოსთან“[212].

მაგრამ გადაწყვეტილება არ იცვლება, დავა კი გრძელდება, 1933 წლის 4 მაისს ამიერკავკასიის ცაკის გადაწყვეტილებით კვლავ იქმნება კომისია ამიერკავკასიის, სომხეთისა და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა შემადგენლობით“[213].

მართალია ეს სოფლები მოხვდა სომხეთის შემადგენლობაში, მაგრამ ადმინისტრაციულად კვლავ საქართველოს, ბორჩალოს მაზრას ემორჩილებოდნენ. ალავერდის რაიონთან ფაქტიურად შეუძლებელი იყო ურთიერთობა. ამ რაიონისაგან ამ სოფლებს ჰყოფდა უღელტეხილი, რომელზედაც გადიოდა მხოლოდ ბილიკი, ზამთარში კი როგორც აღვნიშნეთ მთლიანად მოწყვეტილი იყო ეს მხარე სომხეთისაგან. აქედან გამომდინარე შექმნილი კომისია ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს: „რომ ბუნებრივ-ისტორიული პირობები მოითხოვენ, რომ სოფლები ახკერპი, ჩანახჩი და ბრდაძორი ეკონომიურად დაკავშირებული იყვნენ ბორჩალოს რაიონთან“[214].

1933 წლის 12 მაისს შედგა კომისიის სხდომა, რომელმაც: 1. გაითვალისწინა რა, ის უხერხული ვითარება, რასაც იწვევს ამ სოფლების გადაცემა ალავერდის რაიონისათვის და სოფლის მცხოვრებლების მოთხოვნა ადმინისტრაციულად დაეკავშირებინა ბორჩალოს მაზრასთან, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შესწორების შეტანა საქართველო-სომხეთის საზღვრის განსაზღვრაში და სოფლების ჩანახჩის, ახკერპისა და ბრდაძორის გადასვლა საქართველოს მფლობელობაში.

2. დასახელებულ სოფლებს საარენდო უფლებით უნდა მიეცეთ მიმდინარე ტყის მასივით სარგებლობის უფლება (ტყე 1929 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით გადაეცა ყარაყალისის სატყეო მეურნეობას)[215].

1934 წლის 13 თებერვალს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის სხდომაზე კვლავ განიხილეს ბორჩალოსა და ალავერდის რაიონებს შორის საზღვრების მოწყობის საკითხი და დაადგინეს: ა) აუცილებელია სოფლების ახკერპისა, ჩანახჩის და ბრდაძორის „საქართველოსათვის გადაცემა არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში; ბ) შეიცვალოს რესპუბლიკური საზღვარი ბორჩალოს და ალავერდის რაიონებს შორის „ა“ პუნქტის გათვალისწინებით; გ) დასახელებულ სოფლების მცხოვრებლებს ნება მიეცეთ ხანგრძლივ ვადიან საარენდო უფლებით ისარგებლონ მიმდებარე ტყის მასივით, რომელიც დარჩა სომხეთის მფლობელობაში; დ) დაევალოს ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება“[216].

1934 წლის 2 მარტს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოხდა ამ გადაწყვეტილების რატიფიკაცია და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ სოფლების ხოჟორნისა და ოფრეთის სოფლსაბჭოებს შორის განაწილების შესახებ. სოფელი ჩანახჩი და ახკერპი გადაეცა ოფრეთის სოფლსაბჭოს, ხოლო სოფელი ბრდაძორი ხოჟორნის სოფლსაბჭოს“[217].

ამ დადგენილების მიხედვით ჰუჯაბის მონასტერი რჩება სომხეთის სსრ ფარგლებში. ბორჩალოს რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ითხოვდა ამ მონასტრის გადაცემას ბორჩალოს მაზრისათვის. ეს მოთხოვნა განიხილა ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის სხდომამ 1934 წლის 16 სექტემბერს. სხდომამ დაავალა სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განეხილა საკითხი ახკერპის რაიონში მდებარე მონასტრის საქართველოსათვის გადაცემის შესაძლებლობის შესახებ[218].

სომხეთმა რა თქმა უნდა, უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო. 1935 წლის 23 დეკემბერს ბორჩალოს მაზრის

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ემინოვი კვლავ აყენებს ამიერკავკასიის ცაკის წინაშე მონასტრის დაბრუნების საკითხს. ჰუჯაბის მონასტერი მდებარეობდა სოფელ ახკერპიდან 1 კმ-ის დაშორებით. როგორც ბორჩალოს რაიონული აღმასკომის ოქმში ვკითხულობთ, სტეფანავანის რაიაღმასკომმა მონასტერი გადასცა სოფელ პრიეოლნოეს და გააუქმა მონასტერი. იყენებდა მას როგორც საღორეს. სოფელი პრიეოლნოედან მონასტერი დაშორებული იყო 20 კილომეტრით. მონასტერთან არ იყო სახნავი მიწები, ამიტომ საღორის მოწყობას აუცილებლად მოყვებოდა ტყის გაჩეხვა და მიწის მიტაცება, ახკერპის კოლმეურნეობის ხარჯზე. ამ საფუძველზე ბორჩალოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე შუამდგომლობას აღძრავს ამიერკავკასიის ცაკის წინაშე მონასტრის დაბრუნების შესახებ[219].

1936 წლის 14 მარტის სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო დადგენილება ჰუჯაბის მონასტრის ბორჩალოს მაზრისათვის გადაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ, რადგან იგი გადაცემული იყო სოფელ პირივოლნოესათვის და იქ უკვე ორგანიზებული იყო მეღორეობის და მეფუტკრეობის ფერმა[220].

რას ვიზამთ „მეღორეობის და მეფუტკრეობის ფერმა“ იმ დროისათვის უფრო ძლიერი არგუმენტი იყო, ვიდრე ისტორიული სინამდვილე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 25 მარტის სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე ახკერპის კოლმეურნეობისათვის მონასტრის გადაცემის საკითხი ჩაითვალოს ამოწურულად“[221].

1938 წლის 5 მარტს გაიმართა რესპუბლიკათაშორისო თათბირი სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლების მონაწილეობით, იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრების დასადგენად, რა საზღვრებითაც ამიერკავკასიის

რესპუბლიკები დამოუკიდებლად შევიდნენ სსრკ-ის შემადგენლობაში.

საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიდან ჩარექიშვილი და კარტოგრაფი მეტრეველი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატიდან მიწის სამმართველოს უფროსი ქარქაშაძე და მოადგილე მიცკევიჩი.

სომხეთის მხრიდან ესწრებოდნენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გალუსტიანი, მიწის განყოფილების სამმართველოს უფროსი აკოპაჯანიანი და ინსტრუქტორი გრიგორიანი. აზერბაიჯანის მხრიდან: ეროვნებათაშორისი განყოფილების გამგე ისახანიანი და მიწის სამმართველოს უფროსი აგალარ-ზადე. თათბირმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„I. სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საქართველო-სომხეთთან სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრის ს. სადახლოსთან (ლუქსემბურგის რაიონი) მონახაზი მთლიანად ემთხვევა საქართველოს მიწათმოქმედებისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს.

2. საქართველოსა და სომხეთის საზღვარი უღელტეხილ „მგლის ჭიშკარსა“ და სოფელ ხოხმელს შორის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ სწორად არის წარმოდგენილი, ხოლო სომხეთის მიერ არ არის გათვალისწინებული სამი სოფელი: ახკერპი, ჩანახჩი და ბრდაძორი (ალავერდის რაიონი, სომხეთის სსრ და ბორჩალოს რაიონი, საქართველოს სსრ), რომელიც საქართველოს გადაეცა 1934 წელს. საქართველოს ცაკის მიერ ამ მონაკვეთზე საზღვრები გრაფიკულად არ იყო ზუსტად დატანილი“[222]...

1938 წლის 23 მარტს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკათაშორისო თათბირის შედეგები და აღნიშნა, რომ „1:400 000 და 1:500 000 მასშტაბის რუკაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკის საზღვრების გრაფიკული აღნიშვნის საკითხის გამო საქართველოს სსრ შინსახკომის სახელ-

მწიფო გადაღების და კარტოგრაფიის რესპუბლიკათაშორისო განყოფილებასთან ამა წლის 5-7 მარტს შემდგარი თათბირის მიხედვით მიღწეულია შეთანხმება რესპუბლიკის საზღვრების გაფორმებაში, სომხეთის სსრ რესპუბლიკის მხრივ სოფელი ახკერპის, ჩანახჩის და ბრდაძორის ფარგლებში, იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სოფლები სომხეთის სსრ რესპუბლიკიდან 1934 წელს გადაეცა საქართველოს სსრ რესპუბლიკას და რომ დანარჩენ საზღვრებში სომხეთის სსრ რესპუბლიკის მხრივ აღმოფხვრილია და გასწორებულია საზღვრების აღნიშვნის ყველა უმნიშვნელო არაზუსტობანი, რომელიც მოხდა რუკების ანაბეჭდების დეფორმაციით და რუკაზე სხვადასხვა ტოპოგრაფიული მასალებიდან მონაცემების არაზუსტად აღნიშვნის შედეგად.

ზემოაღნიშნულის გამო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„დამტკიცდეს ადმინისტრაციული საზღვრები სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან, თანახმად თანადართული თათბირის მონაწილეთა მიერ დამოწმებული 1:500000 მასშტაბის რუკის საზღვრების აღნიშვნის დროს დაშვებული გრაფიკული ტექნიკური არაზუსტობის აღმოფხვრის გათვალისწინებით“[223].

ასე დასრულდა საქართველო-სომხეთს შორის წლების მანძილზე მიმდინარე ბრძოლა. ლორეს მაზრის სამხრეთის საზღვარი საუკუნეების მანძილზე მდინარე მტკვრისა და მდ. არაქსის წყალგამყოფ ქედზე გადიოდა და ყოფილი დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ სასაზღვრო ხაზს წარმოადგენდა, რაც ბუნებრივი იყო. ეს იყო ათასწლეულთა მანძილზე საქართველოს სახელმწიფო საზღვარი! ამ საზღვრის შენარჩუნება ვერ შეძლეს ვერც „მენშევიკებმა“ და მითუმეტეს ვერც „ბოლშევიკებმა“, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ რა ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ლოზუნგით, სომხეთს გადასცეს თავისი კუთვნილი მიწები, ფართით 2478 კვადრატული კილომეტრი[224]. წლების მანძილზე მიმდინარე ბრძოლის შედეგად „ბოლშევიკებმა“ საზღვრების მხოლოდ ოდნავ შესწორებას მიაღწიეს.

თავი IV

საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ცვლილებები 1921-1938 წწ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ საზღვრების საკითხმა დაკარგა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ფაქტიურად იმ ეტაპზე რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წაიშალა, რაც საბაჟოების, პიკეტების და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა. „საბჭოთა ძალაუფლების ნიადაგზე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს თუ სად მთავრდება ესა თუ ის სახელმწიფო საზღვარი... კითხვა საზღვრების შესახებ სხვა და სხვა დროს შეიძლება სხვადასხვანაირად გადაიჭრას რეალური მოსახლეობის ან არსებული ეკონომიური ხასიათის გარემოებათა მიხედვით“[225].

საქართველოს კომუნისტებმა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრის საკითხი გადაწყვიტეს „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ თვალსაზრისით და მეზობელ სახელმწიფოებს დაუთმეს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია, კიროვის თავმჯდომარეობით. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მხრიდან ა. სვანიძე და თ. თოდრია, აზერბაიჯანის მხრიდან ჰუსეინოვი, გაჯინსკი, რასულ-ზადე, ომარ-ფაიკი, სომხეთის მხრიდან ბეკზადიანი. კომისიის სხდომა მიმდინარეობდა თბილისში 1921 წლის 25-27 ივნისს. კომისიის მეორე სხდომას წევრების გარდა დაესწრნენ გ. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი და შ. ელიავა.

კომისიამ განიხილა საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ შორის საზღვრის გავლების საკითხი. მცირე კამათის შემდეგ ორივე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა

ზაქათალის ოლქისა და ყარაიაზის უბნის სადავო საკითხზე შემდეგი მოდუსი შეიმუშავეს: „პოლიტიკური მოსაზრებებით აზერბაიჯანის სსრ პრეტენზიას არ აცხადებს, რომ აღნიშნული რაიონები მას შეუერთონ, მაგრამ მოითხოვს, საქართველომ იურიდიულად ცნოს და დაუმტკიცოს თათარ გლეხებს, რომ მათ უდავოდ უფლება აქვთ ფაქტობრივად ისარგებლონ იმ მიწებით (საძოვრებით და სხვა სავარგულებით), რომლებსაც მეფის და მენშევიკების რეჟიმის დროს ფლობდნენ. ამასთან საქართველოს პოლიტიკური ძალაუფლების გარდა ყველა სხვა ძალაუფლებას მთლიანად ანიჭებს მოსახლეობას და ვალდებულებას კისრულობს არავითარი განკარგულება არ გამოსცეს ყაზახის გვერდის ავლით. იმ მიწების ზუსტად გამოჯვნისათვის, რომლებითაც აზერბაიჯანელმა გლეხებმა უნდა ისარგებლონ, ინიშნება საგანგებო შერეული კომისია“[226].

საბოლოო შეთანხმება არ მოხერხდა, კომისიის მუშაობის მესამე დღეს საქართველოს წარმომადგენლებმა პროტესტი გამოთქვეს აზერბაიჯანის წარმომადგენელთა მიერ ნახმარი იმ გამოთქმის გამო „რომ ადგილებზე მთელი ხელისუფლება, ყარაიაზელ გლეხებს უნდა გადაეცესო“. საქმე იქამდე მივიდა, რომ კიროვი იძულებული გახდა სხდომაზე მოეწვია შეთანხმების დამსწრე გ. ორჯონიკიძე და მ. ორახელაშვილი. მ. ორახელაშვილის მოსვლის მერე გაუგებრობა გაიფანტა და აზერბაიჯანის დელეგაციის მიერ შემუშავებული დადგენილება მიიღეს, ოღონდ „მთელი ძალაუფლება“ გაასწორეს ასე, „მთელი ძალაუფლება გარდა პოლიტიკურისა“[227].

ამ პირველივე დოკუმენტიდან, სადაც აზერბაიჯანის მხარე აცხადებს, რომ „პოლიტიკური მოსაზრებებით აზერბაიჯანის სსრ პრეტენზიას არ აცხადებს, რომ აღნიშნული რაიონები მას შეუერთონ“ არამედ მოითხოვს, რომ „საქართველომ იურიდიულად ცნოს და დაუმტკიცოს თათარ გლეხებს, რომ მათ უფლება აქვთ ფაქტობრივად ისარგებლონ იმ მიწებით“ უკვე ჩანს, თუ როგორ ლავირებენ აზერბაიჯანელი კომუნისტები „მშრომელი მასების – თათარი გლეხების“ ინტერესებით და ნელ-ნელა აპარებენ ქართველ კომუნისტებს, რომ ეს მიწები გადასცენ ფაქტი-

ურ სარგებლობაში. საბჭოთა პერიოდში, როცა ფაქტიურად აღარ არის ლაპარაკი სახელმწიფო საზღვრებზე, ფაქტიური მფლობელობა იგივეს ნიშნავდა.

1921 წლის 5 ივლისს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც განიხილა საკითხი სასაზღვრო ხაზის შესახებ და მიიღო შემდეგი დადგენილებები:

„1. პოლიტიკური საზღვრები აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ შორის რჩება უცვლელი, რამდენადაც ამაზე განსაკუთრებულად არ არის ლაპარაკი შემდეგ მუხლებში.

2. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ყარაიაზის ველის საკითხის შესახებ კონფერენციამ დაადგინა:

ა) ცნობილ იქნეს სრული განსაკუთრებული მფლობელობა და სარგებლობა ყაზახის მაზრის გლეხების მიერ ყარაიაზის ველისა, დაახლოებით შემდეგ საზღვრებში, ამასთან დაცულ იქნეს არსებული სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ შორის: ფაქტიური მფლობელობის საზღვარი იწყება წითელი ხიდიდან მდინარე ხრამზე და მიდის სადგურ ბეუკკიასიკამდე, მისი ჩათვლით, მიემართება კირიშლის მთაზე, გაივლის მთა კეშიშ-გზოიმდე, შემდეგ ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთით და გაივლის უღელტეხილ შიხლი-ქარავან-ქაისს, გადაკვეთავს დიდ გზას, უხვევს ჩრდილოეთით, ადის ლებსიზინ-დაგზე კვეთავს არამდარის ხრამს და შემოუვლის რა კუტანს მიდის კალაგირის მთამდე, მიემართება მდინარე იორამდე, მიდის მასზე კესამანის მიჯნაზე, შემდეგ მიჰყვება სახელმწიფო საზღვარს.

(5 ვერსიანი რუკა დიუმებში)

შენიშვნა: ზუსტი საზღვრის დადგენა ყაზახის გლეხების მფლობელობისა ეევალება განსაკუთრებულ შერეულ კომისიას, რომელიც შეუდგება მუშაობას წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან ორ კვირაში.

ბ) ყაზახის მაზრის გლეხები, რომლებიც არიან ფაქტიური მფლობელნი და მოსარგებლენი ამ ველის, ყველა შემთხვევაში სარგებლობენ აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციით, ემორჩილებიან ყახაზის მაზრის აღმასკომს.

3. რაც შეეხება ელდარის ველს, კონფერენცია ადგენს დაევალოს შერეულ კომისიას, აღნიშნულს მე-2 მუხლში, დაადგინოს და განამტკიცოს ადგილზე ამ ველის ფაქტიური მფლობელობა.

4. რაც შეეხება ზაქათალის ოლქს. კონფერენციამ დაადგინა: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უარს ამბობს ყველა თავის პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქში სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში, რაზედაც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამისს დეკლარაციას.

5. ორივე მხარის გლეხები უზრუნველყოფილნი იქნებიან წინააღმდეგობის გარეშე ისარგებლონ, საძოვრებით, მომთაბარეთა ადგილებით და სხვა სავარგულებით, რითაც ისინი ფაქტიურად სარგებლობენ.

წინასწარ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების რევკომთა თავმჯდომარეებმა: ფილიპე მახარაძემ და ნარიმანოვმა[228].

ამ ოფიციალური შეთანხმებით ხორცი შეესხა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს გადაწყვეტილებას აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში ზაქათალის ოლქის დატოვების შესახებ.

კონფერენციის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სპეციალური შერეული კომისია, რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა ამიერკავკასიის რესპუბლიკების შიდა საზღვრები. პირველი სხდომა გაიმართა სადგურ აქსტაფაში 1921 წლის 27 ივლისს. ესწრებოდნენ აზერბაიჯანის მხრიდან აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარე, აზერბაიჯანის სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წევრი ისრაფილ იბრაგიმოვი, დელეგაციის წევრი ჯაფარ ახუნდოვი და აზერბაიჯანის დელეგაციის მრჩეველი, განჯის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ალიევი; საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ სრულუფლებიანი დელეგატები საქართველოს სსრ საგარეო საქმე-

თა სახალხო კომისარიატის მრჩეველი პაველ იასეს ძე ინგოროყვა და სიმონ ვახტანგის ძე მარაბელი.

იბრაგიმოვმა წაიკითხა 1921 წლის 5 ივლისის კონფერენციის დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის შიდა საზღვრების მოწესრიგების შესახებ, ტექსტი მიღებულ იქნა ცნობად და სახელმძღვანელოდ. ამის შემდეგ განიხილეს ყარაიაზის ველის საკითხი.

იბრაგიმოვმა აზერბაიჯანის დელეგაციის სახელით განაცხადა, რომ შერეული კომისიის ვალია დაადგინოს მხოლოდ ზუსტი საზღვარი ყაზახის გლეხების მფლობელობისა ყარაიაზის ველზე.

ინგოროყვამ განაცხადა, რომ შერეულმა კომისიამ უნდა გამოიკვლიოს ყარაიაზის რაიონი, კონფერენციის დადგენილების მითითებული საზღვრებში და ზუსტად უნდა დადგინდეს ადგილზე ყაზახის მაზრის გლეხების ფაქტიური მფლობელობა.

იბრაგიმოვი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. ინგოროყვამ განაცხადა რომ საქართველოს დელეგაციას აქვს ტექსტის თავისებური გაგება და თქვის, რომ მე-2 პუნქტის შენიშვნა ითვალისწინებს მთელი ყაზახის რაიონის გამორკვევას. იმ დღეს რაიმე გადაწყვეტილება მიღებული არ იქნა[229] სხდომამ მუშაობა განაახლა მეორე დღეს და მიიღო შემდეგი დადგენილება:

„1. კომისიის მუშაობა გადაიდოს და განახლდეს ა/წ პირველ სექტემბერს.

2. ამ დროისათვის შეგროვდეს ყველა შესაბამისის მასალა ფაქტიური საზღვრის დასადგენად.

3. ზუსტი საზღვრის დადგენამდე, ყაზახის გლეხებს მიეცეთ უფლება წინააღმდეგობის გარეშე ისარგებლონ ყარაიაზის ველის ყველა სავარგულით, რითაც ისინი სარგებლობდნენ ადრე. ამ ოქმის ამონაწერი გაეგზავნოს ყაზახის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ.

4. კომისიაში წარმოშობილი აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც შეეხებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კონფერენციის დადგენილების მე-2 პუნქტის შენიშვნის გაგებას, ამ დროისათვის გაირკვეს მთავრობასთან.

5. დელეგაციის შეხვედრის ადგილად დაინიშნოს ქ. განჯა"[230].

შერეული კომისიის სხდომები გაიმართა 1921 წლის 27-28 აგვისტოს ქ. აქსტაფაში, 5 სექტემბერს ქ. განჯაში, 1921 წლის 8 ოქტომბერს ქ. ყაზახში, მაგრამ მათ მუშაობას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

1921 წლის 8 ნოემბერს ქ. თბილისში შედგა აზერბაიჯანის სს და საქართველოს სს რესპუბლიკების შერეული კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარეები ვ. კანდელაკი და ა. აბასოვი და კომისიის წევრები დ. ვექილოვი, ა. ბერიძე და მ. შიხლინსკი. დღის წესრიგში იდგა ყაზახის გლეხების ფაქტიური მფლობელობის და სარგებლობის საზღვრის დადგენის საკითხი უკვე გამოკვლეულ მონაკვეთებზე (1921 წლის 5 ივლისის კონფერენციის დადგენილების თანახმად). იწყებოდა წითელი ხიდიდან მდინარე ხრამზე ლებსიზინ-დაგის მთებამდე, არამდარის მინდვრის ჩათვლით.

მოისმინეს რა ერთმანეთის აზრი კოზლუხის მონაკვეთზე, კერძოდ წითელი ხიდიდან ტორპახ-ტაფამდე და აქედან პირდაპირი ხაზი მტკვრამდე — კომისიამ დაადგინა, რომ აზრთა სხვადასხვაობის გამო შეიკრიბოს დამატებითი მასალა ყოფილი მფლობელების და არენდატორების გამოკითხვის საფუძველზე.

ყაზახის გლეხების მიწების ფაქტიური მფლობელობის და სარგებლობის საზღვარი დადგინდა შემდეგი სახით: მდ. მტკვრიდან, იმ ადგილიდან, სადაც გადის მე-17 არხის ბოლო, ეშაკ-ტაპასამდე პირდაპირი ხაზით, შემდეგ გამიჯვნის ხაზი მიდის ეშაკ-ტაპასიდან პირდაპირ ბეუკ-კიასიკის სადგურზე, მისი ჩათვლით, მიემართება ჩრდილოეთით, გადაკვეთავს ბეუკ-კიასიკის ქედს და უახლოვდება ტბა ჯანდარ-გელის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს, შემდეგ შემოუვლის მას ნაპირზე და მიდის ჩრდილო-დასავლეთით გამმიჯნავ ნიშნებზე, დანა-დაგის მთებამდე, აქედან მიემართება აღმოსავლეთით ქედზე, ალგეთ-ბაში-კეშის მთებამდე, უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით და მიდის კეშის-გზოის მთებამდე, ჩამოდის ქედზე სამხრეთ-აღმოსავლეთით კოშკამდე, აქედან ჩრდილოეთით დაეით გარეჯის მონასტრი-

დან და შემდეგ მიდის ქედზე შიხლი-ქარავან-ელამდე, მიდის მასზე ე. ი. გზაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით სიღნაღის მაზრის საზღვრამდე და ამ საზღვრით მიემაროება იალიჯინის ქედზე[231]. ამ უკანასკნელი ოქმით დავით-გარეჯის მონასტრის „დაჩა“ იყოფა ორ: დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად, ამასთან პირველი ნაწილი დაახლოებით 3020 დესეტინა დარჩა საქართველოს შემადეგენლობაში, ხოლო მეორე ნაწილი 2040 დესეტინა გადაეცა აზერბაიჯანს.

1921 წლის 15 ნოემბერს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრის თაობაზე შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარემ ბუდუ მდივანმა და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მუხტარ გაჯი ზადემ. ამ შეთანხმებით სასაზღვრო ხაზი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ შორის დადგინდა შემდეგი სახით: „საზღვარი იწყება წითელი ხიდიდან, მიემართება ჩრდილოეთით ტორპახ-ტაპაზე მიდის სწორი ხაზი, კვეთავს მდინარე მტკვარს და კოზლუხის ტყის გავლით მიდის ყარაიაზის ველის მე-17 სარწყავი არხის სამხრეთის ბოლომდე, აქედან გაივლის იმავე მე-17 არხის დასავლეთ მხარეს ჩრდილოეთის მიმართულებით, მოიცავს სოფელ შიხლის მცხოვრებლების მიერ დამუშავებულ ყველა მიმდებარე მიწას, შემდეგ საზღვარი მიემართება ჩრდილოეთით, მოიცავს ბეუკკიასიკის მამულს, რომელიც ეკუთვნის შიხლის მცხოვრებლებს, კვეთავს ჯანდარის ტბას, მის აღმოსავლეთ ნახევარს ტოვებს აზერბაიჯანის სსრ, ხოლო დასავლეთის მხარეს საქართველოს სსრ მფლობელობაში და მიემართება ჩრდილოეთით, კირიშლის მთაზე, მიდის კეშიშ-გზოის მთებამდე, ჩამოდის სამხრეთ-აღმოსავლეთით და უღელტეხილ შიხლი-ქარავან-ელის გავლით კვეთავს დიდ გზას, უხვევს ჩრდილოეთით, ადის ლებსიზინ-დაგზე, კვეთავს არამდარის ხრამს, შემოუვლის კუტანს, მიდის კალაგერის მთებამდე, მიემართება მდინარე იორამდე, მიდის მასზე კესამინის მიჯნამდე, მიემართება შემდეგ სახელმწიფო საზღვარზე (5 ვერსიანი რუკა დიუმებით).

2. ელდარის ველის საკითხი დარჩა ღიად, განსაკუთრებული შერეული კომისიის ოქმის მიღებამდე.

3. ზაქათალის ოლქის საკითხში ძალაში რჩება ამიერკავკასიის რესპუბლიკების შიდა საზღვრების მომწესრიგებელი კონფერენციის 1921 წლის 5 იელისის დადგენილების მე-4 პარაგრაფი"[232].

ამ შეთანხმებით საბოლოოდ იურიდიულად დაფიქსირდა ზაქათალის ოლქის აზერბაიჯანის სსრ-სადმი მიკუთვნების საკითხი. საქართველოს ისტორიული კუთხე ზაქათალის ოლქი – საბოლოოდ მოსწყდა დედა-სამშობლოს – საქართველოს. დავა ორ ქვეყანას შორის კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ამჯერად საქმე ეხებოდა არა მთლიან ოლქებს, არამედ მიწების, ტყეების, საძოვრების ცალკეულ მონაკვეთებს. სადავო საკითხები საქართველო-აზერბაიჯანს შორის იყო შემდეგი:

1. ზაქათალის მაზრის სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლების მიწათსარგებლობის საკითხი სიღნაღის მაზრის ჭიაურის ტყის აგარაკის საზღვრებში.

2. ზაქათალის და სიღნაღის მაზრებს შორის სადავო იყო შირაქის ალაზნისპირა ველი.

3. განჯისა და სიღნაღის მაზრებს შორის სადავო იყო ელდარ-სამუხის ზამთრის საძოვრები.

4. თბილისის და ყაზახის მაზრებს შორის სადავო იყო გარეჯის ზამთრის საძოვრები.

5. თბილისის და ყაზახის მაზრებს შორის სადავო იყო საზღვრის დადგენა დაეით გარეჯის აგარაკიდან მტკვრამდე.

1922 წლის 28 იანვარს შედგა შერეული განსაკუთრებული კომისიის სხდომა, ესწრებოდნენ აზერბაიჯანის მხრიდან ა. აბასოვი და მ. შიხლინსკი საქართველოს მხრიდან – გ. კანდელაკი, ი. ფანცხავა და ა. ბერიძე.

მოისმინეს საკითხი საქართველოს და აზერბაიჯანს შორის ფაქტიური სარგებლობის დადგენის შესახებ ჩათმის, ელდარის და შირაქის ველზე. სხდომამ მიიღო დადგენილება:

„1. კოზლუხის მონაკვეთზე, მდებარე მდინარეების მტკვრის და ხრამის შერწყმის ადგილზე, შეკრებილი ცნობები არ იძლევა განსაკუთრებულ მონაცემებს ამ მონაკვე-

თის ფაქტიური სარგებლობის შესახებ, მაგრამ ვინაიდან იგი მდებარეობს სოფელ შიხლის ახლოს (ყაზახის მაზრა) ფაქტიური სარგებლობის საზღვრად ჩაითვალოს სწორი ხაზი წითელი ხიდიდან ტორპახ-ტაპას ბორცვის მწვერვალამდე და სწორი ხაზი ამ მწვერვალიდან მდინარე მტკვარზე, რომელიც ემთხვევა ფაქტიური სარგებლობის ხაზს ყარაიაზის ტყეში მდინარე მტკვრიდან ეშაკ-ტაპამდე;

2. „ბოდბის სანადელო მიწების“ მონაკვეთზე, რადგან არ არსებობს ფაქტიური სარგებლობის ნიშანწყალი აზერბაიჯანის სსრ მოქალაქეების მხრიდან, ფაქტიური სარგებლობს საზღვრად ჩაითვალოს ეილჯინის ქედის გაგრძელება გობტების მთების და სიმაღლე 2724 გავლით ჩათმის ველამდე.

3. ჩათმის მონაკვეთით სარგებლობის ორივე მხარე... კაჯარის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ველით და დასავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილით სარგებლობდნენ ქართველი მესაქონლეები, დანარჩენი ნაწილით აზერბაიჯანელები. ფაქტიური სარგებლობის საზღვრად ჩაითვალოს საზღვარი ბოდბის სანადელო მიწებსა და ჩათმის ველს შორის, სიმაღლე 2576 და ალაჯიგის მთებამდე, აქედან სწორი ხაზი კაჯარის ტბის გავლით ხრამამდე კუთხეში, წარმოქმნილი ხაზი დანიდაგიდან, ჩათმის და შირაქის ველს შორის მდებარე საზღვარზე, მთა ტულ-ტაპა.

მესაქონლეებს შორის თავიდან რომ აიცილოს შეჯახება კომისიას შესაძლებლად მიაჩნია 1. გამოუყოს მიწები ქართველ მესაქონლეებს ველის დასავლეთი ნაწილიდან აღმოსავლეთში და პირიქით აზერბაიჯანელებს ველის აღმოსავლეთი ნაწილიდან. 2. აეკრძალოთ მესაქონლეებს ნაკვეთების ერთი-მეორეზე გადაცემა. 3. თავისუფალი დარჩეს იორზე წინანდელი საქონელგამრეკი გზები. 4. ნაკვეთზე „შირაქის ველის ნაწილი მდინარე იორსა და სახელმწიფო საზღვარს შორის“ აზერბაიჯანის სსრ მოქალაქეების მხრიდან ფაქტიური მფლობელობის არ არსებობის გამო, ფაქტიური სარგებლობის საზღვრად ჩაითვალოს საზღვარი ტულ-ტაპადან, კუთხე შექმნილი შირაქის და ჩათმის ველების მიერ. ქვემოთ სახელმწიფო საზღვარზე ელდარის ველამდე. 5. ელდარის ველი დარჩეს იმ მესაქონლე-

ების ფაქტიურ მფლობელობაში, რომლებიც ამჟამადაც სარგებლობენ ელდარის ველით.

რაც შეეხება ელდარის ველის მცხოვრებლების სურვილს, მათი აზერბაიჯანის სსრ ქვეშევრდომებად მიწერის შესახებ, ეს საკითხი ჩაითვალოს როგორც საკითხი, რომელიც კომისიის კომპეტენციის ფარგლებში არ შედის"[233]. „განსაკუთრებული მოსაზრება" გამოთქვა კომისიის წევრმა მ. შიხლინსკიმ ჩათმის ველის შესახებ. მისი აზრით, მთელი ჩათმის ველი უნდა გადასცემოდა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას[234].

ამ გადაწყვეტილების პირველი პარაგრაფის მიხედვით, კოზლუხის მონაკვეთი გაიყო ორ ნაწილად: ერთი ნაწილი დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ხაზიდან „წითელი ხიდი — მთა ტორპახ-ტაპა და ეშაკ-ტაპა" დარჩა ბორჩალოს მაზრის გლეხების მფლობელობაში, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ამ ხაზიდან ყაზახის მაზრის გლეხების მფლობელობაში.

1923 წლის 26 აპრილს გაიმართა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული მაზრების გამმიჯნავი კომისიის სხდომა, სადაც საქართველოს დელეგაციამ მოითხოვა მთელი გარეჯის მონასტრის „დაჩის" გადაცემა საქართველოსათვის, უმრავლესობამ ეს წინადადება მიიღო, მაგრამ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ტალიბლიმ თავი შეიკავა. მან კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ამის შემდეგ ეს საკითხი კარგა ხანს ღიად რჩებოდა[235].

1923 წლის 30 აპრილს გაიმართა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მაზრების ადმინისტრაციული გამმიჯნავი კომისიის კიდევ ერთი სხდომა. აზერბაიჯანის მხრიდან ესწრებოდნენ მიწათმომწყობი სამმართველოს უფროსი ჯ. ალიევი, აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი სეიდოვი და აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ტოპოგრაფი ვექილოვი. საქართველოს მხრიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ტალახაძე, მიწათმომწყობი განყოფილების გამგე ჟვანია, საძოვრების განყოფილების გამგე რომანიშვილი

და ტოპოგრაფი ბარამიძე. განიხილეს საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების მაზრების ადმინისტრაციული გამიჯვნის საკითხი. აზერბაიჯანელთა წარმომადგენლების აზრით, ალაზანსა და იორს შორის მოქცეული, საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთის ტერიტორია უნდა გამიჯნულიყო შემდეგნაირად: არამდარიდან მდინარე იორამდე და შემდეგ მისი გაყოლებით კიასამანის მიჯნამდე, აქედან პირდაპირი ხაზი ჩრდილოეთით ყალადარასის ქედამდე, ამ ქედის თხემით აღმოსავლეთის მიმართულებით ყალადარასის ხეობამდე, აქედან თხემის მიმართულებით სამხრეთ-აღმოსავლეთით მთა ომართუფას გეერდის აელით მუსულმანთა სასაფლაომდე. შეგბულახის წყაროსთან ახლოს, აქედან ზემოთ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით კუილუდარის ხეობით, წყარო ბიზირგანბულახის გეერდის აელით მიდიოდა კაშის ქედზე მისი თხემის მიმართულებით წყარო „ლეღვის წყაროს“ აელით და უნდა დამთავრებულიყო მდინარე ალაზანზე[236].

ხოლო საქართველოს წარმომადგენლების აზრით, საზღვრის ხაზი უნდა გატარებულიყო არმადარიდან ელდარის სტეპამდე ე. ი. ისე როგორც ეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიის 1922 წლის 28 იენისის ოქმში იყო მითითებული, შემდეგ საზღვარი თბილისის გუბერნიის ძველ საზღვარს უნდა დამთხვეოდა, ამასთან უნდა მოეცვა შირაქის სტეპის, ალაზნისპირა გაჭიმული დიდი უბანიც, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა. სხდომამ მიიღო დადგენილება განსაკუთრებული შერეული კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც საფუძვლად გამოიყენებდა საქართველო-აზერბაიჯანის 1921 წლის 5 ივლისის შეთანხმებას და 1922 წლის 28 იანვრის შერეული კომისიის სხდომის გადაწყვეტილებას ჩათმის, იორისპირა, ელდარის, შირაქის, ალაზნისპირა სტეპის შესახებ[237].

საბოლოოდ 1923 წლის 30 აპრილის კომისიამ განიხილა შეთანხმების შედეგები. საქართველომ მიიღო კაშის ქედსა და მდ. ალაზანს შორის მოქცეული ტერიტორია, ხოლო აზერბაიჯანს დაუთმეს მდინარე იორსა და პალანტუკანის ქედს შორის მოქცეული ვრცელი ტერიტორია და მთლიანად ელდარის სტეპიც. „1923 წლის გადაწყვეტილე-

ბის გამო საქართველოს მეცხოველეობამ საგრძნობი დეფიციტი განიცადა, ელდარის სტეპის გასხვისების გამო. საყურადღებოა ის გარემოება, რომ 1921 წლის გადაწყვეტილების შეცვლის შედეგად საქართველომ თავის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში დათმო მდ. იორი 43 კმ. სიგრძით და იორის ამ მონაკვეთის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე ელდარ-სამუხის სტეპი და პალანტუნაკის ქედის მთელი ჩრდილო ფერდობი მდ. იორამდე, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 336 კმ^2-ს ანუ 33600 ჰექტარს"[238].

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 30 იანვრის დადგენილებით „მაზრების საზღვრების დამდგენი" კომისია გადაკეთდა „ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებს შორის არსებულ სადავო მიწის-ტყის-წყლით სარგებლობის გადამწყვეტ კომისიად", რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ კასიანე (თავმჯდომარე), იაკუბოვი და ხომერიკი[239]. მომავალში ეს კომისია გადაკეთდა „ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებულ სადავო მიწის, ტყის, წყლის და საძოვრების საკითხის მომრეგულირებელ კომისიად".

ახლა განვიხილოთ ცალ-ცალკე საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო საკითხები. პირველი ეს არის საკითხი ზაქათალის მაზრის სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლების მიწათსარგებლობის საკითხი, სიღნაღის მაზრის ჭიაურის ტყის აგარაკის საზღვრებში.

1924 წლის 25 მაისს გაიმართა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ზაქათალის და სიღნაღის მაზრების გამმიჯნავი კომისიის სხდომა. სხდომაზე პირველ რიგში მოისმინეს ტექნიკური კომისიის თავმჯდომარის კონდრატიევის მოხსენება. ამის შემდეგ აზრი გამოთქვა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ჟვანიამ. იგი უკმაყოფილო იყო ტექნიკური კომისიის მუშაობით, რომელმაც ვერ შეასრულა მასზედ დაკისრებული მოვალეობა, ვერ წარუდგინა კომისიას გარკვეული დასკვნა ყველა სადავო საკითხზე, ამიტომ მას აუცილებლად მიაჩნდა, შეემუშავებინათ ის ძირითადი პრინცი-

პები, რომელზეც დაფუძნებითაც კომისიას უნდა მიეღო ყველა გადაწყვეტილება. თავის მხრივ ჟვანია მოითხოვდა: 1. გაუქმებულიყო ძველი კომისიების ყველა ის დადგენილება, რომელიც შეეხებოდა ორივე მაზრას შორის არსებულ სადავო სასაზღვრო საკითხებს; 2. სადავო სასაზღვრო და მიწის ნაკვეთების გადაწყვეტას საფუძვლად უნდა დასდებოდა ორივე მაზრის ეკონომიური მდგომარეობის პრინციპი და მიწის მონაკვეთებზე მათი მოთხოვნა; 3. თუ ეს მეორე პრინციპი კომისიის მიერ იქნებოდა უარყოფილი, მაშინ ჟვანია მოითხოვდა სახელმწიფო საზღვრის პრინციპს. ამ სამი დებულების შესრულების გარეშე ჟვანიას შეუძლებლად მიაჩნდა თავისი მონაწილეობა კომისიის მუშაობაში. ამასთან მან განაცხადა, რომ თუ ორივე მხარის გლეხების მიწათსარგებლობის და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლის დროს გამოირკვევა, რომ სოფელ კოვახჩოლის გლეხებს ეკუთვნით 30 დესეტინა ნაკვეთი და ფლობდნენ 20-30 მსხვილფეხა საქონელს მაშინ სადავო ნაკვეთების მფლობელობის და სარგებლობის საკითხი უდაოდ უნდა გადაწყდეს სიღნაღის მაზრის გლეხების სასარგებლოდ[240].

აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა გაჯიევმა განაცხადა, რომ კოვახჩოლის მცხოვრებლები არა ნაკლებ საჭიროებენ მიწას. განსაკუთრებით საძოვრებს. თითქმის ყველა სადავო ნაკვეთი არის ტყის მასივი და მათი ამოძირკვა და გადაქცევა საძოვრებად ეწინააღმდეგება სახელმწიფო და ტყის მეურნეობის ინტერესებს. იგი მოითხოვს არ ამოიძირკვოს ყველა სადავო ტყის მონაკვეთი და დარჩეს ზაქათალის მაზრის მცხოვრებლებს მფლობელობაში[241].

მიწათმზომელმა გრებნიკმა განაცხადა, რომ სოფელ ულიანოვკას, ვარდისუბნის, შრომის, თამარიანის და სიღნაღის მაზრის სხვა სოფლების გლეხები არიან მიწათმოქმედნი და აწუხებთ მიწის სიმცირე. სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლები კი უფრო მესაქონლეები არიან, ვიდრე მიწათმოქმედნი, ამიტომ რომ გაეთვალისწინებინათ ორივე მაზრის მცხოვრებლების ინტერესები აუცილებელი იყო ექსპერტიზის ჩატარება: 1) უნდა დაედგინათ რა სათესი ფარ-

თი სჭირდებოდათ სიღნაღის მაზრის გლეხებს, ხოლო კოვახჩოლის მცხოვრებლებს რა ფართი სჭირდებოდათ საძოვრებისათვის; 2) გამოირკვეს რომელი ტყის მონაკვეთი უნდა ამოიძირკვოს, რომელი დარჩეს ეკონომიური ინტერესების გათვალისწინებით. ექსპერტიზის შემდეგ კოვახჩოელებს მესაქონლეობის საჭიროებისათვის გამოეყოს ტყის მასივი საძოვრებად, ხოლო სიღნაღის მაზრის გლეხებს მიეცეთ ტყის ნაკვეთების ამოძირკვის ნება სახნავად[242].

ამრიგად გრებნიკის აზრით ორივე მაზრას შორის არსებული სადავო სასაზღვრო საკითხებს საფუძვლად უნდა დასდებოდა ეკონომიური ინტერესები, როგორც ვხედავთ ყველგან ლაპარაკია არა სახელმწიფო საზღვრებზე, არამედ ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარზე.

საბოლოოდ სხდომის თავმჯდომარე აგამალი-ოგლიმ (ამიერკავკასიის ცაკის თავმჯდომარე) მიიღო გადაწყვეტილება, კომისიას ადგილზე შეესწავლა საზღვრის საკითხი და გასცნობოდა ორივე მაზრის გლეხების ეკონომიურ მდგომარეობას[243].

მეორე დღეს სხდომის მონაწილეებმა ადგილზე შეისწავლეს სადავო ნაკვეთი ერთი მხრივ სოფელ კოვახჩოლის და მეორე მხრივ სოფელ ცოდნას, ვაშლოვანს, ცოდნის კარს, ჩადუნიანს, თამარიანს, ლაგოდეხს და ნოეულიანოეკას შორის ჭიაურის ტყის აგარაკზე. კომისიამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „I. დროებით ამ დავის საბოლოო გადაწყვეტილებამდე, შეწყდეს ტყის უნებართვო გაჩეხა.

2. მოდავე მხარეების ფაქტიური სარგებლობა, საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე დარჩეს ძველ მდგომარეობაში. ნიშნები ამ სარგებლობისა თითოეული მხარის უფლებების განსაზღვრის დროს არ იქნება მიღებული საფუძვლად, რამდენადაც მის გადასაწყვეტად მხედველობაში იქნება მიწით უზრუნველყოფის საკითხი ორივე მხარის შესაბამისი სოფლის მეურნეობისათვის.

3. მკაცრად აიკრძალოს ახალი ფაქტიური სარგებლობის ნიშნების წარმოქმნა დაუფლების მიზნით.

4. ორივე მაზრის წარმომადგენელთა სურვილის გამოვლინების გამო შეწყდეს დავა. წინადადება მიეცეს სიღნაღისა და ზაქათალის მაზრების აღმასრულებელ კომიტე-

ტებს ორ კვირაში, სადავო საკითხის დეტალური შესწავლის შემდეგ, მიაღწიონ მშვიდობიან შეთანხმებას. რაზედაც შესდგება შესაბამისი აქტი გამოცდილი მიწათმზომელების ხელშეწყობით... რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენენ ამიერკავკასიის ცაკს.

5. ამ დადგენილების ასლი გადაეცეს ორივე მხარეს"[244].

რა თქმა უნდა ორ კვირაში შეთანხმება მიღწეული არ იქნა.

1924 წლის 29 სექტემბერს ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კვლავ განიხილა ზაქათალის და სიღნაღის მაზრებს შორის არსებული სადავო საკითხები. ამიერკავკასიის ცაკმა დააკალა პრეზიდიუმის წევრებს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ა. გეგეჭკორს და აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ბუნიატ-ზადეს დეტალურად გასცნობოდნენ ზაქათალის და სიღნაღის მაზრებს შორის არსებულ სადავო საკითხების მასალებს და არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა გამოეტანათ თავიანთი გადაწყვეტილება და განსახილველად გაეტანათ ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე[245].

1924 წლის 15 ოქტომბერს, თბილისში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობაში გაიმართა თათბირი სიღნაღის და ზაქათალის მაზრებს შორის არსებული სასაზღვრო სადავო საკითხების წინასწარი განხილვის მიზნით. ესწრებოდნენ სიღნაღის და ზაქათალის მაზრის აღმასკომების თავმჯდომარეები: ჩახნაშვილი და გაჯიევი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი თაზიშვილი, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები წულუკიძე და ჟვანია, აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების წარმომადგენელი ბალაბანოვი, სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი ალავიძე და ზაქათალის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი სულეიმანოვი.

განიხილეს სადავო საკითხი ზაქათალის მაზრის კოვახჩოლის თემსა და ლაგოდეხის რაიონის სოფლებს შორის ჭიაურის აგარაკში.

აზრთა გაცვლის და კომისიის მასალების გაცნობის შემდეგ თათბირის მონაწილენი მივიდნენ შემდეგ შეთანხმებამდე: „ა) სიღნაღის და ზაქათალის მაზრებს შორის დადგინდეს საზღვარი მომდინარე დანგრეული მაწიმის ციხის ნიშნულიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით პირდაპირი ხაზით ნიშნულზე მდინარე აბჯიტ-სუზე, ნიშნული, $\frac{55'3''7}{46'18''9}$, შემდეგ ამ მდინარეზე ქვემოთ ნაკაფამდე, აქედან ამ განაკაფ ზოლზე პირდაპირი ხაზის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მდინარე კვირიას წყლის (დერენ-კობუ) დასაწყისის ნიშნულზე, შემდეგ სამხრეთი მიმართულებით მდინარე დერენ-კობუზე მისი მდინარე აბჯიტსუსთან შეერთების ადგილამდე და აქედან ამ მდინარეებით (უგლამ-სუ) მისი ალაზანთან შეერთებამდე.

შენიშვნა: იმის გამო, რომ მდინარე აბჯიტ-სუ სათავეს იღებს რაიონში, რომელიც ეკუთვნის სიღნაღის მაზრას, და კოვახჩოლის თემი სარგებლობს ამ მდინარის წყლით, ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანია ტყის მონაკვეთი შემდეგ საზღვრებში: სამხრეთიდან-დადგენილი ახლანდელი დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, ჩრდილო-დასავლეთიდან მდინარე აბჯიტ-სუ და აღმოსავლეთიდან გზა ლაგოდეხიდან კოვახჩოლში რომელიც კვეთავს ნიშნულს $\frac{55'52''5}{46'42''1}$, ტყის ეს მონაკვეთი გამოცხადდეს ნაკრძალად, რომელიც არ ექვემდებარება მასიურ ჩეხვას;

ბ) ძველი განაკაფი ზოლიდან მაღლა მდინარე აბჯიტ-სუს მარჯვენა ნაპირზე, არა უმეტეს 30 დესეტინისა დარჩეს საერთო სარგებლობაში;

გ) მხედველობაში ვიღებთ, რომ კოვახჩოლის თემს აქვს მთელი რიგი ხუტორები და ნახნაგი ჭიაურის ტყის აგარაკში, რომელიც პირველი პუნქტის მიხედვით გადაეცა სიღნაღის მაზრას, მდინარე დერენ კობუს მარჯვენა ნაპირზე, აგრეთვე ჭურული-ტალას, ბეშკენტის და წითელ გო-

რის რაიონში. ეს ხუტორები და ადგილები დარჩეს კოვახჩოლის თემის გლეხებს შრომით სარგებლობაში, აეკრძალოთ მათ ნათესების და კარ-მიდამოს ფართის გაფართოება;

დ) ამ შეთანხმების უმტკივნეულოდ გატარების მიზნით, ვინაიდან სიღნაღის მაზრას ადმინისტრაციულ და ეკონომიურ გამგებლობაში გადაეცა „გ“ პუნქტში ნაჩვენები მიწები, კოვახჩოლის თემი 1924-1925 წლების განმავლობაში თავისუფლდება საარენდო გადასახადისაგან.

ე) თუ მონაკვეთებზე, რომლებიც ახლანდელი დადგენილების მიხედვით გადაეცა ზაქათალის მაზრას აღმოჩნდება ნათესები, რომლებიც მიზომილი აქვს ლაგოდეხის რაიონის სოფლის მცხოვრებლებს, ეს მიწები უნდა დარჩეს ამ უკანასკნელთა სარგებლობაში და წინ არ უნდა აღუდგნენ მიწის დამუშავებაში, ამასთან არ უნდა იქნეს დაშვებული სახნავი ფართის გაფართოება“[246].

მეორე დღეს სხდომამ მუშაობა გააგრძელა. ამჟამად დღის წესრიგში იდგა საზღვრის დადგენა ზაქათალის და სიღნაღის მაზრებს შორის შირაქის რაიონში.

აზრთა გახიარების შემდეგ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა გაჯიევმა და სულეიმანოვმა საკითხის გადასაწყვეტად არსებული მასალა არ მიიჩნიეს საკმარისად. მოითხოვეს თათბირის შეწყვეტა ორი კვირით, ადგილზე მდგომარეობის გამორკვევა, მასალის შეგროვება და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოსვლა თბილისში საკითხის საბოლოო გადასაწყვეტად. ჟვანიას არსებული მასალა მიაჩნდა საკმარისად და მოითხოვდა სიღნაღის მაზრის ადმინისტრაციული საზღვრის გავლებას მდინარე ალაზანზე, ამასთან ზაქათალის გლეხებს უნარჩუნდებოდათ იმ რაოდენობის მიწით სარგებლობის უფლება, რომელიც 1923 წლის 1 აპრილამდე ჰქონდათ ფაქტიურ შრომის სარგებლობაში, მხოლოდ სახნავად[247].

შეთანხმება ვერ მოხერხდა, სხდომამ საკითხი გადასაწყვეტად გადასცა ამიერკავკასიის ცაკთან არსებულ კომისიას.

1924 წლის 17 ოქტომბერს შედგა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული კომისიის სხდომა. საქართველოს მხრიდან ესწრებოდა გეგეჭკორი, აზერბაიჯანის მხრიდან ბუნიატ-

ზადე. განიხილეს რა სადავო სასაზღვრო საკითხი სიღნაღისა და ზაქათალის მაზრის შირაქის მიდამოებში, ალაზნისპირა ველის ნაწილში კომისიამ დაადგინა:

„1. ადმინისტრაციული სასღვარი სიღნაღის და ზაქათალის მაზრებს შორის შირაქის მიდამოებში დარჩეს მდინარე ალაზანზე, ამასთან შენარჩუნებულ იქნას შრომითი სარგებლობის პრინციპი.

2. შირაქში გაიგზავნოს კომისია ბალაბანოვის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრები სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ჩახნაშვილი და ზაქათალის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გაჯიევი. კომისიას ევალება როგორც ქართველი, ისე აზერბაიჯანელი მოქალაქეების იმ მიწების გამოჯვნა, რომლებიც იმყოფება მათ ფაქტიურ სარგებლობაში.

3. კომისიას მიეცეს მიწისმზომელთა საჭირო რაოდენობა და მუშაობა დაამთავროს ორ კვირაში[248].

აღნიშნული დადგენილება დაამტკიცა ამიერკავკასიის ცაკთან არსებულმა კომისიამ 1925 წლის 30 მარტს[249]. ეს დადგენილება იმავე 1925 წლის 30 მარტს დაამტკიცა ამიერკავკასიის ცაკმაც[250].

აზერბაიჯანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოითხოვა 30 მარტის დადგენილების გადასინჯვა. ეს მოთხოვნა განიხილა ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმმა 1925 წლის 2 მაისს. პრეზიდიუმმა ძალაში დატოვა 1925 წლის 30 მარტის დადგენილება და მიზანშეუწონლად მიიჩნია მისი გადასინჯვა. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება სადავო ადგილზე გაეგზავნათ აზერბაიჯანის და საქართველოს პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც ადგილზე აუხსნიდნენ მოსახლეობას 1925 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების აზრს[251].

ამ მიზნით ჭიაურის აგარაკზე გააგზავნეს თემურ ალიევი და მორჩილაძე, რომლებიც ადგილზე გაეცვნენ მდგომარეობას, მათ 1925 წლის 6 მაისის სხდომაზე მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: „მიაჩნია რა აუცილებლად სოფ. კოვახჩოლის მცხოვრებლების უზრუნველყოფა საძოვრებით და სახნავით, თანახმად 1924 წლის 15 ოქტომბრის შე-

თანხმების „გ“ პუნქტისა, მიეცეთ წინადადება საქათალის და სიღნაღის მაზრის აღმასკომებს ერთი კვირის ვადაში შექმნას შერეული კომისია, მაზრების პასუხისმგებელი მუშაკების და მიწათმზომელების შემადგენლობით და გამოყოფილ იქნეს ზუსტად გამიჯნული ნაკვეთები, შრომითი სარგებლობის საფუძველზე ჭიაურის ტყის აგარაკზე, სადღეისოდ არსებული საქონლის და ხუტორების გათვალისწინებით“[252].

15 ოქტომბრის გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ადგილზე გაგზავნილ იქნა ამიერკავკასიის ცაკის ტექნიკური კომისია და ორიენ რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები. ამ კომისიამ გააელო საზღვარი მოცემული შეთანხმების საფუძველზე და გააფორმა აქტი 1925 წლის 23 აპრილს — 3 მაისს[253]. საზღვრის გავლების დროს ტექნიკურმა კომისიამ არა ერთი უზუსტობანი აღმოაჩინა. ეს უზუსტობანი განიხილა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო მიწით-ტყით-წყლით სარგებლობის გადამწყვეტმა კომისიამ 1925 წლის 6 მაისს. კერძოდ ოქმში ნათქვამია: 1. „ძველ განაკაფზე“ მდინარეების აბჯიტ-სუს და კვირიას წყალს შორის, რომელიც ადგილზე არ აღმოჩნდა, დიდი ძებნის შემდეგ შესაძლებელი გახდა თორმეტი ძველი ნიშნულის აღმოჩენა, რომლებიც გამიჯნავდნენ სახელმწიფო ტყის აგარაკს სოფელ ვაშლოვანის და შრომის მიწებისაგან. ამ ნიშნულებზე იქნა გაკეთებული განაკაფი.

2. აგრეთვე გაურკვეველია დადგენილი საზღვარი კვირიას-წყალზე. ქვემოთ ხდება ამ მდინარის განშტოება და ძველი გადაღებული პლანშეტიდან ჩანს, რომ მას ადრე ჰქონდა სხვა მიმართულება დაახლოების $1^1/_2$ ვერსის ფარგლებში. ამის გამო ამიერკავკასიის ცაკის მიწათმზომელების მიერ ამ მდინარეზე საზღვარი დადგენილი იქნა მისი დინების მიმართულებით.

შემდეგ, კვირიას-წყლის მდინარე ულგამ-სუსთან შეერთების ადგილზე აქტის მიხედვით საზღვარი დგინდება მდინარე ულგამ-სუზე, მისი მდინარე ალაზანთან შეერთებამდე, მდინარე ულგამ-სუ კვირიას-წყალთან შეერთების

უფრო ქვემოთ მიედინება ძველ კალაპოტში, დაახლოებით ორი ვერსის მანძილზე, შემდეგ მთლიანად ტოვებს ძველ კალაპოტს, უხვევს სამხრეთ-აღმოსაელეთით, მიედინება ბელაქანის ტბის აგარაკის გავლით და ჩაედინება ალაზანში ძველი კალაპოტის უფრო ქვემოთ დაახლოებით 6 ვერსის მანძილზე. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებმა მოითხოვეს საზღვრის გავლება მდინარე ულგამ-სუს მიმართულებით. ამიერკავკასიის ცაკის მიწისმზომელებმა საზღვარი დაადგინეს ამ მდინარის ძველ კლაპოტზე. რადგან საზღვრის მდინარე ულგამ-სუს მიმართულებით დადგენის შემთხვევაში ბელაქნის ტყის აგარაკის დაახლოებით 1500 დესეტინა ჩამოიჭრება, რომელიც არ ეკუთვნის ჭიაურის ტყის აგარაკს[254].

სხდომამ მიიღო დადგენილება: „1. ჩაითვალოს, რომ განაკაფი, რომელიც გაჭრეს ამიერკავკასიის ცაკის მიწათმზომელებმა მდინარე აბჯიტ-სუსა და კვირიას წყალს შორის აღმოჩენილ ნიშნულებზე, რომელიც მიჯნავს სახელმწიფო ტყის აგარაკს სოფელ ვაშლოვანის და შრომის სანადელო მიწებისაგან არის ის „ძველი განაკაფი“, რომელიც მოხსენიებულია შეთანხმების აქტში.

2. ცნობილ იქნეს, რომ 1924 წლის 23 აპრილის ამიერკავკასიის ცაკის მიწათმზომელების აქტით საზღვარი სიღნაღის და ზაქათალის მაზრებს შორის, დადგენილი 1924 წლის 25 ოქტომბრის შეთანხმების საფუძველზე, სადავო ჭიაურის ტყის აგარაკში, როგორც მთლიანობაში, ასევე კერძოდ მდინარე ულგამ-სუს ძველ კალაპოტზე ნატურაში, გატარებულია სწორად. სახელდობრ ნიშნულიდან $\frac{57'59''2}{46'39''5}$ აღმართული მოწმის ციხესთან (კალა-ბუგატალა) პირდაპირი ხაზით შემდეგ ნიშნულზე $\frac{45''0}{37''5}$ გზასთან $\frac{22''2}{34''3}$ ნიშნულამდე, აქედან ხელახლა გაჭრილი განაკაფიდან ასევე პირდაპირი ხაზით ძველ ნიშნულებზე $\frac{56'59''5}{46'31''3}$, $\frac{37''9}{28''5}$,

$\frac{14''0}{23''0}$ ნიშნულამდე $\frac{55'50''4}{46'22''41}$ გზასთან, რომელიც მიდის სოფელ კოვახჩოლიდან ლაგოდეხში და ყოფილი ატმის ბაღის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, შემდეგ კვლავ ძველ განაკაფზე პირდაპირი ხაზით ნიშნულზე $\frac{55'29''5}{46'20''5}$ ნიშნულამდე $\frac{55'3''7}{46'18''9}$ მდინარე აბჯიტ-სუს მარცხენა ნაპირის გზაზე. შემდეგ ქვემოთ ამ მდინარის დინების მიმართულებით შემდეგი ნიშნულის $\frac{53'46''4}{45'33''5}$ ახლოს, მდინარე აბჯიტ-სუს მარჯვენა ნაპირზე გზასთან ძველ ნიშნულამდე, ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ამ ნიშნულიდან საზღვარი გავლებულია პირდაპირი ხაზით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ძველი გამმიჯნავი ნიშნულების გაყოლით, რომლებიც მიჯნავს სოფელ ეაშლოვანის და შრომის სანადელო მიწებს სახელმწიფო ტყისაგან და დგას ერთმანეთისაგან შემდეგ მანძილზე: პირველსა და მეორე ნიშნულს შორის არის მანძილი 110,0 საჟენი, მეორესა და მესამეს შორის 142,0 საჟენი, მესამესა და მეოთხეს შორის 126,0 საჟენი, მეოთხესა და მეხუთეს შორის 130,0 საჟენი, მეხუთესა და მეექვსეს შორის 88,0 საჟენი, მეექვსესა და მეშვიდეს შორის 82,0 საჟენი, მეშვიდესა და მერვეს შორის 141,0 საჟენი, მერვესა და მეცხრეს შორის 109,0 საჟენი, მეცხრესა და მეათეს შორის 94,0 საჟენი, მეათესა და მეთერთმეტეს შორის 92,0 საჟენი, მეთერთმეტესა და მეთორმეტეს შორის 132,0 საჟენი კვირიას-წყლის მარცხენა ნაპირზე, აქედან ქვემოთ ამ მდინარის მიმართულებით, ამჟამად გამაეალი დაახლოებით №16 ნაკვეთის ახლოს და შემდეგ მისივე მიმართულებით მის შეერთებამდე მდინარე აბჯიტ-სუმდე. შემდეგ პუნქტთან $\frac{51'48''7}{40'29''5}$, აქედან ქვემოთ მდინარე აბჯიტ-სუს მიმართულებით (ულგამ-სუ) შემდეგ

პუნქტამდე $\frac{52'8''5}{39'29''0}$ და შემდეგ ულგამ-სუს ძველ კალა-

პოტზე მის შეერთებამდე მდინარე ალაზანთან $\frac{51'35''9}{38'8''0}$.

აღწერილი ხაზის მარჯვენა მხარის მიწები გადადის სიღნაღის მაზრის მფლობელობაში, მარცხენა ზაქათალის მაზრის.

2. 1924 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების სისრულეში მოყვანა დაევალოს შერეულ კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საქართველოს და აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები და ტექნიკური პერსონალი, ამიერკავკასიის ცაკის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით“[255].

აზერბაიჯანის ცაკმა ხელმეორედ მოითხოვა 1925 წლის 30 მარტის დადგენილების გადასინჯვა. თავის მხრივ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მოითხოვს სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლების მიერ სიღნაღის მაზრის მცხოვრებლების შევიწროების ფაქტების აღკვეთას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი გაგზავნილი მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ი. ჟვანიას მიმართვიდან ჩანს, რომ „ზაქათალის მაზრის სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებნი მასიურად გადმოდიან საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საზღვარზე სიღნაღის მაზრაში და მოსაზღვრეთ მდებარე ბეშკენტის უბნის ტყეს უშუალოდ სჭრიან და ანადგურებენ. სიღნაღის მაზრის სატყეოს ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომები უშედეგოდ რჩება, რადგან კოვახჩოლის მცხოვრებნი მათ სიკვდილით ემუქრებიან და არ აძლევენ ტყის მცველებს თვითნებურად მოჭრილი ხე-ტყის აღრიცხვისა და შესაფერისი ოქმების შედგენის საშუალებას“[256].

„სოფელ კოვახჩოლის, ზაქათალის მაზრის მცხოვრებნი გადმოდიან სიღნაღის მაზრის საზღვრებზე და მასიურად სჭრიან ტყეს, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მდინარე კვირიას-წყალი დამტკიცებულია საზღვრად“[257].

სიღნაღის და ზაქათალის მაზრებს შორის არსებული ყველა სადავო საკითხი ჭიაურის ტყის აგარაკში განიხილა ამიერკავკასიის ცაკმა 1926 წლის 12 აპრილს, 20 მაისს და 19 აგვისტოს მცირე პრეზიდიუმის სხდომებზე.

1926 წლის 19 აგვისტოს ამიერკავკასიის მცირე პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო დადგენილება: „შეიქმნას საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა შერეული კომისია ამიერკავკასიის ცაკის წარმომადგენლის ამხ. კოჩეტკოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში 1) ზუსტად უნდა განსაზღვროს გეგმაზე 1924 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების წარმომადგენელთა თათბირზე დადგენილი ადმინისტრაციული საზღვარი ზაქათალის მაზრებს შორის იმ ნაწილებში, რომელიც გაურკვეველია და აქვს სხვადასხვა გაგება.

2. სისრულეში იყოს მოყვანილი ამავე თათბირის გადაწყვეტილება გამოცემული „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებში შემდეგი შენიშვნების გათვალისწინებით: ა) ნატურაში აღინიშნოს სასაზღვრო ნიშნებით და სურათზე გადაღებულ იქნას სიღნაღის და ზაქათალის მაზრის მცხოვრებლების მიწათსარგებლობის სურათი სასაზღვრო ზოლში.

ბ) ზუსტად ასე მოიქცნენ იმ სადავო ტყის ფართის მიმართებაში, სადაც აკრძალულია ჩეხვა“[258].

მაგრამ ეს კომისია კარგა ხნის მანძილზე არ შეიქმნა. ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმმა 1926 წლის 19 ნოემბერს დაადგინა „დაევალოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს კოჩეტკოვს, აზერბაიჯანის ცაკის წარმომადგენლებს გ. სულტანოვს, ალი მამედოვს და ალექფეროვს და საქართველოს ცაკის წარმომადგენლებს ს. თოდრიას, ს. მიქელაძეს და ი. მარუაშვილს დაუყოვნებლივ გაემგზავრონ, სიღნაღის და ზაქათალის მაზრებს შორის, სადავო სასაზღვრო საკითხების მოსაგვარებლად, ჭიაურის ტყის აგარაკზე“[159].

კომისიის მიერ ადგილზე მდგომარეობის შესწავლის შემდეგ თბილისში 1926 წლის 24 ნოემბერს გაიმართა

სხდომა. შეთანხმება ვერ მოხერხდა და საკითხი განსახილველად გადაეცა ამიერკავკასიის ცაკს[260].

ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა საქმე განიხილა 1927 წლის 11 იანვარს. სხდომამ დაამტკიცა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული მიწის კომისიის 1925 წლის 6 მაისის გადაწვეტილება სიღნაღის და ზაქათალის მაზრებს შორის ზუსტი საზღვრების გავლების შესახებ: არ შეხებიან ზაქათალის მაზრის მცხოვრებლების მიწათსარგებლობის საკითხს იმ ტერიტორიაზე, რომელიც გადაეცა სიღნაღს, ამ საკითხზე ძალაში რჩებოდა 1926 წლის 19 აგვისტოს გადაწვეტილება[261].

1927 წლის აპრილის შუა რიცხვებში ჭიაურის ტყის აგარაკზე გაგზავნილ იქნენ მიწათმზომელები 1927 წლის 11 იანვრის და 1926 წლის 19 აგვისტოს გადაწვეტილებების სისრულეში მოსაყვანად. მათ მიერ ადგილზე იყო გავლებული საზღვარი ზაქათალის და სიღნაღის მაზრებს შორის. გამოყვეს ნაკრძალი ტყის ნაკვეთები, აგრეთვე 30 დესეტინის საერთო სარგებლობის სასაძოვრო მონაკვეთი მდინარე აბჯიტ-სუს მარჯვენა ნაპირზე, რაც შეეხება სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლების მიწათსარგებლობის საკითხს ჭიაურის ტყის აგარაკში დარჩა ღიად. სიღნაღის მაზრის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლებისათვის ტყის საძოვრების არენდით გადაცემაზე იმ მოტივით, რომ ეს მიწები უკვე დანაწილებული იყო სიღნაღის მაზრის მცირემიწიან გლეხებს შორის, ხოლო ნაწილი იმყოფებოდა სიღნაღის მაზრის მესაქონლეების საარენდო მფლობელობაში[262].

1927 წლის 6 მაისს ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმმა მიმართა აზერბაიჯანის და საქართველოს ცაკს 25 მაისამდე გადაეწყვიტათ ეს საკითხი[263]. მაგრამ ეს გადაწვეტილება არ იქნა სისრულეში მოყვანილი. აზერბაიჯანის ცაკმა საჩივარი შეიტანა და მოითხოვა საკითხის ხელახალი გადასინჯვა.

ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა 1927 წლის 19 სექტემბერს კვლავ განიხილა სოფელ კოვახჩოლის მიწათსარგებლობის საკითხი ჭიაურის ტყის აგარაკში. პრეზიდიუმმა საქართველოს ცაკს დაავალა გაეცა განკარგუ-

ლება ერთი თვის ვადაში საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გამოეყო სასაძოვრო და სახნავი ნაკვეთები სიღნაღის მაზრის ჭიაურის ტყის აგარაკში, რომლებიც თანახმად ამიერკავკასიის ცაკის 1926 წლის 19 აგვისტოს და 1927 წლის 26 მაისის განკარგულებისა უნდა გადასცემოდა ზაქათალის მაზრის სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლებს საარენდო სარგებლობაში. ამ სამუშაოს შესრულების დროს იმ ნაკვეთების სანაცვლოდ, რომლებიც 1924 წლამდე იყო სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლების სარგებლობაში და შემდეგ გადაეცა სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებს სანადელო მიწათმოწყობის მიზნით, კოვახჩოელებს უნდა მიეცეთ თანაბარ ფასიანი ფაროი შესაბამისი სავარგულებით აგარაკის სხვა ნაწილებში, პირველი მონაკვეთების ახლო მანძილზე[264].

ამის შემდეგ აზერბაიჯანის ცაკმა 1927 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ცაკს გაუგზავნა მიმართვა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწვეტილების შესრულება. ამის პასუხად საქართველოს ცაკმა აზერბაიჯანის ცაკს 1927 წ. 21 დეკემბერს აცნობა, რომ სასაძოვრო ადგილები ჭიაურის ტყის აგარაკში გადაცემულია სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებზე, მათი სამეურნეო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამასთან დაამატა, რომ ჭიაურის აგარაკის ქვედა ხოლი სანადელოდ განაწილებული ჰქონდათ ადგილობრივ მცხოვრებლებზე. როგორც მიწის ფონდი, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, ტყის ნაკვეთები „ბეშკენტი“ ფართით 700 დესეტინა ძლიერ დაზარალდა, რადგან სოფ. კოვახჩოლის მცხოვრებლები თვითნებურად ჩეხავდნენ ტყეს. თავისუფალი ფართი „ოგლანის“ მონაკვეთზე, ფართით 1200 დესეტინა გადაცემულია სიღნაღის მაზრის უმიწაწყლო გლეხების დასახმარებლად. ამას გარდა ამ მონაკვეთებიდან უნდა დაკმაყოფილდნენ სამშენებლო მასალით მდინარე ალაზნის გადაღმა მდებარე რაიონის მოსახლეობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საქართველოს ცაკს შეუძლებლად მიაჩნია აზერბაიჯანის ცაკის მოთხოვნის შესრულება, კერძოდ, მოარეგული-

როს სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლების მიწათსარგებლობის საკითხი ჭიაურის ტყეის აგარაკში[265].

ეტყობა ეს 700 დესეტინა, ჰქონდა მხედველობაში ვანო სტურუას, რომელმაც რკპ(ბ) XII ყრილობაზე ამაყად განაცხადა: „ამიერკავკასიის ფედერაციამ გადაწყვიტა ყველა სადაო საკითხი ზაქათალისა და სიღნაღის მაზრებში, მენშევიკების ხელისუფლების პერიოდში ჩხუბობდნენ სასაზღვრო მიწების თაობაზე. ფედერაციის შექმნის შემდეგ სიღნაღელებმა ძმურად დაუთმეს აზერბაიჯანელებს 700 დესეტინა სადაო მიწა“[266].

1927 წლის 29 დეკემბერს კვლავ მიმართა აზერბაიჯანის ცაკმა ამიერკავკასიის ცაკს მოთხოვნით, რათა წინადადება მიეცათ საქართველოს ცაკისათვის შეესრულებინა ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება[267]. ყოველივე ამის გამო საკითხი კვლავ კომისიის განხილვის საგნად დარჩა. შეიქმნა კომისია მახარაძის, ტერ-გაბრიელიანის და მუსაბეკოვის შემადგენლობით.

1929 წლის 29 იანვარს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის ფედერაციის სასაზღვრო რაიონებში სადაო მიწის, ტყისა და საძოვრების მომწესრიგებელი კომისიის სხდომა[268].

ამ კომისიის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა 1929 წლის 18 თებერვალს მიიღო დადგენილება: გამოცხადდეს ნაკრძალად, რომელიც არ ექვემდებარება მასიურ ჩეხვას ტყე, შემდეგ საზღვრებში: ნიშნიდან $\frac{63^0 56'22''3}{41^0 47'29''0}$ მდინარე კალაგანკას განაპირას, ქვემოთ აღნიშნულ მდინარეზე ნიშნამდე $\frac{63^0 56'3''5}{41^0 46'53''2}$ ამ მდინარის გზასთან გადაკვეთამდე, მომდინარე ლაგოდეხიდან კოვახჩოლში, აქედან ამ გზაზე ჩრდილოეთით ნიშნამდე $\frac{63^0 56'5''0}{41^0 47'13''0}$ ნაჩვენები გზის განაპირას და შემდეგ ხუთჯერ სწორ ხაზად შემდეგი ნიშნების გავლით: $\frac{63^0 56'7''7}{41^0 47'13''1}$, $\frac{63^0 56'7''1}{41^0 47'17''4}$, $\frac{63^0 56'12''6}{41^0 47'17''4}$, $\frac{63^0 56'14''0}{41^0 47'25''2}$, და

საწყის ნიშნამდე. ზემოაღნიშნულ ადგილებზე დაიდგას ყორღანები (ნიშნულები). ტყე, აღწერილი 1924 წლის 15 ოქტომბრის შეთანხმების „ა“ პუნქტის შენიშვნაში განთავისუფლდეს აკრძალვისაგან.

2. ამიერკავკასიის ცაკის 1927 წლის 6 მაისის და 1927 წლის 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე ამიერკავკასიის ცაკს აუცილებლად მიაჩნია სოფელ კოვახჩოლის მცხოვრებლებისათვის ტყის საძოვრების გამოყოფა[269].

ოქმში ჩაწერილია, რომ ამიერკავკასიის ცაკის 1929 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საბოლოოა და არავითარი წინადადება საკითხის ხელახალი გადასინჯვის შესახებ არ მიიღება.

მეორე სადავო საკითხი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სიღნაღისა და ზაქათალის მაზრებს შორის იყო შირაქის ალაზნისპირა ველი.

შირაქის ალაზნისპირა ველი წარმოადგენს შირაქის ზამთრის საძოვრების ერთ-ერთ რაიონს. მოთავსებულია მდინარე ალაზანსა და კაშის ქედს შორის. იყოფა ორ ნაწილად თვითონ ალაზნისპირა ველი და მთიანი ნაწილი, კაშის ქედი თავისი დიდი ნაწილით ეკერის ალაზნისპირა ველს და შეუმჩნევლად გადადის შირაქის დაბლობზე ე. წ. შირაქის გული. თვითონ კაშის ქედზე, სადაც ეს გადასასვლელი იწყება განფენილია სამი სოფელი: ზემო ქედი, არხილოს კალო და ქვემო ქედი. ეს სამი სოფელი განფენილია ქედის გასწვრივ. გაერთიანებულნი არიან ერთ თემთა საბჭოდ (ზემო ქედის) და ცხოვრობს 543 კომლი (1926 წ. მონაცემებით), სულ 2955 სული[270].

როგორც უკვე აღვნიშნეთ 1924 წლის 17 ოქტომბრის ამიერკავკასიის ცაკთან არსებული კომისიის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საზღვარი სიღნაღისა და ზაქათალის მაზრებს შორის შირაქის მიდამოებში დადგინდა მდინარე ალაზანზე, ამასთან შენარჩუნებული იქნა შრომითი სარგებლობის პრინციპი — მთელი ალაზნისპირა ველი გადაეცა საქართველოს. მაგრამ აზერბაიჯანის მცხოვრებლებს მიწათსარგებლობის უფლება ეძლეოდათ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც თავისთავად ცხადია ხელს უწყობდა სადავო კერის შექმნას.

შირაქში გაიგზავნა კომისია ბალაბანოვის თავმჯდომარეობით. კომისიამ ალაზნისპირა ველის სადავო ტერიტორიის გამოკვლევის შემდეგ 1924 წლის 28 ოქტომბერს შეადგინა აქტი, საიდანაც სჩანს, რომ კომისიამ მიზანშეწონილად სცნო სადავო ტერიტორიის განაწილება. გასანაწილებელი ტერიტორიის ფართი იყო 18.055, 65 დესეტინა, აქედან 15509,5 დესეტინა ვარგისი მიწები, 2546.15 უვარგისი მიწები განაწილდა საქართველოს მესაქონლეებსა და ზაქათალის გლეხებს შორის. აზერბაიჯანის მოქალაქეებს გადაეცათ 9 მონაკვეთი, საერთო ფართი 3707 დესეტინა, საქართველოს მოქალაქეებთან ერთობლივ სარგებლობაში გადაეცათ ორი ნაკვეთი, საერთო ფართი 969,75 დესეტინა აქედან აზერბაიჯანელები სარგებლობდნენ 1/5-ით. 194 დესეტინით. აქედან გამომდინარე აზერბაიჯანის მოქალაქეებმა მიიღეს 3901 დესეტინა მიწა; დანარჩენი მიწები საერთო ფართი 14154,65 დესეტინა გადაეცათ სიღნაღის, თელავის და საქართველოს სხვა რაიონების მესაქონლეებს საძოვრად და წითელ საბატლოს სანაცვლოდ (შექმნეს ნუხის მაზრიდან დევნილმა სომხებმა)[271].

1926 წლის დეკემბერში ზაქათალის მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა და აზერბაიჯანის მიწათსარგებლობის სახალხო კომისარიატმა მოითხოვეს ხელახლა განეხილათ შირაქის ალაზნისპირა ველის კუთვნილების საკითხი. ეს საკითხი განიხილა ამიერკავკასიის ცაკთან არსებულმა კომისიამ 1927 წლის 12 იანვარს, რომელმაც აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენლებს მოსთხოვა ორი კვირის ვადაში კომისიისთვის წარედგინათ მოხსენება შირაქის ველის ალაზნისპირა რაიონში მიწის მდგომარეობის შესახებ. ამასთან ერთად უნდა მიეთითებინათ ზაქათალის მაზრის რომელი სოფლის მცხოვრებლები სარგებლობდნენ დასახლებული ადგილებით, რაში გამოიხატებოდა ეს სარგებლობა, რა უფლებებით ჰქონდათ გადაცემული ეს მიწები ზაქათალის მაზრის მცხოვრებლებს. მოხსენებაში ასევე მოტანილი უნდა ყოფილიყო ზუსტი მონაცემები იმ სოფლების მცხოვრებლების მიწით უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც მოითხოვდნენ მიწის დამატებით გამოყოფას შირაქის ალაზნისპირა ველზე.

ასევე საქართველოს წარმომადგენლებს წერილობითი ფორმით, ორი კვირის ვადაში უნდა წარედგინათ კომისიისათვის, თავიანი მოსაზრებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა აზერბაიჯანელთა მოთხოვნებს შირაქის ალაზნისპირა ველზე[272]. აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისართა საბჭომ საჭირო მასალა წარუდგინა კომისიას. 1927 წლის თებერვლის ბოლოს ზაქათალის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მიმართვა გაუგზავნა კომისიას, სადაც მოითხოვდა შირაქის ალაზნისპირა ველის მთლიანად ზაქათალის მაზრისთვის გადაცემას. საფუძვლად ასახელებდა ზაქათალის მაზრის სოფლების მცხოვრებთა მცირე მიწიანობას[273].

კომისიამ უარყო ეს მოთხოვნა, რადგან ეს საკითხი ადრევე გადაწყვეტილი იყო საქართველოს და აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ და დამტკიცებული იყო ამიერკავკასიის ცაკთან არსებული მიწის კომისიის და ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მიერ, რომელთა დადგენილებით მთელი ალაზნისპირა ველი გადაეცა სიღნაღის მაზრას.

ამ დადგენილების შესაცვლელად საჭირო იყო დამამტკიცებელი საბუთები. საბოლოოდ აზერბაიჯანის ცაკმა, 1927 წლის 3 აგვისტოს, ამიერკავკასიის ცაკს გაუგზავნა 1927 წლის 16 მაისით დათარიღებული აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მომართვა, სადაც აღნიშნულია, რომ ზაქათალის მაზრის 18 სოფელი ადრიდანვე სარგებლობდნენ შირაქის ველის ალაზნისპირა რაიონით, იყენებდნენ მას სათიბად და საქონლის საძოვრად. მაგრამ 1924 წელს ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრის დადგენით მდ. ალაზანზე დაკარგეს მთლიანად ეს მიწები, რითაც განიცადეს დიდი ეკონომიური ზარალი. ამის გამო ისინი მოითხოვდნენ დროებით მაინც, ზაქათალის მაზრაში მიწათმოწყობის სამუშაოების ჩატარებამდე შეენარჩუნებინათ სახნავი მიწების შრომითი სარგებლობა, რაც შეეხებოდა საძოვრებს, ისინი მოითხოვდნენ არენდაზე უფრო მეტ უფლებებს[274].

კომისიამ გადაწყვიტა ამ საკითხის განხილვა 1927 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე, მაგრამ საქართველოს სსრ

მიწათმოქმედების სახალხო კომისრის გეგეჭკორის მოსკოვში გამგზავრების გამო საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან[275]. საკითხი კარგა ხნის განმავლობაში ღიად რჩებოდა.

1929 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაავალა კომისიას ადგილზე ერთი თვის განმავლობაში შეესწავლათ საკითხი და შედეგები მოეხსენებინათ. ადგილზე მივლენილმა კომისიამ დაადგინა, რომ 1924-29 წლებში აზერბაიჯანის მცხოვრებლებმა ალაზნისპირა ველზე მიწებით სარგებლობის უფლება დაუთმეს საქართველოს მოქალაქეებს (მიყიდეს) ბევრ მონაკვეთზე[276].

1931 წლის ოქტომბრის ბოლოს აზერბაიჯანში ცაკის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს ამიერკავკასიის ცაკს ალიაბადის რაიონისათვის ერთი სეზონის განმავლობაში მიეცათ ალაზნისპირა ველით სარგებლობის უფლება, საშემოდგომო თესვის გეგმის შესასრულებლად[277].

ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის 1931 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით საშემოდგომო თესვის უმტკივნეულოდ ჩატარების მიზნით ალიაბადის რაიონში გაიგზავნა კომისია მასხულიას (ამიერკავკასიის ცაკის წევრი) თავმჯდომარეობით[278].

აღნიშნულმა კომისიამ თავის გამოკვლევა და გადაწყვეტილება დააფიქსირა 1931 წლის 9 ნოემბრის აქტში. კომისიამ დაადგინა, რომ 1924 წლის შემდეგ აზერბაიჯანელმა მოქალაქეებმა დაკარგეს 2348 ჰექტარი მიწა (მათ ეს მიწები მიყიდეს ქართველებს). კომისიამ დროებით, ერთი წლის ვადით საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ალიაბადის რაიონს გამოუყო 1924 წლის აქტით გამოყოფილი მონაკვეთები, საერთო ფართი 2275 ჰექტარი[279].

სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ „მიწის ნაკვეთები, მდებარე ალაზნის პირას არავითარ სადავოს არ წარმოადგენს და იგი ეკუთვნის სიღნაღის რაიონს, როგორც დოკუმენტებით და ფაქტებით, ისე ეკონომიური თვალსაზრისით და საპერსპექტივო სასოფლო მეურნეობის გეგმის მიხედვით:

1. ჯერ კიდევ 1924 წელს ოქტომბერში სპეციალურად გამოყოფილმა ამიერკავკასიის ცაკის კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ ბაქოს ხელისუფლების, ზაქათალის და სიღნაღის რაიონის წარმომადგენლები, საბოლოოდ გააცხო საზღვარი, ზაქათალის და სიღნაღის რაიონებს შორის, მდინარე ალაზანზე. შირაქის რაიონი ამჟამად წარმოადგენს უდიდეს გასაქანს საბჭოთა მეურნეობისათვის და იქ არსებული შირაქის საბჭოთა მეურნეობის გიგანტური ზრდა (რომლის სახნავი ფართობი უდრის 10000 ჰექტარს, ხოლო საძოვარი 25000 ჰექტარს) დღითიდღე იმის მაჩვენებელია, რომ შირაქის საბჭოთა მეურნეობა ამაზედ არ შეჩერდება და ახლო მომავალში 10000 ჰექტარი სახნავი და მისი საძოვარი 25000 ჰექტარი უნდა გაფართოვდეს შირაქის ველით, რომელიც ალიაბადის აღმასკომის მიწერილობით გადადის ალიაბადის რაიონის განკარგულებაში, აღნიშნული ნაკვეთით სარგებლობდნენ და დღესაც სარგებლობენ მომთაბარე თუშ-ფშავ-ხევსურები, რომელთა ცხვარი ზამთრის პერიოდში ბინადრობს ამ ადგილებზე:

2. ნაკვეთის ჩამოჭრა აყენებს გამოუვალ მდგომარეობაში 4 სოფელს, რომელთაც უმთავრესად აქვთ მესაქონლეობის განხრა და მათი სხვა ადგილას გადასახლება ყოვლად შეუძლებელია სასახლკარო და სხვა სასარგებლო ადგილების უქონლობის გამო.

3. 1931 წლის ივნისის თვეში ჩვენთან მოვლინებულ ექსპედიციის მიერ დეტალურად შესწავლილ იქნა სიღნაღის რაიონში მდებარე ადგილები და მიწათსარგებლობის წესი და შესდგა მათი თანდასწრებით 1932 წლისათვის საპერსპექტივო გეგმა საბჭოთა მეურნეობის გასაფართოებლად. ამისდამიხედვით საბჭოთა მეურნეობა „შირაქს“ ეძლევა სახნავად ვარგისი მიწა 20000 ჰექტარი, ხოლო საძოვრად, ალაზნის მახლობლად მდებარე საძოვრები, ფართით 42000 ჰექტარი, ე. ი. სახნავ-საძოვრად ეძლევათ სულ 62000 ჰექტარი. სრულებით ბუნებრივად იყო 1924 წელს დადებული ადმინისტრაციულ საზღვრად მდინარე ალაზანი, რაც უდიდესად საჭიროა შირაქის ველისათვის“[280].

შირაქის ალაზნისპირა ველი წარმოადგენდა შირაქის რაიონის განუყოფელ ნაწილს, რომლის მართვა, განაწი-

ლება და ექსპლუატაცია, ისევე როგორც მთელი რაიონის, ხდება ყოველთვის სიღნაღის რაიონიდან. თუ მინდერის ნაწილი საარენდო უფლებით ჰქონდათ ზაქათალის მაზრის მცხოვრებლებს ეს არ ნიშნავდა, რომ ის შედიოდა ზაქათალის მაზრის ადმინისტრაციულ და სამეურნეო მმართველობაში.

ზაქათალის (ალი-აბადის) მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ მოითხოვდა ალაზნისპირა ველის მათთვის გადაცემას.

1932 წლის 6 მარტს გაიმართა ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის სხდომა. შეიქმნა კომისია ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის მამალაძის თავმჯდომარეობით. კომისიას ორი კვირის ვადაში უნდა წარედგინა პრეზიდიუმისათვის დავის გადაწყვეტის პროექტი[281].

კომისიამ ადგილზე შეისწავლა ვითარება და მიიღო შემდეგი დადგენილება:

„I. საგაზაფხულო თესვის ჩატარება ალაზნისპირა ველზე შეუძლებელია, რის გამოც საკითხი ალიაბადის რაიონის მცხოვრებლებისათვის ალაზნისპირა ველზე მიწების გამოყოფის შესახებ მიმდინარე სეზონზე მოიხსნა დღის წესრიგიდან.

2. 1932 წლის ზაფხულის სეზონზე ალიაბადის რაიონის სოფლების მცხოვრებლების ალაზნისპირა ველზე საძოვრებით უზრუნველყოფის მიზნით, ზაქათალის აღმასრულებელი კომიტეტი სიღნაღის აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგენს მონაცემებს საქონლის რაოდენობის და მათი უზრუნველსაყოფად აუცილებელი სასაძოვრო ფართის შესახებ. სიღნაღის აღმასრულებელი კომიტეტი გამოყოფს სასაძოვრო მონაკვეთებს იმ ფართის საზღვრებში, რომლებიც გათვალისწინებული იყო 1924 წლის აქტით.

3. ზაქათალის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი შეაგროვებს მასალებს იმ ინციდენტების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ალიაბადის და საქართველოს მოსახლეობას შორის და წარუდგენს სიღნაღის აღმასრულებელი კომიტეტს გამოსაძიებლად, რომელიც ვალდებულებას

იღებს ორი კვირის ვადაში განიხილოს და მიიღოს შესაბამისი ზომები.

4. ზემოაღნიშნული მინდვრის გამოყენებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად საკითხის საბოლოო გადაწყვეტილებამდე, სიღნაღის და ზაქათალის აღმასრულებელი კომიტეტები მიამაგრებენ თითოეულ წარმომადგენელს სადავო მინდორს, რომლებიც გადაწყვეტენ ყველა საკითხს ერთად და მოაგვარებენ ადგილზე ყველა გაუგებრობას. აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელთა შორის უთანხმოების შემთხვევაში საკითხს გადაიტანდნენ აღმასრულებელ კომიტეტში, რომლებიც შეთანხმდებიან საბოლოოდ.

5. საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად ალაზნისპირა ველზე ზაქათალის და სიღნაღის რაიონების აღმასრულებელი კომიტეტები აპრილის ბოლომდე წარმოადგენდნენ დამატებით ამომწურავ მასალას, რის საფუძველზეც ამიერკავკასიის ცაკის მიერ გამოყოფილი კომისია დაამუშავებს და წარმოადგენს მოხსენებას და დასკვნას საბოლოოდ განსახილველად და გადასაწყვეტად ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმზე.

საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს“[282]. 1932 წლის 27 აგვისტოს ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება:

„1. კატეგორიულად უარყოფილ იქნეს წინადადება ალაზნისპირა ველის ტერიტორიის კუთვნილების ხელახალი გადასინჯვის შესახებ, რომელიც დაამტკიცა ამიერკავკასიის ცაკმა 1925 წლის 30 მარტს.

2. კონსტატირება გაუკეთდეს ფაქტს, რომ 1924 წლიდან 1932 წლამდე ზაქათალის რაიონის გლეხებმა დაკარგეს 2348 ჰექტარი მიწით სარგებლობის უფლება, რაც აიხსნება იმით, რომ ზაქათალის რაიონის გლეხებმა მიწებით სარგებლობის უფლება დაუთმეს (მიყიდეს) საქართველოს გლეხებს.

3. წინადადება მიეცეს სიღნაღის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს აღადგინოს ზაქათალის რაიონის გლეხების მიწების შრომითი სარგებლობა იმ ფარგლებში,

რომლებიც გათვალისწინებულია 1925 წლის 30 მარტის ამიერკავკასიის ცაკის გადაწვეტილებით.

4. მიწები, რომლებიც გამოყოფილია, აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს შორის შეთანხმებით, ჩაითვალოს ძირითად ფასეულ საძოვრებად, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობის განვითარებისათვის. მაგრამ მიიღება რა მხედველობაში ყოფილი ალიაბადის რაიონის (ახლა შეუერთდა ზაქათალის რაიონს) მშრომელი გლეხების მცირემიწიანობა, დროებით დაშვებულ იქნას აღნიშნული მიწების გამოყენება, ფაროით 600-დან 1000 ჰექტრამდე სახნავად.

5. წინადადება მიეცეს ზაქათალის და სიღნაღის რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს მოხდეს მიწების გამოყოფა ზაქათალის რაიონის გლეხებისათვის სახნავად ისე, რომ საქონლის მისვლა წყალთან და მათი გატარება საქონლის გამრეკ გზაზე არ გაძნელდეს.

6. წინადადება მიეცეს ზაქათალის და სიღნაღის რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) აღნიშნული დადგენილების შესახებ ჩატარდეს მასობრივი ახსნა-განმარტებითი სამუშაო გლეხებსა და ალაზნისპირა ველის ერთპიროვნულ მშრომელებს შორის.

ბ) გამოიყოს თითო პასუხისმგებელი წარმომადგენელი ადგილზე ყველა საკითხის გადასაწყვეტად, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სიღნაღისა და ზაქათალის რაიონის გლეხებს შორის (საქონლის გასარეკი გზის დადგენა, ცხოველთა სადგომების კომპენსაცია და ა. შ.).

გ) გააძლიერონ სიფხიზლე სუბარენდასთან ბრძოლაში, მოეკიდონ დამნაშავეებს მკაცრი პასუხისმგებლობით"[283].

დავა კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ სიღნაღისა და ზაქათალის რაიონებს შორის საზღვარი ამ მონაკვეთზე აღარ შეცვლილა. შირაქის ალაზნისპირა ველი საქართველოს შემადგენლობაში დარჩა.

მესამე სადავო საკითხს ადგილი ჰქონდა ერთი მხრივ სიღნაღის მახრასა და მეორე მხრივ განჯის და ყაზახის მაზრებს შორის, შეეხებოდა შირაქის ველის სამთრის სა-

ძოვრებს: ელდარ-სამუხი, იორისპირა ველი, ჩათმა — მთლიანი ფართი 95000 დესეტინა.

ამ საკითხის გადასაწყვეტად ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა 1924 წლის 24 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება ადგილზე შეესწავლა მთელი სადავო ტერიტორია. ამ მიზნით 1924 წლის დეკემბრის ბოლოს შირაქის ველზე გააგზავნეს ამიერკავკასიის ცაკის რწმუნებული კოჩეტკოვი და ამიერკავკასიის ცაკის მიწისმზომველები ჩხენკელი და კოჩმერუევსკი, რომლებმაც ეს სამუშაო დაამთავრეს 1925 წლის მარტის შუა რიცხვებში[284].

ამ გამოკვლევის შედეგმა მოგვცა შემდეგი სურათი:

ჩათმა — შირაქის ველის განაპირა დასავლეთი ნაწილი მოიცავს დაახლოებით 16000 დესეტინას (13982 ვარგისი მიწები, 2008 უვარგისი მიწები) 1918 წლამდე ამ ადგილებით სარგებლობდნენ ყაზახის მაზრის მოქალაქეები. 1918-21 წლებში ეს საძოვრები დაიკავეს ქართველმა მესაქონლეებმა. გამოკვლევის პერიოდისათვის 3869 დესეტინა დაკავებული ჰქონდათ ყაზახის მაზრის მცხოვრებლებს, 11178 დესეტინა ქართველ მესაქონლეებს, 966 დესეტინა ითვლებოდა თავისუფალ მიწებად. 71 აშენებული ცხოველთა სადგომიდან, 54 ეკუთვნოდათ ქართველებს, 11 ყაზახის მაზრის მცხოვრებლებს, 3 სადგომი ერთობლივ სარგებლობაში ჰქონდათ, 4 სადგომი თავიანთ ნაკვეთებთან ერთად არენდით ჰქონდათ მიცემული ქართველი მესაქონლეებისათვის (საარენდო გადასახადი შედიოდა ყაზახის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში). აქედან გამომდინარე მთელი ველის $^4/_5$ დაკავებული ჰქონდათ ქართველ მესაქონლეებს, ამიტომ საქართველოს წარმომადგენლები მოითხოვდნენ ამ რაიონის მთლიანად საქართველოსთვის გადაცემას[285].

იორისპირა ველი — გადაჭიმულია აღგილ „ჩათმას“ აღმოსავლეთი საზღვრიდან დასავლეთით ვიწრო ზოლად მდინარე იორსა და „ტახ-ტაპა“, „ჯიგატ“ ქედს შორის. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ქედ „ჩობან-დაგის“ გაგრძელებას. იორისპირა ველის საერთო ფართი უტოლდება 7851,5 დესეტინას. აქედან ვარგისი მიწებია 6784,5 დესეტინა, არავარგისი 1067,0 დესეტინა. ამ საძოვრებით ყოველთვის სარგებლობდნენ საქართველოს მესაქონლეები; ამიტომ ეს ად-

გილები არ უნდა გამხდარიყო სადავო (ამ საძოვრებიდან გადასახადი შედის სიღნაღის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში)[286].

სადავო ტერიტორია „ელდარ-სამუხი“ მდებარეობს შირაქის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე იორის ორივე ნაპირას და მოიცავს ფართობს 46430 დესეტინას. აქვე მდებარეობს სასაძოვრო ადგილები „დუზ-ელდარი“, „ნანაში“, „კუბიალტი“ და „ხაზნა“.

1. ადგილი „ელდარი“ მოიცავს 19430 დესეტინას. ვარგისი მიწები 18150 დესეტინა, არავარგისი 1280 დესეტინა. ექვემდებარება განჯის აღმასრულებელ კომიტეტს და ქმნის ელდარის თემის ნადელს. მოიცავს 6 მუსულმანურ სოფელს (228 კომლი, 997 სული). მდინარე იორით ეს ნადელი იყოფა ორ — ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებად. სამხრეთ ნაწილში არის 10 საქონლის სადგომი რომელთაგან სამი, შესაბამისი საძოვრის ფართით არენდით ჰქონდათ მიცემული ქართველებს. ჩრდილოეთ ნაწილში არის 14 ცხოველთა სადგომი, რომელთაგან შვიდი ასევე არენდით ჰქონდათ მიცემული ქართველებისათვის.

2. ადგილი „დუზ-ელდარი“ მოიცავს 11299 დესეტინას, ხელსაყრელი მიწები 10237 დესეტინა, არახელსაყრელი მიწები 1062 დესეტინა. განჯის აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს ადგილი არენდით გადასცა ელდარის თემს. ამ მონაკვეთზე იყო 15 ცხოველთა სადგომი, აქედან 3 არენდით ჰქონდათ აღებული ქართველ მესაქონლეებს.

3. ადგილი „ხაზნა“, „კუბიალტი“ და „სამუხი“ მდებარეობს მდინარე იორის ორივე მხარეს და აგრძელებს ზემოთდასახელებულ საძოვრებს. მდინარე იორის მარცხენა ნაპირას მდებარეობს თურქების სოფელი ბურუნ-კოვახი (55 კომლი, 275 სული), ხოლო მარჯვენა ნაპირას თურქებისავე სოფელი უსუფლო (53 კომლი, 292 სული). ამ სოფლების სახნავი მიწები მდებარეობს მარცხენა ნაპირზე. ასევე იორის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს საძოვარი „ხაზნა“, „კუბიალტი“ და „სამუხი“. საერთო ფართი 7077 დესეტინა. ეს საძოვრები არენდით ჰქონდათ აღებული ქართველებს და დასახელებული სოფლების მცხოვრებლებს, რომლებმაც ეს საძოვრები მიჰყიდეს ქართველ მესაქონლეებს.

4. „ნანაში“ – მდებარეობს მდინარე იორის მარჯვენა ნაპირას და მოიცავს 5320 დესეტინას. აქედან 4832 დესეტინა ვარგისი მიწები, 487 დესეტინა არავარგისი მიწები ეკუთვნის სოფელ უსუფლოს (არა არენდულ სარგებლობაში) არის ორი ცხოველთა სადგომი, რომელთაგან ერთი ეკუთვნის თვითონ უსუფლოს მცხოვრებლებს, მეორე არენდით აქვთ მიცემული ქართველებს[287].

ადგილი „ბუგა-მეიდანი“ და „ვაშლოვანი“ მდებარეობს ორ ქედს შორის „დუზ-დაგან-ბაში“-სა და „კალა-დარა“-ს (უმრუ-ტაპა) შორის. საერთო ფართი 9264 დესეტინა, ვარგისი მიწები 7667 დესეტინა, არავარგისი მიწები 1596 დესეტინა. ამ ფართში შედის ტყის მნიშვნელოვანი მონაკვეთი. მთელი ეს ფართი მდებარეობს სიღნაღის აღმასრულებელი კომიტეტის მფლობელობაში და არენდით აქვთ გაცემული მხოლოდ და მხოლოდ ქართველ მესაქონლეებზე. 30 წლის წინათ ეს მიწები სარგებლობისათვის გადაეცა დაღესტნის ოლქს, სამურის მხარეს, მაგრამ ამ საძოვრებით ისინი არასდროს არ სარგებლობდნენ. ეს ადგილები ყოველთვის ეკავათ ქართველ მესაქონლეებს[288].

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სადავო რაიონებს უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოსთვის და წარმოადგენდნენ მთელი შირაქის ველის განუყოფელ ნაწილს (საქართველოს უცილობელი საძოვარი სიღნაღის მაზრის ფარგლებში მდებარეობს სადავო ტერიტორიის ჩრდილოეთით და საერთო ფართია 152273 დესეტინა). როგორც საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: „ამ რაიონების გარეშე შირაქის დანარჩენი მასივები, ფართით დაახლოებით 150000 დესეტინა უფასურდება მთლიანად, რადგან სადავო რაიონები წარმოადგენდნენ არტერიებს, რომლებიც კვებავენ შირაქის უწყლო ველს წყლით და უზრუნველყოფენ ზამთრის პერიოდში ამ ველის მთელ მესაქონლეობას ბალახით. ეს მოტივები დაედო საფუძვლად, როცა 30 წლის წინათ მთელი სადავო ტერიტორია მოექცა სიღნაღის მაზრის ადმინისტრაციულ და სამეურნეო მმართველობაში. თუ სადავო ტერიტორიას გამოვაკლებთ სიღნაღის მაზრას და გადავცემთ აზერბაიჯანის რესპუბლი-

კას, ამით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართველ მესაქონლეებს დავუტოვებთ უფლებას თავისუფლად ისარგებლონ ამ საძოვრებით, შევქნით უამრავ გაუგებრობას, შევიტანთ არეულობას და უდიდეს ეკონომიურ სარალს მივაყენებთ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას. სადავო რაიონების მიერთება მით უფრო გაუგებარი და უსამართლო იქნება, თუ გავითვალისწინებთ, იმ ვითარებას, რომ აზერბაიჯანს ზამთრის საძოვრების დიდი სიჭარბე აქვს, მაშინ როცა საქართველოში 1800000 ცხვარზე 230000 დესეტინა ზამთრის საძოვარი მოდის, ხოლო აზერბაიჯანში ამდენივე სულ ცხვარზე 1525000 დესეტინა, ასე რომ 6½-ით მეტი.

სადავო ზამთრის საძოვრებთან საქართველო საუკუნეებით არის დაკავშირებული და მათ გარეშე საქართველოს არსებობა წარმოუდგენელია. თუ რამდენად არიან დაინტერესებულები საქართველოს მესაქონლეები სადავო რაიონების საძოვრებით იქიდანაც ჩანს, რომ ისინი თავიანთი მეურნეობის შესანარჩუნებლად, არ იშურებენ ფულს და საშუალებას საძოვრების და ცხოველთა სადგომების შესაძენად მუსულმანებისაგან ძალიან ძვირ ფასებში.

ყველა ზემოჩამოთვლილ გარემოებათა გათვალისწინებით საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისართა საბჭო აუცილებლად მიიჩნევს მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, რომელთათვისაც ცხოვრებისეული ინტერესი აქვთ ამ საკითხს, მთელი სადავო ტერიტორიის მოქცევას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში"[289].

ეს საკითხი განიხილა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო მიწის-წყლით სარგებლობის საკითხების გადამწყვეტმა კომისიამ 1926 წლის 12 ნოემბერს. ოქმში ეკითხულობთ ა). „ჩათმის" ველი ფართით 16667 დესეტინა გაიყოს ორ ნაწილად ხაზზე, გამავალი სამხრეთიდან, ქედ „ჩობანდაგის" მწვერვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ მდინარე იორის მიმართულებით ისე, რომ აღმოსავლეთი ნაწილი ამ ადგილის შეეიდეს საქართველოს სსრ ფარგლებში და ზომით უტოლდებოდეს ჩათმის საძოვრების იმ რაოდენობას, რომელიც 1925 წლის გამოკვლევის

მონაცემებით იყო ქართველ მესაქონლეთა სარგებლობაში, ხოლო დასავლეთი ნაწილი შევიდეს აზერბაიჯანის ტერიტორიის შემადგენლობაში. ამნაირად გაყოფის შემთხვევაში, აზერბაიჯანის მესაქონლეებს ეძლევათ საქონლის გარეკვის უფლება სასმელ წყალთან მდინარე იორზე არსებული გზებით სანადელო და სიღნაღის მაზრის სხვა მიწებზე გაელით.

ამ პირობით საქართველოს რესპუბლიკას გადაეცემა 11799,4 დესეტინა ხოლო აზერბაიჯანს 4867,8 დესეტინა. რესპუბლიკებს შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრის მიმართულება „ჩათმის“ ფარგლებში განისაზღვრა შემდეგი სახით: ჩობან-დაგის ქედის მწვერვალიდან სამხრეთ კიდეზე, სადაც მდებარეობს გამმიჯნავი ნიშნული $\frac{63^0 21'45''}{41^0 18'2''}$ საზღვარი მიდის ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულებით და გადაკვეთს ორ საქონლის გამრეკ გზას მიდის ნიშნულამდე $\frac{63^0 24'15''5}{41^0 20'52''5}$, შემდეგ საზღვარი მიდის აღმოსავლეთის მიმართულებით ნიშნულამდე $\frac{63^0 24'44''}{41^0 20'46''}$ და შემდეგ იმავე მიმართულებით ნიშნულამდე $\frac{63^0 25'14''25}{41^0 20'35''5}$ საიდანაც უხვევს ჩრდილოეთით, მიდის ნიშნულამდე, $\frac{63^0 25'30''25}{41^0 21'5''0}$, რომელიც დგას ჩათმის აგარაკის ჩრდილოეთ საზღვარზე.

ბ). მთელი იორისპირა ველი, ფართით 7851 დესეტინა გადაეცეს საქართველოს ისე, რომ მოსაზღვრე ჯეირან-ჩოლის აზერბაიჯანელ მესაქონლეებს შეუნარჩუნდეთ საქონლის გარეკვის უფლება დასახელებულ ტერიტორიის გაყოლით სასმელ წყალთან მდინარე იორზე, არსებული გზებით.

გ). „ელდარის“ მთელი ტერიტორია, ფართით 19430 დესეტინა ჩაითვალოს აზერბაიჯანის კუთვნილებად. მიეთითოს აზერბაიჯანის ცაკს, რომ ელდარის იმ ნაწილში, რო-

მელიც არ შევიდა ელდარის საზოგადოების მიწების შრომითი სარგებლობის საზღვრებში და არის სახელმწიფო მიწის ქონების მდგომარეობაში, ქართველ მესაქონლეებს შესაძლებლობა მისცენ ისარგებლონ ამ საძოვრებით საერთო საწყისებზე. ასეყე ქართველ მესაქონლეებს, რომლებსაც საქონელი ჰყავდათ შრომითი სარგებლობის მიწებზე, უფლება მიეცათ განთავსდნენ სახელმწიფო ქონების ყიშლაღებში იმავე რაიონში, გადაიტანონ მათი კუთვნილი ნაგებობანი.

დ). მთელი ტერიტორია, წარმოქმნილი ადგილებიდან „დუზ-ელდარი“, „ნანაში“, „კუბიალტი“, „ხაზნა“ და „სამუხი“ საერთო ფართი 27000 დესეტინა ჩაითვალოს აზერბაიჯანის მფლობელობაში.

მიეთითოს აზერბაიჯანის ცაკს, ქართველ მესაქონლეებს, რომლებიც 1925 წ. სარგებლობდნენ სახელმწიფო მიწების ქონების ყიშლაღებით აღნიშნულ ტერიტორიაზე, მიაქირავოს უშუალოდ ასეთი ნაკვეთები არენდით საერთო საწყისებზე.

ე). ადგილი „ვაშლოვანი“ და „ბუგა-მეიდანი“ საერთო ფართი 7667 დესეტინა ჩაითვალოს საქართველოს სსრ კუთვნილებად.

ვ). ზემოაღნიშნული გადაწყეტილებების (ა, ბ, გ, დ, ე) გათვალისწინებით საზღვარი აზერბაიჯანის სს და საქართველოს სს რესპუბლიკებს შორის შირაქის ველის მთელ მანძილზე დადგინდა შემდეგი მიმართულებით: ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარი აზერბაიჯანის სს და საქართველოს სს რესპუბლიკებს შორის მოსაზღერე ჩათმის და შირაქის ველის ფარგლებში იწყება „ჩათმის“ დასავლეთ კიდიდან, სადაც დგას ნიშნული $\frac{63^0 16'2''00}{41^0 22'12''75}$ და გაივლის ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულებით შემდეგ ნიშნულებზე $\frac{63^0 16'39''}{41^0 22'30''5}$, $\frac{63^0 16'43''0}{41^0 22'32''0}$, $\frac{63^0 16'54''0}{41^0 22'43''0}$ და $\frac{63^0 17'10''5}{41^0 22'51''0}$ შემდეგ აღმოსავლური მიმართულებით ნიშნუ-

ლებზე $\frac{63^0 17'10''5}{41^0 22'51''5}$, $\frac{63^0 18'22''0}{41^0 22'52''5}$ და $\frac{63^0 18'43''0}{41^0 22'52''5}$, შემდეგ საზღვარი მიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნიშნულებზე $\frac{63^0 18'53''0}{41^0 22'33''5}$, $\frac{63^0 19'20''0}{41^0 22'26''0}$, $\frac{63^0 19'56''0}{41^0 21'50''0}$, $\frac{63^0 20'7''5}{41^0 21'38''5}$ და $\frac{63^0 20'20''5}{41^0 21'25''5}$ და შემდეგ უხვევს აღმოსავლეთით, გაივლის ნიშნულებს $\frac{63^0 20'35''5}{41^0 21'23''5}$, $\frac{63^0 20'54''5}{41^0 21'24''5}$ და $\frac{63^0 21'8''5}{41^0 21'17''5}$, უხვევს შემდეგ ჩრდილოეთით, მიემართება ნიშნულთან $\frac{63^0 21'16''0}{41^0 21'33''0}$ საიდანაც უხვევს აღმოსავლეთით, გაივლის ნიშნულს $\frac{63^0 21'1''5}{41^0 21'23''5}$ და ალაჯიგის ტრიგონომეტრიულ პუნქტს $\frac{63^0 22'9''}{41^0 21'29''15}$, შემდეგ უხვევს რა ჩრდილოეთით გაივლის ნიშნულს $\frac{63^0 22'8''5}{41^0 21'52''0}$, უხვევს აღმოსავლური მიმართულებით გაივლის ნიშნულებს $\frac{63^0 22'27''0}{41^0 21'53''0}$ და $\frac{63^0 24'35'25}{41^0 21'27''25}$ ნიშნულამდე $\frac{63^0 25'30''25}{41^0 21'8''0}$ შემდეგ უხვევს სამხრეთით საზღვარი მიდის ნიშნულზე $\frac{63^0 25'14''25}{41^0 20'35''5}$ უხვევს დასავლეთით, გაივლის ნიშნულებს $\frac{63^0 24'44''0}{41^0 20'46''0}$ და $\frac{63^0 24'15''5}{41^0 20'52''5}$ შემდეგ უხვევს სამხრეთ-დასავლეთით მიემართება ნიშნულზე $\frac{63^0 21'45''}{41^0 18'2''}$ უკანასკნელი ნიშნულიდან საზღვარი მიდის სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულებით ჩობან-დაგის ქე-

დის თხემზე შემდეგ ნიშნულებზე $\frac{63^0 21'11''75}{41^0 17'45''5}$, $\frac{63^0 22'36''}{41^0 17'24''}$, $\frac{63^0 23'7''}{41^0 16'58''}$, $\frac{63^0 23'24''75}{41^0 16'37''25}$, და $\frac{63^0 23'58''1}{41^0 16'13''75}$ „ჩობან-დაგის“ ტრიგონომეტრიული პუნქტის $\frac{63^0 24'15''80}{41^0 15'50''35}$ გავლით და შემდეგ ნიშნულებზე $\frac{63^0 24'19''}{41^0 15'43''25}$, $\frac{63^0 25'29''75}{41^0 15'9''20}$, $\frac{63^0 25'41''50}{41^0 15'1''75}$, $\frac{63^0 26'5''15}{41^0 14'38'75}$, $\frac{63^0 26'50''75}{41^0 14'16''50}$, $\frac{63^0 27'31''75}{41^0 14'1''50}$, $\frac{63^0 28'26''5}{41^0 13'24''40}$, $\frac{63^0 28'25''0}{41^0 13'25''45}$, $\frac{63^0 29'15''40}{41^0 13'22''5}$, $\frac{63^0 29'21''75}{41^0 13'14''30}$, $\frac{63^0 20'21''}{41^0 13'9''}$, $\frac{63^0 20'36''50}{41^0 13'5''}$, $\frac{63^0 31'4''25}{41^0 13'3''75}$, $\frac{63^0 31'22''25}{41^0 12'53''0}$, $\frac{63^0 32'17''25}{41^0 12'57''35}$, და $\frac{63^0 32'17''25}{41^0 12'57''75}$ შემდეგ საზღვარი მიდის ტრიგონომეტრიული პუნქტის „ტახტა-ტაპა“ $\frac{63^0 33'30''3}{41^0 12'22''8}$ გავლით და აქედან აღმოსავლეთით ნიშნულამდე $\frac{63^0 40'28''}{41^0 11^0 3''75}$ შემდეგ ასევე აღმოსავლური მიმართულებით ელდარის საზოგადოების სანადელო მიწების საზღვრამდე, სადაც დგას ნიშნული $\frac{63^0 45'57''}{41^0 10'14''8}$ და შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით ნიშნულებზე $\frac{63^0 46'7''}{41^0 10'38''5}$, $\frac{63^0 46'55''75}{41^0 11'40''}$ და $\frac{63^0 46'52''75}{41^0 46'57''5}$, რომელთაგან უკანასკნელი მდებარეობს მდინარე იორის მარჯვენა ნაპირას, შემდეგ ქვემოთ მდინარე იორის დინების მიმართულებით ნიშნულამდე $\frac{63^0 54'51''}{41^0 10'56''75}$ საიდანაც სასაზ-

ღერო ხაზი მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით შემდეგ ნიშნულებზე $\frac{63^0 55'25''}{41^0 11'13''75}$, $\frac{63^0 55''58''}{41^0 11'27''5}$, $\frac{63^0 56'37''}{41^0 11'36''}$, $\frac{63^0 56'54''75}{41^0 11^0 51''00}$, $\frac{63^0 57'16''5}{41^0 11'53''29}$, $\frac{63^0 57'16''5}{41^0 11'53''25}$, $\frac{63^0 57'43''}{41^0 11'45''25}$, $\frac{63^0 57'50''5}{41^0 11'45''75}$, $\frac{63^0 58'8''5}{41^0 11'51''00}$, $\frac{63^0 58'26''75}{41^0 11'55''0}$, $\frac{63^0 58'50''0}{41^0 12'2''0}$, $\frac{63^0 59'16''5}{41^0 12'12''0}$, $\frac{63^0 59'43''3}{41^0 12'20''7}$, $\frac{64^0 0'6''8}{41^0 12'23''5}$ და $\frac{64^0 1'24''5}{41^0 12'54''0}$ უკანასკნელი ადგილიდან სასაზღვრო ხაზი მიემართება ჩრდილო-დასავლეთით ნიშნულამდე $\frac{64^0 0'55''5}{41^0 13'43''5}$ აქედან აღმოსავლეთით ნიშნულამდე $\frac{64^0 2'39''5}{41^0 14'25''3}$ ამ უკანასკნელიდან სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულებით გაივლის ნიშნულებს $\frac{64^0 3'10'5}{41^0 14'9''6}$, $\frac{64^0 3'59''9}{41^0 13'39''9}$ და $\frac{64^0 4'11''9}{41^0 13'34''0}$ ნიშნულამდე $\frac{64^0 4'33''5}{41^0 13'19''80}$, შემდეგ საზღვარი გადის სამხრეთული მიმართულებით ნიშნულებზე $\frac{64^0 4'28''10}{41^0 12'40''2}$ და $\frac{64^0 4'8''7}{41^0 12'18''5}$ ამ უკანასკნელიდან მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით ნიშნულზე $\frac{64^0 6'2''5}{41^0 10'56}$ ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე $\frac{64^0 6'11''8}{41^0 10'40''5}$ ამ უკანასკნელი ადგილიდან საზღვარი მიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნიშნულებზე $\frac{64^0 6'22''7}{41^0 10'34''3}$, $\frac{64^0 6'52''8}{41^0 10'16''4}$, $\frac{64^0 7'3''3}{41^0 10'2''2}$, $\frac{64^0 7'11''0}{41^0 9'54''5}$ და $\frac{64^0 7'50''8}{41^0 9'23''8}$ და შემდეგ უხვევს სამხრეთით ნიშნულთან

$\frac{64^0 7'58''5}{41^0 8'28}$ ნიშნულამდე $\frac{64^0 7'43''0}{41^0 7'53''0}$ შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულებით ნიშნულამდე $\frac{64^0 8'26''5}{41^0 8'8''5}$ აქედან საზღვარი უხვევს სამხრეთით და მიემართება ნიშნულზე $\frac{64^0 8'39''0}{41^0 7'26''}$ აქედან უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით, მიდის ნიშნულთან $\frac{64^0 8'50''9}{41^0 7'30''5}$, უკანასკნელი ადგილიდან საზღვარი გადის სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულებით ნიშნულებზე $\frac{64^0 9'13''5}{41^0 7'2''0}$, $\frac{64^0 9'52''5}{41^0 0''53''5}$, $\frac{64^0 11'26''0}{41^0 6'24''25}$ ნიშნულამდე $\frac{64^0 11'46''5}{41^0 6'25''8}$ და შემდეგ ტრიგონომეტრიულ პუნქტ დუ-დაგან-ბაშის $\frac{64^0 12'16''28}{41^0 6'17''68}$ გავლით, უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით, გაივლის ტრიგონომეტრიულ პუნქტზე $\frac{64^0 12'51''5}{41^0 6'52''1}$ და აქედან აღმოსავლური მიმართულებით ნიშნულებზე $\frac{64^0 13'3''}{41^0 6'48''0}$, $\frac{64^0 14'45''13}{41^0 6'29''5}$, $\frac{64^0 15'48''5}{41^0 6'18''5}$ ნიშნულამდე $\frac{64^0 17'15''25}{41^0 5'3''5}$, რომელიც დგას მდინარე ლეკის წყლის მარცხენა ნაპირას, შირაქის ველის აგარაკის აღმოსავლეთ საზღვარზე[290].

ეს გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს, მათ შორის საქართველოს წარმომადგენლებმაც, მაგრამ ორი დღის შემდეგ მათ უარი თქვეს ოქმის ხელმოწერაზე. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ძამაშვილმა ოქმზე წააწერა შენიშვნა: „იმის გამო, რომ მიწის კომისიის მიერ სადავო საკითხი ელდარის და

დუზ-ელდარის შესახებ არ იყო ყოველმხრივ გაშუქებული, დაეთმო მას მცირე დრო, ამ საკითხის გარშემო, 1925 წელს ამ რაიონში ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ წარმოდგენილი მასალა არ იყო საკმარისი, აგრეთვე ვიღებ რა მხედველობაში საქართველოს ცაკისადმი სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილ მასალას, რომელიც ნათელ და სრულ წარმოდგენას გვაძლევს სადავო რაიონზე, მე ერჩები განსაკუთრებულ თვალსაზრისზე ამ საკითხის „გ“ და „დ“ პუნქტის გაგებაში“[291].

ძამანაშვილმა თავისი „განსაკუთრებული მოსაზრება“ მოგვიანებით წარუდგინა ამიერკავკასიის ცაკთან არსებულ მიწის კომისიას. თავის მოხსენებაში იგი აღნიშნავდა, რომ ელდარის სადავო საკითხის გადასაწყვეტად გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ოთხი გარემოება. 1. ვის ფაქტიურ სარგებლობაში მდებარეობდა და მდებარეობს საძოვრები. 2. ვინ იყო და არის განმკარგულებელი. 3. რომელი რესპუბლიკის საზღვრებში შედიოდა და შედის. 4. რომელი რესპუბლიკა უფრო საჭიროებს საძოვრებს ხალხის ინტერესების გათვალისწინებით.

„ფაქტები იძლევა შემდეგ პასუხს ამ კითხვებზე: I ფაქტიურ სარგებლობის მიხედვით სადავო ტერიტორია იყოფა 3 ზოლად. 1) ვიწრო, ადგილ-ადგილ გაწყვეტილი ზოლი მდინარე იორის გასწვრივ... წარმოადგენს სახნავ მიწებს ფართით 4000 დესეტინა. ეს ზოლი მდებარეობს 8 თათრული სოფლის სარგებლობაში (400 კომლი) რომელთა უმრავლესობა გადმოსახლებული იყო 30-40 წლის წინათ ყაზახის მაზრიდან. 2) მიწები, რომლებიც მდებარეობენ ამ ზოლიდან მარჯვნივ მდინარე იორის მარჯვენა მხარეს არის თათარი მეცხვარეების და უმნიშვნელო რაოდენობის ქართველი მეცხვარეების მფლობელობაში. 3) მიწები ამ ზოლის მარცხენა მხარეს ყოველთვის იმყოფებოდა მხოლოდ და მხოლოდ ქართველი მეცხვარეების სარგებლობაში. 1925 წლის გამოკვლევების მიხედვით 26 ცხოველთა სადგომიდან, რომლებიც მდებარეობენ იორის მარცხენა ნაპირის ზამთრის საძოვრებზე, 16 ეკუთვნოდათ ქართველებს... ამასთან ამ მარცხენა ნაპირის მიწებზე ამ წლამდე

(ე. ი. 1926 წელი) საქართველოს წყალთა მეურნეობის მიერ ტარდებოდა სამელიორაციო სამუშაოები...

II რაც შეეხება განკარგულებას: როგორც მარცხენა ნაპირის, ასევე მარჯვენა ნაპირის საძოვრები იძლევა შემდეგ სურათს. მეფის დროს ისინი იყოფოდა ორ კატეგორიად: 1) ნახსენები თათრის სოფლების სანადელო მიწები 2) სახელმწიფო მიწები ე. ი. შირაქის ველი. ამიტომ ამ რაიონის მეცხვარეები არენდით იღებდნენ საძოვრების ნაწილს სანადელო მიწების ფარგლებში დასახელებული სოფლების გლეხებისაგან, ხოლო დანარჩენ ნაწილს სიღნაღის მაზრის სახელმწიფო საძოვრების გამგისაგან, რომლის სამმართველო მდებარეობდა სიღნაღის მაზრაში... 1908 წ. ზემოთ ნახსენები თათართა სოფლები, პოლიციის მოთხოვნით, რომ ამ სოფლებში მძვინვარებს ბანდიტიზმი და მასთან ბრძოლა განჯიდან უფრო ადვილი იყო, ვიდრე სიღნაღიდან, გადაეცა განჯის პოლიციის უბანს, მაგრამ სახელმწიფო საძოვრები ძველებურად რჩებოდა სიღნაღის მაზრის შემადგენლობაში. საარენდო გადასახადი შედიოდა თბილისის გუბერნიის ხაზინაში. ასე გრძელდებოდა რევოლუციამდე, რევოლუციის შემდეგ... ქართველი მეცხვარეები შეეჯახნენ აღნიშნული სოფლის კარგად შეიარაღებულ მეცხვარეებს, რომლებიც მათ არ აძლევდნენ საძოვრებით სარგებლობის უფლებას, თუ არ გადაიხდიდნენ არენდას. ქართველ მეცხვარეებს ძალის ზეწოლის გამო უხდებოდათ არენდის გადახდა. გასაბჭოების შემდეგ მექანიკურად, ამ სოფლების მაგიერად არენდას უხდიდნენ განჯის ხელისუფლებას... მეცხვარეები ამ გადასახადს უყურებდნენ როგორც დროებითს, საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე. ზოგიერთ მეცხვარეს საარენდო გადასახადი შეჰქონდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში. ამ პერიოდში მარცხენა ნაპირას საქართველოს წყალთა მეურნეობა ამ დრომდე ატარებდა სამელიორაციო სამუშაოებს. ასე რომ რევოლუციის შემდეგ საძოვრების რაიონი წარმოადგენდა ერთდროული განკარგულების ჭრელ სურათს, როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ.

III კომისიას აზერბაიჯანის წარმომადგენელმა გა-ნუცხადა რომ ფაქტიური მფლობელობა მნიშვნელოვანი არ არისო, ამის მიხედვით ქართველი მეცხვარეები მუღანშიც სარგებლობენ საძოვრებითო. მნიშვნელოვანია თუ რომელი რესპუბლიკის საზღვრებში შედის სადავო ტერიტორიაო. ამ თვალსაზრისით საქმე შემდეგნაირად არის: როგორც ცნობილია 1908 წლამდე ეს საძოვრები და მთელი ელდარი შედიოდა საქართველოს ფარგლებში (სიღნაღის მაზრა). 1908 წლიდან თათრული სოფლები პოლიციის მოსაზრების გამო მიეწერა განჯის პოლიციის უბანს. მაგრამ სახელმწი-ფო საძოვრები დარჩა თბილისის გუბერნიის ხელისუფლე-ბის დაქვემდებარებაში. 1920 წელს საბჭოთა აზერბაიჯანის და მენშევიკური საქართველოს შეთანხმებით, მთელი რაი-ონი ძველებურად დარჩა საქართველოს ფარგლებში. აღე-ბული იქნა ძველი საზღვარი, ნაჩუენები ყველა რუკაზე, ქედზე ჩობანდახ-პალანტუკანი. გასაბჭოების შემდეგ სა-ქართველოსა და აზერბაიჯანის საბჭოთა ხელისუფლების შეთანხმებით დატოვებულ იქნა ძველი სახელმწიფო საზ-ღვარი ე. ი. გასაბჭოებამდე არსებული, მაგრამ, ისე რომ საძოვრების ფაქტიური სარგებლობის საზღვარი გატარე-ბულიყო ადგილზე. აქედან ცხადია რომ ელდარის შედარე-ბა მუღანთან და მტკიცება, რომ ელდარი იურიდიულად შედის აზერბაიჯანის საზღვრებში არ შეიძლება. სრული-ად საწინააღმდეგოდ მთელი ეს საძოვრები იურიდიულად შედის საქართველოს ფარგლებში.

IV. საბჭოთა ხელისუფლებებს შორის გადამწყვეტი მომენტი უნდა იყოს „1. ფაქტიური სარგებლობა 2. მშრომე-ლი მოსახლეობის მოთხოვნა აღნიშნული ტერიტორიით და მისი კეთილმოწყობა. ამ მიმართულებით ცხადია, რომ სა-ქართველოს აღნიშნული საძოვრები უფრო სჭირდება, რადგან საქართველოს უფრო განიცდის საძოვრების ნაკ-ლებობას. აზერბაიჯანს იმდენად მოჭარბებული აქვს ზამ-თრის საძოვრები და მიწის ფონდი, რომ იღებენ მეცხვარე-ებს და გადმოსახლებულებს სხვა რაიონებიდან. მოსახლე-ობის კეთილმოწყობის თვალსაზრისით ცხადია, რომ ქარ-თველი მეცხვარეებისათვის უფრო მოსახერხებელი იქნება აღნიშნული საძოვრებით სარგებლობა, იმ შემთხვევაში თუ

ეს საძოვრები იქნება სიღნაღის მაზრის ფარგლებში, რადგან როგორც ცნობილია მეცხვარეები არიან სიღნაღის და თელავის მაზრის მცხოვრებლები.

რადგან მარჯვენა ნაპირის საძოვრებით ძირითადად სარგებლობენ აზერბაიჯანელები მათი კეთილმოწყობის ინტერესების გამო, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად ეს საძოვრები შედის საქართველოს ფარგლებში, ჩვენ თანახმანი ვართ გადავცეთ ეს საძოვრები აზერბაიჯანელებს, რაც შეეხება მარცხენა ნაპირის საძოვრებს იორამდე, შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით 1. ფაქტიური სარგებლობა, 2. განმკარგულებელი რევოლუციამდე (რევოლუციის შემდეგ, როგორც ვხედავთ ჭრელი სურათია), 3. იურიდიული ფაქტორი, 4. მშრომელი მასების მოთხოვნილებანი — დაჟინებით მოვითხოვთ სიღნაღის მაზრისათვის დატოვებას"[292].

ეს საკითხები განიხილა ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა 1926 წლის 5 დეკემბერს, რომელმაც დაამტკიცა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული მიწის კომისიის 1926 წლის 12 ნოემბრის დადგენილება ჩათმის, იორისპირა რაიონის, ვაშლოვანის და ბუგა-მეიდანის შესახებ. რაც შეეხება ელდარის, დუზ-ელდარს, ნანაშს, კუბიალტას, ხაზნას და სამუხს პრეზიდიუმმა დაავალა მიწის კომისიას 2 თვის ვადაში გამოერკვია ქართველი მეცხვარეებისათვის სიღნაღის მაზრის საზღვრის და ნაკვეთების „კალა-დარას", „ვაშლოვანის" და „ბუგა-მეიდანის" მიმდებარე ტერიტორიაზე ერთიანი სასაძოვრო ნაკვეთით დაკმაყოფილების შესაძლებლობის საკითხი (ელდარის, დუზ-ელდარის, კუბიალტის, ხაზნას, ნანაშის, სამუხის რაიონში ფაქტიურად ქართველი მეცხვარეების მიერ არენდით აღებული ყიშლაღების ფართის ფარგლებში)[293].

განუწყვეტლივ იმართებოდა შერეული კომისიის სხდომები, რომელთაც გარკვეული გადაწვეტილებები გამოჰქონდათ. მაგრამ მთელი ეს თათბირები და მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ქაღალდზე რჩებოდა. არამცთუ ცხოვრებაში არ ტარდებოდა, არამედ პირიქით ქმნიდა უფრო დაძაბულ სიტუაციას სასაზღვრო მაზრების

მცხოვრებლებს შორის, რომელიც ხშირად სისხლის ღვრამდე მიდიოდა.

ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა გამოყო სპეციალური კომისია ყველა სადავო საკითხის გადასაწყვეტად. მათ ადგილზე უნდა შეესწავლათ საკითხი და შეგროვილი მასალა განსახილველად წარედგინათ ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმისათვის.

1929 წლის 2 თებერვალს გაიმართა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო მიწის და ტყის საკითხების გადამწყვეტი კომისიის სხდომა. რომელმაც მიიღო გადაწვეტილება ელდარ-სამუხის ზამთრის საძოვრებიდან სიღნაღის მაზრის ფარგლებში 15000 დესეტინა საერთო ფართის გამოყოფის შესახებ[294].

ეს გადაწვეტილება დაამტკიცა ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა 1929 წლის 18 თებერვალს. თავმჯდომარეობდა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია. სხდომამ მიიღო დადგენილება „1. საქართველოს მეცხოველეობის ინტერესების დასაკმაყოფილებლად ელდარ-სამუხის ზამთრის საძოვრებს გამოეყოს და კახეთის მაზრის მიწებს შეუერთდეს 15000 დესეტინა მიწა (დასახელებული მაზრის მიწების მიმდებარედ) სახელდობრ ნიშან $\frac{63^0 56'37''0}{41^0 11'36''75}$ დასაწყისიდან სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულებით ორი პირდაპირი ხაზით ნიშან $\frac{63^0 56'53''5}{41^0 11'13''0}$ გავლით $\frac{63^0 57'12''5}{41^0 10'40''5}$ ნიშნამდე, შემდეგ აღმოსავლური მიმართულებით პირდაპირი ხაზის ნიშნულამდე $\frac{63^0 57'37''5}{41^0 10'28''5}$ აქედან სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულებით ერთი პირდაპირი ხაზით შემდეგი შუალედური ნიშნების გავლით. $\frac{63^0 58'17''55}{41^0 9'59''9}$, $\frac{63^0 58'40''0}{41^0 9'42''5}$, $\frac{63^0 59'2''5}{41^0 9'23''5}$,

$\frac{63^0 59'25''5}{41^0 9'9''6}$, $\frac{63^0 59'31''0}{41^0 9'6''5}$, $\frac{63^0 59'42''0}{41^0 8'57''5}$, $\frac{63^0 59'58''5}{41^0 8'45''5}$, $\frac{64^0 00'14''0}{41^0 8'34''0}$, $\frac{64^0 00'30''5}{41^0 8'22'5}$, $\frac{64^0 00'45''5}{41^0 8'11''5}$, $\frac{64^0 1'3''5}{41^0 7'59''0}$, $\frac{64^0 1'20''0}{41^0 7'46''0}$, $\frac{64^0 1'37''0}{41^0 7'34''0}$, $\frac{64^0 1'53''0}{41^0 7'22''0}$ ნიშნამდე $\frac{64^0 2'9''5}{41^0 7'10''0}$ შემდეგ სამხრეთული მიმართულებით ერთი პირდაპირი ხაზი შემდეგი შუალედური ნიშნების გავლით $\frac{64^0 2'6''5}{41^0 6'57''5}$, $\frac{64^0 2'7''5}{41^0 6'43''5}$ ნიშნამდე $\frac{64^0 2'10''0}{41^0 6'22''5}$, რომელიც დგას ბურუნ-კოვახის სარწყავი არხის მარცხენა ნაპირას, აქედან აღმოსავლური მიმართულებით დასახელებულ არხზე შემდეგი ნიშნების გავლით $\frac{64^0 2'52''5}{41^0 6'13''5}$, $\frac{64^0 4'39''5}{41^0 6'24''5}$, $\frac{64^0 5'35''0}{41^0 6'32''5}$, ნიშნამდე $\frac{64^0 7'23''0}{41^0 5'56''0}$, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულებით იმავე არხზე შემდეგი ნიშნის გავლით $\frac{64^0 8'2''5}{41^0 4'18''0}$ ნიშნამდე $\frac{64^0 9'24''0}{41^0 8'17''5}$ რომელიც დგას კომრა-ჩაის ხრამის მარჯვენა ნაპირზე მასში ბურუნ-კოვახის სარწყავი არხის ჩადინების ადგილზე, შემდეგ აღმოსავლური მიმართულებით პირდაპირი ხაზით ნიშნამდე $\frac{64^0 9'45''0}{41^0 3'19''0}$ აქედან ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულებით ერთი პირდაპირი ხაზით სამი ვერსის მანძილზე დუზდაგან-ბაშის ტრიგონომეტრიულ პუნქტზე $\frac{64^0 12'16''28}{41^0 6'17''68}$ (ამ სწორ ხაზზე უნდა იდგეს შუალედური ნიშნები ყოველი 150 საჟენის შემდეგ), შემდეგ საზღვარი გაიელის ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულებით პირდაპირი ხაზით ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე

$\frac{64^0 12'51''4}{41^0 6'52''1}$ შემდეგ აღმოსავლური მიმართულებით ფლატე-

ზე შემდეგი ნიშნის $\frac{64^0 13'3''0}{41^0 6'48''0}$ გავლით ნიშნამდე

$\frac{64^0 13'45''3}{41^0 6'49''5}$, რომელიც დგას მდინარე ლეკის წყლის ნაპი-

რას, აქედან სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულებით მდი-

ნარე ლეკის წყალზე ნიშნამდე $\frac{64^0 17'58''0}{41^0 5'45''5}$ და ბოლოს

ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულებით ჯერ მდინარეზე,

ხოლო შემდეგ პირდაპირი ხაზით ნიშნებზე $\frac{64^0 17'11''0}{41^0 6'6''75}$,

$\frac{64^0 17'31''0}{41^0 6'15''0}$, $\frac{64^0 17'51''0}{41^0 6'25''0}$, $\frac{64^0 18'6''5}{41^0 6'29''0}$ ნიშნამდე $\frac{64^0 18'9''0}{41^0 6'30''5}$,

რომელიც დგას მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე.

ნიშნულებიდან $\frac{63^0 59'25''5}{41^0 9'9''5}$, $\frac{63^0 59'31''0}{41^0 9'6''5}$ გაივლის მდინარე

იორამდე საქონელ გამრეკი გზა საქართველოს სსრ კახე-

თის მაზრის მესაქონლეების წყლით სარგებლობისათვის

70 საჟენზე.

საქართველოს სსრ კახეთის მაზრის მესაქონლეებს

მიეცათ ბურუნ-კოვახის სარწყავი არხით სარგებლობის

უფლება. ყველა ზემოთ აღწერილ ადგილზე დაიდგას

კანონით დადგენილი სიდიდის ნიშანი"...[295]

როგორც ვხედავთ, საბოლოოდ 1929 წლის 18 თებერ-

ვლის დადგენილებით საქართველოს დაუბრუნდა მხოლოდ

16388 ჰექტარი ზამთრის საძოვრები, ამ გადაწყვეტილებით

საქართველომ საბოლოოდ დაკარგა 17222 ჰექტარი.

მეოთხე სადავო საკითხი იყო თბილისის და ყაზახის

მახრებს შორის დავით გარეჯის ზამთრის საძოვრები.

აზერბაიჯანის სს და საქართველოს სს რესპუბლი-

კებს შორის 1921 წლის 5 ივლისს დადებული პირველი სა-

საზღვრო ხელშეკრულებით სახელმწიფო საზღვრის (ადმი-

ნისტრაციულ-სამეურნეო) მიმართულება დავით გარეჯის აგარაკში (ფართით 5064 დესეტინა) ასეა აღწერილი: „წითელი ხიდიდან სასღვარი მიდის... კირიშლის მთაზე, მიდის კეშიშ-გზოის მთებამდე, შემდეგ ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთით და გაივლის რა უღელტეხილს შიხლი-ქარავან-ელის, კვეთავს დიდ გზას, უხვევს ჩრდილოეთით, ადის ლებსიზლი-დაგზე...“[296] ამ აღწერილობის მიხედვით დავით-გარეჯის აგარაკის უმნიშვნელო დასავლეთი ნაწილი გადაეცა საქართველოს, ხოლო აღმოსაელეთი ნაწილი (სადაც მდებარეობს მონასტერი) გადაეცა აზერბაიჯანს.

1921 წლის 8 ნოემბერს განსაკუთრებულმა შერეულმა კომისიამ საზღერის მიმართულება დავით-გარეჯის აგარაკში შემდეგნაირად აღწერა: „მდინარე მტკვრიდან, იმ ადგილიდან სადაც მე-17 არხის ბოლო... უახლოვდება ტბა ჯანდარ გელის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს, შემდეგ შემოუვლის მას ნაპირზე, მიდის ჩრდილო-დასავლეთით, გამიჯვნის ნიშნებზე დანადაგის მთებამდე, აქედან მიემართება აღმოსავლეთით ქედზე ალგეთ-ბაში-კეშის მთებამდე, უხვევს აღმოსავლეთით და აღწევს კეშიშ გზიოს მთებამდე, ეშვება ქედზე სამხრეთ-აღმოსავლეთით კოშკამდე, რომელიც დგას დავით გარეჯის მონასტრის ჩრდილოეთით, შემდეგ ქედითვე აღწევს შიხლი-ქარავან-ელიმდე“[297]. ასეთი მიმართულებით დავით გარეჯის მონასტრის აგარაკი იყოფა ორ – დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად. აქედან პირველი ნაწილი ფართით 3020 დესეტინა მიეკუთვნება საქართველოს, ხოლო მეორე ფართი 2040 დესეტინა, დავით გარეჯის მონასტერთან ერთად აზერბაიჯანს.

1924 წლის 20 ნოემბერს გაიმართა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო მიწის-ტყის-წყლით სარგებლობის გადამწყვეტი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ შორის არსებული სადავო ტერიტორიული საკითხები და მიიღო დადგენილება. „ყარაიაზის ველზე, ნატურაში განემტკიცებინათ სასაზღვარი დადგენილი შერეული კომისიის მიერ 1921 წლის 8

ნოემბერს და 1922 წლის 28 იანვარს“[298] (1922 წლის 28 იანვარის შეთანხმება არ ეხებოდა დავით გარეჯის აგარაკს).

ეს დადგენილება დაამტკიცა ამიერკავკასიის ცაკმა 1924 წლის 24 ნოემბერს[299].

აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა საქართველოს უძველესი ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლებით მოფენილი ტერიტორია, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი, სახელდობრ დავით გარეჯა; განსაშორი, ბერთუბანი, დავით გარეჯის მახლობლად მდებარე ერთი კოშკიც (ე. წ. ჩიჩხითური) და ამრიგად აღნიშნულ ძეგლთა კომპლექსის მთლიანობა დაირღვა. ეს ტერიტორია საქართველოს უდავო ისტორიულ კუთვნილებას წარმოადგენდა.

ხსენებული ძეგლების აოხრების თავითან ასაცილებლად, საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის მიერ 1925 წლის 15 იანვარს ამიერკავკასიის ცაკის წინაშე აღძრული იქნა შუამდგომლობა, რათა ხსენებული მიდამოები დაბრუნებოდა საქართველოს დავით გარეჯის მონასტრის ძეგლების შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით. მხოლოდ ამ ნიადაგზე საქართველოს კუთვნილი ისტორიული ტერიტორიის დაბრუნების მოთხოვნა, მაშინდელ პირობებში, როცა რესპუბლიკებს შორის იდებოდა ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრები და არა სახელმწიფო საზღვრები, როცა ისტორიულ კუთვნილებას მნიშვნელობა არ ეძლეოდა და ყველაფერი წყდებოდა „მეგობრულ“ საწყისებზე, არ შეიძლებოდა. ეს იმ დროის მესვეურებსაც კარგად ესმოდათ, ამიტომ საქართველოს ცაკი ამ ტერიტორიის დასაბრუნებლად ეკონომიურ მოთხოვნებსაც იშველიებს. საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ს. თოდრიას 1925 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „საქართველოს ცაკის მიერ ა/წ იანვრის 15 დადგენილების თანახმად აღძრული იყო ა/კ ცაკის წინაშე შუამდგომლობა, რათა ხსენებული მიდამოები დაბრუნებოდა საქართველოს დავით გარეჯის მონასტრის ძეგლების შენარჩუნების და დაცვის მიზნით. ხოლო აღნიშნულ ნიადაგზე საქართველოს ცაკის მიერ აღძრული შუამდგომლობა არ შეეფერება დღევანდელ პირობებს, რის გამოც საჭიროა შეცვლილ იქნეს საბაბი ამ შუამდგომლობის და სარჩელად მას უნდა

დაედვას სხვა საფუძველი. ხსენებული მონასტრის მიდამოებით, როგორც საძოვარი ადგილებით ახალ გამიჯვნამდე სარგებლობდა თბილისის მაზრის მოსახლეობა, დღეს კი ეს ადგილები შედის აზერბაიჯანის საზღვრებში და ტფილისის მაზრის მოსახლეობა მოკლებულია ამ საძოვრებით სარგებლობას. საჭიროა აღძრულ იქნეს საკითხი აღნიშნულ მიდამოებით სარგებლობის უფლებათა აღდგენის შესახებ, რასაც უნდა მოჰყვეს შედეგად საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების საზღვრების ხელახლა გადამიჯვნა“[300].

1925 წლის 8 დეკემბრით დათარიღებულ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში გაგზავნილ წერილში საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი აღნიშნავს: „ეს რაიონი შეადგენს საქართველოს ტერიტორიის უდავო ნაწილს. ამის დამამტკიცებელია მთელი რიგი ამ რაიონის უდავო სარგებლობის ფაქტები საქართველოს მესაქონლეთა მიერ და აგრეთვე ის ძეგლები, რომლითაც მოფენილია დავით გარეჯის უდაბნო. სიღნაღის და თბილისის მაზრის მოსახლეობას (იორ-მუღანლოს, ყარაიაზის, სართიჭალის და საგარეჯოს სოფლებისა) უხსოვარი დროიდან უსარგებლია და ახლაც სარგებლობს ამ საძოვრებით... ჩვენი მესაქონლეობა ისეთ შევიწროებულ მდგომარეობას განიცდიდა უწინდღიდანვე, რომ არამცთუ ამ საძოვრებს დაანებებდა სხვა ვისმეს, არამედ თითონ ცდილობდნენ სხვაგან საძოვრების შეძენას და შოულობდნენ კიდეც შორს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, სადაც საძოვრები სჭარბობდათ, ამიტომ განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკის საძოვრების სივიწროვის და მესაქონლეობის კრიტიკული მდგომარეობის გამო, რომელიც საკმარისად ცნობილი და გამოკვლეულია, დავით გარეჯის უდაბნოს ირგვლივ მდებარე საძოვრები უნდა დარჩეს საქართველოს საზღვრებში“[301]. ასეთია საქართველოს წარმომადგენელთა მოთხოვნა — საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგე ს. კაკაბაძე განათლების სახალხო კომისარისადმი გაგზავნილ წერილში მოითხოვს: „1. დაარსებულ იქნას დავით გარეჯში სამეცნიერო-სამეთვალყურეო პუნქტი, რო-

მელსაც დაევალება მოვლა და პატრონობა მთელს ყარაიას ველში გაბნეულ სიძველეთა და არქეოლოგიურ ნაშთებისა და აგრეთვე ქალაქ რუსთავის ნანგრევებისა. ეს პუნქტი დაარსდეს სახალხო განათლების კომისარიატის სიძველეთა დაცვის განყოფილების გამგებლობაში. 2. გადაეცეს ამ პუნქტს სათანადო კონტროლის ქვეშ დავით გარეჯის და ნათლისმცემლის მონასტრების შემოსავალი და ამჟამად კერძო პირთა ხელში მყოფი ქონება (ვენახი და სხვა) მდებარე სოფელ საგარეჯოსა და სოფელ ხაშმში, რომელთა მამულების შემოსავლიდან გასწორებულ იქნება სიძველეთა დასაცავად და ამ პუნქტის შტატის შესანახად საჭირო ხარჯი. 3. მთელ ტერიტორიაზე ამ სიძველეთა კომპლექსებისა, დაწყებული სადგურ ბეიუკ-კიასიკის და ნათლისმცემლის ხაზინიდან და სამხრეთისაკენ ბერთუბნის მიმართულებით ვიდრე აზერბაიჯანის საზღვრამდის, გავრცელდეს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ადმინისტრაციული ხელისუფლება და აღძრულ იქნას საკითხი აზერბაიჯანთან დადებულ ხელშეკრულების ამ მხრივ გადასინჯვის შესახებ, ვინაიდან მკვიდრი მოსახლეობა ამ უდაბურ ადგილებში სრულიად არ არის (არც თათრების და არც ქართველების), ხოლო მეცნიერული ინტერესები კი მოითხოვენ ამ სიძველეთა წესიერ მოვლას და ეს მოვლა კი შესაძლებელია მხოლოდ თბილისიდან, რადგან ყარაიას სიძველენი წარმოადგენენ საქართველოს არქეოლოგიის და სიძველეთა მეცნიერების ორგანულს და შეიძლება ითქვას ერთს მთავარს ნაწილს“[302].

1925 წლის მარტში ამიერკავკასიის ცაკის ტექნიკური პერსონალი, საქართველოს და აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად, შეუდგა დავით გარეჯის აგარაკის რაიონის შესწავლას. აღმოჩნდა რომ ამ აგარაკის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც მდებარეობდა მონასტერი, დაკავებული ჰქონდათ სიღნაღის მაზრის სოფელ იორ-მუღანლოს მესაქონლეებს, ხოლო დანარჩენი ნაწილი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს არენდით ჰქონდა გადაცემული ცეკავშირის თიეის და-

მამზადებელი განყოფილებისათვის და სააქციო საზოგადოება „ხორცეაჭრობისათვის“.

ამიერკავკასიის ცაკმა 1925 წლის 6 ოქტომბერს მცირე პრეზიდიუმის სხდომაზე საქართველოს ცაკის მოთხოვნა ყურად იღო, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს აქვს უდიდესი არქეოლოგიური მნიშვნელობა და აუცილებლად ცნო ღონისძიებების გატარება სამონასტრო კომპლექსის დასაცავად. წინადადება მისცა საქართველოს და აზერბაიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეთანხმებულიყვნენ დაცვის პირობებზე[303].

ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის დადგენილების და საქართველოს ცაკის სამდივნოს განკარგულების (1925 წლის 20 ოქტომბერი) საფუძველზე შეიქმნა სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ზ. ადიკაშვილი, წევრები: განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი შ. ჩხეტია და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ი. ხიდირბეგიშვილი[304]. კომისიას ევალებოდა აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან ერთად დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან შესახვედრად და საკითხის ადგილობრივ შესასწავლად დავით გარეჯის უდაბნოში გაემგზავრა კომისია, მაგრამ აზერბაიჯანის კომისია არ გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს კომისია მარტო შეუდგა სადავო რაიონის შესწავლას. აღმოჩნდა შემდეგი: 1) ზემოხსენებულ სადავო რაიონში ერთი მეორისგან 1-3-5-8 ვერსის მოშორებით მდებარეობდა მთელი რიგი უძველეს დროში გაშენებული ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები: ა) ნათლისმცემელი, მთელი რიგი გამოქვაბულებით, ბ) წამებული, გ) დავით გარეჯა, მრავალი გამოქვაბულებით, დ) დოდო, ე) ორი კოშკი გარეჯის მონასტრის სანახებში, ვ). განსაშორი, ზ). ბერთუბანი თავისი გამოქვაბულებით. ყველა აღნიშნული ძეგლი წარმოადგენს ქრისტიანული რელიგიური კულტის მშენებლობათა ერთ მთლიან და განუყოფელ კომპლექს, რომელიც უძველესი დროიდან 1921 წლამდე იმყო-

ფებოდა ქართველ მოღვაწე-ბერთა ხელში, ხოლო ის ტერიტორია და მიწა-წყალი სადაც ეს ძეგლებია გაშენებული შეადგენდა საქართველოს კუთვნილებას. 1922 წელს საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ტერიტორიათა გამიჯვნის შემდეგ, უმეტესი ნაწილი ამ ძეგლებისა, სახელდობრ დავით გარეჯა, განსაკუთრებით, ბერთუბანი და ერთი კოშკიც (ე. წ. ჩიჩხითური) დავით გარეჯის მახლობლად მდებარე, თავიანთი მიდამოებით მოექცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებში და ამრიგად აღნიშნულ ძეგლთა კომპლექსის მთლიანობა დაირღვა. აზერბაიჯანის საზღვრებში მოქცეული ძეგლები დარჩნენ მეთვალყურეობის და მოვლა-პატრონობის გარეშე, რადგან ეს ძეგლები აზერბაიჯანის კულტურისათვის ისტორიულ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას ხელი არ მიუწვდებოდა. ამგვარი მდგომარეობის შედეგად აღნიშნული ძეგლები უპატრონობის გამო საშინლად განადგურდნენ და ფაქტიურად მეცხვარეთა ფარეხებად გადაიქცნენ. 2. აღნიშნულ სადავო რაიონებში ძეგლების ახლო, სიღნაღის მაზრის მეცხვარეთა მიერ ჯერ კიდევ ადრეულ წლებში გაშენებულია ფარეხები და ამ მიდამოებით ხსენებული მაზრის მცხოვრებლები ამჟამადაც სარგებლობენ (დაახლოებით 60-70 კომლამდე), როგორც საძოვარი ადგილით. ეს რაიონი საქართველოში ზამთრის საძოვრების სივიწროვის გამო და აგრეთვე თავის ტოპოგრაფიული მდგომარეობით, წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ხელსაყრელ საძოვარს თბილისის მაზრის მეცხვარეთათვის.

კომისიამ საქმის ვითარების ადგილობრივად შესწავლის შემდეგ მიიღო რა მხედველობაში ერთი მხრივ: 1) რომ აზერბაიჯანის საზღვრებში მოქცეული ძეგლები წარმოადგენდნენ განუყოფელ ნაწილს ე. წ. დავით გარეჯის ისტორიულ სიძველეთა ერთიანი კომპლექსის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის. 2) რომ, თანახმად საბჭოთა რესპუბლიკებში არსებული კანონისა, ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები დაცულ უნდა იქნან ხელუხლებლად, 3) რომ თანახმად ამავე კანონისა ყველა ის ადგილ-მამული, რომე-

ლიც იმყოფება ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებთან და ოდესღაც უკანასკნელთათვის საარსებო წყაროს წარმოადგენდა, უნდა მიმაგრებულ იქნეს ამ ძეგლებთან, ხოლო მეორე მხრივ: 1) რომ დავით გარეჯის უდაბნო მთელი შენობებითურთ უხსოვარი დროიდან საქართველოს კუთვნილებას შეადგენდა და 2) რომ ეს ადგილი ამჟამადაც საქართველოს მეცხვარეთა სარგებლობაშია და უკანასკნელთათვის ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენს — მიიდა შემდეგ დასკვნამდე: დავით გარეჯის უდაბნოში მდებარე ისტორიულ ძეგლთა მთლიანად დაცვის და საქართველოს მეცხვარეთათვის პირობების შექმნის მიზნით საჭიროა ცნობილ იქნას, რათა საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა შორის ამჟამად არსებული საზღვარი ყარაიას ველის მიმართულებით შეიცვალოს 1921 წლის სამიჯნო ხაზის აღდგენით“[305].

საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის შეთანხმება ვერ ხერხდებოდა. დავით გარეჯის აგარაკის საძოვრებზე პრეტენზიას აცხადებდნენ როგორც ყაზახის მაზრის სოფელ შიხლის, ასევე სიღნაღის მაზრის სოფელ იორ-მუღანლოს მცხოვრებლები. წინააღმდეგობა შეიარაღებულ შეტაკებამდე მიდიოდა.

1926 წლის 27 იელისს საქართველოს ცაკმა ამიერკავკასიის ცაკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა დავით-გარეჯის აგარაკის საკითხის გადასინჯვის შესახებ. საკითხი გადატანილ იქნა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული მიწის კომიისიის 1926 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე. კომისიამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „ვიღებთ რა მხედველობაში, 1) რომ დღევანდელ სხდომაზე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის წარმომადგენელმა ალეკფეროვმა განაცხადა, რომ არ მიაჩნია სამართლიანად აღნიშნული საკითხის განხილვა მიწის კომისიის სხდომაზე, რადგან საზღვარი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ შორის, დავით-გარეჯის აგარაკის ფარგლებში დადგენილია 1921 წლის 5 იელისის სასაზღვრო ხელშეკრულებით და დაზუსტებულია 1921 წლის 8 ნოემბრის განსაკუთრებული შერეული კომისიის ოქმით და 2) რომ ადგილობრივი დამატებითი გამოკვლევა დავით-გარეჯის აგარაკის ჩატარდა 1925 წლის მარტში მიწის კომისიის

მიერ ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმის ნებართვის გარეშე, რომელმაც ადრე (1924 წლის 24 ნოემბერს) დაამტკიცა ამ საქმეზე მიწის კომისიის 1924 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება – წინადადება შემოაქვს პრეზიდიუმზე საკითხის გადასინჯვის შესაძლებლობების შესახებ"[306].

1926 წლის 5 დეკემბერს გაიმართა ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელმაც დავით გარეჯის აგარაკის საკითხი არ განიხილა, მოიხსნა დღის წესრიგიდან, მისი განხილვა გადაიტანეს მომდევნო სხდომაზე[307].

1926 წლის 11 იანვარს შედგა ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც დაავალა კომისიას შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე კასიანე, წევრები: ა. გეგეჭკორი და ბუნიატ ზადე შესაბამისი მაზრების აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ერთი თვის ვადაში, დაემუშავებინა საკითხი ადგილზე და დასკვნა განსახილველად წარედგინათ ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმისათვის[308].

აზერბაიჯანის მიზეზით კომისიის გასვლა ადგილზე არ მოხერხდა და საკითხი დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა გადაუწყვეტელი. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა არა ერთხელ დააყენა საკითხი ამიერკავკასიის ცაკის წინაშე და მოითხოვა საზღვრის გასწორება დანადაგ კირიშლის და დავით-გარეჯის მონასტრის მიდამოებში. მითუმეტეს რომ ეს ადგილები იმყოფებოდა საქართველოს მოსახლეობის ფაქტიურ სარგებლობაში. სიღნაღის მაზრის სოფელ იორ-მუღანლოს მცხოვრებლები წლების მანძილზე სარგებლობდნენ დავით გარეჯის აგარაკის საძოვრებით.

რა თქმა უნდა გულხელდაკრეფილნი არც აზერბაიჯანის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი საქართველოს ხელისუფლებას აბრალებდნენ თვითნებურად მოქმედებას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ვითომდა არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვის მიზნით. ისინი მოითხოვდნენ საქართველოს მესაქონლეების გაგდებას აზერბაიჯანის ტერიტორიიდან ე. ი. დავით გარეჯის აგარაკიდან. ყაზახის მაზრის სოფელ შიხლის მცხოვრებლები თავს ესხმოდნენ ქარ-

თველ მესაქონლეებს. საკითხის მოუგვარებლობა სულ უფრო და უფრო აღრმავებდა შუღლს ორი მეზობელი რესპუბლიკის მოსახლეობას შორის. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით საჭირო იყო ზუსტი საზღვრის დადგენა ამ რაიონში.

1929 წლის 18 თებერვალს შედგა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა დავით-გარეჯის ზამთრის საძოვრების საკითხი. სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება: დავით გარეჯის მონასტრის აგარაკის სადავო ნაწილი, ფართით 2000 დესეტინა, ჩაითვალოს საქართველოს სსრ რესპუბლიკის თბილისის მაზრის კუთვნილებად. ადგილზე დავით გარეჯის აგარაკის რაიონში, აზერბაიჯანის სსრ ყაზახის მაზრას და საქართველოს სსრ თბილისის მაზრას შორის დადგინდეს საზღვარი შემდეგი სახით: ნიშნულიდან $\frac{63^0 7'9''5}{41^0 27'30''0}$ გზა შიხლი-ქარავან-ელის უღელტეხილთან და ამ გზით შემდეგი ნიშნულების გავლით: $\frac{63^0 5'49''25}{41^0 26'10''0}$, $\frac{63^0 4'35''0}{41^0 25'48''25}$ ნიშნულამდე $\frac{63^0 2'52''5}{41^0 25'45''25}$, აქედან უდაბნოს ქედზე ტრიგონომეტრიულ პუნქტ უდაბნოს $\frac{63^0 2'30''335}{41^0 26'33''147}$ გავლით და შემდეგ ჩიჩხიტური სერის ქედზე, შემდეგი კოშკის გავლით, რომელიც დგას ნიშნულთან $\frac{63^0 1'7''25}{41^0 27'31''25}$ ნიშნულამდე $\frac{63^0 58'28''0}{41^0 28'27''25}$ «[309].

როგორც უკვე აღვნიშნეთ 1929 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება იყო საბოლოო და საჭირო იყო მათი შესრულება ადგილზე. ამ დადგენილებით საქართველოს კუთვნილი ისტორიული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დარჩა აზერბაიჯანის სსრ შემადგენლობაში.

მეხუთე სადავო საკითხი რომელსაც ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანის სს და საქართველოს სს რესპუბლიკებს შორის იყო საზღვრის დადგენა დავით გარეჯის აგარაკიდან მდინარე მტკვრამდე.

1921 წლის 5 ივლისის გადაწვეტილებაში ვკითხულობთ: ცნობილ იქნეს სრული განსაკუთრებული მფლობელობა და სარგებლობა ყაზახის მაზრის გლეხების მიერ ყარაიაზის ველისა დაახლოებით შემდეგ საზღვრებში, ამათან დაცულ იქნას არსებული სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ შორის. ფაქტიური მფლობელობის საზღვარი იწყება წითელი ხიდიდან მდინარე ხრამზე და მიდის სადგურ ბეუკ-კიასიკამდე, მისი ჩათვლით, მიემართება კირიშლის მთაზე, გაივლის მთა კეშიშ-გზოიმდე, შემდეგ ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთით და გაივლის უღელტეხილ შიხლი-ქარავან-ელის, გადაკვეთავს დიდ გზას...“[310].

1921 წლის 8 ნოემბრის საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენელთა შერეული კომისიის ოქმში საზღვარი ყარაიაზის რაიონში შემდეგნაირად არის აღწერილი: „ყაზახის გლეხების მიწების ფაქტიური მფლობელობის საზღვარი დგინდება შემდეგი სახით: მდინარე მტკვრიდან, იმ ადგილამდე სადაც გადის მე-17 არხის ბოლო, ეშაკ-ტაპასიმდე პირდაპირი ხაზით, შემდეგ გამიჯვნის ხაზი მიდის ეშაკ-ტაპაიდან პირდაპირ ბეუკ-კიასიკის სადგურზე, მისი ჩათვლით, მიემართება ჩრდილოეთით, გადაკვეთს ბეუკ-კიასიკის ქედს და უახლოვდება ტბა ჯანდარგელის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს, შემდეგ შემოუვლის მას ნაპირზე და შედის ჩრდილო-დასავლეთით გამმიჯნავ ნიშნებზე დანა-დაგის მთებამდე, აქედან მიემართება აღმოსაელეთით ქედზე ალგეთ-ბაში-კეშის მთებამდე“...[311]

1922 წლის 28 იანვრის განსაკუთრებული შერეული კომისიის ოქმში ვკითხულობთ: „ფაქტიური სარგებლობის საზღვრად ჩაითვალოს სწორი ხაზი წითელი ხიდიდან ტორპახ-ტაპას ბორცვის მწვერვალამდე და სწორი ხაზი ამ მწვერვალიდან მდინარე მტკვარზე, რომელიც ემთხვევა ფაქტიური სარგებლობის ხაზს ყარაიაზის ტყეში მდინარე მტკვრიდან ეშაკ-ტაპასიმდე“[312].

1924 წლის 20 ნოემბერს გაიმართა ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის სოციალურ ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებს შორის არსებული სადავო მიწის – ტყის-წყლით სარგებლობის გადამ-

წევტი კომისიის სხდომა. რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ შორის არსებული სადავო ტერიტორიული საკითხები და მიიღო დადგენილება „ყარაიაზის ველზე ნატურაში განემტკიცებინათ საზღვარი დადგენილი შერეული კომისიის მიერ 1921 წლის 8 ნოემბერს და 1922 წლის 28 იანვარს[313].

1927 წლის თებერვალში ამიერკავკასიის ცაკთან არსებული მიწის კომისიის მიერ საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ შორის ადმინისტრაციული-სამეურნეო საზღვრების გაელების მიზნით ყარაიაზის რაიონში გაგზავნილ იყვნენ მიწისმზომელები. მუშაობის პროცესში, როცა ავლებდნენ საზღვარს ტორპახ-ტაპადან ჩრდილოეთის მიმართულებით ჯანდარ გელის ტბამდე, საქართველოს და აზერბაიჯანის წარმომადგენელთა შეხედულებები გაიყო. წარმოიშვა სადავო ნაკვეთი 1252 დესეტინა (556 დესეტინა ტყე, 400 დესეტინა სარწყავი ხნულები, 296 დესეტინა საძოვარი)[314]. სადავო გახდა სოფელი სადახლო. ორივე მხარე მოითხოვდა სოფელ სადახლოს თავის ფარგლებში. ამ მონაკვეთის გარდა ჯანდარ-გელის ტყის ჩრდილოეთით წარმოიშვა ორი სადავო ნაკვეთი ფართით 300 და 340 დესეტინა (ზამთრის საძოვრები). საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით ორივე ეს ნაკვეთი სახელწოდებით „დანა-დაგი“ და „ალგეთ-ბაში-კეში“ უძველესი დროიდან იმყოფებოდა პირველი სოფელ ჯანდარის, ხოლო მეორე სოფელ კესალოს მცხოვრებთა საარენდო მფლობელობაში[315].

ხოლო აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენლები რა თქმა უნდა საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ.

1929 წლის 18 თებერვლის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწვეტილებით საქართველოს ორი სადავო მონაკვეთი ფართით 340 და 300 დესეტინა გადაეცა. საზღვარი დავით გარეჯის აგარაკიდან მდინარე მტკვარზე დადგინდა შემდეგნაირად: ჯანდარ გელის ტბიდან მდინარე მტკვრამდე დადგინდეს საზღვარი მე-17 არხზე, მის ფაქტიურ დასასრულამდე და შემდეგ პირდაპირი ხაზით რომელიც წარმოადგენს არხის გაგრძელებას მდინარე მტკვრამდე.

ზემონათქვამის საფუძველზე საზღვარი დადგინდა შემდეგ ადგილებში: ნიშნულიდან $\frac{62^0 58'28''0}{41^0 28'27''25}$ თავდაპირველად გზაზე ნიშნულამდე $\frac{62^0 57'22''0}{41^0 27'510''0}$ და შემდეგ ფლატეზე დანა-დაგის ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე $\frac{62^0 55'42''44}{41^0 27'59''79}$ შემდეგ ხრამზე ნიშნულების გავლით $\frac{62^0 54'51''0}{41^0 27'39''7}$, $\frac{62^0 54'43''2}{41^0 27'15''5}$, $\frac{62^0 54'32''3}{41^0 26'56''5}$, $\frac{62^0 54'7''5}{41^0 26'31''1}$ ნიშნულამდე $\frac{62^0 54'1''0}{41^0 26'29''5}$ ტბა ჯანდარ-გელის ნაპირზე. ამ ადგილიდან პირდაპირი ხაზით აღნიშნული ტბის გადაკვეთით ნიშნამდე $\frac{62^0 52'4''8}{41^0 23'29''0}$ მე-17 არხის დასაწყისიდან და შემდეგ აღნიშნულ არხზე ნიშნულთან ახლოს $\frac{62^0 51'27''8}{41^0 25'6''6}$ მე-17 არხის ფაქტიურ დასასრულამდე, აქედან პირდაპირ ხაზით, რომელიც წარმოადგენს მე-17 არხის გაგრძელებას მდინარე მტკვრამდე $\frac{63^0 45'42''0}{41^0 20'46''2}$ „[316].

1929 წლის 18 თებერვლის ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმის ყველა გადაწვეტილება ითვლებოდა საბოლოოდ.

1929 წლის 14 მაისს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „ა/კსფსრ შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ზოგიერთ მაზრებს შორის მიწისა და ტყის გამო აღძრულ დავათა საკითხის თაობაზე“ 1929 წლის 18 თებერვალს გამოტანილი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების განხორციელების შესახებ, სადაც აღნიშნულია რომ „... ბ) ეს დადგენილება მიღებულია ყველა იმ გარემოების ადგილობრივი შესწავლის შემდეგ, რაც

საფუძვლად ედვა ამა თუ იმ დავას და გამოტანილია დაინტერესებული რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილ პასუხისმგებელ წარმომადგენელთა ერთმხრივი გადაწვეტილების თანახმად გ) რომ აღნიშნული დადგენილება საბოლოოა და არ გადაისინჯება და დ) ამ დადგენილების აღსრულება ადგილზე დავალებული აქვს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მიწისა და ტყის გამო აღძრულ დავათა გადამწყვეტ კომისიას"[317].

ამის შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო დავა კვლავ გრძელდებოდა, იმართებოდა კომისიის სხდომები, მაგრამ რაიმე არსებითი ცვლილება აღარ მომხდარა.

1936 წელს დაიშალა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა და ამიერკავკასიის რესპუბლიკები დამოუკიდებლად შევიდნენ საბჭოთა კავშირში. საჭირო იყო ამ რესპუბლიკების საზღვრების განსაზღვრა.

ამ მიზნით 1938 წლის 5 მარტს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და მიწათმოქმედების სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელთა რესპუბლიკათაშორისო თათბირი, თათბირმა მიიღო შემდეგი გადაწვეტილება:

„1. საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ შორის „დიდი მთის" ჩრდილოეთით საზღვრის განსხვავება საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ აღმოჩნდა სწორედ დატანილი, რაც დადასტურებულია აზერბაიჯანის სსრ ცაკის და მიწათმოქმედების სახალხო კომისართა საბჭოს მონაცემებით, საზღვარი გადის მდინარე ალაზანზე.

2. სხვა შემთხვევაში უმნიშვნელო შეუთანხმებლობა, აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ საზღვრებს შორის, რომლებიც დატანილია აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მონაცემებით, გამოწვეულია ძირითადად არაზუსტი გრაფიკული დატანის შედეგად, გამოყენებულ იქნა რა საზღვრის

ხაზის დატანის დროს სხვადასხვა მსხვილმასშტაბიანი მასალა 1:500 000 მასშტაბის რუკის სხვადასხვა ამონაბეჭდზე...

3. მასალების განხილვის შედეგად თათბირი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ ცაკის წინაშე წარადგენს 1:500 000 მაშტაბის დამოწმებულ რუკას დასამტკიცებლად, საზღვრის დატანის დროს დაუშვებელი გრაფიკული უზუსტობათა აღმოფხვრის გათვალისწინებით"[318].

1938 წლის 23 მარტს, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკათაშორის თათბირის შედეგები და აღნიშნა, რომ: „1:400 000 და 1:500 000 მასშტაბის რუკებზე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საზღვრების გრაფიკული აღნიშვნის საკითხის გამო, საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო გადაღებისა და კარტოგრაფიის სარესპუბლიკათაშორისო განყოფილებასთან ა/წ 5-7 მარტს შემდგარი თათბირის შედეგად მიღწეულია შეთანხმება რესპუბლიკის საზღვრების გაფორმებაში... საზღვრის უმნიშვნელო განსხვავება კი აზერბაიჯანის სსრ მხრივ დიდი მთის ჩრდილოეთით, საქართველოს სსრ ცაკის ცნობების მიხედვით, აღმოჩნდა სწორად აღნიშნული, რაც დადასტურებულია აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის ცაკის მონაცემებით, საზღვარი გადის მდინარე ალაზანზე.

ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: „დამტკიცდეს ადმინისტრაციული საზღვრები სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მხრიდან, თანახმად თანდართული და თათბირის მონაწილეთა მიერ დამოწმებული 1:500 000 მაშტაბის რუკისა, საზღვრების აღნიშვნის დროს დაშვებული გრაფიკული (ტექნიკური) უზუსტობის აღმოფხვრის გათვალისწინებით"[319].

ამის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ არსებითი სასაზღვრო ცვლილება საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ შორის აღარ მომხდარა. საქართველომ დაკარგა ზაქათალის ოლქი, ელდარ-სამუხის სტეპის ნაწილი, დავით-გარეჯის ველი და ქვედა ყარაიაზის სექტორი სულ 3627 კმ^2 ტერიტორია.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული იყო საქართველოს ტერიტორიული ცვლილებების საკითხის ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან დამოუკიდებელი საქართველოს დროს და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. სახელმწიფოებრივი საზღვრის საკითხთან მიმართებაში სხვადასხვა პოზიციებზე იდგნენ დემოკრატიული საქართველოს და ბოლშევიკური საქართველოს წარმომადგენლები. დამოუკიდებელი საქართველოს მეთაურები საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრების დადგენის დროს ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. მანამდე ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის (XIX-XX საუკუნის დასაწყისი) არ არსებობდა სახელმწიფო საზღვრები, რადგან ისინი ერთიანი განუყოფელი რუსეთის შემადგენელი ნაწილები იყვნენ. მთელი ამიერკავკასია დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ნაწილებად: გუბერნიებად, მაზრებად და ა. შ. ამიტომ გამოცხადდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს მაშინვე დღის წესრიგში დადგა საზღვრების საკითხი. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა საზღვრების დადგენის დროს ეხელმძღვანელა ისტორიული, პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით. ასე რომ საქართველოს ტერიტორიას უნდა მოეცვა „თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალისა და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთი და არტაანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპე'ზუნის ვილაიათი“[320].

გამიჯვნის ამ პრინციპს არ დაეთანხმნენ სომხეთის და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკების მეთაურები. სომხები ტერიტორიის გამიჯვნას მოითხოვდნენ რეალური მოსახლეობის, ხოლო აზერბაიჯანელები – რელიგიური პრინციპით. რეალური მოსახლეობის პრინციპის მიხედვით სომხეთი მოითხოვდა მცხეთას, თბილისს, ბორჩალოს და მთელ მესხეთს. აზერბაიჯანი მოითხოვდა საინგი-

ლოს, ბორჩალოს მაზრას, ახალციხის მაზრას და ბათუმის ოლქს.

ყველა საქართველოს მიწაწყლის გაგლეჯას ლამობდა. განსაკუთრებულად დაიძაბა ურთიერთობა სომხეთთან, რამაც საქართველოს-სომხეთის ომი გამოიწვია. სომხები მოულოდნელად დაესხნენ თავს ბორჩალოს მაზრაში განლაგებული ქართული ჯარის ნაწილებს. თავდაპირველად საქართველო მშვიდობიანი გზით ცდილობდა საკითხის მოგვარებას, მაგრამ როცა სომხებმა სადახლო, აშაღასერალი და შულავერი დაიკავეს, ხოლო მათი მოწინავე რაზმი გამოჩნდა მდინარე ხრამზე, გამოცხადდა საქართველოში მობილიზაცია და სომხეთის წინააღმდეგ მოქმედი ლაშქრის სარდლად დაინიშნა გ. მაზნიაშვილი. რამდენიმე დღეში ქართველებმა ხელთ იგდეს უპირატესობა, მაგრამ ამ დროს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ინიციატორებად გამოვიდნენ კავკასიაში მყოფი ინგლისის და საფრანგეთის მისიის წარმომადგენლები და საქართველო — სომხეთს შორის ომი შეწყდა. საქართველოს მთავრობამ ვერ ისარგებლა ამ ომის შედეგებით, მან დასთმო აშკარად მოგებული პოზიციები. დავთმეთ ის, რაც ჩვენი განუყოფელი ტერიტორია იყო და სადაო გავხადეთ. ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი დარჩა საქართველოს, სამხრეთი ნაწილი სომხეთს, ხოლო ცენტრალური — ლორეს რაიონი გამოცხადდა ნეტირალურ ზონად.

საქართველო აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა, არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად ასე თუ ისე, მაინც დინამიურად ვითარდებოდა, სანამ არ გამოცხადდა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება 1920 წლის 27 აპრილს. როგორც ს. ორჯონიკიძე წერდა: „იმ მომენტიდან, როცა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა, აზერბაიჯანი იყო ჩვენი ამოსავალი პუნქტი, სადაც ჩვენ იერიში მივიტანეთ მენშევიკებისა და დაშნაკების ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ კონტრევოლუციურ მთავრობებზე“[321].

1920 წლის 2 მაისს აზერბაიჯანის ჯარი მე-11 არმიის ნაწილებთან ერთად თავს დაესხა საქართველოს სასაზღვრო ჯარს წითელ ხიდთან, მდინარე ხრამზე, ელისავე-

ტოპოლის და თბილისის გუბერნიების ზღურბლზე. საქართველოს მთავრობა მშვიდობიანი გზით ცდილობდა მოეგვარებინა კონფლიქტი, ამ დროს მოსკოვში საიდუმლო ვითარებაში მოლაპარაკება მიმდინარეობდა რუსეთთან მშვიდობიან ხელშეკრულებაზე. საქართველოს მთავრობის შეკითხვაზე რა ხდებოდა აზერბაიჯანში? იქიდან პასუხობდნენ ადგილობრივი ინციდენტი არისო. 12 მაისს საქართველოს ჯარი გენერალ გ. კვინიტაძის მთავარსარდლობით შეტევაზე გადავიდა და გაათავისუფლა საქართველოს ტერიტორია. გადამწყვეტი შეტევისათვის რომ ემზადებოდნენ საქართველოს მთავრობამ გასცა ბრძანება საომარი მოქმედებების შეჩერების შესახებ. საომარი მოქმედებების შეწყვეტა დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. გამარჯვებულებმა დაუთმეს დამარცხებულებს „ისტორიაში შეიძლება პირველად მოხდა ასეთი რამ, როცა გამარჯვებული არმია უკან იხევს, მტერი დამარცხდა, გაიქცა, თავად კი უკან დაიხია... ამ უცნაურმა და უგუნურმა ბრძანებამ საქართველოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა“[322].

საქართველოს მთავრობამ ეს გადაწვეტილება მოსკოვის ძალდატანებით მიიღო. მოსკოვში მყოფი გრ. ურატაძე დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდა, საქართველოს მთავრობას მოსკოვის სურვილებს ატყობინებდა. თან დათანხმებისკენ მოუწოდებდა და პირდებოდა რომ ზაქათალის საკითხი, როგორც რუსეთი ირწმუნებოდა საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდებოდა.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთმა ზაქათალა სცნო საქართველოს შემადგენელ ნაწილად. მაგრამ აზერბაიჯანის მესვეურებმა გაიგეს რა ეს ფაქტი იმ დღესვე სასწრაფო დეპეშა აფრინეს მოსკოვში. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო. რა თქმა უნდა მოსკოველმა ბოლშევიკებმა არ აწყენინეს ბაქოელ კოლეგებს. 12 მაისს დაიდო საქართველო-რუსეთის დამატებითი შეთანხმება, რომლის ძალით ზაქათალის ოლქის მიკუთვნების საკითხი უნდა გადაეჭრა შერეულ კომისიას, თანაბარი რაოდენობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარე კი რუსეთიდან იქნებოდა. არც საქართვე-

ლოს და არც აზერბაიჯანს კომისიის გადაწვეტილების გარეშე უფლება არ ჰქონდათ შეეცვალათ ჯარის ახალი კონტიგენტი ოლქის ტერიტორიაზე.

1920 წლის 12 ივნისს ქ. აქსტაფაში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის, რომელმაც ზაქათალის საკითხში დაადასტურა 12 მაისის შეთანხმება.

მხოლოდ საქართველო ასრულებდა მოსკოვისა და აქსტაფის ხელშეკრულებებს, მას არ შეჰყავდა ჯარი ზაქათალის ოლქში, თუმცა ამის მოსურნე თითქმის მთელი ოლქი იყო. იგი გულმოდგინედ ელოდა როდის ინებებდნენ რუსეთისა და აზერბაიჯანის მესვეურები, საარბიტრაჟო კომისიის შექმნას. მათ არ უნდოდათ იმის დაჯერება, რომ არც რუსეთი და მით უფმეტეს არც აზერბაიჯანი არ იჩქარებდნენ ამისთვის. მითუმეტეს, რომ ამ დროს საქართველოს ბედი მოსკოვში უკვე გადაწვეტილი იყო.

საქართველომ ამჯერადაც ვერ გამოიყენა თავისი ხელსაყრელი პოზიციები და ვერ დაიკავა ზაქათალის ოლქი. როგორც ეხედავთ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ვერ მოაგვარა საქართველოს საზღვრების საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან. თუმცა მას ჰქონდა ამის რეალური შანსი, სომხეთთანაც და აზერბაიჯანთანაც. მან აშკარად მოგებული სიტუაცია გაუშვა ხელიდან, წინა პლანზე დააყენა რა კეთილმეზობლური ურთიერთობა. არადა ი. ჯავახიშვილის სიტყვებისა არ იყოს: „ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეგობრობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათისაგან გადაარჩენს“[323].

საზღვრების საკითხი ღიად დარჩა. ამ გარემოებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ. მათ კარგად არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული რომ სახელმწიფოს პო-

ლიტიკური არსებობის საძირკველს ტერიტორია წარმოადგენდა და ხშირად პარტიულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ ვიდრე ეროვნულს.

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ მთავრობის დამოკიდებულება საზღვრების საკითხისადმი რადიკალურად შეიცვალა. საზღვრებს აღარ ჰქონდა სახელმწიფოებრიეი მნიშვნელობა, ამის შემდეგ საუბარია არა სახელმწიფო საზღვრებზე, არამედ „ფაქტიური მფლობელობის მიწებზე“. რესპუბლიკებს შორის ხდებოდა ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვრის დადგენა, რომელიც პოლიტიკურად და იურიდიულად არ ყოფილა გაფორმებული სადელიმიტაციო და სადემარკაციო ხელშეკრულებების აქტებით.

რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წაიშალა, რაც საბაუთების, პიკეტების და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა. კომუნისტები აცხადებდნენ „ჩვენ ვერ მივიღებთ ომის გამომწვევ ბუნებრივ საზღვრებსო“ და საკითხს „ინტერნაციონალური“ თვალსაზრისით წყვეტდნენ. ქართველი ბოლშევიკების აზროვნებაში მსოფლიო რევოლუციის ფსიქოზი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ვიდრე ერის ინტერესები. „დაიპყრეს თუ არა საქართველო, მაშინვე შეუდგნენ მის განაწილებას. ოსმალეთს მიეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი. შავშეთ-ერუშეთი-არტაანი და ფოცხოეთი. სომხეთსა და აზერბაიჯანს მოუჭრეს საქართველოს მიწა-წყლის საგრძნობი ნაწილი, სომხეთს მიეცა მთელი ე. წ. ნეიტრალური ზონა, ალავერდის მადნითა და ქარხნებით, ხოლო აზერბაიჯანს – სიღნაღის და თბილისის მაზრის ნაწილები, ყარაიას ველის აღმოსავლეთ ნახევრითა და დავით გარეჯის რაიონით... რუსეთმა თითონაც მოიჭრა და მიიზომა საქართველოს ტერიტორია, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, სახელდობრ გაგრის ოლქის დასავლეთ ნახევარი ცივი წყლიდან მდინარე ფსოუმდე, ე. ი. დაარყვია ის საზავო ხელშეკრულება რომელიც 7 მაისის ხელშეკრულებით დაუდო საქართველოს“[324].

წაიშალა საქართველოს ისტორიული საზღვრები, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები ფეხქვეშ გაითელა,

ქართველი ხალხის ტერიტორიულ სხეულზე ქირურგიული ოპერაციები საჯაროდ იყო ნებადართული. საქართველოს ბოლშევიკებმა გაითვალისწინეს „სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა“, რომ მას „არც საკმარისი ტერიტორია ჰქონდა და არც ტყისა და სხვა ფონდები (სახელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო), ამიტომ იგი, როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ვერ შეძლებდა არსებობას და საერთო სოლიდარობის, ერთხელ და სამუდამოდ გულწრფელი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების გალისათვის“ გადასცა თავისი კუთვნილი ისტორიული ტერიტორია ლორეს ნეიტრალური ზონა, ხოლო აზერბაიჯანს დაუთმო ზაქათალის ოლქი, დავით გარეჯის ველი და ქვემო ყარაიაზის სექტორი (მოფენილი უძველესი ქართული ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლებით) და ელდარის ველი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული დავა კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ამჯერად საქმე ეხებოდა არა მთლიან ოლქებს, არამედ მიწების და ტყეების, საძოვრების ცალკეულ მონაკვეთებს. ლაპარაკი აღარ არის სახელმწიფო საზღვრებზე. იქმნებოდა არა სახელმწიფოებს შორის საზღვრების დამდგენი კომისიები, არამედ მაზრებს შორის საზღვრების გამმიჯნავი კომისიები. ვერავინ ამ პერიოდში ვერ ბედავს საუბარს სახელმწიფო საზღვრებზე. როცა საქართველოს წარმომადგენლები ცდილობდნენ სასაზღვრო სადავო საკითხების მოწესრიგებას საქართველოს სასარგებლოდ, იძულებულნი არიან მოიშველიონ საქართველოს ეკონომიკური და მშრომელთა ინტერესები.

ამგვარად, 1921 წლიდან დაწყებული 1936 წლის ჩათვლით, მარტო სამხრეთულ ნაწილში, საქართველოს ბოლშევიკურმა მთავრობამ გაასხვისა 6105 კვ^2 ფართის მქონე ქართული მიწა. აქედან სომხეთს დაეთმო 2478 კვ^2, ხოლო აზერბაიჯანს 3627 კვ^2 ტერიტორია.

დოკუმენტები

1924 г. (Протокол № 29, л. 13). 2 копии с копии.

ПРОТОКОЛ

1921 года ноября 8 дня гор. Ташкента.

Смешанная Комиссия А.С.С.Р. и С.С.Р.Р. в составе Председателей Комиссии т.т. Н.Кондаленки и А.Абасова и членов: т.т. Зенкевича А. Зорина и И. Пилинского, обсуждала сего числа вопрос об установлении границ Актинского кантона и пользования землями Казахских крестьян, согласно постановления Конференции от 5-го июля 1921 года по обследованным сего участкам, начиная от Красного моста на реке Хорос до горы Дабасын-Тау, включая долину Арал-Тала.

Вопрос тольковался тов. Зорин при Секретаре Пилинском.

Обменявшись мнениями Комиссия, ПОСТАНОВИЛА: по вопросу об участке Кокпух в части от Красного Моста до Горных-Тала и оттуда по прямой линии до реки Хорос, в виду разногласия в собранных сводках собрать дополнительные сведения у лиц опытных в этих вопросах и проживающих, что поручается Председателям обеих делегаций т.т. Кондаленки и Абасову.

Далее граница Актинского кантона с пользованием землями Киргизских кочевьев устанавливается в следующих чертах: от реки Хорос, с того места куда проходит конец 17-ой версты, до Бозы-Тала по прямой линии, затем далее граница идет от Бозы-Тала прямо на станцию Бозы-Тала и, минуя ее, пересекает озеро, пересекает хребет Бозы-Тала и подходит к юго-западному углу озера Кендыр-Куль, затем огибает его по берегу и идет на Север-запад, по межевым знакам, до горы Дзаны-Тау, отсюда поворачивается на восток по хребту, до горы Кичет-Дзаны-Чечек, а/ч поворачивает на северо-восток и доходит до горы Кичет-Кыз?, потом с уклоном по хребту на юго-восток до Кичет, огибает на север от Гавид Городищенского конезавода и идет по хребту до доходит до Тюкте-Карагай-Тау, далее идет по ней, т.е. по дороге, на северо-восток до урочища Сипкасского увала и по этой границе идет вплоть до Сипкасского хребта.

Относительно дальнейших работ Комиссия нашла необходимым прекратить работу по 20 ноября с.г. и к этому времени отправиться на озеро Гадзаюс-Тау, Сарысуйской области, предоставив Председателям делегаций известить все необходимые лица и в том числе заинтересованных

горы Алаярлы; отсюда по прямой линии через Кадкарис-Тба до овра-га на угля образуемой линией от Дали-Дар по границе между Ганжинской и Ширакской степью горы Тюльки-Тапа (Колт.краска по пл.Р.).

При этом Комиссия находит возможным во вторых во избежание трений между скотоводами отвод грузин-скотоводов на западной части степи в восточную и наоборот Азербайджанцев на восточной; во вторых запретить передачу пользования участками скотоводами одной стороны другой, как показатель отсутствия необходимости в участках для передающей стороны, в третьих оставить свободными старинные скотопрогонные дороги на Лору.

IV. По участку "часть Ширакской степи между р.Лорой и государственной границей" в виду отсутствия фактического владения со стороны граждан А.С.С.Р. границей фактического пользования счи-тать от Тюльки-Тапа, угла образуемого Ширакской и Ганжинской степью вниз до государственной границы и далее по государственной границе до границы Эльдарской степи (скроен.краска по плану Д.).

V. По участку Эльдарская степь.


В виду отсутствия каких либо споров на владение и пользование изделия Эльдарской степи, считать ее отведенной до особого на то разрешения Правительства А.С.С.Р. и С.С.Р.С. и фактическом пользовании ныне пользующихся скотоводов Эльдарцев.

Что касается желания населения Эльдарской степи приписаться в подданство А.С.С.Р., считать вопрос о переходе в подданство и сопряженный с ним вопрос о землях выходящим за пределы компетенции Комиссии. Председатель делегации А.С.С.Р. А.Аббасов, Председатель Делег.С.С.Р.Р. З.Кандолаки; Члены: Николай (Аляко) Ланцхава.

Согласен во всех частях, кроме III-го т.е. Ганжинской степи, находя, что эта степь должна целиком остаться за Азербайджанскими скотоводами, оставаясь в отношении этой части при особом мнении, которое в письменной форме будет представлено Председателями обеих Делегаций Кандолаки и Аббасову для приложения к настоящему протоколу.

Член Смешанной Комиссии - М.Шахлинский.

Верно:
Технический Секретарь



[illegible]

[illegible]

[illegible] по [illegible] [illegible] Закавказских Республик о [illegible] [illegible] [illegible]

ком Языком Грузии служит соответствующее положение.

5. Изменения обеих сторон обеспечивается возможность пользования преимуществами, которыми в другом уголовном, как фактически пользовалась.

Подлинное подписали: Ф.Кипиани, Н.[illegible],

Зам. Тифлис, 5 июня 1921 г.

[illegible]

Копия.

П О С [illegible] Е Н И Е

о границах между С.С.Р.Армении и ССР Грузии 6/XI 1921 года, г. [illegible]лис.

На основании состоявшегося полного соглашения между Революционным Комитетом С.С.Р.Грузии и Советом Народных Комиссаров С.С.Р.Армении устанавливается следующая граница между обеими республиками:

Граница начинается с горы Уч-Тапаляр по [illegible] линии с запада на восток до высоты [illegible] доходит до [illegible] /3030/ и [illegible] [illegible] линия отклоняется к северо-востоку, а затем к востоку, оставляя к северу озеро [illegible] и село Троицкое, [illegible] сел. Табах-[illegible] [illegible]-Хараба и [illegible]-кей и доходит до горы [illegible]-Дар-прямая линия [illegible] на сел. Ирганчой-прямая на высоту 750-далее на высоту Кулу[illegible] 565,5/- высота 676-сел. [illegible]-высота 9[illegible]0-высота 739-сел. [illegible]-[illegible] 735-высота 6[illegible]0-сел. Ахкерпи [illegible] линия на сел. [illegible]-высота [illegible] церкви у сел. [illegible]-сел. [illegible]-сел. [illegible]-ст. [illegible] [illegible] от цифры 1[illegible], что к северу [illegible]-далее до высоты 2[illegible] [illegible] Тала-даг/- далее на надпись "Ро[illegible]", что [illegible] северу от надписи [illegible] "[illegible]-[illegible]"-гора [illegible]-о[illegible] /[illegible] 2 версты в [illegible]/.

Примечание: сел. [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible] отходят к северу от указанной линии, в пределах [illegible].

Председатель Совета Народных Комиссаров С.С.Р.Армении А.[illegible]

Председатель Революционного Комитета С.С.Р.Грузии [illegible]

С подлинным верно: [illegible] /[illegible]/

[illegible] /[illegible]/

КОПИЯ

ПОСТАНОВЛЕНИЕ О ГРАНИЦАХ МЕЖДУ ССРА и ССРГ.

6 декабря 1921г. Тифлис.

На основании состоявшегося полного согласования между Революционным Комитетом ССР Грузии и Совета Народных Комиссаров ССР Армении устанавливаются следующие границы между обоими республиками: граница начинается с горы Уч-Тапалар по кремнистой линии с запада на восток до высоты 8436 доходит до перевала Ортуа-Дар / 8030/ и горы Окна-Дар линия сворачивает к северо-востоку, а затем к востоку, оставляя к северу озеро Жидотинское и село Троицкое, а к югу сел. Татой-Харабя, Карихр-Харабя и Дар-Кей доходит до горы Кацин-Дар прямая линия по хребту на сел. Ургав-Чай проходит на высоту 728 - далее на высоту Кизу-Тах /885,8/высоту 675 селения Сакун высота 910 высоту 709 - селение Джандар - высота 705 - высота 894 селение Ак-Керпи, прямая линия на селение Ордете-высота 498-развалины церкви у селения Ходкорпи-селения Вардадзор станция Садахло - гребень от цифры 1654, что к северу от Садахло, далее до высоты 2660 /горы Тапа-Дар/ далее на водораз "Родник", что к северу от подножия скала Хачи-Каза горы Безутин-Сыни /карта 6 верс. в дюйме/.

ПРИМЕЧАНИЕ: Селение Ургав-Чай, селения Сакун, Джандар, Ак-Керпи, Ордете, Ходкорпи, Вардадзор, Садахло остаются к северу от указанной линии / в пределах ССР Грузии/.

ПРЕДСЕДАТЕЛЬ СОВЕТА НАРОДНЫХ
КОМИССАРОВ ССР АРМЕНИИ А.МИЯСНИКОВ

ПРЕДСЕДАТЕЛЬ РЕВОЛЮЦИОННОГО
КОМИТЕТА ССР ГРУЗИИ Б.МДИВАНИ

Верно: Управляющий Канцелярии ЦИКРКИ О.РАЙХЕЛЬМАН

копия с копии верный ТЕХНИЧЕСКИЙ СЕКРЕТАРЬ

П Р О Т О К О Л №.....

РАЗДЕЛЬНОЙ КОМИССИИ ПО АДМИНИСТРАТИВНОМУ РАЗГРАНИЧЕНИЮ УЕЗДОВ ПРИ З А К А З Е.

"30" апреля 1923 года.

Председатель Президиума Заказа т.т. ТАЛАЛАЕВ и ЕРТЕМГОРЕ.

Представители от ССРА : тов.БАРТОЛЬДТЫХ-т.КОСТАНДИ Члены Комиссии: председатель тов. АХАЛЦИХСКИЙ, зав. Посто-Земским Отделом тов. АХОЛКАЛАКСКИЙ, Начальник Управ КАРКОЙСКОЙ тов. ЕСАЛЕ и Типограф Наркомзема тов. ЛЕАКИТАЛАЕВ.

Представители от АССР : Начуправземуотдела тов. дж. АЛТУН, Представитель НКВД тов. ОЗРДОВ и Типограф НАРКОЙЗЕМА тов. ВЕЛЕЛОВ.

Представители от ССРГ : Заведующий Уездом тов. ТАЛАЛАЕВ, Зав. Земским Устроительством тов. ДЕЛЕЛЕЛ, Зав. Посто-Земским Отделом тов. [illegible] и Типограф тов. БАРАЛЕДОВ.

Председатель - тов. АХАЛЦИХСКИЙ

Секретарь " [illegible]

О д у м а л и :	П о с т а н о в и л и
I.Административное межевание разграничение территориальных уездов между ССРГ и ССРА. Ахалцихского и Ахалкалакского Карсского уезда./.	I. Граница начинается с горы ТЕ-ТАЛАЛАЕВ со прямой линии на восток-восток до высоты 9456,доходит до перевала ЭКТУЛЕЛЕ /6030/ на горе СЕЛЕ-ЛАР линия спускается к северо-востоку, в части к востоку,спускаясь к северу около Недетского и около Тертерое, в к югу сев. Татал-Карьба,Карьер Карьба к Дарьей доходит до горы Ахалк-да. Далее прямая линия по гребету населенным Ирганчей,прямая по гребету 7?3,далее на высоту Грузин -вышата 838,высота 370 отм. Свасти прохода-910. Далее граница идет по водоразделу через Дорьяй перевал - выс. 957,далее 889 гора ЛОЛК выс. 1030,67, далее гора Оолтунка, перевал Восточ Ворота- 838,гора Крестовая 903,81,высота 824,выс. 940,810,гора Кильтер выс. 1196,выс. 1082,выс. 102 ,выс. 144,гора Кучакар - 697,гора Ночальниковс- 806,выс.860. Далее граница поворачивает на северо-восток и через высоту 383 выходит на отметку Садахло. Отсюда также на гребень от пункт 1384, что к югу от Садахло,далее до высоты 2460 гора ТОПА-ДАГ,далее на седловину "ТО,ЧЕЛ",что к северу от седлов Хачахлар,гора Болуган-ЛАЛЕ/ карта 2 верст. в дюйм./.

ССРГ со всеми надлежащими землями.
Все к северу от указанной линии между вышеназванными договаривающимися сторонами в двухмесячный срок после обмена ратификационными грамотами на общих основаниях.
Что же касается желания Армавирского земледельческого общества присоединиться к той или другой Республике, передать на усмотрение Президиума ВЦИКа.

В.Административное разграничение пограничных районов между СССР и АССР.
I.ч. Представительство АССР предлагает следующую границу: от Араздара по реке Ахсу и далее по ней до урочища Кровавый, откуда прямой линией на северо-запад на хребет Гандаврок и далее по этому хребту в восточном направлении до ущелья Гандараон, затем по хребту в юго-восточном направлении мимо горы Бырг-Тапа до Шуральманского хребта, идя вдоль по хребту "Дегдыах", откуда вверх в северо-западном направлении по оврагу Курду-Дара, мимо родника Бизерган-Булак до хребта Хас, по южному хребту на северо-запад до реки Акавлы-реке Шуральманской пересечение.

Представительство СССР предлагает следующие границы от Араздара до Гандаврокской стоянки, согласно указанию в протоколе Конференции от 19 января 1922 г.
Далее Гандаврокской стоянки граница Грузинской губ. идущая вдоль Гандаврокской водораздельной стоянки.

6. Ввиду острых разногласий предложить Представительствам обеих сторон в краткий срок представить свои соображения по данному вопросу мотивированно подробные предложения.

Образовать Особо-смешанную Комиссию, которая применяет в основу п.п. 3,4 и 5 ПЕТРОПАВЛОВСКОГО АКТА ДАГО-ГРУЗИНСКОГО ДОГОВОРА от 8-го июля 1921 года пересмотрит решения Кавказского от 8-го сентября 1921 года и от 20/1-22 года, касающиеся Чатинской, Приморской, Эльдарской, Гимринской и Приладанской этажей и установит границу в пределах фактического землепользования, руководствуясь принципом целесообразного научно-агрономического и экономического характера.

ПРЕДСЕДАТЕЛЬ

ЧЛЕНЫ:

ЭКСПЕРТЫ

4 Копия с копии.

П Р О Т О К О Л

Заседания от 28 января 1922 года Особосоставной Комиссии, организованной на основании постановления Конференции от 6/УП-1921 г. границ Закрестубания, для установления границ фактического пользования между А.С.С.Р. и С.С.Р.Г.-

ПРИСУТСТВОВАЛИ: Делегаты А.С.С.Р. тов.А.Арбасов и Н.Ляхлинский
Делегаты С.С.Р.Г. тов.З.Канделаки, Е.Ганцхадзе и Л.Бердзенишвили.

Слушали вопрос об установлении границ фактического пользования на участках, подвергшихся обследованию Комиссией за последние две поездки в Ахалцихскую, Ацкурскую и Ольдинскую степи, на основании данных осмотра спорных границ спроса населения и дополнительного сбора сведений об участках, ранее обследованных, представленных согласно поручения Комиссии представителями делегации.

Постановили: I. По участку Козлук расположенному при слиянии рек Куры и Храма. Собранные сведения не дают определенных данных о фактическом пользовании этого участка, но в виду расположения его близ сел.Ахалы Кыйхского уезда, считать границами фактического пользования прямую линию от Конского моста до вершины хребта Торпах-Тала и прямую линию от этой вершины к реке Куре, совпадающую с линией фактического пользования в Кыйхском уезду от реки Куры до Этак-Тала.

II. По участку "Бодбийские отдельные земли" (чч.8.. по плану синяя краска), в виду отсутствия на этих землях признаков фактического пользования со стороны граждан А.С.С.Р. границей фактич.пользования считать продолжение Ольдинского хребта через гору Гобстеби к высоте 2724 до Ахалцихской степи (белая краска у.ин плане Б.)

III. По участку Ахпо (Ахалцихская степь до пл.Б.зел.краска). Степь находится в фактическом пользовании.

Количество ветхих мусульманских ятагов разорены и никем не заняты. В северо-восточной от Кидзарио-Тба части степи ятаги в пользовании грузин скотоводов. В западной и северной части несколько ятагов в пользовании грузин скотоводов, остальные Авторгвардейцев.

Считать границей фактического пользования станицу между Бодбийскими отдельными землями и Ахалцихской степью до высоты № 2576 и

По поводу полученных сведений о отношении администрации Закатальского Округ ского суда Гарской стали просит Комиссар ге Представителя А.С.С.Р. и Грузии почистить изложенное Адми нстрация, впредь до выхода Комиссии и на основании п.5 Соглаше ния от 5 июля 192. года, устранить притеснения скотоводов.

Председатель Комиссии (подпись) В. Кандинский.

Члены: А.Абасов И.Ноздрин.

Секретарь Чхеидзе.

В е р н о:

73

ПРОТОКОЛ № 3

заседания Президиума Закавказского Центрального Исполнительного Комитета Советов Рабочих, Крестьянских, Красноармейских и Матросских Депутатов

от 18 февраля 1929 года

Председательствовал тов. Цхакая М.

Присутствовали: Члены Президиума ЗакЦИК'а. т. т. Буниат-Заде Д., Багиров М., Дзидзоев А., Стуруа В., Тагиев И., Шавердов А., Якубов С.

Кандидаты в Члены Президиума ЗакЦИК'а т. т. Джавахишвили А., Торошелидзе Е.

От ЗакЦИК'а — т. Рухадзе А.

„ Замкомзака—т. Шерешевский.

Зав. Секретариатом Президиума ЗакЦИК'а — тов. Бабаев Г.

Зав. Оргинструкторским ЗакЦИК'а тов. Мельников Ф.

Инструктор Оргинструкторского ЗакЦИК'а — тов. Акперов С.

Консультант т. Качухашвили И.

СЛУШАЛИ	ПОСТАНОВИЛИ
1. О земельных и лесных спорах между населением некоторых пограничных уездов Республики, входящих в состав ЗСФСР. (Прот. През. ЗакЦИК'а, № 13, п. 7—23 г.). Дело № 2178-3-1.	
